# საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა

ლექტორი: ნინო შატბერაშვილი
2016 – 2017 სასწავლო წელი

## თავი 1: რა არის სოციალური კეთილდღეობა

*სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა*

თუ დავფიქრდებით რაზეა დამოკიდებული ადამიანის კეთილდღეობა, რა ახდენს მასზე დადებით ან უარყოფით ზეგავლენას, გავაანალიზებთ შეძლებულთა და უმწეოთა ყოფას, დავრწმუნდებით, რომ არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია არსებობა, მაგრამ ამავე დროს არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშეც შეუძლებელია კეთილდღეობა. ამ მოთხოვნების ჩამონათვალი სხვადასხვაა, რადგან კეთილდღეობის სხვადასხვა თეორეტიკოსი განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს. მოდით ამჟამად გავეცნოთ ფიცპატრიკის მოსაზრებას და ჩამოვიყალიბოთ, ან უფრო სწორედ შევეცადოთ ჩამოვიყალიბოთ ჩვენი შეხედულება კეთილდღეობის არსზე.

ფიცპატრიკის განმარტებით, სოციალური პოლიტიკა არის პროცესი რომელიც აძლიერებს კეთილდღეობას და ამცირებს "არაკეთილდღეობას" (ფიცპატრიკი, 2001). მისი აზრით კეთილდღეობა შედგება ექვსი აუცილებელი კომპონენტისაგან: ბედნიერება, უსაფრთხოება, უპირატესობები, საჭიროება, დამსახურება, და შედარებითობა. მოდით განვიხილოთ კეთილდღეობის განმსაზღვრელი თითოეული კომპონენტი ცალ-ცაკლე.

როდესაც ბედნიერებაზე, როგორც კეთილდღეობის გამსაზღვრელ კომპონენტზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ არა ეიფორიისა და სიხარულის და აღტკინების მომენტებს, რაც თავისთავად ძალიან სასიამოვნო შეგრძნებებია, არამედ ბედნიერების "უფრო ღრმა" განსაზღვრებას. ეს კი ბედნიერების უფრო ზოგად მდგომარეობას გულისხმობს: ვარ კარგად მთლიანობაში, რადგან ჩემი ამბიციები დაკმაყოფილებულია, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო წარუმატებლობებსაც განვიცდი, რაც მაღონებს და იმედგაცრუებულს მტოვებს ხოლმე.

ხოლო ბედნიერების ზედაპირული განსაზღვრება ძალიან მცირედ მოიცავს იმას, რასაც კეთილდღეობა გულისხმობს. თუ ბედნიერება არაფერია იმაზე მეტი, რასაც მისი ზედაპირული განსაზღვრება მოიცავს, მაშინ ყველა ტიპის ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობა მისაღები იქნებოდა. ეს იქნებოდა კეთილდღეობის ძალიან ზედაპირული განსაზღვრება, დაემსგავსებოდა ტენისონის ლოტუსის მჭამელებისმაგვარ ცხოვრების სტილს. რაც უფრო ღრმაა ბედნიერების განსაზღვრება, მით უფრო მრავლისმომცველია იგი, მაგრამ იმისათვის, რომ ის იყოს

ნამდვილი და არა ხელოვნური მას სჭირდება ავტონომიისა და ავთენტურობის განცდა.

ახლა მოდით უსაფრთხოება განვმარტოთ, როგორც კეთილდღეობის შემადგენელი კომპონენტი. ადამიანი, რომელსაც აქვს სტაბილური შემოსავალი, სამუშაო, საცხოვრებელი უფრო მეტად განიცდის კეთილდღეობას, ვიდრე ის ვინც მუდმივად არასტაბილურობასა და დაურწმუნებლობაშია. უსაფრთხოება განიჭებს იმის განცდას, რომ შენი მდგომარეობა არ გაუარესდება მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად. ეს განცდა კი ისეთი ადამიანისათვისაც ფასეული და სიმშვიდის მომგვრელია, რომელიც არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია ამჟამად.

თუმცა, კეთილდღეობის განსაზღვრას უსაფთხოების კუთხით ახლავს პრობლემები. შესაძლოა უსაფრთხოების ფასი ძალიან მაღალი აღმოჩნდეს. წინა თაობებში ბევრი ქალი მიიჩნევდა, რომ ფინანსურ უსაფრთხოებას მხოლოდ ქორწინებით მიაღწევდნენ და ვერანაირად დასაქმების ბაზარზე დამოუკიდებლად ფუნქციონირებით. ამას კი მათი თავისუფლება ეწირებოდა ხშირად. თუ უსაფრთხოება ვინმეზე ან რამეზე დამოკიდებულებას გულისმობს, მაშინ კეთილდღეობის განცდაც ვერ იქნება იმგვარი, როგორც ერთი შეხედვით მოგვეჩვენა.

რთულია კეთილდღეობის განსაზღვრა უპირატესობებით. თითქოს რაციონალურია მსჯელობა იმაზე, რომ იმ ადამიანის კეთილდღეობა მეტია, რომელიც მის სურვილებს იკმაყოფილებს, ვიდრე იმ ადამიანისა, რომელიც მის სურვილებს ვერ იკმაყოფილებს. მაგალითად, თუ ერთი ადამიანი უპირატესობას ცხენით სიარულს ანიჭებს და შეიძენს კიდეც, ხოლო მეორე ადამიანს ასევე სურს ცხენის შეძენა და ვერ შეიძენს, ბუნებრივია ჩავთვლით, რომ პირველის კეთილდღეობამ იმატა ცხენის შეძენით, მეორე ადამიანის კეთილდღეობა კი უცვლელი დარჩა. კეთილდღეობის ამგვარად გაზომვა მიმზიდველია, რადგან ის კეთილდღეობის ცნებას რაოდენობრივს ხდის. ზოგიერთი კეთილდღეობის ეკონომისტის აზრით, ნივთის ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენს გადაიხდის მასში ინდივიდი ბაზარზე.

მაგრამ ასეთ განმარტებას სირთულეები ახლავს. ხშირად ადამიანის უპირატესობები ხელოვნური და ზედაპირულია. მაგალითად, თუ ადამიანი მწეველია, ყოველი სიგარეტის მოკიდებისას იგი სურვილს იკმაყოფილებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ამით მის კეთილდღეობის დონეს იმაღლებს. მისი უპირატესობა პირიქით, ამცირებს მის კეთილდღეობას. ასევე უნდა

გვახსოვდეს, რომ ჩვენი სურვილების დაკმაყოფილება შესაძლოა ამცირებდეს სხვისი სურვილების დაკმაყოფილების შანსს. აი მაგალითად, სიგარეტის მოწევისას, ადამიანი კი იკმაყოფილებე მის სურვილს, მაგრამ დანარჩენებისათვის ჰაერის დაბინძურების ხარჯზე. ამიტომ უპირატესობები შეიძლება იყოს ძალიან ინდივიდუალისტური და ვიწრო და ვერ გასწვდეს კეთილდღეობის ცნებას.

მოდით ახლა განვიხილოთ დამსახურება, როგორც კეთილდღეობის კომპონენტი. არსებობს მიდგომა, რომ დამსახურება სოციალური საქონლის დისტრიბუციის უკეთესი პრინციპია, ვიდრე საჭიროებები. დამსახურება არის დაფასება, რომელიც კონტრიბუციისა და ჯილდოს ექვივალენტია. თუ მე მეტი ძალისხმევა დავხარჯე რაიმე ნივთის შექმნაზე, მე დამსახურებულად მეტად არ უნდა შემეძლოს ამ ნივთით სარგებლობა? თუ ამ ნივთით სარგებლობა მე მომიტანს მეტ სიკეთეს ეს ხომ მე დავიმსახურე კიდეც? თუ ნაკლებად ვისარგებლებ ამ ნივთით ვიდრე შენ, რომელმაც გაცილებით ნაკლები დრო და ენერგია მოანდომე ამ ნივთის დამზადებას ეს ხომ უსამართლობა იქნება? თუმცა დამსახურება მორალური პრინციპიცაა.

კონსერვატორები დამსახურებას განიხილავენ, როგორც კონცეფციას, რომელიც ხაზს უსვამს საზოგადოების ბუნებრივ ურთიერთდამოკიდებულებებს, თუმცა ამავე დროს ჩვენ იმ ადამიანთა მორალური სანქციონირების უფლებას გვანიჭებს, რომლებიც იმაზე მეტს იღებენ ვიდრე დაიმსახურეს. მემარჯვენეები კი თვლიან, რომ დამსახურება ისეთი ფასეულობაა, რომელიც ძალიან რთულად ექცევა რაოდენობრივ კრიტერიუმში: საბაზრო ფასი მომხმარებლის მოთხოვნას უკავშირდება და არა დამსახურების ცნებას დასაქმებულებისა და კომპანიების მხრიდან. თუ მოყვარული დილეტანტის სკეჩი მეტად იყიდება ბაზარზე ვიდრე პროფესიონალის შედევრი, ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი მეტს იმსახურებს ხელოვნების ექსპერტთა აზრით არ ცვლის სიტუაციას. ბაზარი სარგებლიანობის ზრდას ემსახურება და არა დაფასების ან დამსახურების მინიჭებას (ნოზიკი, 1974). პრინციპების დაცვას ბაზრის მიღმა უნდა ვეცადოთ. მემარცხენეები თვლიან, რომ სოციალური სამართლიანობა საჭიროებას უნდა ეფუძნებოდეს და არა დამსახურებას. მარქსი ორივეზე საუბრობდა: სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანები თავისი შრომის მიხედვით დაჯილდოვდებიან, ხოლო კომუნისტურში სოციალური სიკეთე საჭიროების მიხედვით გადანაწილდება.

კეთილდღეობა გარკვეულწილად დაკავშირებულია დამსახურებასთან, რადგან მას, ვინც ნაკლებს იღებს ვიდრე დაიმსახურა კეთილდღეობის ნაკლები განცდა ექნება იმასთან შედარებით, ვინც დამსახურების პროპორციულად იღებს. პრობლემა დამსახურებასთან დაკავშირებით არის იმის გადაწყვეტა თუ ვინ დაიმსახურა. ამის

განსაზღვრა კი დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა იდეოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით ვაპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამსახურება დაკავშირებულია კეთილდღეობასთან, ჩვენ მათ სინონიმებად ვერ განვიხილავთ.

ახლა დროა შედარებითობაზე ვისაუბროთ, როგორც კეთილდღეობის განმსაზღვრელ კომპონენტზე. აქამდე ინდივიდის კეთილდღეობას განვიხილავდით თითქოს ის არ არის კავშირში სხვების კეთილდღეობასთან. რეალურად კი ჩემი კეთილდღეობის დონე დამოკიდებულია იმ ინდივიდთა კეთილდღეობის დონეზე, ვისთან შედარებითაც მე ჩემს კეთილდღეობას ვაფასებ. ჩვენი ცხოვრების მანძილზე ჩვენ თავს ორი კატეგორიის ადამიანებს ვადარებთ: ვისაც ვიცნობთ და ვისაც არ ვიცნობთ. ადამიანები, ვისაც ვიცნობთ არიან ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები, მეზობლები. ჩემი კეთილდღეობის ხარისხი იზრდება თუ მათი კეთილდღეობის ხარისხი მაღალია. ჩვენთვის უცნობ ადამიანთა კეთილდღეობა ნაკლებ ზეგავლენას ახენს ჩვენს კეთილდღეობაზე.

გამოდის, რომ კეთილდღეობა დაკავშირებულია ადამიანურ თვისებასთან მუდმივი შეადაროს თავი სხვებს. თუ მე მყავს ორი თხა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ყველას ოთხი თხა ჰყავს, ჩემი კეთილდღეობის განცდა ისეთ საზოგადოებაში უფრო მაღალი იქნება, სადაც ორი თხის ყოლაა ნორმა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საზოგადოებაში მე ორი თხა მყავს და მეტი არც მჭირდება.

ბოლოს მოდით განვიხილოთ საჭიროება, რადგან კეთილდღეობის განმსაზღვრელ კომპონენტებს შორის ის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტადაა მიჩნეული. მოდით ჯერ შევეცადოთ  განსვსაზღვროთ რა არის საჭიროება? კეთილდღეობის უდიდესი თეორეტიკოსის, ილს არლტის აზრით (1933), საჭიროება არის მისი დაკმაყოფილების წინმსწრები მენტალური პროცესი. ის ვითარდება შიდა სასიცოცხლო პროცესში ან გარე ფაქტორების ზეგავლენით. ის შესაძლოა იყოს ცნობიერიც და არაცნობიერიც (მეისი, 2009).

ამავე დროს, მოდით  ჩამოვყალიბდეთ იმაზეც თუ რისთვის გვჭირდება ჩვენ ადამიანთა საჭიროებების ცოდნა? როდესაც ვამბობ „ჩვენ“ ვგულისხმობ არა მხოლოდ ჩვენ  როგორც ადამიანებს, ან როგორც მოქალაქეებს, არამედ როგორც ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებს, რომელთათვისაც ადამიანთა კეთილდღეობაში წვლილის შეტანა, მათზე ზრუნვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება პროფესიული მოვალეობაა. ეს კი, არლტის აზრით (1958), [ზრუნვა] არის არა მხოლოდ კეთილდღეობის მომსახურება, არამედ საჭიროებათა შეფასება,  რომელიც ყველას საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება.

რასაკვირველია, ყველა საჭიროების გაზომვა თანაბრად ადვილი არ არის. მაგალითად, მენტალური ან განათლების საჭიროების გაზომვა ისე ზუსტად, როგორც საკვები საჭიროებისა რთულია. თუმცა, ნორმალური გონებრივი შესაძლებლობების ზღვარი დადგენილია ყველა ასაკისათვის. საჭიროებათა გაზომვის არლტის მეთოდის მიხედვით, ადამიანის ყოველი საჭიროებისათვის უნდა დადგინდეს ზღვარი, რომლის მიღმაც იწყება გაჭირვება ე.ი. საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა. ეს სოციალურ მუშაკებს საჭიროებების გაზომვის მსგავსი ინსტრუმენტის გამოყენებისა და საკუთარი გამოცდილების შეჯამების საშუალებას მისცემდა. არლტის აზრით, ასეთი მეთოდი არ წარმოშობს მექანიკური სოციალური კვლევის რისკს, პირიქით თუ ყველა საკითხს, რომელიც ზუსტი კვლევის საშუალებას იძლევა გამოვიკვლევთ ზუსტი მეთოდით, დრო და ენერგია დაიზოგება. ამ მეთოდის საშუალებით, შევძლებდით გაჭირვებისა და საჭიროებების სხვადასხვა ვარიანტების გამოვლენას, რაც ცხადყოფდა, რომ მათი დაკმაყოფილება არ ექვემდებარება საერთო „მკურნალობას“ (1933:10).

ადამიანის საბაზისო საჭიროებების თემა არსებითია სოციალური პოლიტიკისათვის, რადგან მათი დაუკმაყოფილებლობა ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხარისხი მცირდება ან მას გადარჩენის საფრთხე ემუქრება. საბაზისო საჭიროებებზე საუბრისას სიღარიბის პრობლემამდე მივდივართ, რადგან მათი დაკმაყოფილება არსებობის საკითხს უკავშირდება. მაგრამ სოციალური პოლიტიკა უნდა ინტერესდებოდეს იმ საშუალებებითაც, რომლითაც ინდივიდები შეძლებენ მათი არასაბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც. სოციალური პოლიტიკა ასევე უნდა ინტერესდებოდეს სოციალური საჭიროებებით. პრობლემა არის იმაზე შეთანხმება, თუ სად გადის დემარკაციის ხაზი საბაზისოსა და არასაბაზისო საჭიროებებსა და სოციალურსა და არასოციალურ საჭიროებებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ არლტი საჭიროების განსაზღვრისას საუბრობს ცნობიერსა და არაცნობიერ საჭიროებაზე, მაინც უნდა დავსვათ კითხვა – ცნობიერია თუ არა საჭიროება? განა ის საჭიროება საჭიროებაა, რომელიც ადამიანს არ აქვს გათვითცნობიერებული? უნდა დავეხმაროთ თუ არა ადამიანს გაათვითცნობიეროს საკუთარი საჭიროებები?

საჭიროება, რასაკვირველია ყოველთვის იმაზე მეტია, განსაკუთრებით თანამედროვე საზოგადოებაში, ვიდრე დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, მაგრამ აუცილებელია შეიქმნას სისტემა, რომელიც ნებისმიერ მოცემულ მომენტში უპირატესობას მიანიჭებს კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას.

დალის (2011) აზრით, შესწავლილ პერსპექტივებშიც არასათანადოდ არის წარმოჩენილი - თუ როგორ არის ეკონომიკური და სხვა ქმედებები ფესვგადგმული სოციალურ ურთიერთობაში; კეთილდღეობა როგორ არის უფრო მეტად შედეგი ფართოსაფუძვლიანი სოციალური ქმედებებისა, ვიდრე პასუხი სოციალურ პრობლემებზე. ჯერჯერობით კეთილდღეობამ ვერ ჩაანაცვლა ოჯახისათვის დამახასიათებელი დახმარების სტრუქტურა, მოვალეობის და თანადგომის განცდა.

დალის (2011) საუბრობს ბოლო ათწლეულში კეთილდღეობის კონცეფციები გაჩენილ ახალი ტერმინებზე -კარგად ყოფნა, ცხოვრების ხარისხი, ბედნიერება, ცხოვრებით დაკმაყოფილება, სოციალური გარიყულობა, შესაძლებლობები, სოციალური კაპიტალი. მისი აზრით ამ ტერმინებმა რომლებმაც სიცხადე შეიტანეს დარგში. მან დაამუშავა რამდენიმე მიმდინარეობა, რომლებიც განვითარების ოთხ შესაბამის ნაკრებად მოგვაწოდა:

1. სუბიექტური კარგად ყოფნის ტენდენცია. ეს ბადებს იდეას, რომ კთილდღეობა შეიძლება იყოს უფრო ფართო ვიდრე აქამდე ითვლებოდა. იმაში თუ როგორი გრძნობები აქვს ადამიანს თავისი ცხოვრების და პირობების შესახებ, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ პირობებში ცხოვრობს ის და როგორ მოიხმარს რესურსებს.

2. აგენტის, რესურსებისა და არჩევანის *კარგად ყოფნის*ა და ამარტია სენისეული *შესაძლებლობების* კონცეფციების ფონზე გააზრებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანის კეთილდღეობის მთავარი ელემენტებია ადამიანის რეაგირების უნარი მის წინაშე არსებულ კონკრეტულ სიტუაციაზე და მისი თავისუფლების ხარისხი.

3. როგორ მონაწილეობს ადამიანი და როგორი წვლილი შეაქვს მის პირად ურთიერთობას და სხვებისადმი განწყობილებას კეთილდღეობის საქმეში.

4. იმ ნაშრომების გათვალისწინება, რომლებიც კეთილდღეობის ადგილს სოციალურ პროცესებში ხედავენ და არკვევენ ეს პროცესები როგორ წარმოქმნიან თუ ამოწურავენ სოციალურ და სხვა რესურსებს.

მიუხედავად იმისა, რომ კეთილდღეობა აქ არსად არის წამყვანი კონცეფცია, დალის აზრით, თითოეულმა ამ საკითხთაგან გზა გაუხსნა მნიშვნელოვან კვლევას.

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ დალის ხედვა პირველ ორ ნაკრებთან დაკავშირებით. დალის (...) აზრით, თუ ადრე კეთილდღეობის გააზრების ტრადიციული საშუალებები იყო შემოსავალი და ხელმისაწვდომი

მატერიალური რესურსები, ამჟამად ამ საქმეში ძალიან პოპულარულია იმის კვლევა, თუ როგორ აფასებს ადამიანი თავის მდგომარეობას და გონებრივ ორიენტაციას. [...] აქცენტი კეთდება პოზიტიურ გამოცდილებაზე (კარგად ყოფნაზე, ოპტიმიზმზე, ბედნიერებაზე) და ძლიერ ხასიათზე (სიყვარულის უნარზე, სოციალურ კავშირებზე, ორიგინალურობაზე) (Haworth, Hart 2007: 2).

იგი გვაცნობს, სუბიექტური კარგად ყოფნის ორი მთავარი კონცეპტუალური მიდგომას: ბენთემისეული (Bentham) სუბიექტურ-ჰედონისტური ინდივიდუალისტური პერსპექტივას და არისტოტელესეული (Aristotel) ობიექტურ-ევდემონისტურ რაციონალურ მიდგომას (Bruni, Porta 2005: 20).

ჰედონისტური ტრადიცია ყურადღებას ამახვილებს ხალხის განსჯის და პიროვნების თავისუფლების მთლიანობაზე (Phillips 2006: 32). [...] ამ კონცეფციის გასაღებები არიან 'მოხმარება' და 'სიამოვნება'. [...] ჩვეულებრივ, ადამიანის სუბიექტური კარგად ყოფნის შეფასება სამი კომპონენტისგან შედგება: ცხოვრებით დაკმაყოფილებისგან, პოზიტიური განწყობისგან და ნეგატიური განწყობის არარსებობისგან (Diener 1984; Diener; Lucas 1999). ამგვარი სამუშაო ეხება ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და მისი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ასპექტებს (დაკმაყოფილების გრძნობას, ჯანმრთელობას, სხვა ადამიანებისადმი ინტერესს, ცხოვრებისეული მიღწევების განცდას, სიტუაციის გაკონტროლების განცდა) (Hills, Argyle 2002; Searle 2008).

ჰედონისტური პერსპექტივის მომძლავრებასთან ერთად (მაგრამ არა მარტო ამიტომ), ბედნიერება გახდა დარგის წამყვანი კონცეფცია. ფაქტობრივად, ზოგი ფიქრობს, რომ მალე ბედნიერება 'ახალ მეცნიერებად' [i] იქცევა. ჰედონისტური თვალსაწიერიდან, პიროვნების ბედნიერების დონე და ემოციური მდგომარეობა ცხოვრების ხარისხის და კარგად ყოფნის მთავარი მაჩვენებლები არიან. კვლევის ჩვეულებრივი მეთოდია, ადამიანის ემოციური მდგომარეობის თვითშეფასების დადგენა (რამდენიმე წინასწარგანსაზღვრულ სფეროში თუ განზომილებაში). ბედნიერების და სუბიექტური კარგად ყოფნის კვლევისთვის დიდი სტიმული იყო ეკონომისტი ისტერლინის (Easterlin 1974) ნაშრომი, რომელმაც აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ამერიკელების საშუალო შემოსავალი გაორმაგდა, ბედნიერების საშუალო მაჩვენებელი არ გაზრდილა. *ისტერლინის პარადოქსი* ამტკიცებდა, რომ ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლებს შორის კავშირი აღარ არსებობს (Searle 2008). ამიტომ, ისტერლინს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ პოლიტიკის ამოცანებს შორის პრიორიტეტი ეკონომიკისთვის უნდა მიენიჭებინათ. რატომ უნდა ვიღწვოდეთ ეკონომიკური ზრდისთვის, თუ ამას ხალხისთვის ბედნიერება არ მოაქვს? ამას მოჰყვა მოწოდებები, ბედნიერება

გამხდარიყო პოლიტიკის საყოველთაოდ აღიარებული მიზანი (Layard 2005). ბუთანის სამეფო მსოფლიო ლიდერია ბედნიერების საქმეში; აქ ბედნიერებაზე ზრუნვა სახელმწიფოს ოფიციალური ამოცანაა (ჩანართი 1).

კარგად ყოფნის ალტერნატიული განმარტება არის ევდემონიზმის შედარებითი გააზრება. ევდემონისტური მიდგომები პოზიტიურ ფუნქციონირებაზე არიან ფოკუსირებული; მათთვის მთავარი კონცეფცია კარგად ყოფნა უფროა, ვიდრე ბედნიერება. იდეალურია კარგად ცხოვრება, იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანმა გამოიყენოს თავისი პოტენციალი და ჩაერთოს ისეთ საქმეებში, რომლებიც მისთვის ფასეული და მნიშვნელოვანია. ასეთი თეორიები კარგად ყოფნას გამიჯნავენ ბედნიერებისგან, იმ მოსაზრებით, რომ ზოგიერთი სურვილი და სიამოვნება კარგად ყოფნას არ უწყობს ხელს (ზოგმა შეიძლება ზიანიც კი მოგვიტანოს). აქ პოპულარული რეზონანსი მოიცავს პიროვნების გაზრდას და თვითგანვითარებას. კარგად ყოფნის ევდემონიური გაგება, რომელიც არისტოტელეს (384-322 წ. ძვ. წ-აღ.) სახელს უკავშირდება, სათავეს "ადამიანის გაფურჩქვნის" კონცეფციიდან და კაცის ნამდვილი 'მეს' ანუ 'დემონის' რეალიზების იდეიდან იღებს (Ryan, Deci 2001). როგორც გასპერი (Gasper 2007: 26) იტყვის, არისტოტელესეული ტრადიციის თანახმად, კარგად ყოფნა კარგად ცხოვრებას ნიშნავს. კარგად ცხოვრება უფრო აქტიური ტერმინია და ეკონომიკაში არ აქვს რამენაირი უტილიტარული დატვირთვა. უტილიტარისტებისგან განსხვავებით (რომლებიც კაცს აღიქვამენ, როგორც სიამოვნების მომხმარებელს), არისტოტელესეული კონცეფციის მიხედვით, კარგად ყოფნა არის: ადამიანის შინაგანი ბუნების ხორცშესხმა და ცხოვრების მიზნის განცდა; სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობა; მეგობრების ყოლა; როცა მას უყვარს და ის უყვართ (Bruni, Porta 2005: 8).

ჩანართი 1. *მთლიანი ეროვნული ბედნიერება* ბუთანში

ტერმინი *მთლიანი ეროვნული ბედნიერება* (GNH) 1972 წელს შექმნა ბუთანის მეფემ - ჯიგნი სინგი ვანგჩუკმა. ეს ფრაზა მან გამოიყენა, რომ წარმოეჩინა თავისი შექმნილი ეკონომიკური მოდელი, რომელიც უნდა მომსახურებოდა ბუდიზმის სულიერ ფასეულობებზე დაფუძნებულ ბუთანის უნიკალურ კულტურას. ეს კონცეფცია არის ბუთანის დაგეგმვის პროცესის გამამთლიანებელი ხედვა. ბუთანში პოლიტიკის დახვეწა ხდება *მთლიანი ეროვნული ბედნიერების* კონცეფციის ნორმების მიხედვით; იმის მსგავსად, როგორც ევროპაში, აშშ-ში და სხვაგან ხდება ბუნებაზე ზემოქმედები და სხვა მსგავსი საკითხების შეფასება (რომლებიც ბოლო დროს სავალდებულოა). *მთლიანი ეროვნული ბედნიერების* ოთხი საყრდენი ბოძი არის: მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ფასეულობების მოფრთხილება და პოპულარიზაცია, ბუნებრივი გარემოს კონსერვაცია და კარგი მმართველობის დანერგვა.

*წყარო:* [httpiliwww.grossnationalhappiness.com](http://www.grossnationalhappiness.com)

ისევე როგორც ბედნიერების შემთხვევაში, შემუშავებულია კვლევის გზები, რათა დადგინდეს ადამიანის ფსიქოლოგიური საჭიროებები და მათ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პირობები. ყურადღება იმაზე კი არ არის მიპყრობილი, თუ რამდენად ბედნიერად გრძნობს ადამიანი თავს, არამედ იმაზე, თუ მისივე განცდით, რამდენად კარგად მიდის ის თავისი მიზნებისკენ. ევდემონიური კარგად ყოფნა, როგორც წესი, იზომება ისეთი საკითხების გამოძიებით როგორიც არის: ავტონომია, თვითგამორკვევა, ინტერესი და ჩართულობა, სულისკვეთება და მოტივაცია, აქვს თუ არა ადამიანს ცხოვრების აზრის, ცხოვრების მიმართულებების თუ მიზნების განცდა. ამის კარგი მაგალითია რაიფის (Ryff 1989) მიდგომა (ჩანართი 2).

სუბიექტური კარგად ყოფნისკენ შემობრუნება კლასიკურ გაგებებს ბევრნაირი ხარვეზის გამოსწორებას სთავაზობს. მაგალითად, კარგადყოფნისეულ მიდგომას ყურადღება იმისგან თუ რას ყიდულობს და მოიხმარს ადამიანი, გადააქვს მის გრძნობებზე და იმაზე, თუ როგორ რეაგირებს ის თავის სიტუაციაზე. ის შემოსავალს ან ადამიანის გარეგანი ცხოვრების სხვა ასპექტს არ თვლის კარგად ყოფნის საზომად; სამაგიეროდ ითვალისწინებს ცხოვრების არასაბაზრო სფეროებს. გარდა ამისა, მიდგომა ამდიდრებს ადამიანის მიერ საკუთარი მდგომარეობის შეფასებას იმით, რომ მკვლევარებს და სხვა ექსპერტებს ავალდებულებს ხალხის აზრიც გამოიკითხონ. ამბობენ, რომ თუ აქამდე ადამიანის ცხოვრებას გარეშე მკვლევარები სწავლობდნენ და მას (ცხოვრებას) პროფესიული სპეციალიზაციის მიხედვით ანაწევრებდნენ, სუბიექტური კარგად ყოფნით დაინტერესების შედეგად, თანამონაწილეობით და პიროვნებაზე ორიენტირებული კვლევის მეთოდები დაგვჭირდა (White, Ellison 2007: 159). სუბიექტური კარგადყოფნისეული მიდგომა აგრეთვე უფრო აფასებს ცხოვრების ხარისხობრივ თავისებურებებს. მიუხედავად ამისა, სუბიექტურ კარგად ყოფნაზე ყურადღების გამახვილებას აქვს გარკვეული ხარვეზები. განსაკუთრებით ბედნიერებისეული მიდგომა ქმნის საფრთხეს, რომ უპირატესობა მიენიჭება მოკლევადიანი სიამოვნების მაძიებელ აქტივობას და ნაკლებად მიექცევა ყურადღება იმ კონტექსტს, სადაც ემოცია განიცადეს (Wilkinson 2007). საფრთხეს ინდივიდუალისტურ ორიენტაციაშიც ხედავენ და იმ მოსაზრებაშიც, რომ ჩვენს ქცევას წარმართავს ჩვენი საკუთარი სიამოვნებისკენ თუ მიზნისკენ სწრაფვა. აქ საფუძველი ისევ არის პიროვნებისა თუ თემის/კოლექტივის საკითხი - სიამოვნება და კარგად ყოფნა ჩვენგან მომდინარეობს თუ ჩვენს გარშემომყოფთაგან?

| ჩანართი 2. ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განზომილებები |
| --- |
| პოზიტიური თვითაღქმა (იცი რა საკუთარი შეზღუდვები, კმაყოფილი ხარ საკუთარი თავით)<br>პოზიტიური ურთიერთობა სხვებთან<br>გარემოს მართვა (ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც პასუხობს პირად საჭიროებებს და სურვილებს)<br>ავტონომია (თვითგამორკვევა და პიროვნული ავტორიტეტი)<br>ცხოვრების მიზანი<br>პიროვნული ზრდა (ნიჭის და უნარების სრულად გამოყენება)<br>*წყარო:* Ryff 1989 |

[i] იხ. Layard (2005); მსოფლიო მონაცემთა ბაზა ბედნიერების შესახებ - www.eur.nl/fsw/research/happiness

რაც შეეხება *კარგად ყოფნის* კონცეფციას, ის აღწერს პიროვნების ცხოვრების მდგომარეობას თუ 'ყოფას' (McGillivray 2007; Veenhoven 2007). აქ ის აღრეულია მიდგომაში, რომელიც ადამიანის კარგად ყოფნას აკავშირებს ობიექტურ გარემოებებთან. ავტორი ვცილობს დაინახოს, რა კავშირია ადამიანის მიერ საკუთარი გონებრივი მდგომარეობის შეფასებასა და მისთვის ხელმისაწვდომ რესურსებსა თუ მის გამოცდილებას შორის. ამ ინტერესმა მეცნიერების სხვადასხვა დარგში შექმნილ უამრავ ნაშრომთან მიგვიყვანა (Searle 2008). კარგად ყოფნის კონცეფციის ამბიციაა ორ საკითხზე ფოკუსირება. კონცეფციის კიდევ ერთი უპირატესობა არის მრავალგანზომილებიანობა. ჩვეულებრივ, ის მოიცავს: ფიზიკურ კარგად ყოფნას, მატერიალურ კარგად ყოფნას, სოციალურ კარგად ყოფნას და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას (Felce, Perry 1995). კარგად ყოფნის უფრო ზოგად კონცეფციაზე მუშაობა კონცეფციას უბიძგებს ხალხის *აგენტობისკენ* და ურთიერთობასა თუ კონტექსტში ჩართულობისკენ. აქ არსებობს არაერთი მიმართულება.

ერთი გახლავთ მუშაობა ცხოვრების ხარისხზე. ეს სამუშაო განსაკუთრებით დაინტერესებულია ადამიანის ცხოვრების ფიზიკური და სოციალური პირობებით, კავშირით ერთი მხრივ, ავადმყოფობასთან და მეორე მხრივ, ცხოვრებით დაკმაყოფილებასთან.[i] ის ძალიან არის დაინტერესებული ფუნქციონირებით, რომელიც ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას ეხება, ან ეხება უფრო ზოგადად ხალხის ურთიერთობის თუ აქტივობების პირობებს. არსებობს ჯანმრთელობის

თვალსაზრისით ცხოვრების ხარისხის შესაფასებელი ასობით საზომი  და არსებობს ტერმინის აკრონიმიც HQROL (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხი). *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია* დიდად უჭერს მხარს ჯანმრთელობის, როგორც ცხოვრების ხარისხის უმნიშვნელოვანესი ასპექტის, პოპულარიზაციას. ეს ორგანიზაცია განმარტავს ჯანმრთელობას არა მარტო, როგორც დაავადების არ არსებობას, არამედ, როგორც 'სრულ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კარგად ყოფნას' (ციტ. Phillips 2006: 40). დღეს კარგად ყოფნის კონცეფციებში ზოგადად, ჯანმრთელობის თვალსაზრისით,  დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკურ და გონებრივ ფუნქციონირებას  (მაგ., Kawachi, Berkman 2000).

კარგად ყოფნის მეორე (სავარაუდოდ, ყველაზე გავლენიანი) კონცეფცია სათავეს იღებს ეკონომისტის ამარტია სენის (Sen, 1984, 1992, 1999) ნაშრომებიდან. მას ეკუთნის ნორმატიული თეორია იმის შესახებ, თუ რა აქცევს ადამიანის ცხოვრებას კარგად. სენი ფიქრობს, რომ ადამიანის ცხოვრების სიკარგე დამოკიდებულია მის *შესაძლებლობებზე* - თავისუფლებაზე, რომ აკეთოს, რაც უნდა და იყოს, რაც უნდა. სენის ინტერესი *შესაძლებლობებისადმი* გამოიწვია კეთილდღეობის ეკონომიკის შემბოჭველმა თეორიამ და ამ თეორიაში დამკვიდრებულმა მოსაზრებამ, რომ კარგი საზოგადოების საზომი არის ის, თუ რამდენად ბევრია სიამოვნება. მისი აზრით, კარგად ყოფნა უნდა შეფასდეს იმ თვალსაზრისით, თუ  რამდენად აქვს ადამიანს საშუალება ჩაერთოს ფასეულ აქტივობებში ან შეასრულოს ასეთი აქტივობები, მიაღწიოს ყოფიერების და ფუნქციონირების ფასეულ მდგომარეობას. არც რესურსები, არც საქონელზე კონტროლი და სამართლიანობაც კი, თავისთავად არ განსაზღვრავენ ცხოვრების ხარისხს. სენი გვთავაზობს შევცვალოთ პარადიგმა - საქონლის მაგივრად, შესაძლებლობები ან საქონლის ნაცვლად ის, რისი მოპოვების საშუალებასაც ან რისი კეთების საშუალებასაც ეს საქონელი მოგვცემს. სენისთვის *შესაძლებლობები* უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რესურსები თუ საქონელი (რომელიც საშუალებაა და არა მიზანი). სენის ნაშრომები საჯარო პოლიტიკის მიზნების შეცვლას გვთავაზობენ - შემოსავლის და საქონლის რედისტრიბუციის ნაცვლად, საჭიროა, შესაძლებლობის მიცემაზე ვიზრუნოთ, მოქალაქეები აღარ უნდა ითვლებოდნენ ობიექტებად, არამედ სუბიექტებად და მოქმედ პირებად უნდა აღვიქვათ (De Leonardis 1993: 187).

სენის კონცეფცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს *აგენტს*, მაგრამ აგრეთვე მდგომარეობას ('ვითარებას') ან პირობებსაც ('არსებობას') აქცევს ყურადღებას. 'ფუნქციონირების' კონცეფციაში კეთება და ყოფნა დაკავშირებული არიან ერთმანეთთან (მაგალითებია ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, წიგნიერება). მაგრამ აქ

კრიტიკული ელემენტი არის შესაძლებლობები. სწორედ ის გვანიჭებს თავისუფლებას თუ საშუალებას შევიქმნათ (ჩვენს მიერ მოწონებული) გარკვეული ცხოვრების სტილი. ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობების ნაკრები - რესურსები, რათა მიაღწიოს იმას, რაც მისთვის ფასეულია. ეს ახლოს არის იმასთან რასაც უწოდებენ პოზიტიურ თავისუფლებას. სენის აზრით, მაშინ, ჩვენს კარგად ყოფნას ორივე (ჩვენი შესაძლებლობების ნაკრები და ჩვენი ფუნქციონირების ნაკრები) განაპირობებს. სენისთვის უფრო მისაღებია ფართო კონცეფცია იმისა, თუ რა არის ფასეული ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე სასურველი შედეგების დაკონკრეტება. ამიტომ ის არ აღიარებს უნივერსალურ ძირითად საჭიროებებს. მაგრამ ის ამახვილებს ყურადღებას, როგორც თავად უწოდებს, 'საბაზისო შესაძლებლობებზე' (მაგ., დაავადების და სიკვდილის თავის არიდება). სენი აგრეთვე არ გვთავაზობს სათანადო ფუნქციონირების თუ შესაძლებლობების ინდიკატორებს.[i] ყველაფერთან ერთად, ესეც ართულებს შესაძლებლობების კონცეფციის ოპერაციონალიზაციას და განმარტებას. პოლიტიკის შემქმნელებს ის ხშირად ესმით, როგორც ადამიანური კაპიტალი და არა, როგორც ადამიანის შესაძლებლობები (Dean 2010: 84).

სენის ნაშრომები ძალიან გავლენიანია. მისი მიდგომის მთავარი ელემენტები ასახულია ადამიანის განვითარების გაერო-სეულ გაგებაში, რომელიც მოიცავს ორივეს - ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას და საშუალებების გაფართოებას. 1990 წლიდან მოყოლებული გაერო-ს ამ ძალისხმევის მიზანია, 'დააბრუნოს ადამიანი განვითარების პროცესის (ეკონომიკური დებატების, პოლიტიკის და ადვოკატირების) ცენტრში'. ამ საკითხთან დაკავშირებულ ანგარიშებში და მონაცემებში ნახავთ მცდელობას - ადამიანის ცხოვრების პირობები კარგად ყოფნის და ეკონომიკური განვითარების კავშირის ფონზე განიხილონ; პროგრესი გაზომონ საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაწესებული ნორმების და მიზნების საზომით. ამ კონტექსტში მთავარი როლი აქვს *ადამიანის განვითარების ინდექსს* (HDI) (ჩანართი 3).[i] ეს არის შედგენილი სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნებს ანიჭებს სხვადასხვა რანგს ადამიანის განვითარების თვალსაზრისით და გამიჯნავს ერთმანეთისგან განვითარებულ (ძალიან განვითარებული), განვითარებად (საშუალოდ განვითარებული) და განუვითარებელ (ნაკლებად განვითარებული) ქვეყნებს. ადამიანის განვითარების დაანგარიშება ხდება ჩანართში (ჩანართ 3) ჩამოთვლილი მონაცემების საფუძველზე. ვეენჰოვენი (Veenhoven 2007) წერს, რომ *ადამიანის განვითარების ინდექსი* ფოკუსირებულია - ცხოვრების პირობებზე (მატერიალური კეთილდღეობა), საშუალებებზე (განათლება) და შედეგებზე (სიცოცხლის ხანგრძლივობა). მაგრამ ვეენჰოვენი ფიქრობს, რომ *ადამიანის განვითარების*

*ინდექსი* კარგად ყოფნის საზომად არ გამოდგება. ის ამბობს, რომ ადამიანის განვითარების ინდექსი ერთმანეთში ურევს ორ ურთიერთშეუთავსებელ რამეს - მაგალითად, კარგად ცხოვრების შანსი რატომღაც დამატებულია შედეგების კატეგორიაში (ibid.: 227). არსებობს მოსაზრება, რომ, როგორც სტანდარტი, ადამიანის განვითარების ინდექსი ნაკლებად გვიჩვენებს უთანასწორობის დონეს (Phillips 2006: 7).

კარგად ყოფნის კონცეფციის მასშტაბი შეიძლება სრულად გავიაზროთ წინამდებარე მიმოხილვის საფუძველზე. კარგად ყოფნა წარმოდგენილია, როგორც კომპლექსი, რომელსაც განსაზღვრავს არა მარტო რესურსები (რომლის მოხმარებაც პიროვნებას შეუძლია), არამედ ცხოვრების პირობები, გარშემო მიმდინარე სოციალური პროცესები და ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (Searle 2008: 30). ერთი, რაც ამ ზოგადმა მიდგომამ გამოავლინა, არის, რომ ცხოვრების ხარისხი არის ფუნქცია: (ა) შედეგების (რომელიც ნაწილობრივ ასახავს ადამიანის არჩევანს), (ბ) სუბიექტური შეფასების (რომელიც ნაწილობრივ ასახავს ადამიანის გარემოპირობებთან ადაპტაციას), (გ) რესურსების (ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს და ხელს უწყობს ასეთ არჩევანს) და შეზღუდვების (იმ სხვადასხვა სფეროში, სადაც ხალხი მოქმედებს) (Fahey et al, 2003: 16). გარდა ამისა, ის გვთავაზობს რესურსების უფრო ფართო გაგებას. აქ საქმეში ის შესაძლებლობებიც არის ჩართული, რომელიც ხალხს ეძლევა და ის არჩევნებიც, რომელსაც ისინი აკეთებენ.

| ჩანართი 3. *ადამიანის განვითარების* გაერო-სეული *ინდექსი* (HDI) |
|---|
| *ადამიანის განვითარების ინდექსი* აერთიანებს სამ განზომილებას:<br>✓ ჩვილთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის და დღეგრძელობის ინდექსი;<br>✓ ცოდნა და განათლება, შეფასებული ზრდასრულ მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა (ორი მესამედით შეწონილი) და დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლაში მსწავლელთა დასწრების კომბინირებული მაჩვენებლის თანაფარდობა (ერთი მესამედით შეწონილი);<br>✓ ცხოვრების სტანდარტი, როგორც გვიჩვენებს (თითო სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის შესაბამისი) მსყიდველობის უნარის ეკვივალენტი. |

დალის (2011) თვალსაზრისით, კარგად ყოფნასთან დაკავშირებით არსებობს სამი კრიტიკული საკითხი:

1. კარგად ყოფნა, როგორც ზოგადი კონცეფცია არ ემყარება კონცეპტუალურ საფუძველს ან ჩამოყალიბებულ თეორიას; კონცეფციას ძირითადად ემპირიული ინტერესების ნაკრები კვებავს (Allin 2007).
2. მეცნიერების დარგი ზოგადად არ ცნობს კარგად ყოფნაზე მუშაობის პროცესს. შემოთავაზებული გაგება 'ხალხი კონტექსტში' საკმაოდ უსარგებლოა;

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ფართო მნიშვნელობით ის სცილდება გარემო პირობების ზეგავლენას პიროვნებაზე თუ ქმედებაზე (Megone 1990: 28-9).

3. კარგად ყოფნას ინდივიდუალიზმში აქვს ფესვები გადგმული. მიზეზ-შედეგობრივი ისარი ძირითადად ინდივიდუალურ მახასიათებლებზე და გამოცდილებაზე მიუთითებს. მაშინაც კი, როცა საქმე გვაქვს უფრო ფართო ინსტიტუციურ სფეროებთან და დინამიკასთან, მამოძრავებელი ინტერესი არის, თუ როგორ იმოქმედებს ეს პიროვნებებზე.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კარგად ყოფნას, ინსტიტუციებთან და პროცესებთან მიმართებით, აკლია მიზეზ-შედეგობრივობის არსი; მას ნაკლებად ან სულ არ აქვს მოსაზრება იმის თაობაზე, რასაც ხალხს 'უკეთებენ'. მაგალითად, სად არის სოციალური კონტროლი, დისკრიმინაცია და სტიგმა? დინი (Dean 2010: 88) ამბობს, რომ სენის საშუალებების კონცეფცია დუმს იმ სისტემური წინააღმდეგობების შესახებ, რომელიც ადამიანის თავისუფლებას ეღობება წინ (და განსაკუთრებით კაპიტალიზმთან არის დაკავშირებული).

წარმოდგენილი სამეცნიერო მოსაზრებების გათვალისწინებით, ყალიბდება კეთილდღეობის გაგება, რომელიც აშკარად გასცდა ეკონომიკურ თუ ობიექტურ გარემოებებს, და არის უფრო შედარებითი და სოციალური. როგორც ჯორდანი იტყვის (Jordan 2008a), კარგად ყოფნა მოითხოვს სოციალურ განმარტებას (რადგან ის სოციალური ურთიერთობის ნაწილია). სწორედ ამით განსხვავდება ის კეთილდღეობის კლასიკურ ეკონომიკურ მოდელებზე დაყრდნობით გააზრებისაგან, რომლებიც პიროვნებაზე და მის მატერიალურ ქონებაზე არიან ორიენტირებული. გამოდის, რომ თუ პოლიტიკა არის იმის შესახებ თუ როგორი უნდა გავხადოთ სამყარო და ასევე იმის შესახებაც თუ როგორს გვხდის ჩვენ ის, კეთილდღეობის კონცეფციაზე შეთანხმება აუცილებელია, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს კეთილდღეობის სისტემის რაგვარობას.

*დამატებითი საკითხავი ლიტერატურა*

## ძირითადი იდეები და მიდგომები

მ. დალი

სტატია გვთავაზობს სამეცნიერო ნაშრომებში კეთილდღეობის თაობაზე გამოთქმული მოსაზრებების ყველაზე სრულ ნუსხას. ნაშრომში მიმოხილულია კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემების გრძელი ისტორია. აქვე ნახავთ იმ სამეცნიერო მიდგომების ანალიზს, რომელთა მეშვეობითაც კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ამ პრობლემებს მიაკვლიეს, ისინი გააანალიზეს და განავითარეს.

სტატიის პირველ ნაწილში მოკლედაა წარმოდგენილი კეთილდღეობის რიგი განსაზღვრებები. მეორე ნაწილი კი წარმოგვიდგენს კეთილდღეობის, როგორც ეკონომიკური, ფილოსოფიური და პოლიტიკური იდეალის განხილვას. გარდა ამისა აქ კეთილდღეობა გაანალიზებულია, როგორც არსებულ სოციალურ პრობლემებზე და სირთულეებზე საპასუხო ქმედება. სტატიის მესამე ნაწილში (ზოგიერთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე საკითხის გათვალისწინებით) კონცეფცია უფრო ღრმად არის გაანალიზებული. აქ გამოკვლეულია კეთილდღეობის ხასიათი, სადაც *შედარებითი* უპირისპირდება *უნივერსალურს*, რომელიც უნდა გავიაზროთ პიროვნებასთან თუ კოლექტივთან დაკავშირებით, და იმ თვალსაზრისით, თუ ვინ არის პასუხისმგებელი კეთილდღეობის მოწოდებაზე. ჩვენ ვნახავთ, რომ კონცეფციას აქვს რიგი მნიშვნელობებისა და აქ არის არაერთი ურთიერთმოცილე ანგარიში და ხედვა.

## კეთილდღეობის წარმოშობა და მნიშვნელობა

ინგლისური ტერმინი “welfare” (კეთილდღეობა) სათავეს იღებს, სულ ცოტა, მეთოთხმეტე საუკუნიდან, როცა ის კარგად მგზავრობას თუ მოგზაურობას ნიშნავდა (Williams 1976: 281). თუ ამ სიტყვას ორად გავყოფთ wel-fare (კეთილი-მგზავრობა), მას აქვს ორმაგი - მდგომარეობის და პროცესის - გამომხატველი მნიშვნელობა. ახლა ამ სიტყვის ბევრ პოპულარულ განმარტებაში ვკითხულობთ: მატერიალური უზრუნველყოფა, კარგად ყოფნა, ნეგატიური პირობების არ არსებობა, ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, სურვილების დაკმაყოფილება, ორგანიზებული მომსახურებით გაჭირვებულების და მთელი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება.

როგორც აღვნიშნეთ, კეთილდღეობა, როგორც ტერმინი ახლა ისე ხშირად არ გამოიყენება, როგორც უწინ. მაგალითად, 1970-იან და 1980-იან წლებში დღევანდელზე გაცილებით მეტი ნაშრომი იქმნებოდა, რომლის სათაურშიც კეთილდღეობა იყო ნახსენები. სხვა ფაქტორებიც მიგვანიშნებს, რომ ეს კონცეფცია აღარ არის პრიორიტეტი. როგორც დინი (Dean 2006: 21) ამბობს, სოციალური პოლიტიკის არსსა და მიზანს შორის ახლანდელი იდეოლოგიური შეუთავსებლობის ფონზე, კეთილდღეობამ უარყოფითი შინაარსიც შეიძინა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა აშშ-ში, სადაც ამ ტერმინს ძალიან უარყოფითი მუხტი აქვს. ამერიკაში ამ ტერმინს გამოიყენებენ დამზღვევ ბადესთან ან შემოსავლის შემოწმების შედეგად

მიღებულ შეღავათებთან თუ იმ ხალხთან მიმართებით, ვისი შემოსავალიც ამ დახმარებაზეა დამოკიდებული. ამგვარი დამოკიდებულების ფონზე, არაერთი შესაბამისი დასკვნა კეთდება. აღსანიშნავია სამი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

პირველი ასეთი მოსაზრების თანახმად, "კეთილდღეობა" უკავშირდება ზნეობრივ კოდექსს, რომელიც განსაკუთრებულ ფასეულობად მიიჩნევს, არა იმდენად შრომას, რამდენადაც ღარიბის შრომას (Frankel 1966: 151). საჭიროა, რომ უშემოსავლო ზრდასრული ვაიძულოთ, იმუშაოს. ამ ერთგვარად დამსჯელ ტრადიციას ღრმა ფესვები აქვს. მაგალითად, ის ჩაწერილი იყო ინგლისის ღარიბთა კანონში, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. ეს იყო რეჟიმი, რომლის მიხედვითაც, ის, ვისი უსახსრობაც მისივე ბრალი არ იყო, ღებულობდა არადამსჯელი ფორმის დახმარებას; ხოლო მათი დახმარება, ვინც "ღატაკად" ითვლებოდა, "გამოსასწორებელი" რეჟიმით ხდებოდა. ღატაკები მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდნენ დახმარებას, თუ დაექვემდებარებოდნენ ამ დახმარების თანმხლებ მკაცრ პირობებს. მათი შემფასებელი "დამოუკიდებელი მუშები" იყვნენ, ხშირად მომუშავე ღარიბები. შედეგად, ღარიბს ძირითადად სამუშაოს შეთავაზებით ეხმარებოდნენ - დახმარებას შრომისუნარიანი ადამიანის შრომის სტიმული არ უნდა გაენელებინა (ibid.). ტერმინი "შრომითი კეთილდღეობა", რომელიც ახლა ასე ხშირად გამოიყენება (სოციალურ პოლიტიკაზე მსჯელობისას), ამ იდეას წამოსწევს წინ და გულისხმობს დამოკიდებულების მდგომარეობიდან თვითკმარობაზე გადასვლას.

მეორე მოსაზრება "კეთილდღეობას" აკავშირებს იმ ადამიანების ქცევასა და სავარაუდო ხასიათთან, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო დახმარებით. ადამიანთა ეს ჯგუფი უარყოფითი თვისებებით არის დაღდასმული. ითვლება, რომ ისინი ზარმაცები თუ არ არიან, პასუხისმგებლობის განცდა და ენთუზიაზმი მაინც აკლიათ. ასეთ შემთხვევში "კეთილდღეობა" არის ჯადოსნური სიტყვა, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ უმოქმედობას, სახელმწიფო მხარდაჭერაზე დამოკიდებულებას და უმწეობას (Fraser, Gordon 994a). ერთი სიტყვით, ადამიანებს, რომლებიც "კეთილდღეობის" იმედად არიან, არ აქვთ საკმარისი შინაგანი ძალა, რომ თავი შეინახონ. "კეთილდღეობის" ამ გაგებაში დამკვიდრებულია გარკვეული წარმოდგენა ორგანიზებულ სახელმწიფო დახმარებაზე.

მესამე მოსაზრება ასეთია - ზოგიერთებს აქვთ ორგანიზებული სახელმწიფო დახმარება და მხარდაჭერა, რომელიც ყოველთვის გულისხმობს მანკიერ სტიმულს, "მუქთამჭამელობას" (როცა ადამიანი იმაზე მეტს ითხოვს, ვიდრე ეკუთნის) და

დამოუკიდებლობის ნაკლებობას. ამ საკითხთან დაკავშირებული უფრო დაწვრილებითი მსჯელობა გამიჯნავს (1) სოციალური უსაფრთხოების და (2) სოციალური დახმარების პრინციპების თანახმად ორგანიზებულ შეღავათებს. ეს სხვაობა შედარებით მარტივად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ - ერთი (სოციალური უსაფრთხოება) უნდა გამოიმუშავო და დაიმსახურო, ხოლო მეორე (სოციალური დახმარება) საჭიროების მეშვეობით უნდა მოიპოვო. როცა ეს მიდგომა პიროვნებებზე გადაგვაქვს, შეღავათების მიმღებნი ორ კატეგორიად იყოფიან - ისინი, ვინც მოითხოვენ შეღავათებს რომელიც (ითვლება რომ) გამოიმუშავეს და ისინი, ვისაც იმიტომ აძლევენ ფულს, რომ დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები. შეღავათების სისტემის დამგეგმავები და შემქმნელები იმაზე დარდობენ, რომ საკმარისად იყოს სამუშაო ადგილები; ხოლო საზოგადოების წარმოდგენა ფოკუსირებულია "დამსახურებულის" და "დაუმსახურებელის" გამიჯვნაზე. ამ უკანასკნელ სირთულესაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა ისტორიულმა კვლევამ მას 1860-იან წლებში მიაგნო და "ვიქტორიასდროინდელი იდეა" უწოდა (Kidd 2004: 213). ეს საკითხი ახალწარმოქმნილად არ უნდა ჩავთვალოთ, ისევე, როგორც არ უნდა განვიხილოთ იზოლირებულად, ისე, თითქოს ის ეხებოდეს მხოლოდ მას, ვინც შეღავათებით სარგებლობს. მეტწილად, საკითხი - თუ ვინ რას იმსახურებს? - არის საფუძველი ცხოვრების ზნეობრივი და სოციალური ქსოვილისა (ამიტომაც ჩვენ ეს საკითხი ნაშრომის დასწყისშივე წამოვჭერით).

კეთილდღეობის ეს მინიმალური არსი არის მნიშვნელოვანი ტენდენცია თანამედროვე და ისტორიულ ნააზრევში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, კეთილდღეობის უარყოფითი შინაარსი იშვიათად არის გამოყენებული და მის წარმოშობასაც ნაკლებად ეტყობა ასეთი კვალი. სამეცნიერო ნაშრომებში კეთილდღეობა ძალიან ბევრნაირად არის გააზრებული და არ არსებობს ერთი შეთანხმებული მიდგომა. ჩვენ შემოგთავაზებთ განსაზღვრების ნიმუშს, რომელიც შექმნილია ბევრი შემადგენელი ნაწილისა და მიდგომის ნიადაგზე. კეთილდღეობა არის:

- ფლობდე ყველანაირ საშუალებას, რათა გაიტანო თავი და/ან დაიკმაყოფილო შენი სურვილები (აკეთო და/ან გქონდეს ის, რაც გირჩევნია) (Fives 2008: 3-4);
- საყოველთაო უსაფრთხოების, ღირსების და პატივისცემის რეალიზების პირობები (Williams 1999: 685);

- საერთო თვისება, რაც ყველას გვახასიათებს და რომელიც გამოგვყოფს ჩვენ, როგორც ერთი ჯგუფის წევრებს (Fitzpatrick 2001: 23);
- პოლიტიკური თემის საერთო მიზანი, რომელიც გულისხმობს თემის წევრების საერთო ინტერესების ოპტიმალურად დაკმაყოფილებას (Pusi6 1966: 83).

აშკარაა, რომ ამ მკვლევარებს კეთილდღეობა საკმაოდ სხვადასხვანაირად ესმით. სხვადასხვა კუთხიდან თუ შევხედავთ ამ განსაზღვრებებს, ისინი გვამზადებენ კონცეფციის საფუძვლის და განსაზღვრებების უფრო ზოგადი ნაკრებისთვის, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი. განმარტებათა ერთი ნაკრები უფრო მიემართება *შედარებით* კეთილდღეობას, დაკავშირებულს ჯგუფთან ან სიტუაციასთან, რომელშიც ადამიანი აღმოჩნდება, ვიდრე საჭიროებათა თუ პირობათა *აბსოლუტურ* ნაკრებს. არსებობს თუ არა ადამიანის კეთილდღეობისთვის მთავარი ან აუცილებელი პირობები? გვაქვს თუ არა საჭიროებები, რომლებიც უნივერსალურია? თუ ჩვენს საჭიროებებს განსაზღვრავს იმ საზოგადოების ზოგადი პირობები და სტანდარტები, რომელშიც ვცხოვრობთ? ფაივსი (Fives 2008) ლაპარაკობს ინდივიდუალურ სურვილებზე და არჩევანზე; ხოლო უილიამსი (Williams 1999) კეთილდღეობის ხორცშესხმას საერთო უსაფრთხოებას, ღირსებას და პატივისცემას უკავშირებს. ამას მივყავართ ტერმინის მეორე საყურადღებო განსაზღვრებამდე, რომელიც კოლექტიურ დონეს მიემართება. აქ იმაზეა ლაპარაკი, თუ როგორ უკავშირდება პიროვნების აქტივობა მთელი ჯგუფის ან საზოგადოების რესურსებს თუ შედეგებს და პირიქით (ჯგუფის რესურსები და შედეგები პიროვნების საქმიანობას). ამ საკითხს განიხილავს კეთილდღეობის შესახებ დისკუსიათა უმრავლესობა. მართლაც, სოციალური საქონლით მომარაგება ზოგადად არის გაუნელებელი დაძაბულობა. კონკრეტული ჯგუფის კარგად ყოფნა როგორ უპირისპირდება მთელი კოლექტივის სიტუაციას? რამდენად პრიორიტეტული უნდა იყოს გაჭირვებული და როგორ უნდა მოვარიგოთ ანტაგონისტური ინტერესები? ფიცპატრიკისთვის (Fitzpatrick) კეთილდღეობა თავისი არსით სოციალურია - "საერთო განმსაზღვრელი", რომელსაც (დადგენილი წესრიგის თანახმად) ადამიანი იზიარებს, როგორც სოციალური ჯგუფის წევრი. ფიცპატრიკი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას "სოციალურ კეთილდღეობაზე", რომელიც, ჩვეულებრივ, კოლექტიურ კარგად ყოფნას ნიშნავს. ბოლოს დაისმის კითხვა - ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი კეთილდღეობაზე? კეთილდღეობა აღვიძებს რიგ პოლიტიკურ ინტერესებს, და როგორც პასიკის (Pusić) ზემოხსენებული განსაზღვრება გვთავაზობს, პოლიტიკა, ძირითადად, კეთილდღეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების საფუძველზე ყალიბდება. ამ მოთხოვნებს სხვადასხვა (როგორც წესი, ურთიერთდაპირისპირებული) ჯგუფი წამოაყენებს ხოლმე. ამ მოთხოვნებზე

რეაგირების შედეგად, საზოგადოების ერთ ჯგუფს მეორეზე უფრო მეტი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს. სტატიის ბოლოში ჩვენ ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით.

ცხრილი 1. კეთილდღეობის სამი მთავარი სამეცნიერო მნიშვნელობა

| | |
|---|---|
| ნეოკლასიკური ეკონომიკა | კეთილდღეობა - სურვილების დაკმაყოფილება. |
| პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური მეცნიერებები | კეთილდღეობა - პოლიტიკური იდეალი და პოლიტიკური/სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ობიექტი. |
| სოციალური პოლიტიკა/სოციალური სამუშაო/სოციოლოგია | კეთილდღეობა - პასუხი რიგ სოციალურ პრობლემებზე. |

ცხადია, რომ კეთილდღეობას არ აქვს დამკვიდრებული მნიშვნელობა. საქმის მთავარ მიმდინარეობებზე ფოკუსირება გვეხმარება ვარიაციების არსში გარკვევაში და გვიჩვენებს, რომ ეს ვარიაციები არ არის შემთხვევითი, არამედ ისტორიულად ასე დალაგდა. ნააზრევი კეთილდღეობის შესახებ დროთა განმავლობაში სამი ძირითადი სამეცნიერო საქმიანობის საფუძველზე განვითარდა; ერთი გახლავთ ბაზრის შედეგების და ეკონომიკური აღებ-მიცემის კვლევა, მეორე - ფილოსოფიური იდეალი, პოლიტიკური დისკუსიის და სახელმწიფოს მოწყობის ანალიზი; მესამე - სოციალური პრობლემების და არსებული სოციალური მდგომარეობის საპასუხო ქმედებების კომპლექტის შექმნა (ცხრილი 1). თითოეული ამ სფეროებიდან კონკრეტული დარგის ორიენტაციის და ინტერესების საფუძველზე კრავს მთლიან სურათს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავინახოთ კეთილდღეობა ძალიან ვიწრო თვალსაწიერიდან ან ერთი სფეროს ჩარჩოებში.

## როგორ გაიაზრებს ეკონომიკა კეთილდღეობას

ეკონომიკის ბევრ მიმდინარეობას (მაგ. მარქსიზმს, კეინზიზმს) აქვს მოსაზრებები კეთილდღეობის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი გადაფარა 1970-იანი წლებიდან გაბატონებულმა თეორიამ - ნეოკლასიკურმა ეკონომიკამ. ნეოკლასიკურ (ნეოლიბერალურ) თეორიაში რესურსები, ტექნოლოგიები, გემოვნება და არჩევანი მოცემულობად ითვლება. ადამიანები საწყისი რესურსებისთვის გაიღებენ იმის ნაწილს, რაც აქვთ, რათა მიიღონ კომბინაცია, რომელიც მოუტანს მათ მეტ დაკმაყოფილებას. ამგვარად, ეს მიდგომა უპირატესობას ბაზარს ანიჭებს, რადგან მოხმარება (არჩევანი) განაპირობებს წარმოებას. ეკონომიკა ამ მიმართულებით არაერთ საკითხზე მუშაობს. ესენი გახლავთ - კეთილდღეობის, როგორც სარგებლის ბუნება (სიამოვნება ან დაკმაყოფილება); კავშირი კეთილდღეობასა და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას შორის; პირადი არჩევნისა და ავტონომიის საქმე; ბაზრის ორგანიზების ეფექტიანობა კეთილდღეობის მიღწევაში და როგორი პრიორიტეტები აქვს კეთილდღეობას სახელმწიფო რესურსების განკარგვაში (Adiseshiah 1966: 97).

რომ გავიგოთ როგორ ჩაისახა კეთილდღეობა ნეოკლასიკური ეკონომიკის წიაღში, უნდა შევკრიბოთ ცოტ-ცოტა უტილიტარიზმი, ველფეარიზმი და პარეტოს ეფექტიანობა. უტილიტარისტული თვალთახედვა წარმოიდგენს კეთილდღეობას, როგორც პიროვნების სურვილების დაკმაყოფილებას. ჯერიმი ბენთემის (Bentham) აზრით, ყველა გამოცდილება შეიძლება გაიზომოს სიამოვნების და ტკივილის ერთი შკალით და საბოლოოდ ფასი მხოლოდ სიამოვნებას აქვს (Sugden 1993: 1949). უტილიტარისტული მიდგომა ძირითადად ფოკუსირებულია კეთილდღეობაზე, როგორც გონებრივ მდგომარეობაზე, რომელიც არის შედეგი პიროვნების (სურვილების დასაკმაყოფილებლად გამიზნული) ავტონომიური ქმედებებისა. ეციონი (Etzioni 1986, ციტ. Culyer 1990: 16) გამოყოფს სარგებლობის კონცეფციის სამ მთავარ ვარიაციას, რომლებსაც ეკონომისტები იყენებენ - პირველი არის პიროვნების სიამოვნება; მეორე არის პირველის გავრცობილი ვერსია, რომელიც მოიცავს თვით პიროვნების და სხვების მიერ საქონლის მოხმარებით პიროვნების დაკმაყოფილებას; მესამე აღიქვამს სარგებელს, როგორც პრიორიტეტების რეიტინგის დასადგენ ინსტრუმენტს. საფუძველი თეორია გახლავთ, რომ პიროვნება დაკმაყოფილდება იმ საქონლის და მომსახურების საშუალებით, რომელსაც შეიძენს; ეს დაკმაყოფილება აისახება იმ ფასებში, რომლის გადახდაც ადამიანს სურს ამა თუ იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის. მაშინ კეთილდღეობა არის გაცვლითა და მოხმარებით გემოვნების დაკმაყოფილება. გასპერი (Gasper 2007: 39) კლასიკურ ეპიცენტრებს და დასკვნებს წარმოგვიდგენს როგორც მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვს:

გარე სურვილები და რესურსების კონტრიბუცია -› შემოსავალი -› არჩევანი/ხარჯი -› სურვილების აღსრულება - დაკმაყოფილება (სარგებელი/სარგებლობა). ის ხარჯავს ე.ი. ის კარგად არის!

ველფეარიზმი არის, კლასიკური უტილიტარისტული თეორიებისგან წარმოქმნილი, მონათესავე მიდგომა. ველფეარიზმი იმ პერიოდში ჩამოყალიბდა, როცა ითვლებოდა, რომ კეთილდღეობის ეკონომიკის მიზანი იყო პოლიტიკური რეკომენდაციების შექმნა, იმის თაობაზე  თუ როგორ უნდა მიეღწიათ სოციალური კეთილდღეობისთვის (Sugden 1993: 1948). ველფეარიზმის ანალიზის სფეროში შედის ყველა შესაძლებელი სოციალური მდგომარეობისთვის სოციალური კეთილდღეობის (რიცხვით გამოხატული) ინდექსის მინიჭება (ibid.). ამ მიმდინარეობაში იმის განსასაზღვრად, თუ როგორ შევაფასოთ სოციალური მდგომარეობა ორი პრინციპი არსებობს. პირველი პრინციპია - თუ საზოგადოების ვერც ერთი წევრი ხედავს სხვაობას ორ სოციალურ მდგომარეობას შორის, მაშინ ამ ორ მდგომარეობას კეთილდღეობის ერთნაირი ინდექსი უნდა მიენიჭოს. მეორე პრინციპი ასეთია, რომ თუ ერთ კაცს მაინც x ურჩევნია y-ს და არავის ურჩევნია y, მაშინ x-ს უფრო მაღალი ინდექსი უნდა მიენიჭოს, ვიდრე y-ს. ფასეულობა ნაჩვენებია პიროვნების არჩევნით[i]. ველფეარიზმი შედეგზეა ორიენტირებული, და სწამს, რომ მოქმედებები, პოლიტიკა და/ან წესები უნდა შეფასდეს შედეგების მიხედვით. ველფეარისტულმა შეხედულებებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს კანონმდებლობასა და ეკონომიკაზე. შედეგად, პოლიტიკის შეფასება ფოკუსირებულია შედეგებზე და გაზომვად მიღწევებზე (Dean 2010: 103).

ნეოკლასიკურ ეკონომიკაში კეთილდღეობის შესაფასებელი  კიდევ ერთი პოპულარული კრიტერიუმი არის ეფექტიანობა. *პარეტოს ეფექტიანობა* (საქონლის ან შემოსავლის გადანაწილების  შეფასება) ცალსახად ასე განისაზღვრება, თუ საზოგადოების რომელიმე წევრის კეთილდღეობა გაიზარდა და არავისმა დაიკლო, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ საზოგადოების კეთილდღეობა გაიზარდა. საზოგადოებამ, რომლის ერთი წევრი მაინც უკეთ არის, ისე რომ არავისი სიტუაცია გაუარესებულა, გააუმჯობესა თავისი კეთიდღეობის დონე (Fitzpatrick 2001: 13). მართალია, *პარეტოს ეფექტიანობას* შეუძლია ამოიცნოს რესურსებთან დაკავშირებული პოტენციური კონფლიქტი. ეს არის არსობრივად ზნეობრივი პოზიცია და, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, მისი (როგორც კეთილდღეობის სტანდარტის) მიღწევა შეუძლებელია.

შეიძლება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ იდეოლოგიას ხელმომჭირნეობა დავწამოთ. ამის საფუძველი არის ზოგიერთი მოსაზრება ადამიანის და მისი ქცევის

შესახებ და ასეთ ხელმომჭირნეობას თავისი საფასური აქვს. პიროვნების არჩევანი აღიქმება მოცემულობად და შედარებით მართებულად. არც ადამიანის ქცევაა დიდი საიდუმლო; ადამიანი აირჩევს, რომ რაც შეიძლება მეტად დაკმაყოფილდეს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველთვის იმოქმედებს გონივრულად და დაიცავს საკუთარ ინტერესებს. უტილიტარიზმი, რა თქმა უნდა, არ აპრობლემებს საკითხს რომ ფასეულობას აქვს სოციალური კომპონენტი. სინამდვილეში სოციალური ურთიერთობის მისეული გაგება პრიმიტიულობის მხარეზეა. საზოგადოება არის გაერთიანებული შედეგი ინდივიდუალური ქმედებებისა, ერთმანეთთან კონტრაქტით ან შეთანხმებით დაკავშირებულ პიროვნებათა არამყარი ასოციაცია (Dwyer 2000: 39). კულტურა, ზნეობა, ინსტიტუციები და სოციალური პროცესები არიან მხოლოდ ნაწილი სოციალური ფენომენებისა (მიზეზ-შედეგობრივობის ნიშნის ან მნიშვნელობის გარეშე) (Jordan 2008a). გადახდის სურვილს ხელშეუხებელი ადგილი უჭირავს უტილიტარიზმში - ეფექტიანი მოთხოვნა არის მიდგომის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. მეორე საყრდენი არის მოსაზრება მოხმარების დაუსრულებლობის შესახებ.

ამგვარად, როგორც დროვერი და კერანსი (Drover, Kerans 1993: 6) ამბობენ, მოხმარების დაუსრულებლობა ცვლის ყველა მომდევნო დისკუსიას კეთილდღეობის შესახებ, რადგან უკანონოს ხდის რედისტრიბუციის საკითხის ეთიკურ ასპექტებს და მომხმარებელს არ წაუყენებს ზნეობრივ მოთხოვნებს. მომხმარებლებმა მარტო იმაზე უნდა იდარდონ, რომ დაიკმაყოფილონ საკუთარი სურვილები. არჩევანი ხელშეუხებელია - ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს იმის არჩევაში, თუ რა უნდა და როგორ დაიკმაყოფილოს საკუთარი სურვილები. დასკვნა ასეთია, ეკონომიკაში გაბატონებულ თეორიას კეთილდღეობა ძალიან თავისებურად ესმის და შეუსწავლელად ტოვებს კონცეფციის ზოგიერთ ყველაზე საინტერესო ასპექტს.

## კეთილდღეობა პოლიტიკურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში

პოლიტიკური ფილოსოფია ამ საკითხთაგან ბევრს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ნეოკლასიკურ ეკონომიკასთან შედარებით, პოლიტიკური ფილოსოფია და პოლიტიკური მეცნიერება ბევრად უფრო გააზრებულად მიუდგა ამ საკითხს - მათ იმ სფეროებშიც ჩაიხედეს, რომელითაც ნეოკლასიკური ეკონომიკა არ დაინტერესდა. კეთილდღეობა შეიძლება გავიგოთ, როგორც პასუხისმგებლობა, რადგან ის განუყოფელად არის დაკავშირებული ზნეობრივ პრინციპებთან და

დისკუსიებთან. ლაპარაკია დისკუსიებზე თანასწორობის, სამართლიანობის, თავისუფლების და უფლებების შესახებ; იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება კეთილდღეობა (როგორც პოლიტიკური ცხოვრების მიზანი) განხორციელდეს სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პრაქტიკაში. მეცნიერების ეს ორივე დარგი (ფილოსოფიურიც და პოლიტიკურიც) დისკუსიის საგანია.

ამ კომპლექსური ფილოსოფიური საკითხისკენ მიმავალი მოკლე (ზედმეტად გამარტივებული) გზა არის ლიბერალების და ეგალიტარისტების გამიჯვნა. ისინი სხვადასხვანაირად უყურებენ ბევრ საკითხს. ეს საკითხები გახლავთ: კერძო საკუთრებაზე უფლებები; სახელმწიფოს მიერ კეთილდღეობის დანერგვა და დასაბუთება; სამართლიანობის აგებულება; უფლებებში და რესურსების განაწილებაში თანასწორობა; მოვალეობები და პირობები, რომლის საფუძველზეც ხდება პოლიტიკურ თემში გაწევრიანება. თავად კეთილდღეობის მნიშვნელობა არის საფრთხეში. ლიბერალური თუ ინდივიდუალისტური თვალსაზრისით, კეთილდღეობა აღიქმება, როგორც პიროვნების ავტონომია და სურვილების დაკმაყოფილება (უტილიტარიზმის მსგავსად). ადამიანების ურთიერთობა დანახულია შეჯიბრების კუთხით - ყველა ყველას წინააღმდეგ. თანამშრომლობას კი ადამიანები ახერხებენ, ძირითადად, საკუთარი ინტერესების მიღმა. ეგალიტარისტები პირიქით, კოლექტიურ მდგომარეობას უჭერენ მხარს და ამას ბევრნაირად ასაბუთებენ. ერთი გონივრული გამართლებაა მოწყვლადთა დაცვა (მაგ., ბავშვების და ხანდაზმულების, ღარიბების ან მათი, ვინც თავს ვერ ინახავს). მეორე მოტივი გახლავთ უთანასწორობების დაბალანსება და გამოსწორება. მაგრამ კოლექტიური კეთილდღეობა უფრო მასშტაბური მსჯელობის საკითხია, და სცდება ნებისმიერი ერთი ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების განხილვას.

სახელმწიფოს ქმედებებს გადამწყვეტი როლი აქვს ამ პერსპექტივისთვის, რადგან "კეთილდღეობის შემწეობა არის აშკარა გამოხატულება უმრავლესობის სურვილისა, დაეხმაროს სხვა, ნაკლებად იღბლიან, ადამიანებს. ამიტომ, სახელმწიფო დაინტერესებულია თემის განცდის გამომუშავებით და ერთი კაცის მეორესადმი თანადგომით" (Plant et al. 1980: 56). ითვლება, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოსთან დაკავშირებული ინსტიტუტები და პროცესები განსაკუთრებით უწყობენ ხელს სოციალურ ინტეგრაციას; ისინი აუმჯობესებენ თანასწორობას და ხელს უწყობენ საზოგადოებაში მეგობრული, თემური ვალდებულებების მობილიზებას (Tawney 1931; Titmuss 1974). ლიბერალური და ეგალისტური თვალსაზრისების სრული განხილვა იხილეთ Daly, *Welfare* III, 2011.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი დისკუსია უკვე შეეხო კეთილდღეობაზე მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხთა მეორე რიგს - სახელმწიფოს ტიპს, მასშტაბს და კანონიერ როლს. ამ საქმეში მოქალაქეობა არის კარგი გზამკვლევი ჩარჩო. მოქალაქეობა არის გზა ფიქრისთვის და იმის რეალურად ორგანიზებისთვის, რაც ადამიანს, როგორც თავისი ქვეყნის მოქალაქეს, ეკუთნით (Turner 1993; Isin, Wood 1999; Lister 2004). უფლებები და პასუხისმგებლობები, რომელიც მოგვენიჭება ბრიტანელობის, ამერიკელობის ან შვედობის გამო, ამძაფრებენ "თემის" მნიშვნელობას; ეს განსაკუთრებით გასაგებია ეროვნული თემის თვალსაზრისით. მოქალაქეობის ვარიაციები და (მოქალაქეების და არამოქალაქეების) უფლებები გვიჩვენებენ, თუ რამდენად არსებობს ინსტიტუტების, კატეგორიების და მომსახურების ნაკრები, რომელიც ყველასთვის შეიქმნა (Fraser, Gordon 1994b: 90). ამ სფეროში კლასიკური ნაშრომი ეკუთნის მარშალს (Marshall 1950), რომელიც მოქალაქის სამი ტიპის უფლებებზე ლაპარაკობს: სამოქალაქოზე (რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად თავისუფლებებს), პოლიტიკურზე (რომლებიც აძლევენ ადამიანს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში) და სოციალურ უფლებებზე (რომლებიც გვანიჭებენ უფლებას, მივიღოთ რიგი სოციალური მომსახურებისა და საშემოსავლო დახმარებისა). მარშალმა სოციალურ მოდელად ინგლისი გამოიყენა. მისთვის ეს უფლებები თანმიმდევრულად განვითარდა, როგორც მოდერნიზაციის პროცესის ნაწილი და სოციალური უფლებები იყო პოლიტიკის გამარჯვება ბაზარზე (ამდენად, სოციალურ კლასებს შორის უთანასწორობის დამარცხება). სოციალური უფლებები არის ყველა პიროვნების (მიუხედავათ მათი წარმომავლობის თუ მდგომარეობისა) თანასწორად აღიარების ფორმა. მარშალის ნაშრომი არასრული იყო, რადგან მან არ აღნიშნა, რომ მოქალაქეობა ინგლისში (და სხვაგანაც) თავიდან მხოლოდ ქონების მფლობელი მამაკაცების პოლიტიკურ მოქალაქეობას ნიშნავდა. მოგვიანებით მოქალაქეობა გავრცელდა ყველა სოციალური კლასის წარმომადგენელ მამაკაცებზე და კიდევ უფრო გვიან ქალებზე (Woodward, Kohli 2001: 5).

მარშალის კონცეფცია უფლებების სამ ჯგუფად დაყოფისა აღწერისთვის მოსახერხებელი ფორმატია. ის გვიჩვენებს ზემოთ ნახსენები, ორი ფილოსოფიური ტრადიციის არამკაფიო სურათს. ტრადიციული ლიბერალური გაგებით, მოქალაქეობა არის პიროვნების სტატუსის და მოქმედების თავისუფლების დაცვა, იმ თვალსაზრისით, რომ ის დაცული უნდა იყოს სხვების ქცევით გამოწვეული შეზღუდვებისა და ზიანისგან. ეს თვალსაზრისი უპირატესობას ანიჭებს უფლებების შეზღუდულ კონცეფციას და ფოკუსირებულია მარშალისეული უფლებების პირველ ორ კატეგორიაზე - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. მეორე მიდგომა,

რესპუბლიკური სამოქალაქო პერსპექტივა, ყურადღებას ამახვილებს თემის და საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობაზე. ამ თვალსაზრისით, ცხოვრება არის თანამშრომლობა მოწყვლად, მაგრამ თანამშრომლობისუნარიან არსებებს შორის (Dean 2008: 58). ამიტომ, მოქალაქეობა არის პიროვნებების სუვერენულობის გაერთიანება, რათა ხელი შეეწყოს სოციალურ წესრიგს და კოლექტიურ კარგად ყოფნას (ibid.). ეს თვალსაზრისი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ უფლებებს; აღიქვამს მათ აუცილებლობას სახელმწიფოს და საზოგადოების სრულად ფუნქციონირებისათვის. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ განსხვავება ამ ორ პოზიციას შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალური თვალსაზრისით, პიროვნება გამიჯნულია ჯგუფისგან თუ თემისგან; მაშინ, როცა რესპუბლიკელებისთვის, ჯგუფის ან კოლექტივის საჭიროებები და ინტერესებია მნიშვნელოვანი.

მოქალაქეობის მოდელი, რომელიც არსებობს ქვეყანაში, ან რომელზეც კამათობენ, მჭიდროდ არის დაკავშირებული კეთილდღეობის სახელმწიფოს არსებულ ან ჩაფიქრებულ ტიპთან. ტერმინი "კეთილდღეობის სახელმწიფო" აღნიშნავს სახელმწიფოს განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც ორიენტირებულია საჭიროებების და კეთილდღეობასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამ ტიპის სახელმწიფოში მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობას მათზე, ვისაც არ შეუძლია თავად შეიქმნას კეთილდღეობა და იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენს გაწვდება საჯარო კეთილდღეობის (თუ სოციალური მოქალაქეობის) განცდა; გარდა მხარდაჭერისა, სახელმწიფო არის უსაფრთხოების გარანტი მთელ რიგ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. ამიტომ, კეთილდღეობის სახელმწიფოს აქვს ძალიან განსხვავებული მიდგომა *სიღარიბის შესახებ კანონისადმი.* ეს კანონო ფოკუსირებულია ყველაზე მძიმე შემთხვევებში საჭიროების და დახმარების დამსახურებულობის შემოწმებაზე. მოქალაქეობის მარშალისეული (Marshall's 1950) კლასიფიკაცია ბევრ ინფორმაციას მოიცავს კეთილდღეობის სახელმწიფოსა და მისი ვარიაციების შესახებ; რაც უფრო ძვირადღირებულია სოციალური უფლებები, მით უფრო განვითარებულია კეთილდღეობის სახელმწიფო. პოლიტიკური მეცნიერება კეთილდღეობის სახელმწიფოს უდგება როგორც ძალაუფლების სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პოლიტიკური პროცესების შედეგებს და დროთა განმავლობაში ზემოქმედებს პოლიტიკურ ინტერვენციაზე. როგორც ვხედავთ, კეთილდღეობის სახელმწიფო უბრალოდ არ ჩნდება არსაიდან, მისთვის ბძოლაა საჭირო და ის კვლავაც სადავოდ რჩება.

## კეთილდღეობის სოციალური მნიშვნელობა

სოციალური კეთილდღეობის იდეა გვთავაზობს კეთილდღეობის დღესდღეობით განხილული სახეების კონტრასტულ სახეს. როგორც სოციალური პოლიტიკის, სოციალური სამუშაოს და (ნაკლები მასშტაბით) სოციოლოგიის დარგებშია შემუშავებული, სოციალური კეთილდღეობის გააზრება უფრო კომპლექსურია, ვიდრე ნეოკლასიკური ეკონომიკური თვალთახედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ეკონომისტები სურვილების დაკმაყოფილებას (უპირატესობებს) იყენებენ კეთილდღეობის საზომად. ხოლო სოციალური მეცნიერებების მესვეურები, როგორც წესი, ფოკუსირებული არიან საჭიროებებზე, სოციალურ პრობლემებზე და ამ ორივე სირთულის მოგვარებაზე. საჭიროების კონცეფცია მოიაზრება ადამიანის ხასიათის ერთგვარ აღმწერად, რომელიც არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომისტების "უპირატეობები" (Fitzpatrick 2001: 7). კეთილდღეობა აგრეთვე ნაკლებად ინდივიდუალისტური კონცეფციაა. კეთილდღეობა სოციალურ სისტემაში მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების მიზნებთან და ფუნქციონირებასთან; განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ მოგვარდეს ისეთი პრობლემები, როგორიც არის სიღარიბე, უმუშევრობა, ცუდი ჯანმრთელობა და სოციალური უთანასწორობა. ამ საკითხში სოციალურ დარგებს ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებთან უფრო დაახლოებული პოზიცია აქვთ. მართლაც, პოლიტიკური ფილოსოფიური დისკუსიის ბევრი საკითხი სოციოლოგიის თვალსაზრისითაც დაამუშავეს. როგორც წესი, ეს საკითხები სამ ჯგუფში არიან განაწილებული:

- მოსაზრებები ადამიანის მდგომარეობის რაგვარობის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება;
- სოციალური პრობლემების რაგვარობის და წარმოშობის გამოძიება. იმის დადგენა თუ როგორ არის ეს ყველაფერი დაკავშირებული სოციალურ ორგანიზაციასთან და რესურსების (ცუდ) მიწოდებასთან;
- მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს და რამდენად ეფექტიანია სხვადასხვა მიდგომა სოციალურ ინტერვენციასთან და რეფორმასთან მიმართებით; როგორ ეთავსებიან ეს მიდგომები დამკვიდრებულ ნორმებს და იდეოლოგიას.

ადრეულ წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არსებული მდგომარეობის, სხვადასხვა პოლიტიკის ფუნქციონირების და საჭიროების საპასუხო კოლექტიური ქმედების სოციალური კრიტიკა. ეს ადრეული ნაშრომები კეთილდღეობას სოციალური პრობლემების მოგვარების სპეციალურ ჩარჩოში

“ათავსებდნენ”[i]. განვითარების ადრეულ ეტაპზე კეთილდღეობის შესახებ ნააზრევის ყურადღებას სამი იდეა იპყრობდა: (1) სიღარიბე/საჭიროება, (2) ღარიბის ზნეობრივი სახე, (3) სოციალური რეფორმა და სათანადო მოწოდება.

ისტორია გადმოგვცემს, რომ სოციალური მკვლევარები და ზნეობის აქტივისტები იყვნენ კეთილდღეობის მთავარი მოქმედი პირები. მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთში (განსაკუთრებით ინგლისში) და აშშ-ში სოციალური რეფორმა, ტრადიციულად, დაკავებული იყო ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვებით. ამ ინფორმაციას სოციალური ქმედებების და სოციალური ინსტიტუტებისთვის სათანადო საორგანიზაციო და ზნეობრივი პრინციპების შესამუშავებლად იყენებდნენ. სიღარიბესთან მიმართებით განსაკუთრებით ვლინდება ორივე, კეთილდღეობის ადრეული ანალიზიც და მისი გააზრების განვლილი ეტაპებიც. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცეს დასაწყისში ინგლისში (ცოტა მოგვიანებით აშშ-ში (O'Connor 2001[i]) გამალებით იკვლევდნენ სიღარიბეს. ეს მისწრაფება ინტერესთა ორმა წყებამ გააჩინა. ერთი მხრივ, სიღარიბის ემპირიული შესწავლა აკმაყოფილებდა რეფორმატორების და სხვების გულწრფელ ინტერესს. ამ ადამიანებს აინტერესებდათ, როგორ გარემოში ცხოვრობდა მოსახლეობის ერთი ნაწილი, როგორი იყო უქონლობის პირობები და მიზეზები. იყო მცდელობა - დაედგინათ ძირითადი საჭიროებები და მდგომარეობა, როცა მხოლოდ საარსებო მინიმუმი გაქვს; ეპოვათ სიღარიბის ობიექტური სათავე; გაერკვიათ იყო თუ არა სიღარიბე სოციალური და ეკონომიკური პირობების ნაყოფი (Hewitt 1998). სოციალური გამოძიება განსაკუთრებით მოტივირებული იყო რწმენით, რომ “პრობლემის” შესახებ ემპირიული ცოდნის შეძენა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ “პრობლემის” მოგვარების საქმეში. ე.წ. გამოძიების სამეცნიერო მეთოდებისადმი ნდობამ გამოიწვია ”ფაქტების” ნაკლებობა. კვლევა და რეფორმა მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. ამით მივედით ამ კვლევების მეორე მოტივთან - “ფაქტები” ამბობდნენ, რომ სიღარიბე, ნაწილობრივ მაინც, გამოწვეული იყო ღარიბის ქცევით და წინასწარგანწყობით. უფრო მეტად ღარიბები, ვიდრე მათი სიღარიბე, იყვნენ მნიშვნელოვანი მამოძრავებელი სიღარიბის კვლევისა. ამ ყველაფრის ფესვები არის ღარიბის ზნეობრივი მნიშვნელობის საკითხი და პაუპერიზმის ფენომენი. ეს ის საკითხია, რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული აწუხებდათ პოლიტიკოსებს, სოციალურ კომენტატორებს და თეოლოგებს (Glennerster 2004: 15).

ამან მოგვიყვანა ადრეული პერიოდის სიღარიბის მკვლევარების მესამე გატაცებასთან - სოციალური საქონლით მომარაგებასთან. მეოცე საუკუნის დამდეგს ბრიტანეთში (ცოტა მოგვიანებით აშშ-შიც) სოციალური რეფორმების

იდეოლოგია გამსჭვალული იყო სურვილით, რომ ღირსეული მოპყრობა და სოციალური დახმარება მიეწოდებინათ "პატივსაცემი" ადამიანებისთვის და გაემიჯნათ ისინი "უვარგისებისგან" (Hay 1975). ამ კონტექსტში კეთილდღეობის ინსტიტუტებმა (მაგ., დაქირავებული მუშაკების და/ან მოხალისეების მიერ გაწეულმა სოციალურმა მომსახურებამ) მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. სოციალური პოლიტიკის და სოციალური სამუშაოს ისტორიულმა ფესვებმა და ადრეულმა განვითარებამ სოციალური ინსტიტუტები მოამზადეს (ჯერ საქველმოქმედო, ხოლო მოგვიანებით ბიუროკრატიული და პროფესიული) ინტერვენციის ტრანფორმირებადი ძალაუფლებისათვის. მათ ადრეულ ეტაპზევე გაუჩნდათ განსაკუთრებული ინტერესი იმისა, თუ როგორ ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის ინტერვენცია სოციალური პრობლემების და სოციალური საჭიროებების საპასუხოდ[i]. კეთილდღეობის სოციალურად მოხსენიების ყველაზე გავრცელებული ისტორიული შემთხვევები იყო, როცა სიღარიბეზე, არქონაზე და საჭიროებებზე ორიენტირებულ სამსახურებს თუ ღონისძიებებს სოციალურად მოიხსენიებდნენ. ადრეულმა ნააზრევმა კეთილდღეობის შესახებ (და სიღარიბის კვლევამაც) ხელი შეუწყო იმ პირობების დადგენას, რომელიც უნდა ხლებოდა სახელმწიფო რესურსების არმქონეთათვის მიწოდებას. ბრიტანეთში და განსაკუთრებით აშშ-ში სახელმწიფოს მიერ სიღარიბის და საჭიროების საპასუხოდ ორგანიზებულმა კეთილდღეობამ ღრმა შეშფოთება გამოიწვია. საჭიროების ტესტები და დამსახურებულობის დადგენის სხვა საშუალებები ამ შეშფოთების დანატოვარია. ბევრი თვალსაზრისით, მეცნიერების ამ დარგმა კეთილდღეობა საჩუქრად მიიღო. იმ სიტუაციაში, სადაც მეცნიერების ნორმატიული საფუძვლების გააზრება იშვიათობა იყო, კეთილდღეობა, როგორც თვით-მტკიცებული მდგომარეობა, თავისთავად კარგ რამედ ითვლებოდა. სოციალური პროგრესი მიიღწეოდა, თუ ცვლილებები სწორად წარიმართებოდა. სანუკვარი მიზანი იყო, ეპოვნათ ოპტიმალური პასუხი კეთილდღეობისთვის, რომელიც ჩაფიქრებული იყო ინდივიდუალური საჭიროებების და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

ცხრილი 2. კლასიკური მეცნიერების ფოკუსი კეთილდღეობაზე

| | |
|---|---|
| ნეოკლასიკური ეკონომიკა | პიროვნების წილი რესურსებში,<br><br>საბაზრო აღებ-მიცემა და მათი გავლენა სურვილების დაკმაყოფილებაზე |
| პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური მეცნიერებები | ფასეულობები, ეთიკა, პოლიტიკური იდეალები, მოქალაქეობა, კეთილდღეობის სახელმწიფო |
| სოციალური პოლიტიკა/სოციალური სამუშაო/სოციოლოგია | საჭიროება, სიღარიბე და უქონლობა, სოციალური პირობები, სხვადასხვა სახის სოციალური რეაგირება საჭიროებასა და სოციალურ პრობლემებზე |

საბოლოოდ კეთილდღეობაზე მუშაობის პროცესში ყურადღება მიაპყრეს ეკონომიკურ, ფილოსოფიურ/პოლიტიკურ და ზოგიერთ სოციალურ ასპექტებს (ცხრილი 2). ამგვარად, ერთად გააზრების შემთხვევაში, ამ სფეროებს ძალიან ფართო მასშტაბი ენიჭებათ. მაგალითად, ისინი ეხებიან თემის, ბაზრის, სახელმწიფოს და კეთილდღეობის (რადგან აქვს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განზომილებები) საკითხებს. ისინი აგრეთვე მიუთითებენ საზღვრებზე, რომელსაც დარგისადმი სპეციფიკური მიდგომა აწესებს. დიდი საკითხები ფაქტობრივად რამდენიმე დარგის თვალსაზრისით განიხილება. უფრო ზოგადი თვალსაწიერიდან თუ შევხედავთ, გამოვყოფთ ზოგიერთ ბევრისმომცველ საკითხს; ეს მოგვცემს საშუალებას, გავთავისუფლდეთ დარგის მიერ დაწესებული შეზღუდვებისგან.

# თავი 2: საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა: მიზნები და გამოწვევები

*სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა*

## სოციალური სამუშაო და *გაეროს* ათასწლეულის განვითარების მიზნები

*რ. ჰუგმანი*

### გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები კონტექსტში

მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ადამიანების საზოგადოების განვითარების დონე დღესაც განსხვავებულია; ადამიანებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან სოციალურ–ეკონომიკური კლასით, სქესით, ეთნოსით და „რასით“, სექსუალურობით და უნარებით თუ უუნარობით. რა თქმა უნდა, დებატები სიღარიბის მიზეზების და მისგან თავდაღწევის გზების შესახებ, ისევე როგორც სოციალური განვითარების შემაფერხებელი სხვა ფაქტორების შესახებ, ბევრი ათწლეულია მიმდინარეობს. 1990–იან წლებში საერთაშორისო დონეზე (და სულ უფრო მეტად ცალკეულ ქვეყნებში) ამ კამათში წამყვანი იყო ეკონომიკური საკითხები, რომელიც უკავშირდებოდა „ნეოლიბერალიზმის“ თეორიას და იდეოლოგიას (დიკონი, 2007; კორელი, 2008). ამგვარი მიდგომით, ყველაზე გავლენიან ინსტიტუტებს და გადაწყვეტილების მიმღებებს სოციალური განვითარება (ადამიანების მიღწევების ჩათვლით ჯანმრთელობაში, განათლებაში, კულტურულ აქტივობაში, თემის და ოჯახის ცხოვრებაში და ასე შემდეგ) მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე ეგონათ დამოკიდებული და ზოგჯერ, მისგან წარმოქმნილიც კი.

1995 წელს კოპენჰაგენში გაიმართა მსოფლიო სამიტი სოციალური განვითარებისთვის (UN, 1995). სამიტში სულ 117 ქვეყანამ მიიღო მანაწილეობა და დასასრულ მიიღეს ათი საყოველთაო ვალდებულების შემცველი დეკლარაცია, შეთანხმება და სამოქმედო პროგრამა (UN, 1995). ამ დეკლარაციის არსი შეიძლება შევაჯამოთ, როგორც ვალდებულება:

1. შევქმნათ ისეთი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სამართლებრივი გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს მიაღწიონ სოციალურ განვითარებას;
2. აღმოვფხრათ სიღარიბე;
3. ხელი შევუწყოთ საყოველთაო დასაქმებას, როგორც ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს;
4. სტაბილური, უსაფრთხო და სამართლიანი (ადამიანის უფლებებზე და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული) საზოგადოებების ხელშეწყობის გზით დავეხმაროთ სოციალურ ინტეგრაციას;
5. დავიცვათ ადამიანთა ღირსება, ხელი შევუწყოთ ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარუფლებიანობა და თანასწორობა. საზოგადოების ყველა ასპექტში გავაძლიეროთ ქალის პოზიცია;
6. მივაღწიოთ საყოველთაო და ხელმისაწვდომ ხარისხიან განათლებას, ფიზიკური

და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტს და პირველად ჯანდაცვას;

7. დავაჩქაროთ აფრიკისა და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარება ყველა თვალსაზრისით;
8. უზრუნველვყოთ, რომ სტრუქტურის დახვეწის პროგრამებში გათვალისწინებული იყოს სოციალური განვითარების მიზნები (განსაკუთრებით სიღარიბის აღმოფხვრა, საყოველთაო და ნაყოფიერი დასაქმების ხელშეწყობა, სოციალური ინტეგრაციის გაღრმავება);
9. მნიშვნელოვნად გავზარდოთ და/ან უკეთესად გამოვიყენოთ სოციალური განვითარებისთვის გამოყოფილი რესურსები;
10. დავხვეწოთ და გავაძლიეროთ სოციალური განვითარების სფეროში საერთაშორისო, რეგიონული და ქვერეგიონული თანამშრომლობის სისტემა.

(დეკლარაციის და მისი თანმხლები დოკუმენტების ხილვა შეგიძლიათ *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის* ვებგვერდზე: http://www.un.org/ esa/socdev/wssd/)

შეთანხმების, დეკლარაციის და სამოქმედო პროგრამის უმთავრეს არსს გამოხატავდა განცხადება, რომელიც მთავრობებმა გააკეთეს – „განვითარების ცენტრში დავაყენოთ ადამიანი და მისი საჭიროებების უფრო ეფექტურად დაკმაყოფილებისკენ მივმართოთ ჩვენი ეკონომიკა“. ამოსავალი პრინციპები იყო მეტად მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარად უკავშირდებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც გახლავთ – ოჯახის, ადამიანთა მოდგმის მთავარი ინსტიტუტის, უპირატესობა; განსაკუთრებული საკითხები კოლონიალიზმის ისტორიიდან და აბორიგენი მოსახლეობისადმი მოპყრობა; საზოგადოების წარუმატებელი ჯგუფების საგანგებო საჭიროებები; განსაკუთრებული ყურადღება ბავშვების და მოხუცების საჭიროებებისადმი. [...] ჩვენ ვნახავთ, რომ *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტი* უდავოდ წარმოადგენს სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების მთავრობათაშორის განხილვას.

თუმცა, სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციის* ადგილი ძალიან ეფექტურად დაიკავა *ათასწლეულის განვითარების მიზნებმა* (UN, 2000a). ამ შენაცვლების მიზეზებს და მისგან წარმოქმნილ შესაძლებლობებს სხვადასხვანაირად ხსნიან. კორელი კრიტიკულად უდგება, მისი აზრით, ეს არის „შემთხვევითი ამოცანების მიუღებელი და მინიმალისტური კოლექცია, რომელიც განვითარებას არ უკავშირდება“ (კორელი, 2008, გვ. 453). ცოტა ქვემოთ ის *მიზნებს* „მდარე ხარისხის მინიმალისტური და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნარჩენების კრებულს“ უწოდებს (გვ. 453, 455). კორელის აზრით, ფართომასშტაბიანი ვალდებულებები (რომელიც სოციალური განვითარებისადმი ზოგად მიდგომაში, სიღარიბის შემცირებასაც გულისხმობდა) ძალიან სწრაფად შეცვალა *ათასწლეულის განვითარების მიზნების* მინიმალისტურმა ამოცანებმა. ამის ახსნა, მისი თქმით, უნდა ვეძებოთ ნეოლიბერალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აზროვნებაში. ამ აზროვნების წყარო კი გახლავთ *საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი* და *ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია.* კორელის აზრით, ეს ინსტიტუტები კვლავაც გადაჯაჭვული არიან „ვაშინგტონის კონსესუსთან“. უილიამსონის მიერ განმარტებული ეს კონცეფცია (უილიამისონი, 1989), ეხება ზოგად პოლიტიკურ შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და სხვა

გლობალურ საფინანსო ორგანიზაციებს შორის, ის გულისხმოდა, რომ დახმარების და განვითარების მხარდაჭერა მკაცრი პირობებით უნდა განხორციელებულიყო; აგრეთვე სახელმწიფო დანახარჯები უნდა შემცირებულიყო და სიღარიბის შემცირებაზე ფოკუსირებული დახმარების სანაცვლოდ, უნდა მომხდარიყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. კრიტიკოსები კამათობენ, რომ ეს უბრალოდ იყო თავისუფალი ბაზრის უფრო სწრაფი ზრდის მამოძრავებელი, რათა სარგებელი ენახა ჩრდილოეთის კარგად განვითარებულ ეკონომიკას და მრავალეროვნულ კორპორაციებს ჰქონოდათ უსაზღვრო ბიზნეს შესაძლებლობები (მაგ., იხ. გეორგი, 1988; ჩომსკი, 1999). სტიგლიცი (სტიგლიცი, 2003, გვ. 56) ამტკიცებს, რომ ეს პოზიცია აღარ არის კონსენსუსი, მაგრამ კორელი არ ეთანხმება და აცხადებს, რომ პრაქტიკაში ეს ისევ აქტიურად გამოიყენება. ისე არ არის, რომ კორელი ფიქრობდეს, თითქოს, სიღარიბის შემცირება არ არის სოციალური განვითარების ნაწილი. მართლაც, როგორც მიდგლიმ (მიდგლი, 1995) განაცხადა, სოციალური განვითარება ახდენს ეკონომიკურ რეაგირებას ადამიანური განვითარების სოციალურ განზომილებაზე. თუმცა, ამ მიდგომაში ეკონომიკური საკითხები ჩართულია უფრო ზოგად სტრატეგიებში, როგორიცაა ადამიანის განვითარების მიღწევის გზები და ეს არ უნდა იქცეს შედეგის მისაღწევ საშუალებად. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს საშუალება, რომლითაც დახმარებასა და განვითარებაში ჩართული, „დონორი“ ქვეყნები უფრო მეტს მიიღებენ, ვიდრე გასცემენ (სეითი, 2006). ისეც შეიძლება დავინახოთ, რომ *ვაშინგტონის კონსენსუსს,* როგორც ნეოლიბერალური პერსპექტივის გამოხატულებას, ჰქონდა გავლენა ეროვნულ პერსპექტივაზე. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ მთავრობებმა ეკონომიკური პრიორიტეტები უფრო წინ დააყენეს, ვიდრე განვითარების სოციალური განზომილება (როგორიცაა, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა). თუმცა, სინამდვილეში, არც ეკონომიკური და არც სოციალური თვალსაზრისით ეს შეიძლება არ იყოს მათი შორსმიმავალი ინტერესი (გაბრიელი, 2006).

დიკონი (დიკონი, 2007) ეთანხმება ამგვარ თვალსაზრისს. ის *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციას* ახასიათებს, როგორც „ბოლო დროის სამიტთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს (2007, გვ. 75); რადგან მან თავი მოუყარა ბევრი იმ კონფერენციისა და სამიტის ნაზრევს, რომლებიც ეხებოდა განათლებას, ბავშვებს, განვითარებას, ადამიანის უფლებებს და მოსახლეობას და განვითარებას. გარდა ამისა, როგორც კორელმაც აღნიშნა (კორელი, 2008, გვ. 455), *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციის* ენა ასახავს უნივერსალურობის, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის სულისკვეთებას; და არის იმ უმაღლესი სტანდარტისა, რისი მიღწევაც კი შესაძლებელია (დიკონი, 2007, გვ. 76). კორელს დიკონიც ეთანხმება იმაში, რომ ამ ძალიან კარგად ჩამოყალიბებული ამოცანების საპირწონედ *ათასწლეულის განვითარების მიზნები* გვთავაზობს მინიმალურ ამოცანებსა და მიზნებს. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციას* და, რომ დეკლარაციის მუხლები მკაფიოდ იყო ფოკუსირებული ადამიანის განვითარების ყველა ასპექტზე, უნდა დაისვას კითხვა – სულ ცოტა ხანში რატომ შემცირდა ის მინიმალურ სტანდარტებამდე? დიკონის (დიკონი, 2007, გვ. 76) აზრით, ეს გადასვლა ერთი მიდგომიდან მეორეზე ასე უნდა ავხსნათ – *საერთაშორისო სავალუტო ფონდმა* და *ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციამ, მსოფლიო ბანკისა* და *ჯანდაცვის მსოფლიო*

*ორგანიზაციის* მეშვეობით გავლენა მოახდინეს *გაეროს* განვითარების და დახმარების ორგანიზაციებზე (და ამდენად ეროვნულ მთავრობებზე და წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებზე). მართლაც, დიკონმა ერთგვარი ირონიით აღნიშნა, რომ *გაერომ* ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ჯგუფის ლიდერად ის პირი დანიშნა, ვინც მანამდე სხვა, ეკონომიკურად მომართულ ორგანიზაციებში სტრუქტურის დახვეწის ნეოლიბერალური პოლიტიკისთვის იბრძოდა. მიუხედავად ამისა, დიკონი აგრეთვე შენიშნავს, რომ მსოფლიოს ყურადღება სოციალურ განვითარებასთან მიმართებით ახლა კონცენტრირებულია *ათასწლეულის განვითარების მიზნებზე* და *გაეროს განვითარების პროგრამა უწევს* კოორდინაციას მათ მიღწევას. შეიძლება, ეს მიზნები უწინდელ განზრახვებთან შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ ახლა ისინი განსაზღვრავენ განვითარების პოლიტიკის, დაგეგმვის და პრაქტიკის საერთაშორისო კონტექსტს.

## ათასწლეულის განვითარების მიზნები

რა არის *ათასწლეულის განვითარების მიზნები?* ეს შეთანხმება მოიცავს რვა განსაკუთრებულ მიზანს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინიმალური ძალისხმევით მიიღწევა და, რომლებსაც ემატება სპეციფიკური ამოცანები. ამ ამოცანების განხორციელება დაგეგმილი იყო 2015 წლისთვის (UN, 2000a). მიზნები და მათი ამოცანები ასეთია:

1. უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა
   - ამოცანა 1 – 1990–დან 2015 წლამდე განახევრებულია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისი დღიური შემოსავალიც 1 აშშ–ის დოლარზე ნაკლებია;
   - ამოცანა 2 – მიღწეულია სრული და ნაყოფიერი დასაქმება, საკადრისი სამუშაო ყველასთვის, ქალების და ახალგაზრდების ჩათვლით;
   - ამოცანა 3 – 1990–დან 2015 წლამდე განახევრებულია იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც შიმშილით იტანჯება.
2. უნივერსალური დაწყებითი განათლების დამკვიდრება
   - ამოცანა 1 – 2015 წლისთვის, უზრუნველყოფილია ყველგან ყველა ბავშვისათვის (განურჩევლად სქესისა) დაწყებითი განათლების სრული კურსის გავლა.
3. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალებისთვის მეტი ძალაუფლების მიცემა
   - ამოცანა 1 – 2005 წლისთვის აღმოფხვრილია გენდერული უთანასწორობა დაწყებით და საშუალო განათლებაში, ხოლო განათლების ყველა დონეზე – 2015 წლისთვის.
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
   - ამოცანა 1 – 1990–დან 2015 წლამდე ორი მესამედით შემცირებულია იმ ბავშვების რაოდენობა, ვინც ხუთწლამდე ასაკისა კვდება.
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
   - ამოცანა 1 – სამი მეოთხედით შემცირეულია დედათა სიკვდილიანობა;

- ამოცანა 2 – რეპროდუქციული ჯანდაცვა უნივერსალურად ხელმისაწვდომია ყველასათვის.

6. *აივ/შიდს*თან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
   - ამოცანა 1 – 2015 წლისთვის შეჩერებულია აივ/შიდსის გავრცელება და დაწყებულია ამ პროცესის უკანსვლა;
   - ამოცანა 2 – 2010 წლისთვის ყველასათის, ვისაც სჭირდება, ხელმისაწვდომია აივ/შიდსის მკურნალობა;
   - ამოცანა 3 – 2015 წლისთვის შეჩერებულია მალარიისა და სხვა სერიოზული დაავადებების შემთხვევები და დაწყებულია ამ პროცესის უკანსვლა.
7. გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა
   - ამოცანა 1 – ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში დანერგილია მდგრადი განვითარების პრინციპები; უკუქცეულია ბუნებრივი რესურსების განადგურების პროცესი;
   - ამოცანა 2 – შემცირებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვა; 2010 წლისთვის დანაკარგის წილი მნიშვნელოვნადაა შემცირებული.
   - ამოცანა 3 – 2015 წლისთვის განახევრებულია იმ მოსახლეობის რაოდენობა, ვისაც ხელი არ მიუწვდება უსაფრთხო სასმელ წყალზე და აუცილებელ სანიტარულ პირობებზე;
   - ამოცანა 4 – 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სულ ცოტა, 100 მილიონი უსახლკაროთა ცხოვრება;
8. განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის სისტემის შექმნა
   - ამოცანა 1 – გათვალისწინებულია ნაკლებად განვითარებული ქვეყნების, ხმელეთით გარშემორტყმული ქვეყნებისა და პატარა განვითარებადი კუნძულოვანი სახელმწიფოების განსაკუთრებული საჭიროებები;
   - ამოცანა 2 – მეტად განვითარებულია ღია, წესებზე დაფუძნებული, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული ფინანსური და ვაჭრობის სისტემა;
   - ამოცანა 3 – სრულად მოგვარებულია განვითარებადი ქვეყნების ვალების პრობლემა;
   - ამოცანა 4 – ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობით, განვითარებად ქვეყნებში ხელმისაწვდომია არაძვირადღირებული აუცილებელი წამლები;
   - ამოცანა 5 – კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ხელმისაწვდომია ახალი ტექნოლოგიური მიღწევები, განსაკუთრებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში.

*(ათასწლეულის განვითარების მიზნების* და მასთან დაკავშირებული ამოცანების სრული ტექსტი (სხვადასხვა ენაზე) იხ. ვებგვერდზე: http://www.un.org/ millenniumgoals/)

ისევ დგას საკითხი, ეს მიზნები და მათი სპეციფიკური ამოცანები საერთაშორისო სოციალური განვითარებისთვის უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ თუ გარკვეული სახის პროგრესად (სეითი, 2006; კორელი, 2008; მათბორი & ფერდინანდი, 2008). ყველა საფეხურის საყოველთაო განათლების ხელშეწყობა (*სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაცია*) შეცვალა დაწყებითი განათლების მინიმალისტურმა მიზანმა (*ათასწლეულის განვითარების მიზნები*); ჯანდაცვის ყველა

ასპექტის გაუმჯობესების (*სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაცია*), ნაცვლად მივიღეთ პირველადი ჯანდაცვის მიწოდების მინიმალური დონე (*ათასწლეულის განვითარების მიზნები*) და სხვა. დიკონი (დიკონი, 2007), ისევე, როგორც მათბორი და ფერდინანდი (მათბორი & ფერდინანდი, 2008) მიიჩნევენ, რომ *ათასწლეულის განვითარების მიზნები* უმნიშვნელო პროგრესიც არის და უკან დახევაც. პროგრესი მოჩანს ვადებსა და სხვა კონკრეტულ განმარტებებში, რომლებიც აკურატულობად შეიძლება მივიჩნიოთ. ადამიანის კეთილდღეობის ყველა მთავარი ელემენტი – დასაქმება, განათლება და ჯანმრთელობა – ისევ მთავარ ამოცანებად რჩება. თუმცა, ყველა ანალიტიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ *ათასწლეულის განვითარების მიზნების* ფორმულირება უკან გადადგმულ ნაბიჯს შეიცავს. ლაპარაკია იმაზე, რომ დომინანტურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა იდეოლოგიამ (ნეოლიბერალიზმმა) იმოქმედა ამ ამოცანების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, ამოცანებში უნივერსალურობის პრეტენზია შეცვალა უღარიბეს ქვეყნებზე და მსოფლიოს მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ნაწილზე კონცენტრაციამ. საქმე ისე კი არ არის, რომ მსოფლიო საზოგადოების უღარიბეს სექტორს არ სჭირდებოდეს პოლიტიკის და პრაქტიკის მხრიდან ყურადღება, მაგრამ უნივერსალური პრინციპებიდან დაშორება აკანონებს – (1) განვითარების ფარგლების დავიწროვებას (რადგან განვითარება მსოფლიო მოსახლეობის სხვა სექტორებსაც უნდა ეხებოდეს) და იმას, რომ (2) მიზნები და შედეგები საყოველთაოდ აღარ მოიაზრებოდეს. როგორც მიდგლი ამბობს (მიდგლი, 1997, გვ. 181), სოციალური განვითარება „ცდილობს, ეკონომიკური განვითარების და სოციალური მიზნების მეშვეობით, გაუმჯობესოს მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა“. ყველაფერი, რაც არ უნდა გაკეთდეს, უკიდურესი საჭიროების მქონეების დასახმარებლად უნდა იყოს. თუმცა, მხოლოდ სიღარიბის გარკვეულ ასპექტებზე ფოკუსირება, უკიდურეს სიღარიბეს „განსხვავებულ“ მდგომარეობაში აყენებს, იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გაამახვილოს ადამიანის ყველას მიერ გაზიარებულ კეთილდღეობის უფლებაზე. როცა საერთაშორისო განვითარების დახმარება მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის ხელშეწყობაზეა ფოკუსირებული (და ამით ყველაზე მეტ სარგებელს მაღალგანვითარებული „დონორი“ ქვეყნები ნახულობენ), მსოფლიო მოსახლეობის უღარიბესი სექტორი კვლავაც გარიყული რჩება. აგრეთვე, ამ უღარიბეს მოსახლეობას ვეპყრობით, როგორც სხვების ეკონომიკური მიზნების მიღწევის საშუალებას და არა, როგორც დამოუკიდებელ ადამიანებს (შეადარე როულსი, 1972).

როგორც ირკვევა, ზოგიერთი მონაწილე ქვეყნის წარმომადგენელი სპეციფიკური მიზნების შესრულებას ეკონომიკურ სარგებლად უფრო მიიჩნევს, ვიდრე, ამოცანების დასახვიდან მიღებულ სიკეთედ. აგრეთვე შესაძლებელია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ იმოქმედებს *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციისა* და *ათასწლეულის განვითარების მიზნების* ბევრ საკითხზე გამართულ საერთაშორისო დებატებზე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არსებული სხვადასხვანაირი ფასეულობათა სისტემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაქტიკული პოლიტიკის დაგეგმვის დონეზე *ათასწლეულის განვითარების მიზნები* შეიძლება უფრო ფართო შეთანხმებას წარმოადგენს, ვიდრე შესაძლებელი იქნებოდა ბევრი ქვეყნისთვის (რომლებიც სიღარიბის აღმოფხვრაზე, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიპყრობილი ყურადღების მთავარი ბენეფიციანტები არიან).

მაგალითად, ამ თვალსაზრისით, ნაკლები ნუგეში შეიძლება იყოს ის, თუ როგორ არის გამოხატული მე–2 და მე–3 მიზნებში გენდერულ თანასწორობასთან მიმართება. ეს ორივე მიზანი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განათლება არის ადამიანის განვითარების მთავარი კომპონენტი და მსოფლიო საზოგადოება უნდა ისწრაფვოდეს, რომ ის ისევე იყოს ხელმისაწვდომი გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის, როგორც ბიჭებისა და ახალგაზრდა კაცებისთვის. მართლაც, გოგონების და ახალგაზრდა ქალების განათლების საკითხი (განსაკუთრებით წერა–კითხვასთან მიმართებით) ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა ადამიანის განვითარების გზაზე, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით (გაეროს განვითარების სააგენტო, 1999; გაეროს ბავშვთა ფონდი, 1999). სხვაგვარად რომ ვთქვათ, წერა–კითხვის ცოდნა ქალებში არის ადამიანის განვითარების ყველა განზომილების მაჩვენებელიც და მამოძრავებელიც. იმავდორულად, გოგონების და ახალგაზრდა ქალების განათლების დამაბრკოლებელი ბარიერები სათანადოდ უნდა შევაფასოთ. ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება სერიოზული ცვლილებები მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კორელი (კორელი, 2008) მართალია თავის შეფასებაში, რომ სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის გაბედული იდეალები ასე სწრაფად გაქარწყლდა და რომ არსებობს მიზეზები, რომლებიც ეწინაღმდეგება დახმარების და განვითარების აშკარა განზრახვებს. დიკონი კი აგრეთვე გამოთქვამს ძალიან შესაწყნარებელ მოსაზრებას, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნებმა უფრო წარმატებით მიიპყრეს მსოფლიოს ყურადღება და, ყოველ შემთხვევაში, ახლა ეს არის ოფიციალური პოლიტიკა. ამ თვალსაზრისით, *ათასწლეულის განვითარების მიზნები* ქმნიან ნიადაგს, რომელზეც საერთაშორისო სოციალურმა სამუშაომ და სხვა სფეროებმა უნდა ააგონ თავიანთი საქმიანობა.

_____- _____-_____

მოდით, გადავავლოთ თვალი რა შედეგების მიღწევა მოხერხდა ამ საერთო ძალისხმევით. განვიხილოთ ცვლილებები თითოეულ მიზანთან მიმართებით. გაეროს ანგარიშის *მილენიუმის მიზნების შედეგები* (2015) თანახმად, 2015 წელს პირველ მიზანთან (უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა) დაკავშირებით ასეთი მდგომარეობაა: უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლმა საგრძნობლად დაიწია. თუ 1990 წელს განვითარებადი ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის თითქმის ნახევარი 1.25$ ნაკლებს გამოიმუშავებდა დღიურად, ეს მაჩვენებელმა 14 პროცენტამდე დაიწია 2015 წლისთვის. გლობალურად, უკიდურესად ღარიბთა რაოდენობამ 1.9 მილიარდიდან 1990 წელს იკლო 836 მილიონამდე 2015 წლისთვის. შიმშილის პირას მყოფთა რაოდენობაც განახევრდა1990 წლიდან, ის 23.3 %-დან შემცირდა 12.9 %-მდე 2015 წლისთვის. ყველაზე დიდი პროგრესი 2000 წლის შემდეგ ვლინდება.

საშუალო კლასის წარმომადგენელი დასაქმებულების რაოდენობა, რომელთა დღიური შემოსავალი 4$ იყო 1991 წელს, თითქმის გასამმაგდა 2015 წლისათვის. ამჟამად, ეს ჯგუფი შეადგენს სამუშაო ძალის ნახევარს განვითარებად რეგიონებში, მაშინ როდესაც მათი რაოდენობა 18%-ს არ აღემატებოდა 1991 წელს.

თუმცა, მიუხედავად ამ შედეგებისა, დღეს 800 მილიონი ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და შიმშილის პირასაა. 160 მილიონზე მეტი <5 წლის ბავშვი ჩამორჩება განვითარებას არაჯეროვანი კვების გამო. ასევე, უღარიბესი ოჯახების 20%-დან განვითარების ჩამორჩენა ბავშვთა ორჯერ მეტ შემთხვევაშია სახეზე, ვიდრე მდიდართა 20%-დან. ასეთივე გასხვავებაა 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში ღარიბ და მდიდარ ოჯახებს შორის. განსხვავებულია ასევე სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხი, უსაფრთხო წყლისადმი ხელმისაწვდომობა, სკოლაში დასწრების მაჩვენებელი და ა.შ.

მეორე მიზანთან (უნივერსალური დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა) დაკავშირებით ასეთი მდგომარეობაა: დაწყებითი განათლება ხელმისაწვდომია განვითარებადი სამყაროს ბავშვთა 91 %-თვის, რაც 2000 წელს მხოლოდ 83% შეადგენდა. იმ ბავშვთა რაოდენობამაც საგრძნობლად იკლო, რომლებიც სკოლაში არ დადიოდნენ 100 მილიონიდან 2000 წელს 57 მილიონამდე 2015 წლისთვის. 15-24 წ. ახალგაზრდათა განათლების დონეც გაიზარდსა 83%-დან 1990 წელს 91%-მდე 2015 წლისთვის.

მესამე მიზანთან (გენდერული თანასწორობის ელშეწყობა და ქალებისთვის მეტი ძალაუფლების მიცემ) დაკავშირებითაც საიმედოა სიტუაცია, თუმცა პრობლემები რჩება. მიუხედვად იმისა, რომ შემცირდა ქალთა და მამაკაცთა განათლების მაჩვენებლს შორის სხვაობაც; გოგონათა განათლების მაჩვენებელი გაიზარდა გლობალურად; სამხრეთ აზიაში, სკოლაში ჩარიცხულ ყოველ 100 ვაჟზე 1990 წელს გოგონათა მხოლოდ 74 მოდიოდა, ამჟამად კი, ეს მაჩვენებელი ასე შეიცვალა: ყოველ 100 ვაჟზე 103 გოგონა. ქალთა მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების მაჩვენებელიც გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორის მიღმა; თუ ის 35% იყო 1990 წელს, ამჟამად 42%-ია. 1991-დან 2015 წლამდე, მოწყვლად დასაქმებით გარემოში დასაქმებულ ქალთა წილი ქალთა საერთო დასაქმების მაჩვებელთან შეფარდებით 13 %-ით შემცირდა; ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობაც კი გაიზარდა 174 ქვეყნიდან 90%-ში; ქალთა საერთო პროცენტული შემადგენლობა თითქმის გაორმაგდა, თუმცა მაინც ხუთიდან მხოლოდ ერთი ქალია პარლამენტის წევრი. პრობლემები მაინც იჩენს თავს: კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც არ დადიან სკოლაში გაიზარდა, 30%-დან 1999 წელს 36%-მდე 2012 წელს. მათ შორის რასაკვირველია, არიან გოგონებიც. ამავე დროს, ღარიბ ქალთა რაოდენობა მაინც აღემატება მამაკაცებისას ზოგიერთ ლოკაციაში. მაგალითად, ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებში, ღარიბ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა ამ უკანაკნელთა უპირატესობით შეიცვალა: თუ 1997 წელს ყოველ 100 მამაკაცზე 108 ქალი მოდიოდა, 2012 წელს თანაფარდობა 117/100 შეიცვალა მამაკთა სასარგებლოდ.

მეოთხე მიზანთან (ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება) დაკავშირებით ასეთი მდგომარეობაა: 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა ნახევარზე მეტჯერ, 90-დან 43 ბავშვი კვდება ყოველი 1000 ცოცხლად დაბადებული ბავშვიდან 1990-2015 წლებში. მიუხედავად მოსახლეობის ზრდისა განვითარებად სამყაროში, გლობალურად 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 12.7 მილიონიდან

1990 წ დაიწია 6 მილიონამდე 2015 წლისთვის. ინფექციურ დაავადებებზე ვაქცინაციამ 15.6 მილიონის სიკვდილის პრევენცია უზრუნველყო 2000-დან 2013 წლამდე.

მეხუთე მიზანიც (დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება) ოპტიმისტურია. დედათა ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუმჯობესდა 1990 წლიდან. სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 45%-ით დაიკლო. მშობიარობის შემთხვევათა 71%-ს პროფესიონალი იბარებდა. ჩრდილოეთ აფრიკაში ექიმთან ორსულთა ანტინატალური ვიზიტების რაოდენობამ იმატა 50%-დან 1990 წელს 89 %-მდე 2014 წლისთვის. იმატა ასევე კონტრაცეპტული საშუალებების გამოყენების მაჩევენებელმაც 55%-დან 1990 წელს 64%-მდე 2015 წლისთვის.

მეექვსე მიზანი (აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა) ასეთ სურათს გვთავაზობს: აივ/შიდსით ინფიცირებულთა რაოდენობამ იკლო 40 %-ით 2000-დან 2013 წლამდე, 3.5 მილიონიდან 2.1 მილიონამდე. მალარიით ინფიცირების შემთხვევებმა 37 %-ით იკლო, ხოლო სიკვდილის შემთხვევებმა 58%-ით. 2000-დან 2013 წლამდე, ტუბერკულოზის პრევენციის, დიაგნოზირებისა და მკურნალობის მიზნით ინტერვენციამ 37 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ტუბერკულიოზით სიკვდილის მაჩვენებელმა 45%-ით იკლო, გავრცელების მაჩვენებელმა კი 41%-ით.

მეშვიდე მიზანთან (გარემოს მდგრადობის უზრუნვეყოფა) დაკავშირებით ასეთი სიტუაციაა: ოზონის დეფლეციის გამომწვევი ნივთიერებები თითქმის აილაგმა 1990 წლიდან და ოზონის საფარველის აღდგენა მოსალოდნელია ჩვენი საუკუნის შუაში. 2015 წლისთვის, მოსახლეობის 91% უსაფრთხო სასმელ წყალს მოიხმარს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 76%-ს 1990 წელს. მსოფლიოს 2.1 მილიარდი ადამიანისათვის ხელმიწავდომია აუცილებელი სანიტარული პირობები, რაც 1990 წელთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია. უსახლკაროდ მაცხოვრებელი მოსახლეობის მაჩვებენელმაც დაიკლო. 2000 წელს ის იყო 39.4%, ხოლო 2014 მხოლოდ 29.7%-ია.

ბოლო მიზანი (განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის სისტემის შექმნა) ამგვარ სურათს გვთავაზობს: განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის სისტემა 66%-ით გაიზარდა 2000-2014 წლებში, და მიაღწია 135.2 მილიარდს. დანიამ, ლუქსემბურგმა, ნორვეგიამ, შვედეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ მთლიანი ეროვნული შემოსავლის გაეროს მიერ დაწესებულ განვითარებისათვის დახმარების გაღების მიზნებს 0.7%-ით გადააჭარბეს. 2014 წელს, განვითარებადიდან განვითარებულ ქვეყნებში იმპორტირებული საქონლის 79% განთავისუფლებული იყო საბაჟო გადასახადისაგან. მაშინ, როდესაც 2000 წელს ეს მაჩვენებელი 65% იყო. გაზრდილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობა მსოფლიო მოსახლოების 6%-დან 2000 წელს, 43%-მდე 2015 წელს. შედეგად, 3.2 მილიარდი ადამიანი ჩართულია გლობალურ საინფორმაციო ქსელში.

მიუხედავად მიღწევებისა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, რასაკვირველია ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყნებს. შესაბამისად საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობის დღის წესრიგიც იცვლება. მაგალითად, 2014 წლისთვის, კონფლიქტების შედეგად 60 მილიონმა ადამიანმა დატოვა თავისი ქვეყანა, რაც უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ყოველდღიურად 42 000 ადამიანია იძულებული დატოვოს საკუთარი ქვეყანა კონფლიქტების გამო, 2010 წელს კი მათი რაოდენობა იყო 11 000. მთელს ლტოლვილებში ბავშვთა რაოდენობა ნახევარს შეადგენს.

*დამატებითი საკითხავი ლიტერატურა*

## სოციალური სამუშაო და *გაერო*ს ათასწლეულის განვითარების მიზნები

*რ. ჰუგმანი*

ჰუგმანი (2010) გვთავაზობს გავიაზროთ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევისათვის მოსალოდნელი შედეგები სოციალური სამუშაოსთვის. რამდენადაც *ათასწლეულის განვითარების მიზნები* ეკონომიკურ და სტრუქტურულ განვითარებაზე იყო ფოკუსირებული, შეიძლება ვიკითხოთ რა მნიშვნელობის მქონე იყო ის სოციალური სამუშაოს დიდი ნაწილისთვის. დასაწყისისთვის შეიძლება დაგვჭირდეს იმ პრინციპების შეჯამება, რომლებიც საფუძვლად უდევს *ათასწლეულის განვითარების მიზნებს*. ესენი კი გახლავთ:

1. დასაქმების მნიშვნელოვნება; შიმშილის და სიღარიბის საკითხებზე ყურადღების გამახვილება;
2. როგორ მიმართებაშია გენდერული უთანასწორობის საკითხები ადამიანის განვითარების სხვა ასპექტებთან;
3. ადამიანის განვითარებისთვის ძალისხმევაში განათლების და ჯანმრთელობის უპირატესობა;
4. გარემოს შესაბამისობა ადამიანის განვითარების სხვა მთავარ საკითხებზე რეაგირების საპასუხოდ;
5. სხვადასხვა სტრუქტურულ დონეზე პარტნიორობის იდეა (სოციალურ–ეკონომიკურ კლასებს შორის, ეკონომიკურ სექტორებს შორის, ოჯახებს, თემებს და ქვეყნებს შორის, ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის).

მაშინ, როცა ამ პრინციპებიდან ზოგიერთმა შეიძლება ინსტინქტურად სოციალურ სამუშაოზე დაგაწყებინოთ ფიქრი, სხვა ასპექტები შეიძლება უფრო მეტ გააზრებას მოითხოვდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ [...], ბევრი მათგანი, ვინც განვითარების საკითხებზე მუშაობს, ამტკიცებს, რომ სოციალური სამუშაოს ყურადღება მიმართულია მიკრო დონის საკითხებისა და პოლიტიკისკენ, შედეგად ფოკუსირებული არიან ჩამორჩენილებისთვის მომსახურების მიწოდებაზე; ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს თემის კეთილდღეობაზე და მის (თავის ცალკეულ წევრებზე და ოჯახებზე ზრუნვის)

შესაძლებლობაზე. ამიტომ, უფრო დეტალურად რომ გავაანალიზოთ, რა შედეგები ექნება *ათასწლეულის განვითარების მიზნებს* სოციალური სამუშაოსთვის, უნდა ვნახოთ რამდენად შეესაბამებიან ისინი სოციალური განვითარების იმ მიკრო დონის პრაქტიკას და პოლიტიკას, რომელშიც სოციალური მუშაკები შეიძლება მონაწილეობდნენ; უნდა გავიაზროთ მათ შორის კავშირი და როგორ უქმნის *ათასწლეულის განვითარების მიზნები* შესაძლებლობებს ან დაბრკოლებებს სოციალური სამუშაოს განხორციელებას ინდივიდუალურ ან მიკრო დონეზე. ამასთან, ზემოხსენებული ხუთი ზოგადი პრინციპი თავისთავად მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გენდერული უთანასწორობა უკავშირდება შიმშილს, სიღარიბეს, განათლების და ჯანდაცვის არქონას და ასე შემდეგ (შეადარე Mapp, 2008, გვ. 156).

## აივ/შიდსი

ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ არის *ათასწლეულის განვითარების მიზნები* ერთმანეთთან და სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული შეიძლება დავინახოთ იმაში, თუ როგორ იმოქმედა *აივ/შიდს*მა საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაზე (ჰეიმერი, 2007; ჩამა, 2008; დემერი & ბურგატი, 2008; ლაირდი, 2008). ამ კონტექსტში, *აივ/შიდს*ის გავრცელების გააზრება განუყოფლად უკავშირდება ისეთი საკითხების ანალიზს, როგორიცაა: ხელმისაწვდომი განათლება, ჯანდაცვის ინსტიტუციური ღონისძიებები (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის სფეროში განათლების ჩათვლით), სიღარიბე და საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიები, სოციალური ურთიერთობები, სექსუალური პრაქტიკა, ძუძუთი კვება და ბავშვზე ზრუნვის სხვა მეთოდები და ა.შ. (ჰეიმერი, 2007).

დეტალურ ხარისხობრივ კვლევაში დემერი და ბურგჰართი (დემერი & ბურგჰარტი, 2008) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ *აივ/შიდს*ით ცხოვრება სხვადასხვანაირია აშშ–სა და სამხრეთ აფრიკაში. ორი ქვეყნის სხვადასხვანაირი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ამ განსხვავების ყველა ასპექტზე მოქმედებს – თუ როგორ აისახება ეს განსხვავებები ჯანდაცვის ინსტიტუციურ პრაქტიკაზე (ჯანმრთელობის სფეროში განათლების, პირის და თემის ეკონომიკური სტატუსის ჩათვლით); სოციალური კეთილდღეობის სისტემის სხვა ასპექტეზე; დანაკარგთან და სტრესთან გამკლავების კულტურულ ფაქტორებზე. ბევრი თვალსაზრისით, ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები ხარისხის კუთხით უფრო იჩენს თავს, ვიდრე რადიკალურად განსხვავებული გამოცდილების სახით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთი აფრიკის შედარებითი კვლევისას აღმოჩნდა, რომ ორივე ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი სტიგმა მათზე, ვინც ეხმარება მომაკვდავ მეგობარს ან ნათესავს, აგრეთვე მათზე, ვისაც თავად აქვს *აივ/შიდს*ის სტატუსი. ამის მსგავსად, ორივე ქვეყანაში კვლევისას გამოკითხულებმა ილაპარაკეს ხშირ უმუშევრობაზე და „ყოველდღიურად თავის გასატანად საჭირო სახსრების“ სიმწირეზე (დემერი & ბურგატი, 2008, გვ. 365). იმავდროულად, არსებული მხარდაჭერის მასშტაბი ამერიკის შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვნად დიდი იყო, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში.

ამიტომ, ამ ქვეყნებში *აივ/შიდს*თან დაკავშირებული დანაკარგების და ცხოვრებისეული საკითხების ზეგავლენაც სხვადასხვანაირია. მაშინ, როცა კვლევის ამერიკელი მონაწილეები ლაპარაკობენ დახმარების და არსებული მომსახურების მიღების პრობლემებზე, სამხრეთ აფრიკაში ასეთი დახმარებები უბრალოდ არ არსებობს. ამერიკელი მონაწილეები ლაპარაკობენ სტიგმაზე და ექსკლუზიის განცდაზე ამასთან შედარებით უფრო მძიმეა სამხრეთ აფრიკული გამოცდილება, როცა ადამიანებს ფიზიკურად აძევებენ სახლებიდან; აკრიტიკებენ და გარიყავენ მათ, ვინც მეგობრებზე ან ნათესავებზე ზრუნავს; მატულობს დაობლებული ბავშვების და შვილმკვდარი მშობლების რაოდენობა.

*ათასწლეულის განვითარების მიზნებში* დაფიქსირებული ზოგიერთი ფაქტორი მოიცავს *აივ/შიდს*ის საკითხებს; მათგან ყველაზე მკაფიოა სიღარიბის აღმოფხვრა და ჯანმრთელობის მთავარ პრობლემებთან ბრძოლა. *მიზნების* განზრახვები, რომლებიც ეხება სქესს, ბავშვებს, დედათა ჯანმრთელობას და განათლებას, ყველა დაკავშირებულია *აივ/შიდს*თან, ისევე როგორც მე–8 მიზნის მე–4 ამოცანა, რომელიც გულისხმობს, რომ ყველაზე გაჭირვებულებს გავუადვილოთ ძვირადღირებული მედიკამენტების მოპოვება. შეიძლება ეს შედეგები საერთაშორისოა, იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული პირები, ინსტიტუტები, იდეები და თავად ვირუსი გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. თუმცა, არსებობს შეუმჩნეველი სხვაობა იმ მეთოდებში, რომლითაც სოციალურ მუშაკებს სხვადასხვა ქვეყანაში ეფექტურად შეუძლიათ რეაგირება. ეს ამბავი არ უკავშირდება მხოლოდ უფრო დიდ ინსტიტუციურ რესურსებს, რომლებიც აქვთ ჩრდილოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს (მიუხედავად იმისა, რომ ეს გასათვალისწინებელი ფაქტორია). აგრეთვე არსებობს გამკლავებისა და დახმარების განსხვავებული ტრადიციები, რომელთაც სოციალური მუშაკები ყურადღებით უნდა ეპყრობოდნენ. როგორც დემერმა, ბურგჰართმა (დემერი & ბურგატი, 2008) და ლაირდმა (ლაირდი, 2008) დაადგინეს, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტური იქნებოდა პრაქტიკა, სოციალურ მუშაკებს რომ არ გაეთვალისწინებინათ აფრიკულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ გამკლავების და გადარჩენის მოდელი. ზოგიერთ სიტუაციაში სოციალურ მუშაკებს მოეთხოვებათ გამოიმუშაონ ცოდნა და უნარი იმათი დახმარებისა, ვისაც *აივ/შიდს*ი შეეხო, რათა ამ ადამიანებს გაუჩნდეთ სარჩოს შოვნის ალტერნატიული გზები; ისინი გაუმკლავდნენ მაღალი სიკვდილიანობის ზეგავლენას დემოგრაფიაზე და განსაკუთრებით, ბავშვების ქუჩაში ცხოვრების ფართომასშტაბიან პრობლემას (ჩამა, 2008; ლაირდი, 2008). ლაირდი (ლაირდი, 2008, გვ. 148) ამტკიცებს, რომ ასეთ კონტექსტში სოციალური სამუშაოს პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს უნარების გადაცემას, მსუბუქი ტექნოლოგიისა და მიკრო ფინანსების განვითარებას და თემის განვითარებისთვის საჭირო სხვა პრაქტიკას, რომელიც იშვიათობაა უფრო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. მას ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ისეთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკიდან, როგორებიც გახლავთ *ფლან ინტერნეშენალი* და *ოქსფამი*; რომელთაც განვითარების მიზნების მისაღწევად მთელი სოფლები, თემები და დიდი ოჯახები ჩართეს პრაქტიკული დავალებების შესრულებაში. ეს სრულებით მართებულად გვეჩვენება. თუმცა, იმავდროულად დემერის და ბურგჰართის (დემერი & ბურგატი, 2008) აღმოჩენები ამტკიცებს, რომ სოციალური

განვითარების ამ პერსპექტივამ უნდა შეავსოს *აივ/შიდსის* (პერსონალურ და ინტერპერსონალურ) გავლენაზე რეაგირების და მისი გაცნობიერების უნარი (და არ უნდა იყოს მისი შემცვლელი).

**ჯანმრთელობა და ოჯახი**

*აივ/შიდსის* სპეციფიკურ საკითხთან ერთად (რომელიც ისეთ რეგიონებში, როგორიცაა აფრიკა და აზია, უფრო მეტად ქალებს ეხება, ვიდრე მამაკაცებს), *ათასწლეულის განვითარების მიზნები* აგრეთვე ეხება ქალებთან, ორსულობასთან და ბავშვების სიკვდილიანობასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის საკითხებს. (მიზნები 4 და 5) (Mweru, 2008). ვიზიარებთ კრიტიკულ აზრს, რომ ქალის თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების განმარტება *ათასწლეულის განვითარების მიზნებში* მნიშვნელოვნად დავიწროვებული და შეზღუდულია, ვიდრე *სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციაში* (იხ. მსჯელობა ზემოთ). აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ ნაწილში ადამიანის განვითარებას კვლავაც აფერხებს ის, რომ ქალის მეორეული სოციალური სტატუსი მჭიდროდ უკავშირდება რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, შვილიერებას და ბავშვების ჯანმრთელობას. მაგალითად, არსებობს მჭიდრო კავშირი ზოგადად ჯანმრთელობას და განსაკუთრებით, ქალის ჯანმრთელობას, სიღარიბეს და განათლებას შორის (მათბორი & ფერდინანდი, 2008; სეფერი და სხვები, 2008) ამ ნაშრომის შექმნის დროს გაერომ აღნიშნა, რომ დედათა დაავადების და სიკვდილიანობის რაოდენობა კვლავაც მაღალია; ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ქალი კვდება მშობიარობის ან გართულებული ორსულობის მიზეზით. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მედგარი აღმოჩნდა, რადგანაც ახლაც ისეთივეა, როგორიც 1980–იანი წლების შუაში იყო დაფიქსირებული (შეადარე 1992, p. 201). მშობიარობისას ან მშობიარობის მიზეზით სიკვდილის შემთხვევების 99 პროცენტი სამხრეთის ქვეყნებში ხდება; ხოლო აქედან 86 პროცენტი – საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში და სამხრეთ აზიაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედათა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული შიმშილის, სიღარიბის თუ უმუშევრობის დონესთან და განათლების შესაძლებლობის არქონასთან. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს უფრო სოციალურ და არა, ცალსახად, ბიოლოგიურ ჯანმრთელობასთან. ამ რეგიონში მათი ჯანმრთელობის სტატუსი, ვისაც ძალიან ცოტა აქვს, საკმაოდ განსხვავდება იმათი სტატუსისგან, ვისაც საერთოდ არაფერი აქვს (ზიმერი, 2008).

განვითარებად ქვეყნებში დედათა ჯანმრთელობის საქმეში სოციალური სამუშაოს როლზე ლაპარაკისას, სეიპელი (სეიპელი,1992) ამტკიცებს, რომ აქ პროფესიონალებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ. ის თვლის, რომ, პირველ რიგში, სოციალურ სამუშაოს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. სეიპელი აღნიშნავს, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა, თუ როგორ ზრუნავენ ორსულის ჯანმრთელობაზე განვითარებად და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. მისი აზრით, მნიშვნელოვანი საქმეა პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება. მეორე მხრივ, სეიპელი თვლის, რომ სოციალურმა მუშაკებმა მოსახლეობას უნდა მიაწოდონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და

ცოდნა. ის აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში სოციალური მუშაკები, სხვა პროფესიის კოლეგებთან ერთად, უკვე ასრულებენ ამგვარ სამუშაოს. მესამე, სოციალური მუშაკები აქტიურად უნდა ჩაერთონ (საზოგადოებაში და განსაკუთრებით, ჯანდაცვის სისტემაში) ქალის სტატუსის ადვოკატობაში. სოციალური მუშაკების წვლილი ამ სფეროში პოლიტიკის შემუშავებასა და ადვოკატობაში არის პროფესიული უნარების მნიშვნელოვანი რეალიზაცია. მეოთხეც, მართებულია, რომ სოციალურმა მუშაკებმა ითანამშრომლონ ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებთან და მხარი დაუჭირონ მათ დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში. სეიპელი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში აფრიკის მსგავს რეგიონებში დედათა ჯანმრთელობის საქმეში მიღწეული ბევრი წარმატება თავად ადგილობრივი ქალების დამსახურებაა. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქალების გარემოს გაუმჯობესებაში, ცოდნის გაღრმავებაში, კულტურულ ცვლილებებში და ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში ეს მსჯელობა სცილდება დედათა ჯანმრთელობის თემას, რადგან ბევრი თვალსაზრისით უკავშირდება ქალის ჯანმრთელობის უფრო ზოგად საკითხებს. თუმცა, იმ კონტექსტში, რომელსაც სეიპელი ეხება, (ავადმყოფობის და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებთ) ორსულობა და მშობიარობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაზებია ქალის ცხოვრებაში.

ამ მიდგომის საილუსტრაციოდ გამოდგება ჯულიას და კონდრათის (ჯულია & კონდრატი, 2005) მიერ აღწერილი ქალთა ჯანმრთელობის ორგანიზაცია ელ სალვადორში. ამ ორგანიზაციაში ჯანდაცვის ყველა ასპექტს ჯანდაცვის მუშაკებთან ერთად თავად ქალებიც იზიარებდნენ. ეს გულისხმობდა ორივეს, ჯანმრთელობის პრობლემების განსაზღვრასაც და ჯანმრთელობის საჭიროებების შეფასებასაც. ეს პროექტი აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივ მიდგომებს; იმ თვალსაზრისით, რომ იყენებდა იმ ცოდნას, რომელიც ქალებს უკვე ჰქონდათ საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ და წვრთნიდა ადგილობრივ ქალებს ჯანდაცვის მუშაკებად. შედეგი ის გახლდათ, რომ გაუმჯობესდა ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა და თემის თავდაჯერებაც მასთან ერთად. როგორც ჯულია და კონდრათი (ჯულია & კონდრატი, 2005, გვ. 545) აღნიშნავენ, „მიზნებს მიაღწიეს; დროთა განმავლობაში საკმარისი უნარები და შესაძლებლობები მოიპოვეს“. ამ პროცესში სარგებელი არა მხოლოდ ადგილობრივმა ქალებმა ნახეს, არამედ, მათთან მომუშავე პროფესიონალებმაც.

## წიგნიერება და სქესი

აქ კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ *მსოფლიო სოციალური სამიტის დეკლარაციის* სერიოზული განცხადება გენდერული თანასწორობის შესახებ ერთგვარად გაქარწყლდა *ათასწლეულის განვითარების მიზნებში.* იმავდროულად, რამდენადმე წინაა წამოწეული გოგონების და ახალგაზრდა ქალების განათლება; აღსანიშნავია, რომ მიზნებში 2 და 3 ამ უფრო ფართო კონცეფციის ასპექტები შენარჩუნებულია. კვლევამ აჩვენა, ის მოსაზრება, რომ *გოგონების და ახალგაზრდა ქალების წიგნიერება არის ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ადამიანის*

*განვითარებისა,* იქცა ტრადიციულ სიბრძნედ (გაეროს განვითარების სააგენტო, 1999; გაეროს ბავშვთა ფონდი, 1999). ისე როგორც ქალის ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით ვნახეთ, გოგონას წიგნიერებაც ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ოჯახის ეკონომიკურ სტატუსთან (რაო, 1996; მუნო & კინანი, 2000; განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2004).

ისეთ სიტუაციებში, როცა ურთიერთობა სოციალურ სამუშაოსა და განათლებას შორის ძალიან ინსტიტუციურია, სოციალური სამუშაოს როლი ამ თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე და გააგრძელონ სწავლა (როგორც ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი). ამის მიღწევა შეიძლება სკოლაში კონსულტანტებად მუშაობის გზით. გარდა ამისა, შეიძლება რეაგირება ოჯახზე ან სხვა სირთულეებზე, რომელთაც შეიძლება უბიძგონ გოგონას და ახალგაზრდა ქალს სკოლაში ცუდად სწავლისკენ, ან სავალდებულო საგანმანათლებლო სისტემის მიტოვებისკენ. ასეთი შემთხვევები ხდება, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის ქვეყნებშიც (რაო, 1996; მუნო & კინანი, 2000; ფარმერი და სხვები, 2005; ლივი & ჩემბერლინი, 2007). თუმცა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონტექსტში სოციალური სამუშაოს როლი განათლებასთან მიმართებით ხშირად უფრო ფართოა და ნაკლებად არის ფოკუსირებული კონკრეტულ გოგონებზე. მაგალითად, ზოგჯერ ეს შეიძლება მოიცავდეს იმის მსგავს სამუშაოს, როგორსაც ჩრდილოეთის ქვეყნებში ასრულებენ სოციალური მუშაკები; აგრეთვე შეიძლება საქმე გვქონდეს ჯანმრთელობის, სოციალური განათლების და თემის განვითარების საკითხებთან. იმ საკითხების სიაში რომლებსაც სოციალური სამუშაო შეიძლება შეეხოს არის: გენდერული ურთიერთობა, ქალის პოზიცია საზოგადოებაში, ქალის ჯანმრთელობის საკითხები, როგორიცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, და უფრო ზოგადადად რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2005). მართლაც, ბევრ სიტუაციაში გოგონების წიგნიერება, ისევე როგორც ზრდასრული ქალების წიგნიერება, არ არის განცალკევებული ცოდნისგან ქალის ჯანმრთელობის და ბავშვთა დაცვის შესახებ (ადამიანის ტრეფიკინგის საფრთხის ჩათვლით – იხ. თავი 3) (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2004; აჩარია & კოირალა, 2006). ხშირად ამბობენ, რომ ქალი უზრუნველყოფს ოჯახის და თემის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. თუმცა, მათი პირადი ჯანმრთელობა ამ პროცესში შეიძლება იგნორირებული აღმოჩნდეს; ნაწილობრივ კულტურული მიზეზებით და ნაწილობრივ რესურსების არქონის გამო (სეიპელი, 1992). წიგნიერებაზე მუშაობის კომბინირება განვითარების სხვა სფეროებთან ეფექტურია დაუყოვნებელი შედეგისთვისაც და იმიტომაც, რომ წიგნიერება, თავისთავად, ქმნის პირობებს მდგრადი განვითარებისთვის და ხალხის მონაწილეობისთვის ადგილობრივ თემებში.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ეგვიპტეში *განვითარების და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრის* (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი) მიერ განხორციელებული პროექტი. ეს არის ამერიკაში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად *აფრიკასა და აზიაში*

*განათლების მეშვეობით განვითარებას* უჭერს მხარს (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2005).

ამ პროექტმა, რომელიც ეგვიპტის ქალთა ეროვნულ საბჭოსთან ერთად განხორციელდა, ერთმანეთთან დააკავშირა გოგონების წიგნიერება და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების და მოხალისეების წვრთნა რათა:

„თავიანთ ადგილობრივ თემებში დაეცვა გენდერული ინტერესები და მოეგვარებინა საკითხების ფართო წრე, როგორიც არის ნაადრევი ქორწინება, სკოლის მიტოვება, უწიგნურობა, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ქუჩის ბავშვები, გოგონებში სოციალური და სპორტული აქტივობის ნაკლებობა, უმუშევრობა, ქალთა დისკრიმინაცია, სკოლების ნაკლებობა და სამედიცინო ზრუნვის არქონა (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/, 2005, გვ. 1).

გარდა ამისა, თავად გოგონებმა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 240 წარმომადგენელთან და თემის სხვა ლიდერებთან ერთად გაიარეს წვრთნა, რათა შეძლებოდათ თემის ადვოკატობა. წვრთნის მონაწილეებმა შეისწავლეს საჭიროებების შეფასება, მონაცემთა შეგროვების და გაანალიზების მეთოდები, ადვოკატობის საქმეში დახმარება, ეფექტური და სტრატეგიული კომუნიკაციის უნარი, მოქმედების დაგეგმვა და მონიტორინგი, შეფასება. ამ პროექტის კვალდაკვალ და მასზე დაყრდნობით, ეგვიპტის ქალთა ეროვნულმა საბჭომ და სხვა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა განავითარეს გამოცდილი მოხალისეების და პროფესიონალების ქსელი, რომლის წევრებსაც შეუძლიათ გააგრძელონ გოგონების და ქალების ადვოკატობა რეგიონალურ და ეროვნულ პოლიტიკაში (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/, 2005, გვ. 2).

ამ და სხვა მსგავს პროექტებში სოციალური მუშაკები მასწავლებლებთან, მედიცინის პროფესიონალებთან ადგილობრივი თემის ადმინისტრატორებთან და წევრებთან ერთად არიან ჩაბმული (აჩარია & კოირალა, 2006, გვ. 38). ასეთ კონტექსტში პრაქტიკა მოითხოვს უნარს, იმუშაო ერთდროულად მიკრო, მეზო და მაკრო მიდგომებით; უნდა შეგეძლოს პირდაპირი ჩარევის მეთოდით იმუშაო გოგონებთან, ახალგაზრდა ქალებთან და თემის სხვა წევრებთან (პიროვნებებთან და ჯგუფებთან მუშაობა). აგრეთვე თავისუფლად უნდა შეგეძლოს გადასვლა პროგრამების დაგეგმვაზე და შეფასებაზე, პოლიტიკის შემუშავებაზე, პროექტის ადმინისტრირებაზე და ასე შემდეგ. ეს მრავალ დონიანი მიდგომა აგრეთვე მოითხოვს, რომ სოციალურ მუშაკს შეეძლოს პარტნიორობა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და თემების წარმომადგენლებთან თუ სხვა პროფესიონალებთან. გოგონების და ქალების წიგნიერებაზე ძალისხმევის ამგვარი კომბინირება განათლებასა და ადვოკატობასთან (რომელიც ეხება უფრო ზოგად საკითხებს მათ ცხოვრებაში) არა მხოლოდ დაუყოვნებელ ეფექტს იძლევა, არამედ წვლილი შეაქვს თემის განვითარების გრძელვადიან მდგრადობაში, რადგან წიგნიერება გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს თავად უყალიბებს მზაობას მომავალში საქმიანობისთვის.

**დასაქმება და გარემო**

ერთ–ერთი ძირითადი საშუალება, რომლითაც *ათასწლეულის განვითარების მიზნები* ცდილობს სიღარიბის აღმოფხვრას, დასაქმების პირობების და შესაძლებლობებს გაუმჯობესება გახლავთ (მიზანები 1 და 8). იმავდროულად, არ შეიძლება ამ მიზნების გამოყოფა მე–7 და მე–8 მიზნებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოხატული შედეგებისგან გარემოსა და მდგრადობასთან დაკავშირებით. რადგან სულ უფრო აშკარა ხდება ბუნებაზე ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის ზეგავლენა, ხშირდება მოწოდებები, გარემოს მდგრადობის გათვალისწინებით, გავაუმჯობესოთ დასაქმების შესაძლებლობები (სეიტზი, 2008). დროთა განმავლობაში ეს უკავშირდება სოციალური მდგრადობის საკითხებს და განსაკუთრებული ტიპის ინდუსტრიალიზაციის თუ ეკონომიკური საქმიანობის მოდელის სხვა ცვლილებების ზეგავლენას თემებზე.

კურუვილა (2005) აღწერს ეკონომიკური განვითარების პროგრამის ზეგავლენას ინდოეთის სანაპირო რეგიონებში მცხოვრებ თემებზე. 1950–იან წლებში ინდოეთში დაიწყო პროექტი „გაერთიანებული თევზსაჭერები“. ამ პროექტმა ბევრი პროფესიონალი და მოხალისე მოიზიდა ჩრდილოეთის ქვეყნებიდან. ისინი მუშაობდნენ ტრადიციული მეთევზეობის მიმდევარ თემებთან ჯერ კერალაში და შემდეგ ინდოეთის სხვა რეგიონებშიც (კურუვილა, 2005, გვ. 47). პროფსიონალთა შორის იყვნენ თევზჭერის ტექნიკის, ეკონომიკის და თემის განვითარების ექსპერტები. ადგილობრივ თემებზე პროექტის გრძელვადიანი ეფექტის კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობამ აითვისა თანამედროვე სამრეწველო მასშტაბის თევზჭერის მეთოდები. გარდა ამისა, სხვა მხრივ მდგომარეობა გაუარესდა; აშკარა იყო ცუდი ზეგავლენა თევზის მარაგსა და გარემოს სხვა ფაქტორებზე, უარესობისკენ შეიცვალა თემების ყოველდღიური ცხოვრება (კურუვილა, 2005, გვ. 48). განსაკუთრებით ჭარბმა თევზჭერამ და მასთან დაკავშირებულმა ფაქტორებმა დაარღვიეს ეკოლოგიური ბალანსი. გარდა ამისა, ტრადიციული მეთევზეობის მიმდევარი თემები გარიყული აღმოჩნდნენ. შემცირდა დასაქმება და ეკონომიკური შესაძლებლობები, რადგან თევზჭერის პოლიტიკის და პრაქტიკის შეცვლამ გამოიწვია უცხოეთიდან და ინდოეთის სხვა მხარეებიდან მეთევზეების ინტენსიური შემოსვლა ამ რეგიონებში. ამასთანავე ადგილობრივ თემებს უარესობისკენ შეეცვალათ ცხოვრების სტილი, რადგან, რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, მათთვის თევზის ჭამა მიუწვდომელ სიამოვნებად იქცა.

ამ მდგომარეობის საპასუხოდ სოციალურმა მუშაკებმა, სოციალურ განვითარებაში ჩართულმა სხვა პროფესიონალებმა და მოხალისეებმა თავიანთი ძალისხმევა მიმართეს ამ თემების დახმარებისკენ, რათა სხვადასხვაგვარად მოეგვარებინათ უწინდელი „განვითარების“ შედეგები. ამ საქმიანობას ბევრი სხვადასხვა სახე ჰქონდა. ისინი – იყვნენ მედიატორები მეთევზეთა თემებსა და გარეშე ორგანიზაციებს თუ ინტერესებს შორის (შტატის თუ ქვეყნის მთავრობის განყოფილებები, საერთაშორისო ფირმები); ეხმარებოდნენ თემებს მოეძებნათ ალტერნატივა და განევითარებინათ ახალი პროფესიები; ხელს უწყობდნენ (ადგილობრივი და ეროვნული მთავრობის ძალისხმევით) რეგიონში ეკონომიკური საქმიანობისთვის მიკრო ფინანსების გამოყოფის საქმეს; ეხმარებოდნენ ბავშვებს

განათლების ოფიციალური სისტემის გამოყენებაში; ატარებდნენ კონსულტაციებს თემში, ახორციელებდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს ჯანმრთელობის და ადგილობრივთათვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, ხელს უწყობდნენ სოციალურ მოძრაობებს თემში (კურუვილა, 2005, გვ. 49). აგრეთვე ცხადია, რომ საბოლოო შედეგი სავარაუდოდ იქნება ხანგრძლივად არსებული, მეტ–ნაკლებად ტრადიციული ცხოვრების სტილიდან უფრო თანამედროვეზე გადასვლა. ამგვარი მიდგომით საბოლოო შედეგს უნდა მივაღწიოთ ადგილობრივ თემებთან პარტნიორობით; ლაპარაკია იმაზე, რომ ეს ცვლილებები არ იყოს მათთვის უხეშად თავსმოხვეული და არ გამოიწვიოს მათი გარიყულობა. კურუვილას (კურუვილა, 2005, გვ. 51-2) აზრით, ეს მოითხოვს საერთაშორისო სოციალურ სამუშაოს, რომელიც ამ სიტუაციაში შეიძლება აერთიანებდეს არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე სხვა ქვეყნის სოციალურ მუშაკებს და საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე ადგილობრივ სოციალურ მუშაკებს. ამ პროფესიონალებმა უნდა იცოდნენ „დახმარების“ პოლიტიკური ეკონომიკა და ეს უნდა აქციონ ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული დებატების ღია თემად. აქ აგრეთვე საჭიროა პროფესია, რომელსაც სოციალურ ძალაუფლებასთან არაიერარქიული დამოკიდებულება ექნება, პარტნიორულად იმუშავებს „ადგილობრივი თემისთვის და მისი სახელით“ და ეცდება თავი აარიდოს გარეშე ექსპერტის მოსაზრებებს. და ბოლოს, შეიძლება დავამატოთ, რომ სოციალურმა მუშაკებმა უკეთ უნდა იცოდნენ, რომ სოციალური პრაქტიკა და ადამიანთა საზოგადოება დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან.

## „სიღარიბის აღმოფხვრის“ შესახებ

მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, მიდგლის მოსაზრება, რომ განვითარების საქმეში საჭიროა ყურადღების გამახვილება სოციალურ ფაქტორებზე; კორელის კრიტიკა იმასა, თუ როგორ დაშორდა *ათასწლეულის განვითარების მიზნები მსოფლიო სოციალური სამიტის დეკლარაციას* და, მეორე მხრივ, დააკნინა სიღარიბეს, თანასწორობასა და თანაბარუფლებიანობას შორის კავშირი (იქნება ეს სოციალურ–ეკონომიკური კლასის და/ან კასტის, სქესის, ეთნიკურ, რასობრივ, კულტურულ, რელიგიურ თუ სხვა საფუძველზე). *ათასწლეულის განვითარების მიზნები* მკაფიოდ არის ორიენტირებული სიღარიბის აღმოფხვრაზე და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სიღარიბის მატერიალურ განზომილებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი, ვინც *ათასწლეულის განვითარების მიზნებს* აკრიტიკებენ, ფაქტიურად არ უარყოფენ ამ კავშირს. ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამის ყველაზე მართებულად მოგვარება და იმაზე, რომ ეს არ უნდა გახდეს ერთადერთი ან უპირეტესი გზა ისეთი საკითხების მოგვარებისა, რომლებიც ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე რესურსების ან შემოსავლების მიწოდების საქმე.

მორაზესი და პინტაკი (2007) მიმოიხილავენ რა გლობალური სიღარიბის მთავარ თეორიებს, აღნიშნავენ, რომ მართალია, ბევრი მათგანი უფრო დაიხვეწა და მოიცვა სოციალური და ეკონომიკური განზომილებები, ისინი მაინც ჩრდილოეთის ქვეყნების

კონცეფციებს და პერსპექტივებს ასახავენ. მაგალითად, ისინი ამტკიცებენ, რომ ეს გულისხმობს დებატებს, ერთი მხრივ, სიღარიბის, როგორც ინდუსტრიული სისტემისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგსა და  და მეორე მხრივ, პიროვნების წარუმატებლობის თეორიების გააზრებაზე (რომელიც ასე შეაჯამეს „სოციალური ინდივიდუალური  ბრალეულობის პირისპირ“ {2007, გვ. 109}). შედეგად, ჩრდილოეთის ქვეყნებში ანალიზისას ყურადღებას ამახვილებენ თეორიებზე, რომლებიც ეხება: ინკლუზია/ექსკლუზიას, უნივერსალურ ან ამორჩევით რეაგირებას, რესურსების განაწილებას და კეთილდღეობის ინსტიტუციონალიზაციას დახმარების ფორმით. ისინიც კი, ვინც ამ საკითხებს განვითარებად ქვეყნებში აკვირდებიან, ამ პრობლემას თავს ვერ აარიდებენ. ამის საპირწონედ, ვარაუდობენ, რომ თუ სიღარიბის თეორიის ჩამოყალიბებაში თავად ღარიბების ხედვას გავითვალისწინებთ, არაერთი ძალიან განსხვავებული გამოსავალი გამოინახება. მორაზესი და პინკატი იშველიებენ აიტეის (2005) ნაშრომს, რომელიც აცხადებს, რომ „ეკონომიკური თავისუფლება“ („ეკონომიკური უსაფრთხოების“ საპირისპიროდ) არის ის, რაც  გვჭირდება (2007, გვ. 115-16). ასეთი მიდგომა მოითხოვს ეკონომიკური საკითხების მოგვარებას პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებთან ერთად და არა ისე, თითქოს, შეიძლებოდეს მათი განცალკევება. ამას შედეგად მოჰყვება: სიღარიბის „ღარიბებისეული“ განმარტება (გლობალიზაციის კრიტიკის და კოლონიალიზმის შედეგების ჩათვლით);  თემის ყურადღების მობილიზება საზომების საკითხებზე; რესურსების გადანაწილებისადმი ინკლუზიური მიდგომა (იმის აღიარებით, რომ ვაჭრობის დაუბალანსებლობა, საშინაო კორუფცია და ძირითადი საჭიროებები [წყლის, საკვების და მედიკამენტების/მედიცინის ხელმისაწვდომობა] ერთმანეთთან არის დაკავშირებული) და ჩარევა ადამიანური კაპიტალის განვითარებაში მონაწილეობით პრინციპებზე დაყრდნობით (ნაცვლად, „ინფრასტურქტურაზე“ ფოკუსირებისა, როგორც ხშირად ხდება)  (მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 117).

აბსოლუტური სიღარიბის სოციალური განზომილების აღიარება არის მორაზესის და პინტაკის მსჯელობის ნაწილი. ამას მხარს უჭერს თაუნსენდიც ( 2006), რომელიც აკრიტიკებს მსოფლიო ბანკის მეთოდს, რომლის მიხედვითაც ის ვისაც დღეში 1 (აშშ) დოლარი აქვს შემოსავალი აბსოლუტურად ღარიბად ითვლება და ის, ვისაც 2 (აშშ) დოლარი აქვს  შედარებით ღარიბად (ან სოციალურ ნიადაგზე ღარიბად)  მიიჩნევა.  მისი აზრით, 1 (აშშ) დოლარი უნდა გაიზარდოს 1.5 (აშშ) დოლარამდე, რადგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეალური ფასები და ღირებულებები გაიზარდა. აგრეთვე უნდა იქნას გათვალისწინებული სოციალური საზომები იმის დადგენაში, თუ რა ჯდება უბრალოდ ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება (მსოფლიო ბანკი დაგვპირდა ამის გაკეთებას, მაგრამ არ გააკეთა);  ამის შედეგად კიდევ გაიზრდება ზემოაღნიშნული მაჩვენებელი  (თაუნსენდი, 2006, გვ. 5-6). როგორც მორაზესი და პინტაკი (მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 108) აღნიშნავენ, კლასიკოსი ეკონომისტი  ადამ სმიტიც (ზოგჯერ უსამართლოდაც, იმ თეორიების ავტორად არის მიჩნეული, რომლებიც ახლა ქმნიან მსოფლიოს ორთოდოქსული ნეოლიბერალიზმის ნაწილს) თვლის, რომ სიღარიბის კონცეფცია უნდა შეიცავდეს იმას, რაც აუცილებელია, რომ იცხოვრო საბაზრო დონეზე იმ საზოგადოებაში, რომელსაც ეკუთვნი და არა მხოლოდ იმდენს, რაც აუცილებელია, რომ სიკვდილს გადაურჩე. ამის მიხედვით, მაშინაც კი, თუ დღიურ შემოსავლად 1,5

(აშშ) დოლარს ვივარაუდებთ, პლანეტის მოსახლეობის ერთი მესამედი ღარიბია; ხოლო 2 (აშშ) დოლარით განსაზღვრის შემთხვევაში – ორ მეხუთედზე მეტი გამოდის ღარიბი (თაუნსენდი, 2006, გვ. 5; მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 113). ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ დედამიწის მოსახლეობის 40 პროცენტს მსოფლიო რესურსების მხოლოდ 5 პროცენტზე მიუწვდება ხელი.

მორაზესი და პინკეტი აქედან ასკვნიან, რომ სიღარიბის აღმოფხვრა არ მოხერხდება შემოსავლის და რესურსების განაწილების პრობლემიდან უბრალოდ ტექნიკური გამოსავლის პოვნით. ეს არის საქმის ერთი ნაწილი, მაგრამ ის უნდა დაუკავშირდეს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც. არ შეიძლება, რომ მოხდეს „განვითარება“, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური იქნება. უფრო ზუსტად, მიზანი არის *სოციალური* განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა კი, მისი ნაწილია. ამ საქმეში კიდევ აუცილებლად გასათვალისწინებელია: ადამიანის შესაძლებლობების და უნარების საკითხი (ადამიანური კაპიტალი), მონაწილეობა და ადგილობრივი კონტროლი, განათლება და ცოდნის, როგორც რესურსის ხელმისაწვდომობა და კიდევ ბევრი სხვა რამ. ეს ყველაფერი საგულისხმოა სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამებში ჩართული სოციალური მუშაკებისთვის. მათ თავიდან უნდა გაიაზრონ თავიანთი ურთიერთობა იმათთან ვის დახმარებასაც ცდილობენ და საქმე პარტნიორობისკენ წაიყვანონ. აგრეთვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ის პრაქტიკაა მთავარი, რომელიც შესაძლებელს ხდის „ქვევიდან–ზევით“ ცვლილებების განხორციელებას და არა პირიქით „ზევიდან–ქვევით“ (იფი & თესორიერო, 2006). ამიტომ, სიღარიბის გაგება და მისი თეორიის შექმნა უფრო ღარიბებისგან სწავლის საკითხია, ვიდრე მათი შესწავლის (მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 118-19). როგორც მორაზესი და პინტაკი აღნიშნავენ, ასეთი პრინციპები ისევე გამოსადეგია ამერიკელი პროფესიონალებისთვის, რომლებიც ქარიშხლების კატრინასა და რიტას გამანადგურებელ შედეგებზე მუშაობენ, როგორც სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო მუშაკებისთვის, რომლებიც დედამიწის სხვა ნაწილში მუშაობს (შეადარე მესამე თავს).

## გავაფართოოთ სოციალური სამუშაოს როლი?

*ათასწლეულის განვითარების მიზნებში* გამოვლენილი მთავარი საკითხების ფორმატის გამოყენებით, ეს თავი აანალიზებს სოციალური სამუშაოს პრაქტიკის კონკრეტულ ასპექტებს. იმ კონტექსტში პრაქტიკაზეა ლაპარაკი, სადაც სიღარიბე, ზოგადი გაგებით, არის მთავარი საკითხი. გამოყენებული მაგალითები ფოკუსირებულია სამხრეთის ქვეყნებზე, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს საკითხები უფრო მაღალგანვითარებული ქვეყნების სინამდვილეშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. ამიტომ, ეს მაგალითები არ შემოიფარგლება იმ სიტუაციებით, როცა საერთაშორისო სოციალური სამუშაო გულისხმობს ცოდნის და უნარების გადაცემას ერთი ქვეყნიდან მეორეში მხოლოდ ერთი მიმართულებით, კერძოდ, ჩრილოეთიდან სამხრეთის ქვეყნებში. აქ ნახავთ: სოციალურ სამუშაოს, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს პრაქტიკოსების და პროგრამების სპეციალისტების გადასვლას ქვეყნიდან ქვეყანაში,

გაცვლას და პარტნიორობას, საერთაშორისო საკითხების, ეკონომიკური და სტრუქტურული ურთიერთობის შედეგებს.

*ათასწლეულის განვითარების მიზნების* მიერ წამოჭრილი საკითხების გაანალიზებას საერთაშორისო სოციალური სამუშაოსთვის საგულისხმო არაერთ შედეგამდე მივყავართ. პირველი აუცილებლობა გახლავთ იმის აღიარება, რომ სოციალური სტრუქტურები (ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები და ინსტიტუტები), ფიზიკური სამყარო (ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი რესურსები), სოციალური ურთიერთობა და კულტურა ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. წინა თავებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოციალური სამუშაოს დებატები, რომელიც არსებობს პიროვნებაზე ფოკუსირების და სოციალურ გარემოზე ფოკუსირების იდეებს შორის (მიუხედავად მისი გადალახვის მცდელობისა სოციალური სამუშაოს „საერთაშორისო განმარტებებში“, იხ. სმსფ/სმსსა, 2001) მივყავართ კამათამდე ამ ფაქტორების დაკავშირებულობის შესახებ. როგორც ვნახეთ, ჯანმრთელობა, ოჯახი, სქესი, განათლება და წიგნიერება, დასაქმება, ურთიერთობა ადამიანის სიცოცხლესა და გარემოს შორის და სხვა, ისეთი საკითხებია, რომელთაც ვერ გავიგებთ ამ პერსპექტივებიდან რომელიმე ერთის კუთხით; საჭიროა ამ საკითხების ურთიერთკავშირის გააზრება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ *ათასწლეულის განვითარების მიზნებში* წარმოდგენილ საკითხებზე ეფექტური პრაქტიკული და თეორიული რეაგირებისთვის, საჭიროა სოციალური სამუშაოს ფოკუსის, მეთოდების და მიზნების ფართო თვალსაზრისის გამოყენება.

შედეგად ეს ისევ მოითხოვს საერთაშორისო სოციალური სამუშაოსგან მაკრო, მეზო და მიკრო პრობლემების, ანალიზის, პრაქტიკის და სხვათა გაერთიანებას და არა დაყოფას. ამ თავში მოყვანილ მაგალითებში სოციალური სამუშაოს ფუნქციებში ვნახეთ: პროგრამების დაგეგმვა, მენეჯმენტი და შეფასება, თემთან მუშაობა (შეხვედრების ორგანიზების ჩათვლით), თემებში სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის მოლაპარაკება, რესურსების დადგენა თუ მობილიზება და მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებთან მოლაპარაკება, ადვოკატობა, უშუალოდ პიროვნებებთან და ოჯახებთან მუშაობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ათასწლეულის განვითარების მიზნებში დადგენილ საკითხებზე რეაგირებისთვის სოციალურმა მუშაკებმა უნდა გამოიყენონ ფუნქციების და დავალებების სრული კრებული. ეს ეხება ჩრდილოეთის ქვეყნებში მომუშავე სოციალურ მუშაკს, რომელსაც მომსახურების მომხმარებლებთან ან საერთაშორისო წარმომავლობის საკითხებთან აქვთ საქმე. ეს ასევე ეხება სამხრეთის ქვეყანაში უცხოეთიდან სამუშაოდ ჩასულ სოციალურ მუშაკს, იმას, ვინც საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს ან, ისევ და ისევ, საერთაშორისო წარმოშობის საკითხებთან აქვს საქმე. თუ *ათასწლეულის განვითარების მიზნებს* და მათ უკან მდგარ არგუმენტებს სოციალური განვითარების საჭიროების შესახებ ყველგან (ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნებშიც) გამოვიყენებთ, მაშინ ეს მოსაზრება ერთგვარად აკრიტიკებს ამერიკასა და ევროპაში ზოგან არსებულ ტენდენციას, როცა სოციალური სამუშაო ფოკუსირებულია ინდივიდუალურ უემოციო პრაქტიკაზე და გამორიცხავს მეზო თუ მაკრო თვალსაზრისს. მსოფლიოს ამ ნაწილში გოგონების წიგნიერების და დედათა ჯანმრთელობის პროგრამების შემუშავებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი აშკარად ასაბუთებს მჭიდრო კავშირს სიღარიბეს, სქესს, „რასას“, კულტურას და სხვა

სოციალურ სისტემებთან და ურთიერთობასთან დაკავშირებულ  საკითხებს შორის. ამგვარად, ეგრეთ წოდებულ „ანტიდისკრიმინაციულ პრაქტიკას“, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში (ტომპსონი, 2006), შეიძლება ძალიან აქტუალური ვუწოდოთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. [...]

გარკვეული შეხედულებით, *ათასწლეულის განვითარების მიზნების* საპასუხოდ, სოციალური სამუშაოს ამგვარი გააზრება შეიძლება აღვიქვათ, როგორც პროფესიის საზღვრების გაფართოება. ზოგიერთი აქ აღწერილი სიტუაცია გულისხმობს ისეთი როლის მორგებას, რომელიც ხშირად სოციალური სამუშაოს ფარგლებს სცილდება. მაგალითად, ახალგაზრდების დახმარება წიგნიერების საქმეში მეტწილად პროფესიონალი მასწავლებლის საქმედ ითვლება. აგრეთვე, ჯანმრთელობის საკითხებში განათლება (განსაკუთრებით ჩრდილეთის ქვეყნებში) დამოუკიდებელ პროფესიად ან  საფერშლო საქმის ნაწილად ჩამოყალიბდა. საერთაშორისო შედარებითი ანალიზის საფუძველზე აღმოცენებული სოციალური სამუშაოს ფართო გაგება კი, რომლის მთავარი მიზანია სისტემური უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოფხვრა, ასეთ შეზღუდვებს დაბრკოლებად აღიქვამს.  იმ სიტუაციებში, სადაც მაღალგანვითარებული რესურსები არსებობს, ამან შეიძლება მიგვიყვანოს სხვა პროფესიონალებთან ახლო პარტნიორობამდე (მუნო & კინანი, 2000). უფრო ნაკლები რესურსების მქონე ქვეყნებში სოციალურ მუშაკებს შეიძლება დასჭირდეთ, რომ თავად იკისრონ ეს ბევრნაირი როლი და იმავდროულად, იმ ფუნქციების სხვისთვის გაზიარება, რომლებსაც ადრე თავად ასრულებდნენ (ანდარი, 2007). სადაც სოციალური მუშაკები არ არიან, შეიძლება უბრალოდ სხვებისგან ველოდეთ ამ საქმის გაკეთებას და შეიძლება საკამათოც გახდეს,  თუ რომელი როლი „ეკუთვნის“ სოციალურ სამუშაოს (კრეითზერი, 2002, გვ. 55; კლეიბორნი, 2004, გვ. 217). სხვა შემთხვევაში ისინი შეიძლება ერთადერთ პროფესიულ ძალად მოგვევლინონ. ყველა სიტუაციაში ეს გულისხმობს იმ თემის წევრებთან პარტნიორობას, რომელშიც სოციალურ მუშაკს უხდება მუშაობა. პროფესიული მოქნილობის შედეგი შეიძლება ის იყოს, რომ სოციალური სამუშაოს პრაქტიკა განხორციელდეს უჩვეულო ადგილებში ან ისე, რომ არ შეესაბამებოდეს სხვა კონტექსტში მომუშავე კოლეგების მიერ გააზრებულ პროფესიულ იმიჯს. აუცილებელია ადაპტაციის უნარი და იმის კეთება რაც საჭიროა. ამის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ სოციალური სამუშაო არ იქნება საქმის და პროფესიული მისიის შესაბამისი. უფრო მეტიც, ის  ვერ იქნება ეფექტური.

# თავი 3-4: სოციალური კეთილდღეობის სისტემის ტრანსფორმაცია

*სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა*

მეოცე საუკუნის ბოლოს კეთილდღეობის ყველა მოდელმა ტრანსფორმაცია განიცადა. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ყველაზე მთავარ მიზეზთა შორის არის იდეოლოგიური საფუძვლების ცვლილება, ეკონომიკური კრიზისები, პოსტინდუსტრიალიზაციის თანმხლები სოციალური მოვლენები და მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი. მოდით გლობალიზაციის გააზრებით დავიწყოთ.

გლობალიზაციის განმარტებისას პირველი რაც აზრად მოგვდის არის საზღვრების მოშლა, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, კულტურათა და ტრადიციათა აღრევა და ა.შ. გლობალიზაცია მართლაც საბაზრო ეკონომიკის ზრდის პროცესია, რაც საზღვრებს გარეშე სავაჭრო სივრცის შექმნას გულისხმობს, რაც წესით მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრის ინსტრუმენტი უნდა იყოს. არადა, მეოცე საუკუნეში, სიღარიბეში მცხოვრებთა რიცხვმა 100 მილიონით იმატა, მაშინ როცა მსოფლიო შემოსავალი 2.5% გაიზარდა წელიწადში.

საერთაშორისო ვაჭრობა უდაოდ ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, თუმცა, ინტერსიური საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციას ვერ მივაწერთ მხოლოდ ჩვენ საუკუნეს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში უკვე დაფიქსირდა მსოფლიო ვაჭრობის აღმავალი ტენდენცია. როგორც თქვენი საკითხავი ლიტერატურიდანაც შეიტყვეთ, 1870-სა და 1913 წლებში საერთაშორისო ვაჭრობა საგრძნობლად გაიზარდა – 3.4 % წლიური ზრდის მაჩვენებლით. ეს კი საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის თითქმის ამჟამინდელ მაჩვენებელს უტოლდება, რომელიც ჩამოუვარდება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მონაცემებს, რაც თითქმის 10% წლიური ზრდის მაჩვენებელს იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იწერება სწრაფად პროგრესირებად გლობალიზაციის პროცესზე და ცოტა სოციალურ კეთილდღეობის შედარებით ნელა პროგრესირებად პროცესზე, თითქმის არაფერი იწერება ამ ორის ურთიერდამოკიდებულებაზე. შევეცდები წარმოგიდგინოთ გლობალიზაციის ზემოქმედება კეთილდღეობის სისტემაზე, რის შესახებაც არსებობს მრავალი მოსაზრება, მათ შორის ურთიერთწინააღმდეგობრივიც. ერთნი ფიქრობენ, რომ რადგანაც გლობალიზაციის თანმხლები პროცესია საბაზრო ეკონომიკის ზრდა, რასაც სავაჭრო ექსპანსია მოსდევს, რაც თავის მხრივ დიდ ზეგავლენას ახდენს კეთილდღეობის სისტემაზე. სავაჭრო ექსპანსიას მოსდევს უმუშევრობა და უთანასწორობის ზრდა, რაც

პრობლემებს უქმნის კეთილდღეობას. სოციალური სტაბილურობა კი მხოლოდ მასობრივი უმუშევრობის არიდებითაა შესაძლებელი. ვაჭრობა და ტექნოლოგიური ცვლილებები იწვევს დაბალპროფესიულ მუშახელზე მოთხოვნის შემცირებას, რაც თავის მხრივ ასუსტებს სოციალური დაცვის იდეოლოგიის პოლიტიკას. ამავე დროს თავისუფალ სავაჭრო სივრცეში შეუძლებელია დაცული იყოს ადამიანთა სოციალური, ჯანმრთელობისა და დასაქმების უფლებები, გონივრული ქვეყანათშორისი და ქვეყნის შიდა სოციალური რედისტირბუციის პოლიტიკის შემუშავების გარეშე. მეორენი კი თვლიან, რომ კეთილდღეობის სისტემის სახეცვლილების მიზეზი გლობალიზაცია კი არა, არამედ ისეთი საშინაო ფაქტორებია, როგორიცაა: დემოგრაფიული, ტექნოლოგიური, ოჯახური სტრუქტურების ცვლა და ახალი სოციალური რისკები. დემოგრაფიული ცვლილებები კი, სულ მცირე, ორ პრობლემას წარმოშობს: ხამდაზმულთა პროცენტულ ზრდას მთელს მოსახლეობაში, რაც სამუშაო კაპიტალის სიმცირეს იწვევს, რაც თავის მხრივ ამცირებს კეთილღეობისათვის ფისკალურ დანახარჯს.

ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდას თან ახლავს მათი კეთილდღეობისათვის დანახარჯის ზრდა, როგორც პენსიებზე, ასევე ჯანდაცვაზე. ამასთანავე იკლებს შობადობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. ასე რომ, კეთილდღეობის მიმღებთა თანაფარდობა კეთილდღეობაში კონტრიბუტორთა მიმართ საგრძნობლად მაღალია. მესამენი კი თვლიან, რომ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს კეთილდღეობისათვის მწირი ბიუჯეტი ფისკალური პრობლემების გამო აქვთ, რაც გამოწვეულია დაბალი მწარმოებლობით, რაც უკავშირდება მანუფაქტურიდან მომსახურეობაზე, როგორც დომინანტ სექტორზე, გადასვლას.

მაგალითად, თუ შევეცდებით ზოგადად ვროპული კეთილდღეობის მოდელებზე გლობალიზაციის ზეგავლენის გაანალიზებას, შემდეგ ცვლილებებს შევამჩნევთ:

- მიმდინარე აქტივიზაციის პოლიტიკას, რაც ნიშნავს მიწოდების-მომხრეთა პოლიტიკის გატარებას (მაგალითად, საგანათლებლო და კვალიფიკაციის ამაღლების პოლიტიკას დაუსაქმებლობის პრობლემებთან გამკლავების მიზნით);
- მარკეტიზაციის ტენდენციას, რაც გულისხმობს კეთილდღეობის მიწოდების მარკეტიზაციას და პრივატიზაციას, სახელმწიფო მიწოდების ნაცვლად;
- კეთილდღეობაზე ხარჯებისა და მიწოდების არეალის შემცირებას;
- რესტრუქტურიზაციას, რაც კეთილდღეობის იდეოლოგიის შეცვლასა და მიწოდების ადმინისტრირების რეორგანიზაციას გულისხმობს.

მოდით, გავეცნოთ გლობალიზაციის და სხვა ცვლილების აგენტთა ზეგავლენას კეთილდღეობის ბისმარკისეულ და ნორდიკულ მოდელბზე. დავიწყოთ ბისმარკის მოდელით. ამ მოდელის გამტარებელი ქვეყნები არიან გერმანია, ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია. თუმცა ჰოლანდია უნივერსალური ელემენტებით ხასიათდება

და ამიტომ არ წარმოადგენს წმინდად ბისმარკისეულ მოდელს. შეგახსენებთ ბისმარკისეული მოდელის ძირითად მახასიათებლებს: ცენტრალიზებული და კორპორიაციული კეთილდღეობის მოდელი, მოცულობითი დაფარვის დიაპაზონით, ძალიან ურთიერთგადაჯაჭვული დასაქმებისა და სოციალური დაზღვევის სქემები და ოჯახის ტრადიციების მხარდაჭერა.

გლობალიზაციის ზეგავლენა ბისმარკისეულ მოდელზე რამდენიმე ასპექტში გამოიხატება:

- ბისმარკისეული მოდელი საშემოსავლო გადასახადებზეა დამოკიდებული, ამიტომ პირდაპირ ექცევა გლობალიზაციის ზეგალენის ქვეშ. დასაქმების დაღმავალი ტენდენცია, რაც გლობალიზაციის თანმხლები მახასიათებელია, ამცირებს შემოსავალს, როგორც საგადასახადო, ასევე სოციალური დაზღვევის კონტრიბუციებიდან, და ამავე დროს ზრდის მოთხოვნას სოციალურ დანახარჯზე.
- ბისმრკისეული მოდელი ტრადიციული ოჯახის ერთეულზეა აგებული, ამ სოციალური კომპონენტის რღვევის შემთხვევაში სისტემა სერიოზულ ხარვეზებს დანიცდის, რაც სოციალურ რისკებთან გამკლავების მექანიზმს არყევს. გლობალიზაცია კი ინდივიდუალისტური ორიენტაციის ჩამოყალიბებას ემსახურება. გლობალიზაცია მობილურობას გულისხმობს, ადამიანების საჭიროებათა კომპენსირება მათი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით კი, არა მარტო სახელმწიფოს ხარჯზე მყოფთა რიცხვს ზრდის, არამედ მათ უფრო ნაკლებ მობილურსა და ადაპტირების უნარიანს ხდის.
- ამ მოდელის მიხედვით სოციალური უსაფრთხოება დამყარებულია მაღალკვალიფიციურ მუშახელსა და მარგინალურ მუშახელს შორის ბალანსის შენარჩუნებაზე. გლობალიზაციის თანმხლებ რისკს – რისკს უმუშევრობის ზრდისა, დისბალანსი შემოაქვს სისტემაში, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს ეფექტიანად, თუ მაღალკვალიფიციურ მუშახელი აღემატება რაოდენობრივად დაბალკვალიფიციურს. რადგან ბისმარკისეული მოდელი ჰორიზონტალური რედისტრიბუციით ხასიათდება, მას არ აქვს საშუალება ვერტიკალურ უთანასწორობას გაუმკლავდეს.
- ეს მოდელი საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებაზეა აგებული, რაც მას დროსთან და ცვლილებებთან რეზისტენტულს ხდის. გლობალიზაცია კი მუდმივ ცვლილებას ნიშნავს.
- რაც შეეხება მაკროეკონომიკურსა და საგადასახადო პოლიტიკას, ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში შეიმჩნევა მონეტარული დისციპლინა და ზოგიერთ მათგანს (ჰოლანდია, ავსტრია) ვალების კლების ან მოცემულ დონეზე შეჩერების მაჩვენებლები აქვთ. საგადასახადო პოლიტიკის მსგავსება კი ამ ქვეყნებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ბისმარკისეული მოდელის ყველა ქვეყნის საგადასახადო შემოსავალი ძირითადად მაღალ საშემოსავლო გადასახადს გულისხმობს და შედარებით დაბალ კორპორაციულ გადასახადს. ბოლო წლების მაჩვენებლებით, საგრძნობლად გაიზარდა საშემოსავლო გადასახადის წილი ბიუჯეტში. მაგალითად, გერმანიაში კორპორაციული გადასახადი საგრძნობლად შემცირდა, რაც იხსნება გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებით და

კონკურენციის ზრდით. ეს ქვეყნები, გარდა ჰოლანდიისა, სადაც, არ ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის ზრდა, ძალიან დიდ სოციალურ ღირებულებას ადებენ შრომას.

დასაქმების მაჩვენებლები ამ ხუთ ქვეყანაში საგრძნობლად იკლებს, გარდა ჰოლანდიისა. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ამ ქვეყნებში კეთილდღეობას ენიჭება უპირატესობა შრომაზე და სოციალური მომსახურების მიწოდება, სხვა მოდელებისაგან განსხვავებით, წარმოებს არა სახელმწიფოს მხრიდან, არამედ კერძო სექტორის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან. ეს ქვეყნები ხასიათდებიან შრომის ფლექსიბილიზაციით, რაც ნიშნავს არა-სრულ სამუშაო განაკვეთსა და ფიქსირებულ-ვადიან კონტრაქტებს. ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაო დღე ძალიან მზარდი ტენდენციაა, განსაკუთრებით ჰოლანდიაში. მომსახურეთა 12% ამ ქვეყნებში ფიქსირებულ-ვადიან კონტრაქტებზე მუშაობენ. ხუთივე ქვეყანა, გარდა ჰოლანდიისა, პასიურ ტრანსფერული გადასახადების პოლიტიკას ამჯობინებენ აქტიურ დასაქმების პოლიტიკას, რაც მაღალი ხელფასების მიღების ხარჯზე, პენსიაზე ადრეულ ასაკში გასვლით მთავრდება. ამ ყველაფრის შედეგი კი მაღალი საშემოსავლო გადასახადებია. თუმცა მეტწილად მომსახურეთა ხარჯზე, ვიდრე დამქირავებელთა ხარჯზე. მაგალითად, გერმანიაში, სოციალური უზრუნველყოფის კონტიბუციები ძირითადად მომსახურეთა ხარჯზე იზრდება, და დამქირავებელთა განთავისუფლება ამგვარი ვალდებულებისაგან სამუშაო ადგილების შექმნის ზრდაზეა გათვლილი.

საფრანგეთში 1995 წლიდან დაიწყო ჟუპეს გეგმის განხორციელება, რაც გულისხმობდა უნივერსალიზმის პრინციპზე გადასვლას ჯანმრთელობის სფეროში, უნივერსალური ჯანმრთელობის სქემების წარმოდგენით. ამ გეგმის მეორე ნაწილი იყო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კონტრიბუციული დაფინანსებიდან გადასახადებით ფინანსირებად სისტემაზე გადასვლა, რამაც ახალი გადასახადების სახეობები დანერგა. ამ სვლებით საფრანგეთი ბისმარკისეული მოდელიდან ბევერიჯის მოდელისაკენ გადაიხარა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის, ოჯახისა და სოციალურ პოლიტიკაში.

თუ დავაჯამებთ, ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციასა და ბისმარკისეულ კეთილდღეობის მოდელს შორის ორ ასპექტში იკვეთება: სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებასა და მართვაში და დახმარების მაძიებლების მოთხოვნათა სტრუქტურირებაში. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სოციალური პოლიტიკის ამ და სხვა ასპექტებზე როგორ იმოქმედა გლობალიზაციამ, აუცილებელია მაკროეკონომიკის პოლიტიკისა და დასაქმების ბაზრის მუშაობის ტენდენციების გაანალიზებაც. მაგალითად, ჰოლანდიამ შესძლო თავისი დასაქმების ბაზრის ფლექსიბილიზაცია, შეინარჩუნა რა დასაქმების ბაზარში ჩართვის მოტივაცია და ამით

წარმატებით გაუმკლავდა უმუშევრობას; საგრძნობლად შეამცირა დამსაქმებელთა საშემოსავლო გადასახადი და ამავე დროს შესძლო სოციალური დანახარჯის შემცირება. გერმანიამ ძალიან გაზარდა დაუსაქმებლობის დანახარჯი, შეამცირა ბენეფიტები და გაანახევრა შემოსავალი კორპორაციული გადასახადებიდან მთლიან საგადასახადო შემოსავლებში. საფრანგეთმა, ჯანმთელობის მომსახურების უნივერსალიზაციით და დასაქმების ბაზრის პოლიტიკის განვითარებით დიდი ცვლილებები მოახდინა.

მოკლედ, რაც უფრო ინარჩუნებს ქვეყანა ბისმარკისეულ კეთილდღეობის მოდელს მით უფრო რეზისტენტული რჩება გლობალიზაციისადმი. დასკვნები:

1. იმ თვალსაზრისით, რომ ფულადი ტრანსფერების განმახორციელებელი სოციალური პოლიტიკის მოდელი უფრო მიესადაგება გლობალიზებულ გარემოს, ვიდრე მომსახურებების მიმწოდებელი, ბისმარკის მოდელი სავსებით შეთავსებადია მზარდ გლობალიზაციის პროცესებთან.
2. თუმცა, რადგან გლობალიზაცია ფლექსიბურობას ღაღადებს და ეწინააღმდეგება გრძელვადიან სახელმწიფო მხარდაჭერაზე აგებულ სოციალური პოლიტიკის მოდელს, ბისმარკის მოდელი შეუთავსებელია გლობალიზაციასთან. გლობალიზებული სოციალური დაცვის სისტემა გულისხმობს მწირ სოციალურ დახმარებებს, და მოუწოდებს ადამიანებს ინდვიდუალური გზების ძიებისაკენ სისტემის გარეთ და არა სისტემისაგან.
3. ბისმარკის მოდელი ასევე ერთი მახასიათებლითაა გლობალიზაციასთან შეუთავსებელი: ის ორიენტირებულია ოჯახების და არა ინდივიდების სოციალურ მოთხოვნებზე, და აღიარებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ რისკებთან გამკლავების პასუხისმგებლობას, იმისათვის რომ ინდივიდები უკეთ გაუძღვნენ თავიანთ ოჯახურ პასუხისმგებლობებს. გლობალიზებული სოციალური პოლიტიკა კი, ადამიანებს განიხილავს, როგორც ინდივიდებს, ხოლო მათ ოჯახურ პასუხისმგებლობებს, როგორც მათ პირად პრობლემებს.
4. და ბოლოს, ბისმარკის მოდელი ადამიანებს სთავაზობს დახმარებას სოციალურ რისკებთან გამკლავებისთვის საკმაოდ დიფერენცირებული მიდგომით. ხოლო გლობალიზებული სოციალური პოლიტიკა ზოგად პროგრამებს მოიცავს, რაც დაეხმარება ადამიანს მხოლოდ მანამდე, სანამ ისინი ვერ შეიმუშავებენ თავიანთი ცხოვრების ალტერნატიულ წყაროებს.

დროა ნორდიკული მოდელის განხილვას შევუდგეთ. ის კეთილდღეობის ყველაზე მომზიდველი მოდელია ბევრისთვის, თუმცა მისი ამჟამინდელი მდგომარეობა ბევრისათვის ბადებს კითხვას ინარჩუნებს თუ არა ის მის ძირითად მახასიათებლებს? ეს მახასიათებლებია:

- უნივერსალური სოციალური უფლებები, რომელიც ყველას საჭირობების დაკმაყოფილებას გულისხმობს
- საჯარო სექტორის პასუხისმგებლობა, როგორც კეთილდღეობის ბენეფიტებისა და მომსახურებების მთავარი მიმწოდებლის

- თანასწორობა, არა მხოლოდ შემოსავლების დისტრიბუციაში, არამედ გენდერულიც
- სრული დასაქმება, არა მხოლოდ როგორც მიზანი თავისტავად, არამედ როგორც კეთილდღეობის პოლიტიკის დაფინანსების გარანტორი.

განვითარებული სახელმწიფო კეთილდღეობა, მცირე ადგილს ტოვებდა მომსახურებების კერძო ბაზარზე განვითარებისათვის, თუმცა 90-იანი წლებიდან ნეოლიბერალური შეხედულებების აღზევებამ სიტუაცია შეცვალა. ნორდიკული მოდელისადმი კრიტიციზმი გაზარდა, მაღალი გადასახადებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე მონოპოლიამ, მაგრამ ნეო-ლიბერალური დოქტრინა მაინც ვერ გახდა დომინანტი ნორდიკულ ქვეყნებში. გლობალურმა პროცესებმა გაართულა უნივერსალური, მოქალაქეობაზე დაფუძნებული სოციალური უფლებებზე ორიენტაციის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ნორდიკული ქვეყნები უფრო მდიდრები ხდებიან, დისტრიბუცია აღარაა თანაბარი. აღარც სახელმწიფო სექტორი აღარაა კეთილდღეობის მომსახურებების ერთადერთი მიმწოდებელი. ნელ-ნელა მცირდება ბენეფიტების დონე, იზრდება ბიუროკრატია და კონტროლი კლიენტებზე, პრევენციული მიდგომა - რეაქციულით შეიცვალა. თუმცა მოდელი მაინც ინარჩუნებს კეთილდღეობის თვალსაზრისით მიმზიდველ კომპონენტებს.

მისი განსაკუთრებული ხიბლია ბავშვთა და ქალთათვის მომსახურებების მიწოდების მაღალი დონე ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგალითად, 3 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრუნვაზე ორიენტირებული მომსახურებების მიწოდების დონე 34.2%-ია, მაშინ როდესაც გერმანიაში მხოლოდ 9%-ია. ამ ბავშვების დედების შრომის ბაზარზე დასაქმების მაჩვენებელიც საგრძნობლად აღემატება მაგალითად გერმანიისას (63% ნორდიკულში, 36.1% გერმანიაში). ბავშვთა სიღარიბე (მარტოხელა მშობლებში) 7.2% სკანდინავიურში, 12% გერმანიაში და ა.შ.

უფრო დეტალურად მოდელის ამჟამიდნელ მდგომარეობაზე მელინი (2014) საუბრობს. ის ცდილობს გააანალიზოს, თუ როგორ შეიცვალა კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელი. იგი საინტერესოდ აღწერს მოდელის განვითარების პროცესსა და ახალმომხდარ ცვლილებებს. იგი ცდილობს გააანალიზოს თუ რამდენად შეინარჩუნა მოდელმა თანასწორობის პრინციპი.

ავტორი ამბობს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს მიზანი იყო უმაღლესი სტანდარტების თანასწორობის ხელშეწყობა იყო და არა მინიმალური საჭიროებების თანასწორობას (როგორც სხვა ქვეყნებში)" (Esping-Andersen, 1990, გვ. 168). ზემოჩამოთვლილ მახასითებლებზე დამატებით ავტორი აღნიშნავს, რომ კეთილდღეობის ნორდიკულ სახელმწიფოებს ჰქონდათ უფრო ძლიერი დეკომოდიფიკაციის ეფექტი ვიდრე რომელიმე სხვას (Erikson et al., 1987, გვ. 69–70)

(ცხრილი 1). მოდელმა ასევე წარმატებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური ნაყოფიერება გვიჩვენა. შედარებითმა ანალიზმა ნორდიკული ქვეყნების ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება გამოავლინა. ისინი განსხვავდებიან ქვეყნების უმრავლესობისგან სამი თვალსაზრისით მაინც. ისინი საკუთარ მოქალაქეებს განათლების მიღების ძალიან თანასწორ შესაძლებლობებს სთავაზობენ. ეს ნიშნავს, რომ მშომელები უფრო მომზადებული არიან რისკთან, გადაადგილებებთან და ცვლილებებთან გასამკლავებლად. გარდა ამისა, სახელმწიფო და მოქალაქე აქტიურად იზიარებენ რისკს. სახელმწიფო მხარს უჭერს მოქალაქეს, რომ ის ეკონომიკურად აქტიური და მობილური იყოს. და ბოლოს, სახელმწიფო ორთავეს, ქალსაც და მამაკაცსაც, აწოდებს სოციალურ მომსახურებას, ისე, რომ იცხოვრონ რუტინის, ადგილზე და პროფესიაზე მიჯაჭვულობის გარეშე (Hull Kristensen, 2009, გვ. 36–37).

ჯულიანო ბონოლიმ (G. Bonoli 2000) და მისმა კოლეგებმა მოდელის ცვლილების განმაპირობებელი ოთხი ფაქტორი გამოჰყვეს. (1) პირველი გახლავთ გლობალიზაცია. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, კეთილდღეობის ის სახელმწიფოები აწესებენ ნორმას, რომლებიც ყველაზე ნაკლებს ხარჯავენ ამ მიმართულებით და სხვები, რომლებიც უფრო მეტს ხარჯავენ, უნდა მოერგონ ამ ნორმას. (2) გარდა ამისა ეროვნული ცნობიერება უფრო ვიწროა, ვიდრე ადრე. საშუალო კლასი იზრდება, მას მეტი ეკონომიკური რესურსი აქვს და თავისით შეუძლია თავის გატანა. მას აღარ აინტერესებს სოლიდარობა და საერთო პასუხისმგებლობა. (3) მესამე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეკონომიკის ნეოლიბერალური პოლიტიკა ისწრაფვის, შეამციროს სახელმწიფოს როლი. ბაზრის მიერ მართული სოციალური მომსახურება უფრო ეფექტურად ითვლება, ვიდრე სახელმწიფო მომსახურება. (4) ბოლოს, არსებული ეკონომიკური რესურსებით სულ უფრო ძნელად ხერხდება მზარდი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება (ცხრილი 2, ცხრილი 3).

იულკუნენი (Julkunen 2001, გვ. 291–292) ლაპარაკობს კეთილდღეობის გვიანდელ ძვირადღირებულ სახელმწიფოზე. ეს არის მართვის ახალი მოდელი, რომელიც ჩნდება კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოების შემდგომ ეტაპზე. ეს ეხება არა მხოლოდ სოციალური მომსახურების ხარჯების შემცირებას, არამედ მართვის მექანიზმებს და ახალ მენტალურ მოდელებს, სადაც ხარჯვაზე კონტროლია მეტად მნიშვნელოვანი. პირველი ნიშანი ამ ახალ გზაზე დადგომისა საგადასახადო რეფორმები იყო, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა. საშემოსავლო გადასახადები შემსუბუქდა და განსაკუთრებით გაიზარდა სხვადასხვა სახის საყოველთაო სამომხმარებლო გადასახადი. სახელმწიფოში ბიუჯეტზე კონტროლმა პარლამენტიდან ეკონომიკის სამინისტროში გადაინაცვლა. განსაკუთრებით ცვლილებებმა სამეურნეო საკითხებში და ეკონომიკურმა რეალიზმმა სახელმწიფოები მძიმე მდგომარეობაში

ჩააყენა, როცა  საჯარო ინსტიტუტები ახალ რეალობას უნდა მორგებოდნენ.

ცხრილი 1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენი პროცენტი იხარჯება განათლებაზე

| | 2003 | 2010 |
|---|---|---|
| ევროკავშირის 27 ქვეყანა | 5,15% | 5.43% |
| დანია | 8.33% | 8.80% |
| ფინეთი | 6.43% | 6.84% |
| შვედეთი | 7.21% | 6.98% |
| ისლანდია | 7.70% | 7.60% |
| ნორვეგია | 7.55% | 6.78% |

წყარო: ევროსტატი, http://epp.eurostat.ec.europa.eu, განახლდა 5.6.2013.

ცხრილი 2. *მთლიანი შიდა პროდუქტის* რამდენ პროცენტს შეადგენენ  გადასახადები

| | მთელი გადასახადები სოციალური კონტრიბუციის ჩათვლით | | | კაპიტალის და ბიზნესის საშემოსავლო გადასახადები | | კორპორაციის გადასახადები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2000 | 2011 | 2011/2000 | 2000 | 2011 | 2000 | 2011 |
| დანია | 49.4 | 47.7 | -1.7 | 4.8 | 5.6 | 3.3 | 2.8 |
| შვედეთი | 51.5 | 44.3 | -7.2 | 9.0 | 5.3 | 3.8 | 3.4 |
| ფინეთი | 47.2 | 43.4 | -3.8 | 6.3 | 4.5 | 5.9 | 2.5 |
| ისლანდია | 37.1 | 35.9 | -1.2 | 7.1 | 7.7 | 1.4 | 1.1 |
| ნორვეგია | 42.6 | 42.5 | -0.1 | - _ | - _ | 5.2 | 5.6 |

ბევრს ლაპარაკობენ ნორდიკული მოდელის ბედზე. ზოგი ამბობს, რომ ის მოკვდა, ზოგიც - რომ ის რადიკალურად შიცვალა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ნორდიკული მოდელი არ გამქრალა. მოხდა ის, რომ ეს მოდელი უფრო მრავალფეროვანი გახდა. ნორდიკული ქვეყნები ყოველთვის განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. სხვადასხვაგან შეღავათების დონე სხვადასხვანაირი იყო და ესა თუ ის ქვეყანა თავისებურად აგვარებდა ერთსა და იმავე პრობლემას. მიუხედავად განსხვავებებისა, მთავარი გადაწყვეტილებები და პოლიტიკური არგუმენტები, რომლებიც სხვადასხვა ეროვნულ მოდელს ასაზრდოებდნენ ერთნაირი იყო. დღეს ფინეთი ერთადერთი ნორდიკული ქვეყანაა ევროზონაში. დანია, ისლანდია და ნორვეგია ნატო-ს წევრები არიან. ნორვეგია განსხვავდება სხვებისგან იმიტომ, რომ მისი ამჟამინდელი კეთილდღეობა ნავთობზეა დაფუძნებული. ამ ქვეყნების წამყვანი პოლიტიკური კოალიციები განსხვავდებიან ბევრი თვალსაზრისით. ფინეთს კოალიციური მთავრობა ჰყავს, შვედეთს კონსერვატორთა კოალიცია მართავს, ხოლო ნორვეგიას - სოციალ-დემოკრატიული კოალიცია.

კეთილდღეობის სახელმწიფოებს მოქალაქეებისგან დიდი მხარდაჭერა აქვთ. საზოგადოებრივი აზრის არაერთმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა თანახმაა, რომ ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფო სისტემის შესანარჩუნებლად, მეტი გადასახადი გადაიხადოს. ფინეთში ჩატარებულ საზოგადოებირივი აზრის ბოლო გამოკითხვისას (EVA 2013, გვ. 61) გამოკითხულთა 80 %-მა თქვა, რომ მართალია, კარგი სოციალური უზრუნველყოფის და სხვა სახელმწიფო მომსახურების შენარჩუნება ძვირი ჯდება, მაგრამ ფინური კეთილდღეობის სახელმწიფო ამად ღირს. გამოკითხულთა მხოლოდ 10 % არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

ცხრილი 3. სახელმწიფო გადასახადი კორპრაციული შემოსავლიდან

| | 2000 | 2011 |
|---|---|---|
| დანია | 32.0 | 25.0 |
| შვედეთი | 28.0 | 26.3 |
| ფინეთი | 29.0 | 26.0 |
| ისლანდია | 30.0 | 18.0 |
| ნორვეგია | 28.0 | 28.0 |

კეთილდღეობის სახელმწიფო ყოველთვის ეკონომიკას და პოლიტიკას უკავშირდება. კეთილდღეობის სახელმწიფო ვერ იარსებებს ეკონომიკური რესურსების გარეშე. ნორდიკულ მოდელში მოხერხდა ერთმანეთთან შერწყმულიყო მდგრადი ეკონომიკური ზრდა და მაღალი გადასახადები. დამქირავებლებსაც და დაქირავებულ მუშაკებსაც სურდათ გადაიხადონ საყოველთაო სახელმწიფო მომსახურებების საფასური. ახლა სიტუაცია შეიცვალა. ნეოლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგია დაბალ გადასახადებს და მეტ მოგებას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო ძალიან ძვირია. დაქირავებული მუშაკები კვლავაც ძალიან უჭერენ მხარს მაღალ გადასახადებს. ხალხი ხედავს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის ღირს მაღალი გადასახადების გადახდა. სოლიდარობის იდეა ისევ ცოცხალია, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო კლასი იცვლის ქცევის მანერას. [...]

გაჩნდა ახალი ტენდენციაა - სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობა (იხ. Saari 2010, გვ. 42–43). ახლო წარსულის სტუქტურულმა, პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა და ახლანდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა სირთულეები შეუქმნა ნორდიკულ მოდელს. [...[ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობაში საშუალო კლასის წილი იზრდება, 1990-იანი წლების კრიზისმა ეს ზრდა შეაჩერა. მას შემდეგ სოციალურმა დაყოფამ იმატა. მოსახლეობაში ღარიბთა წილი გაიზარდა. ფინეთში, თუ 1994 წელს ბავშვების 5 პროცენტი ცხოვრობდა სიღარიბეში, 2008 წლისთვის ეს მაჩვენებელი 14 პროცენტამდე გაიზარდა. (Hiilamo 2010, გვ. 75). ნორდიკული მოდელის განვითარება დაფუძნებული იყო მშრომელთა მზარდ კლასსა და საშუალო კლასს შორის კლასობრივ კომპრომისზე. როგორც ჩანს, ამ კლასობრივ კომპრომისზე ხელახლა უნდა მოხდეს გარიგება. თანამედროვე საშუალო კლასის მოლოდინი და საჭიროებები ძალიან განსხვავდება 1950-იანი და 1960-იანი წლების ახალგაზრდა მშრომელთა საჭიროებებისგან.

მთავრობების მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ვერ შეანელა მზარდი სოციალური დაყოფა. პირიქით, ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფნი დააზარალა. სოციალური პოლიტიკა ძალიან მკაცრ საბიუჯეტო ჩარჩოებში მოექცა და უფრო შედარებითი გახდა ვიდრე უწინ იყო. პიროვნების კარგად ყოფნა უფრო მოცემული ჯგუფის კარგად ყოფნაზეა დამოკიდებული, ვიდრე საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურაზე (იხ. Saari 2010, გვ. 48).

ნორდიკულმა მოდელმა აშკარა რესტრუქტურიზაცია განიცადა. სახელმწიფო სექტორი უკვე აღარ არის მომსახურების ერთადერთი მომწოდებელი; საბაზრო ტიპის მომსახურება სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივი გახადა ყველგან. იმავდროულად სხვადასხვა შეღავათების დონემ დაიკლო და კლიენტებს მეტი ბიუროკრატიის და

მორალური კონტროლის ქვეშ გავლა უწევთ. ეკონომიკურ ელიტას ახლა უწინდელზე მეტი გავლენა აქვს. ეკონომიკური ელიტის ძირითადი მოთხოვნაა კეთილდღეობის სახელმწიფოს შეზღუდვა. ხალხი თავად უნდა იყოს საკუთარ ცხოვრებაზე სრულად პასუხისმგებელი. კეთილდღეობის სახელმწიფო აღიქმება, როგორც ძალიან მასიური და ძალიან ძვირადღირებული ტვირთი. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ელიტის ინტერესები ისეა ჩამოყალიბებული, როგორც მთელი მოსახლეობის ინტერესები, ე.ი. რაც კარგია მდიდრისთვის, ის ღარიბისთვისაც კარგია.

მომავალში თუ კეთილდღეობის ხარჯები შემცირდება, უთანასწორობა გაიზრდება. აქამდე ნორდიკული მოდელი ეფექტიანად ახერხებდა ყველაზე უქონელთა მხარდაჭერას. მომავალში ისინი, ვინც ფსკერზე არიან, იქვე დარჩებიან. ნორდიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე ეფექტიანი საშუალება თანასწორობის გასაძლიერებლად არის პრევენციული და პრო-აქტიული ღონისძიებები. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამგვარ სტრატეგიაზე დამყარებული პროგრამები თითქმის გაქრა და სტრატეგია უმეტესად არის რე-აქტიული.

ყოველთვის ძნელია მომავლის წინასწარმეტყველება. ჩვენ ის მაინც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ ახლანდელ მოვლენას გავლენა ექნება მომავალზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ ოთხი პრობლემა, რომლებიც მოგვარებას მოითხოვენ - განათლება, ჯანდაცვა, სიღარიბე და სოციალური პოლარიზაცია.

1. განათლება, როგორც პრობლემა. ქამრების შემოჭერის პოლიტიკის შედეგად, ბავშვთა მოსახლეობის მდგომარეობა ყველა ნორდიკულ ქვეყანაში გაუარესდა. განათლების რესურსები შემცირდა. საქმეში ჩახედული ადგილობრივი მუშაკები ხედავენ, რომ რესურსების მეტისმეტად დაზოგვამ ხელი შეუშალა სკოლის მუშაობას.

2. ჯანმრთელობა, როგორც პრობლემა. სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა. ხანდაზმული მოსახლეობის წილი სულ უფრო მეტი და მეტია; ეს ნიშნავს, რომ ჯანდაცვის სფეროში მეტი მომსახურებაა საჭირო. ყველა ასაკის და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებში იმატა მენტალურმა პრობლემებმა. ძალიან ძნელია ამ პროცესების შედეგების წინასწარმეტყველება.

3. სიღარიბე, როგორც პრობლემა. ყველა ნორდიკული ქვეყანა მსოფლიოს უმდიდრეს სახელმწიფოთა რიგშია. მაშინ რატომ გვაქვს სიღარიბე? ვის სჭირდება სიღარიბე? სტატისტიკის თანახმად, სიღარიბემ ყველა ნორდიკულ ქვეყანაში იმატა, განსაკუთრებით მარტოხელა მშობლების ოჯახებში. აგრეთვე საშუალოზე უფრო ცუდია მოსახლეობის იმიგრანტი ნაწილის მდგომარეობა.

4. სოციალური პოლარიზაცია, როგორც პრობლემა. დისტანცია ელიტასა და ჩვეულებრივ ხალხს შორის ყველა თვალსაზრისით იზრდება. ისინი სხვადასხვა

ენაზე ლაპარაკობენ და მათი ყოვლდღიურობა რადიკალურად განსხვავებულია. სოლიდარობა და მოწყვლადზე ზრუნვა, ყოველთვის იყო ნორდიკული მოდელის ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, ახლა სოლიდარობა სუსტდება.

ყველა ზემოაღნიშნული სირთულე მჭიდროდ არის დაკავშირებული უთანასწორობასთან. მეორე მხრივ, უთანასწორობა მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას. ამერიკელი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი (Stiglitz 2012) აცხადებს - "ჩვენ, ამერიკელებს, ძვირად გვიჯდება უთანასწორობა, რომელიც სულ უფრო მეტ და მეტ დაღს ასვამს ეკონომიკას - დაბალი პროდუქტიულობა, დაბალი ქმედითობა, დაბალი ზრდა, მეტი არასტაბილურობა. ამ დიდი უთანასწორობის, ცოტათი მაინც შემცირება, იმდენ სიკეთეს მოიტანს, რომ აუცილებლად გადააჭარბებს ამ საქმისთვის გაღებულ ხარჯებს" (იქვე 117). ეკონომიკური ზრდის წახალისება უთანასწორობასთან ბრძოლას ნიშნავს. ეს კარგია, მაგრამ როგორი იქნება შემდგომი ზრდის ეკოლოგიური შედეგები? ეს ცალგე განსჯის საგანია.

*დამატებითი საკითხავი ლიტერატურა*

## ბაზრის ელემენტები და თავისუფალი არჩევანი სოციალური მომსახურების სფეროში. 1982-2008 წლების ნორმატიული ცვლილებები. სოციალ-დემოკრატების მოჩვენებითი რეაგირება კანონიერების პრობლემებზე

ჯ. პეტერსენი[1]

### [...] კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფო

ბრიგსის (Briggs 1961) აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფოში ორგანიზებული ძალაუფლება გამიზნულად გამოიყენება ბაზრის ძალების მსვლელობის შესაცვლელად და ეს კეთდება სულ ცოტა სამი მიმართულებით:

(1) მიუხედავად იმისა, თუ როგორია პიროვნების თუ ოჯახის შრომის თუ ქონების საბაზრო ღირებულება, მას გარანტირებული აქვს მინიმალური შემოსავალი;

(2) შემცირებულია საფრთხის დონე იმით, რომ პიროვნებას თუ ოჯახს აქვს საშუალება მიიღოს გარკვეული სოციალური შემწეობა, რომლის გარეშეც პიროვნება თუ ოჯახი კრიზისში აღმოჩნდებოდა;

(3) ყველა მოქალაქეს, სტატუსისა თუ კლასის განურჩევლად, სთავაზობენ (კონკრეტული სფეროსთვის დადგენილი ნორმების ფარგლებში) საუკეთესო სტანდარტის სოციალურ მომსახურებას.

[1] Jorn Henrik Petersen

განსაკუთრებით კეთილდღეობის სკანდინავიურ სახელმწიფოებს ახასიათებთ მაღალი დონის ეკონომიკური თანასწორობა და შეღავათები, რომლებიც ყველასთვის არის. მასშტაბის (Korpi, Palme 1998), დეკომოდიფიკაციის (Esping-Andersen 1990) და მომსახურების ინტენსიურობის თვალსაზრისით, შემწეობის მოწოდება დაფუძნებულია კოლექტიურ გადაწყვეტილებაზე, კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე, კოლექტიურ დაფინანსებაზე, კოლექტიურ წარმოებაზე და ისეთი მაღალი ხარისხის მომსახურების კოლექტიურ მიწოდებაზე, რომ აღარ რჩება ადგილი საბაზრო, კონკურენტული სექტორისთვის, რომელიც მომხმარებლის თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული.

ადრეული წლების ცხარე კამათის კვალდაკვალ გაიზარდა კეთილდღეობის სახელმწიფოს მხარდაჭერა. ბურჟუაზიული ორიენტაციის პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც იმთავითვე კეთილდღეობის სახელმწიფოს წინააღმდეგნი იყვნენ, ნაწილობრივ მაინც, მისი მხარდამჭერები გახდნენ. კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპები ხორცშესხმული იყო საზოგადოების განცდებში და პარადიგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ.

## პარადიგმის რღვევა - კანონიერების კრიზისი

1970-იანი წლების შუაში დადგა კეთილდღეობის სახელმწიფოს კანონიერების საკითხი. 1973 წელს დანიაში გამართულ არჩევნებში ხმების თითქმის ერთი მესამედი მიიღო ხუთმა პარტიამ, რომლებიც წინა მოწვევის პარლამენტში არ იყვნენ წარმოდგენილი. პროფესორმა ჯორდან დიჩმა დაწერა წიგნი 'მმართველი კლასი', სადაც ავტორი კეთილდღეობის საქმეში ჩართული პროფესიონალების შესახებ მოგვითხრობს. 1970-იანი წლები იყო სუსტი სოციალ-დემოკრატიული მთავრობების ხანა. შვედეთის 1976 წლის არჩევნები ნაკლებად დრამატული იყო, მაგრამ სოციალ-დემოკრატების 44 წლიან მმართველობას ბზარი გაუჩნდა. ქვეყნის სათავეში ბურჟუაზიული ძალების კოალიციური მთავრობა მოვიდა ფალდინის მეთაურობით.

ორივე ქვეყანაში აკრიტიკებდნენ მაღალ გადასახადებს, კეთილდღეობის სისტემის გაფართოებას, სახელმწიფო მოსამსახურეების რაოდენობის ზრდას, თანასწორობაზე დახარჯულ დიდ ძალისხმევას და სახელმწიფო სექტორის უყაირათობას/არაეფექტიანობას. ბევრმა მხარემ დასვა საკითხი, იღებდნენ თუ არა გადასახადების გადამხდელები გადახდილი ფულის საფასურს. საჯარო დისკუსიები ფოკუსირებული იყო კეთილდღეობის წუნდებულ სახელმწიფოზე, მის ორგანიზაციულ ხარვეზებზე, მის თანმხლებ უარყოფით ეფექტებზე, სტანდარტიზაციის პროცესზე, მმართველობის მოძველებულ წესზე, პიროვნების არჩევნის უგულებელყოფაზე. გარდა ამისა, ნავთობის პირველი კრიზისის ფონზე, ეკონომიკური პირობები გაუარესდა. საზოგადოების განცდები იცვლებოდა. გაჩნდა კითხვები პარადიგმის შესახებ.

## დანიელი სოციალ-დემოკრატების რეაგირება

დანიაში ახალი სოციალ-დემოკრატიული პროგრამა (Socialdemokratiet 1977) გამოირჩეოდა უცნაური ამბივალენტურობით; ერთი მხრივ, რეორგანიზაცია იყო დაგეგმილი

და მეორე მხრივ, ლეგიტიმურობის კრიზისი იყო გაცნობიერებული. მანამდე გატარებულმა რეფორმებმა და გაძლიერებულმა სახელმწიფო სექტორმა ვერ მიაპყრეს საზოგადოების ცნობიერება და მხარდაჭერა მთავარი ამოცანებისკენ. მზარდი საჯარო სექტორით და სახელმწიფო მოხელეების მომრავლებით უკმაყოფილების გამო ბევრი მთავრობას აღიქვამდა არა როგორც მოსამსახურეს, არამედ, როგორც მფარველს. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, რომ მომავალი რეფორმები დაფუძნებული ყოფილიყო დეცენტრალიზაციაზე და არიდებოდნენ უყაირათობას და ბიუროკრატიზაციას. სახელმწიფო სექტორი ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ აღექვათ არა როგორც დამძალებელი და მარეგულირებელი ძალა, არამედ, როგორც შედეგი ერთობლივი ძალისხმევისა, მივცეთ თითოეულ პიროვნებას მეტი თავისუფლება, რათა დასუსტდეს ის ფასეულობები, რომლებიც ასაზრდოებენ თვითკმარ ინდივიდუალიზმს. [...]

სუსტი სოციალ-დემოკრატიულლი უმცირესობის მთავრობებს (1976-82) ძირითადად უხდებოდათ მაკროეკონომიკური საკითხების მოგვარება და ისიც ნაკლები წარმატებით. ფინანსთა მინისტრი ლაპარაკობდა კატასტოფის ზღვარზე მყოფ ქვეყანაზე. 1982 წელს მთავრობამ თავისი დამარცხება აღიარა და ახალი ბურჟუაზიული მთავრობა, არჩევნების გარეშე, ჩაუდგა ქვეყანას სათავეში.

## შვედი სოციალ-დემოკრატების რეაგირება

მას შემდეგ, რაც შვედმა სოციალ-დემოკრატებმა (ხელისუფლებაში მოსვლიდან 44 წლის შემდეგ) პოლიტიკური ძალაუფლება დაკარგეს, 1976-82 წლებში ქვეყნის სათავეში ბურჟუაზიული კოალიციური მთავრობა მოვიდა. მთავრობაში დაბრუნების მიზნით, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურმა ლიდერებმა 1976 წლის დამარცხების მიზეზად ამომრჩეველთა სახელმწიფო სექტორით, და ბიუროკრატიით უკმაყოფილება მიიჩნიეს (SAP 1981). იყო მოსაზრება, რომ პარტიას პასუხი უნდა გაეცა ნეოლიბერალების თავდასხმაზე და უნდა დაეცვა უწინ შემუშავებული, სახელმწიფო სისტემაში დამკვიდრებული ფასეულობები; მაგრამ მეტი ყურადღება უნდა მიექციათ ეფექტიანობისა და რაციონალიზაციისათვის, ისე, რომ გადასახადების სახით მოპოვებული ფული იქ დახარჯულიყო, სადაც უფრო დიდი ეფექტი ექნებოდა. პარტიამ შექმნა ლოზუნგი 'არ დავხარჯოთ მეტი ფული რეფორმებისთვის, არამედ განვავრცოთ რეფორმები ფულისთვის'.

## დანიისა და შვედეთის ახალი მთავრობები

დანიის ახალი, 1982 წელს მოსული, ბურჟუაზიული მთავრობის მიზნები იყო: ეკონომიკის აღდგენა და სახელმწიფო სექტორის გათანამედროვება. ამ ახალი სულისკვეთების ამსახველი ფრაზები იყო: 'ინდივიდუალური ინიციატივა და პასუხისმგებლობა', 'ხარისხი და თავისუფალი არჩევანი. შვედეთშიც 1982 წელს გამოიცვალა მთავრობა და ეს მთავრობაც ლაპარაკობდა ეკონომიკის აღდგენაზე და სახელმწიფო სექტორის განახლებაზე (SAP 1984). როგორც დანიური, ისე შვედური გეგმის მთავარი მახასიათებელი იყო მეტი ყაირათიანობა და ორივე გეგმა 'არჩევნის თავისუფლებას' გვთავაზობდა. [...] შვედები ამბობდნენ, რომ

კეთილდღეობის სახელმწიფოს ძალუმმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა, მეტი ყურადღება მივაქციოთ სოციალ-დემოკრატიული იდეის სხვა განზომილებას - თავისუფალ არჩევანს. სახელმწიფო სექტორის ფარგლებში (ხარისხის, თანასწორობის და საჭიროების შესაბამისი შემწეობის პირობებში) თითოეულ პიროვნებას უნდა მისცემოდა არჩევნის მეტი თავისუფლება. პრემიერ-მინისტრი ულოფ ფალმე (1984) ამტკიცებდა, რომ ძველმა ავტორიტარულმა საზოგადოებამ შექმნა ინსტიტუტები, ბიუროკრატია, იერარქია და კანონები, როგორც 'ბოროტი ადამიანისგან' დამცავი ფარი. ახლა ეს ინსტიტუტები უნდა მოემსახურონ კაცობრიობის მიერ მართულ კაცობრიობას - ნელ და რთულ გარდამავალ პროცესს. ორი წლის შემდეგ ფალმე (1986) აღნიშნავდა, რომ სხვადასხვანაირი საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს, თავისუფალი არჩევანი და გავლენა უნდა გაფართოვდეს, საჯარო სექტორი უნდა განახლდეს და უნდა გახდეს უფრო ეფექტიანი, უფრო მეტს უნდა მივაღწიოთ არსებული რესურსების მეშვეობით, ბიუროკრატია უნდა აღმოიფხვრას და  მეტი ალტერნატივა უნდა გაჩნდეს. [...] რაკი ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო სექტორში და სახელმწიფო სექტორის მიერ, ეს კი მისი (სახელმწიფო სექტორის) აღდგენის მხარდამჭერი არგუმენტია. ფალმე ამბობდა, რომ პრივატიზაცია არ იყო მისაღები გამოსავალი. მისი აზრით, სახელმწიფო სექტორში უნდა გაფართოებულიყო თავისუფალი არჩევანი. სახელმწიფო და საჯარო მომწოდებელს შორის არჩევნის საკითხს არ განიხილავდნენ. 1987 წელს დადგენილი პოლიტიკური გზამკვლევის (SAP 1988) მიხედვით, მოქალაქისთვის უნდა მიეცათ თავისუფალი არჩევანი სახელმწიფო მომსახურების ალტერნატიული ნაირსახეობებიდან და სახელმწიფო სექტორი გაჯერებული უნდა ყოფილიყო მომსახურების სულისკვეთებით.

ცოტა ხნის შემდეგ უფრო პრაგმატულმა ხედვამ გაიკვლია გზა. 1989 წლის ბოლოს მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო დახმარების დაფინანსების საკითხის გადასინჯვა. 1990 წელს ამას მოჰყვა კონკურენციის, არჩევნის თავისუფლების და  სახელმწიფო სექტორის მიღმა კონტრაქტების უფრო აშკარა მხარდაჭერა (იხ. Montin, Eliinder 1995). მანამდეც, სანამ 1991  წელს ბილდტის ბურჟუაზიული მთავრობა მოვიდოდა, ჭარბობდა პრაგმატული, აპოლიტიკური მოსაზრება 'მარკეტიზაციის' შესახებ.

## მოდერნიზაციის დანიური პროგრამა (1982-88)

1983 წლის ნოემბერში დანიაში წარმოადგინეს მოდერნიზაციის პირველი დეკლარაცია (Redegorelse 1983), რომელიც ცვლილებების პროცესის მომასწავებელი იყო.  [...] ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მეურვეობა და  პროტექციონიზმი უნდა შეცვალოს ინდივიდუალურმა პასუხისმგებლობამ, სურვილმა, ადამიანმა იზრუნოს საკუთარ თავზე და თავისუფალმა, პასუხისმგებლობიანმა არჩევანმა. პასუხისმგებლობა კოლექტივიდან პიროვნებას უნდა გადასცემოდა. აქტუალური გახდა ახალი ფასეულობები და კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს პარადიგმის შესახებ კითხვები დაიბადა. აღმოჩნდა, რომ ტერმინი 'პრივატიზაცია' მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის და იგი 'მოდერნიზაციამ' შეცვალა. მოდერნიზაცია კი ნიშნავდა უარის თქმას ბიუროკრატიულ სახელმწიფო სექტორზე, რომელიც იყო ძალიან ძვირი, ნაკლებად ორიენტირებული მომსახურებაზე და ძალიან დაღდასმული

ინსტრუქციებით და რეგულაციებით. [...] მოდერნიზაციას მოჰყვება ხარისხი, ყაირათიანობა, ნაყოფიერება და ამ ყველაფერს უნდა მივაღწიოთ თვითრეგულირებადი მექანიზმებით, კონკურენტული სისტემებით, დეცენტრალიზაციით. დეკლარაციაში წარსული წარმოდგენილი იყო ტერმინებით, რომელსაც ნეგატიური ელფერი დაჰკრავთ; რათა პასუხი გაეცათ საზოგადოების სკეპტიციზმზე, იმასთან დაკავშირებით, იღებს თუ არა გადასახადების გადამხდელი გადახდილი ფულის საფასურს. აქ მომავალი პოზიტიური ტერმინოლოგიით იყო აღწერილი. მთავრობამ გამოიყენა ცვლილების საშუალება, რომელიც მოიტანა კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს ლეგიტიმურობის პრობლემამ.

თუმცა აგრესიული არგუმენტები მალე უკომფლიქტოთი შეიცვალა. გაჩნდა ახალი სქემა. მაგრამ, მიუხედავად საზოგადოების განწყობის შეცვლისა და კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს კანონიერების პრობლემისა, მთავრობას უნდა მიეღო ეს სქემა. კეთილდღეობის სახელმწიფომ თავისთვის შექმნა ძლიერი დამცავი ალიანსი, რომელიც გავლენას ახდენდა საზოგადოების ემოციებზე და გავრცელებული პარადიგმების იდეებზე. დაპირისპირება კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი ელემენტების შენარჩუნების და ძირეული ცვლილებების მომხრეებს შორის მართლაც სერიოზული იყო.

მოდერნიზაციის მეორე დეკლარაციაში თითქმის ნახსენებიც არ იყო საბაზრო მექანიზმები და თავისუფალი არჩევანი. ამჯერად ავტორი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ კონკურენცია, მოთხოვნა და სხვა თვითრეგულირებადი მექანიზმები (თუ არ ეწინააღმდეგებიან პოლიტიკურ მიზნებს) შეიძლება, გამოსადეგი ინსტრუმენტები იყოს პრიორიტეტების დადგენისთვის და რესურსების მოძიებისთვის.

მოდერნიზაციის მესამე დეკლარაცია (Redegorelse 1986) კიდევ უფრო ფრთხილი იყო, როცა საქმე ბაზრის ხელშეწყობას და თავისუფალ არჩევანს ეხებოდა. ფინანსთა სამინისტროს კონსერვატორი სიმონსენი (Simonsen) ჩაუდგა სათავეში და ის, თავისი წინამორბედისგან, ლიბერალი ქრისტოფერსენისგან (Christoffersen) განსხვავებით, ბაზრის იდეებს არ უჭერდა მხარს. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ 'პრივატიზაცია' შეჩერდა. კონსერვატორების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის და სოციალური სექტორები აშკარად არიან საჯარო პასუხისმგებლობის ობიექტები და აქ პრივატიზაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. [...] ხოლო სიმონსენი ამბობდა, რომ მოდერნიზაციის პროგრამის მიზნებია რესურსების უკეთ მოხმარების უზრუნველყოფა, რათა სახელმწიფო სექტორი უფრო მეტად იყოს მომსახურებაზე ორიენტირებული და სახელმწიფო მოხელეებს ჰქონდეთ კარგი სამუშაო პირობები. ეს მან მოდერნიზაციის მეოთხე დეკლარაციის (Rodegwelse 1987) წარდგენისასაც გაიმეორა. მეოთხე დეკლარაციაში არც ბაზრის ხელშეწყობაზე იყო ლაპარაკი და არც თავისუფალ არჩევანზე. ამ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებული იყო სახელმწიფო სექტორის შიდა ადმინისტრირების პრობლემებზე.

შვედური განახლების და დანიური მოდერნიზაციის პროცესების საერთო მახასიათებელი ის იყო, რომ 1982-87 წლებში ორივე ქვეყანამ შეცვალა ორიენტაცია და ყურადღება გაამახვილა 'სახელმწიფო ადმინისტრირების ახლებურ' კომპლექსზე. ლაპარაკია პასუხისმგებლობის და კომპეტენციის დეცენტრალიზაციაზე, დაფინანსების შეცვლილ სისტემაზე, წესების და რეგულაციების გამარტივებაზე, ბიუჯეტის რეფორმებზე, ახალ ტექნოლოგიებზე (იხ. Gustafsson 1987). მოდერნიზაციის პირველი დეკლარაციის აგრსიული მიდგომა შეცვალეს უფრო მოკრძალებულმა იდეებმა მოდერნიზაციის შესახებ. მაგრამ სიტუაცია მალე შეოიცვალა. ამ ცვლილებისთვის ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა ნორდიკული

სოციალ-დემოკრატიული პარტიების ერთობლივი ანგარიში.

## ნორდიკული სოციალ-დემოკრატიული პარტიების და პროფკავშირების თანამშრომლობის კომიტეტის *(SAMAK, შემდგომში ჩვენ 'კომოტეტად' მოვიხსენიებთ)* ანგარიში

კომიტეტმა ადრე გააცნობიერა, ერთი მხრივ სტაგნაცია, გაზრდილი გადასახადები, ბიუროკრატიის კრიტიკა, სტანდარტიზაცია და  რეგულაციები, მეორე მხრივ კი დეცენტრალიზაციის სურვილი, ადგილობრივი დემოკრატია, რეგულაციების შემცირება, დახმარების მოწოდების სხვადასხვა საშუალების გამოჩენა, გადასახადების შემცირება და უფრო მეტი პიროვნული ავტონომია ტვირთად დააწვებოდნენ კეთილდღეობის კლასიკურ სახელმწიფოს. საზოგადოების ემოციები იცვლებოდა და კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს პარადიგმას ბზარი გაუჩნდა. საჭირო იყო 'ახალი ნორდიკული მოდელის' შემუშავება.

ამ საკითხზე მუშაობა 1984 წელს *მუნიციპალური საქმეების კომიტეტის* შექმნით დაიწყო. 1987 წელს კომიტეტმა წარმოადგინა ანგარიში (SAMAK 1987), სადაც, [...]  ხშირად იყო გამოყენებული 'რესტრუქტურიზაცია', 'მოდენიზაცია', 'ბიუროკრატიის აღმოფხვრა'. ანგარიში მხარს უჭერდა მომსახურების მოწოდებას ინდივიდუალური სქემით, თავისუფალი არჩევანი გამოცხადებული იყო კეთილდღეობის პოლიტიკის მონაპოვრად; რადგან  'თავისუფალმა საზოგადოებამ' შექმნა ბევრი ადამიანის თავისუფლებისთვის აუცილებელი ძირითადი უსაფრთხოება. 'უფრო მაღალი ხარისხის და უფრო დიდი თავისუფალი არჩევნის მოთხოვნები', რომლებიც სახელმწიფო სექტორს უპირისპირდებოდნენ, ახლა გამარჯვებად და გამოწვევად უნდა მიეჩნიათ. სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ: ის ფაქტი, რომ ჩვენ შევიმუშავეთ საჯარო კეთილდღეობა,  გვაკისრებს პასუხისმგებლობას, მის განვითარებასა და განახლებაზე. [...] აქ ყაირათიანობაზე/ეფექტიანობაზე, ნაყოფიერებაზე და ღირებულების შემცირებაზეც  იყო ყურადღება გამახვილებული. ფრაზები ამ დოკუმენტიდან,  წააგავდნენ დანიის ბურჟუაზიული მთავრობის რიტორიკას. ისიც კი ითქვა, რომ სამომავლოდ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მომხმარებელს გადაურიცხონ ნაღდი ფული და თავად აირჩიოს მომწოდებელი, თუ რა ტიპის და ღირებულების  მომსახურება სურს. უახლოესი მომავლისთვის ანგარიში რეკომენდაციას უწევდა კონკურენციას სახელმწიფო სექტორში, ხოლო კერძო მომწოდებლებზე უფრო ფრთხილად ლაპარაკობდა. [...]

## 1989-92 დანიის ბურჟუაზიული მთავრობის მიერ 1988-92 წლებში გაგრძელებული მოდერნიზაცია

მოდერნიზაციის მეხუთე დეკლარაციაში (Moderniseringsredegorelse 1989), [...] ლაპარაკი იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების შენარჩუნებაზე, მაგრამ დეტალური რეგულაციები და სისტემის მიმდინარე ზრდა უნდა შეჩერებულიყო. არ უნდა მომხდარიყო მოქალაქის ჩამოქვეითება 'კლიენტად'. სახელმწიფო მონოპოლიებს ბოლო უნდა მოჰღებოდათ. დაფინანსება და წარმოება/მოწოდება უნდა გამიჯვნოდნენ ერთმანეთს. მომხმარებელს თავად უნდა აერჩია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის და ეს

უზრუნველჰყოფდა ინდივიდუალური სურვილების გათვალისწინებას, მოწოდებული მომსახურების მრავალფეროვნებას, ყველასთვის ინდივიდუალური გამოსავლის პოვნას. ამ ყველაფრის შედეგად კი მიიღებდნენ მეტ ყაირათიანობას/ეფექტიანობას, ნაყოფიერებას და ნაკლებ ხარჯს. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელს, რომელიც იმავდროულად კომიტეტსაც (SAMAK) ედგა სათავეში, უხდებოდა ბალანსის დაცვა, რადგან სოციალ-დემოკრატებისთვის მისაღები იყო ბურჟუაზიული პარტიის პრინციპები, მაგრამ მიუღებელი იყო ამ პრინციპების პრაქტიკული ხორცშესხმის გზები (FF 1988/89: 9785-44).

მოდერნიზაციის მეექვსე დეკლარაცია (Modemiseringsredegorelse 1990) იყო ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ. მეშვიდე დეკლარაციას (Moderniseringsredegorelse 1991) ახასიათებდნენ, როგორც 'სისტემის შეცვლისაკენ სვლას'. მთავრობას ესმოდა, რომ საზოგადოების ემოციებისთვის მისაღები იყო ცვლილებების ლეგიტიმურობა; მაგრამ განგრძობადობის სემანტიკას ისევ იქით მივყავდით, რომ კეთილდღეობის საზოგადოების საფუძვლები (მაგ., ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი სკოლები და საავადმყოფოები) უნდა შენარჩუნებულიყო. დეკლარაცია ფოკუსირებული იყო 'ბაზრის მოდელზე, რომელიც კერძო სექტორში (კონკურენციის, ეფექტიანობის და ინოვაციებისდა გამო) მომხმარებელს მიაწოდებდა უკეთეს და უფრო იაფ მომსახურებას. ეს მოდელი მოქალაქეებს სოციალურ, განათლების და ჯანმრთელობის სექტორებში მომარაგების და დახმარებების თავისუფლად არჩევის საშუალებას მისცემდა. სურვილებს არ უნდა გაევლოთ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

მოდერნიზაციის (მერვე) უკანასკნელმა დეკლარაციამ (Redegorelse 1992a) მომხმარებელ-მომწოდებლის მოდელის არჩევის თავისუფლება გამოაცხადა. ამ მოდელში პოლიტიკური (ეკონომია, დისტრუბუცია, ხარისხი), ინდივიდუალური (ბენეფიტები,, მომწოდებელი) და პროფესიული (ყველაზე ყაირათიანი წარმოება) გადაწყვეტილებები გამიჯნული უნდა ყოფილიყო ერთმანეთისგან. [[...] დეკლარაცია [...] სისტემის შეცვლაზე ლაპარაკობდა - 'საზღვარგარეთ ლაპარაკობენ სკანდინავიურ მოდელზე, მაგრამ ჩვენ ამ მოდელის სულ უფრო მეტ და მეტ ხარვეზებს ვხედავთ. თუ მოხერხდება ამ დეკლარაციის იდეების ხორცშესხმა, შეიძლება, ვილაპარაკოთ 'ახალ დანიურ მოდელზე', ერთი ადამიანის კეთილდღეობაში პიროვნების უსაფრთხოება შერწყმული იქნება ბაზრის დინამიკასთან და თავისუფალ არჩევანთან'. [...] მთავრობის აზრით, საზოგადოების ემოციები ისე შეიცვალა, რომ შეიძლება ახალი პარადიგმაც მიიღონ და სოციალ-დემოკრატებიც ისე გაყუჩდნენ კომიტეტის (SAMAK) ანგარიშის გამო, რომ აღარ დასწამებდნენ მათ კეთილდღეობის სახელმწიფოს ნგრევას.

მთელი ათწლეულის (1982-92) განმავლობაში ბურჟუაზიული მთავრობა და მისი წარმომადგენლები სისტემატურად ლაპარაკობდნენ კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს შესახებ ნეგატიურ კონტექსტში, ხოლო 'ახალი დანიური მოდელის' შესახებ - პოზიტიურ კონტექსტში (იხ. ცხრილი 4). ეკონომიკური არგუმენტების საშუალებით, მოდერნიზაციის პროგრამა ცდილობს გარდაქმნას საზოგადოების ემოციები და შექმნას 'ჯანსაღი აღქმის' ახალი ფორმა, რომელიც თავსებადი იქნება ეკონომიკის და საზოგადოების სტრუქტურულ ცვლილებებთან. 'ახალი კულტურის' შექმნის ამ მცდელობაში არსებული ინსტიტუტების ხარვეზებია აღწერილი, ხოლო ბაზარი წარმოჩენილია, როგორც 'ჯანსაღი აღქმის' მაჩვენებელი, რადგან წინსმწრებმა ვარაუდებმა ფეხი მოიკიდეს საზოგადოების ემოციებში. მეორე მხრივ, კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს მხარდამჭერები საბაზრო მოდელს აღიქვამდნენ, როგორც დომინირების სისტემას, რომელიც უნდა გაკონტროლდეს

დემოკრატიული დაგეგმვით და კოლექტიურად მიღებული გადაწყვეტილებებით. ახალი იდეების თანახმად, ეს ნიშნავს პიროვნების მსხვერპლად გაღებას. ამ ახალი თვალსაზრისის თანახმად, ხელისუფლება და სახელმწიფო მწარმოებლები ართმევენ პიროვნებას ძალაუფლებას. ძალაუფლებას, რომლის აღდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მის მოქალაქეობრივ სტატუსს ჩაენაცვლება მომხმარებლის სტატუსი.

ცხრილი 4. 'ახალი დანიური მოდელის' ჩამოყალიბებაში მონაწილე მთავარი ელემენტები

| კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს მახასიათებლები | 'ახალი დანიური მოდელის' შესაბამისი მახასიათებლები |
|---|---|
| კოლექტივზე დაკისრებული პასუხისმგებლობა | ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და პიროვნების ნება თავი შეინახოს |
| წინამძღოლობა, პატრონობა/კონტროლი, ბიუროკრატია | ნდობა პიროვნების პასუხისმგებლობიანი არჩევნისადმი |
| ძვირადღირებული | ღირებულების შესატყვისად ეფექტიანი და მაღალნაყოფიერი |
| ხელისუფლების მიერ დეტალური რეგულირება | მოთხოვნასა და მომსახურებაზე ორიენტირებული, კონკურენციაზე დაფუძნებული თვითრეგულირებადი მექანიზმი |
| ცენტრალიზაცია | დეცენტრალიზაცია |
| მოქალაქეს აქვს კლიენტის/დამოკიდებულის სტატუსი | მოქალაქეს აქვს გამომყენებლის/მომხმარებლის სტატუსი |
| მონოპოლია | კონკურენცია |
| სტანდარტული მომსახურება | ინდივიდუალური მომსახურება, მრავალგვარობა |
| სხვის მიერ შერჩეული მომწოდებლები და დახმარებები | არჩევნის თავისუფლება |
| არსებულით კმაყოფილება | თვითადმინისტრირება |
| პოლიტიკური, კოლექტიური მოდელი | ბაზრის მოდელი |
| უფლებებზე ორიენტირებული | მოვალეობაზე/პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული |

ბურჟუაზიული მთავრობის გადადგომამდე სამი თვით ადრე, იუსტიციის მინისტრის იმპიჩმენტის შემდეგ, გამოქვეყნდა სახელმწიფო მომსახურების არჩევის თავისუფლების დეკლარაცია (Redegorelse 1992b). იმ დახმარებებს შორის, რომელთაც თავისუფალი არჩევის სისტემა მოიცავდა, წარმოდგენილი იყო სახლში პრაქტიკული დახმარება და ნაკლებად ინტენსიური ზრუნვა. იმ პირებს, რომლებსაც ყოველკვირეულად დახმარების საათების გარკვეული რაოდენობა ეკუთნოდათ, უნდა მიეღოთ სავარაუდო ხარჯების შესაბამისი ვაუჩერი. დამატებითი დახმარება პიროვნებას შეეძლო მუნიციპალიტეტისგანაც ეყიდა, თუ მუნიციპალიტეტი გადაწყვეტდა ასეთი დახმარების მიწოდებას. სოციალ-დემოკრატები (დროის გაწელვის მიზნით) ამბობდნენ, რომ სანამ ფინანსთა მინისტრის მიერ აღწერილი იდეები ამუშავდებოდა, აღარ უნდა ყოფილიყო მომლოდინეთა სიები, უნდა შემუშავებულიყო

‘მომხმარებლის გავლენის’ მექანიზმი და დაგეგმვის ინსტრუმენტი, უნდა უზრუნველყოფილიყო თანასწორი მოპყრობა (FF 1992/93: 2054 9 I). დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ახლა იდეოლოგიური სირთულეების წინაშე იდგა.

[...] სოციალ-დემოკრატები კონკურენციას აღიქვამდნენ, როგორც ყაირათიანობის გაზრდის საშუალებას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აპირებდნენ მის მხარდაჭერას. კონკურენცია უნდა დაებალანსებინა რესურსების სამართლიანად განაწილებაზე ზრუნვას, პიროვნებათა რისკების გათანასწორებას, პოლიტიკურ მმართველობას და პასუხისმგებლობას (RP 1992/93: 44). მემარცხენეები სკეპტიკურად უყურებდნენ ბაზართან ანალოგიას და არ მოსწონდათ ხიზილალის, პურის თუ რძის შესყიდვისა და ჯანმრთელობის თუ სოციალური მომსახურების ერთნაირი საზომით გაზომვა. ისინი შიშობდნენ, რომ საჯარო დაფინანსება ერთ დღეს შეწყდებოდა. [...]

## სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მმართველობისას დანიაში განვითარებული მოვლენები (1993-2001)

[...] ამ პერიოდში დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით დებატები წამოიწყო. დებატებს ბიძგი მისცა პარტიის გაზეთში (*Del fri Aktuc'lt, 10.02.1996)* გამოქვეყნებულმა სტატიამ, სადაც ლაპარაკი იყო, რომ მოქალაქეებს სურთ თავად გადაწყვიტონ რა დონის და როგორი მომსახურების მიღება უნდათ, ამიტომ სახელმწიფო სექტორმა სხვადასხვანაირი მომსახურება უნდა შესთავაზოს მოქალაქეებს და ეს მომსახურება ინდივიდუალურ საჭიროებებს თუ სურვილებს უნდა მოარგოს. ადამიანები გადახდილი ღირებულების შესატყვის მომსახურებას მოითხოვენ და ნაკლებად აინტერესებთ ვინ არის ამ მომსახურების მწარმოებელი თუ მომწოდებელი. არ არის ‘ბუნების კანონი’, რომ ბინაზე მომსვლელი იყოს სახელმწიფო მოხელე და, რომ გარკვეული ტიპის ოპერაციები ჩატარდეს კერძო საავადმყოფოში. ამან დიდი კამათი გამოიწვია და *(Detfri Aktuelt.* 12, 16, 17.02.1996), პრემიერ-მინისტრს რასმუსენს მოუწია გამოეცხადებინა, რომ საავადმყოფოებში ჩასატარებელი ოპერაციები და ხანდაზმულებზე ზრუნვა არ გადაეცემოდათ კერძო მომწოდებლებს (*Detfri Aktuelt,* 13 February 1996). მარტში სხვა ჯგუფმა მძაფრად გააკრიტიკა საბაზრო იდეოლოგიით თამაში *(Del fri Aktuelt.* 14.03.1996). სოციალ-დემოკრატიულ პროფილს გაძლიერება სჭირდებოდა. კიდევ ერთი ჯგუფი დავობდა პრაგმატული მანერით *(Det fri Aktuelt*, 6. 04. 1996). გაზეთის რედაქტორი კი წერდა *(Del fri Aktuelt*, 16.03.1996), რომ მას შემდეგ, რაც 1980-იან წლებში ბაზრის კონცეფციებმა მოიკიდეს ფეხი, სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ იდეოლოგიური სირთულეები. ამჯერად პარტია იბრძოდა, რომ ეპოვნა ბალანსი პიროვნულ თავისუფლებასა და კოლექტიურ სოლიდარობას შორის, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის, სოციალიზმსა და ლიბერალიზმს შორის. სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა მოენახა ოქროს კვეთა, ერთი მხრივ მშრომელთა ძალაუფლების წარმომადგენელ პარტიასა და მეორე მხრივ, თეთრსაყელოიანი მშრომელების წარმომადგენელ, კონსესუსის მაძიებელ პარტიას შორის. სურათი ძალიან დრამატული იყო. დებატები მანამ დუღდა, სანამ სექტემბერში პარტიის კონგრესმა არ მიიღო ახალი სამუშაო პროგრამა (Social- demokratiet 19%), რომელიც აცხადებდა, რომ ‘ზრუნვა არის საზოგადოების საქმე. ამ სფეროში ჩვენ არასოდეს ჩავრთავთ კერძო სექტორს’.

1998 წლის სექტემბრის კონგრესამდე სოციალ-დემოკრატების გაზეთმა (*Del J'ri Akiuell* 19.09.1998) გამოაცხადა, რომ დებატები კერძო სექტორის დასაქმების შესახებ მშვიდობით დამთავრდა. პოლიტიკური დეკლარაციის სამუშაო ვერსიაში ეწერა, რომ კეთილდღეობის საზოგადოება უნდა გათანამედროვებულიყო და განვითარებულიყო, რათა მოქალაქეები უკეთესი ხარისხით და არჩევნის მეტი თავისუფლებით უზრუნველეყო. ყველასთვის თანაბარად და თავისუფლად ხელმისაწვდომი (უმაღლესი ხარისხის) კეთილდღეობის მომსახურებები უნდა შეენარჩუნებინათ ამოცანის სახით და სოციალ-დემოკრატებს უნდა უზრუნველეყოთ ყველა საჯარო ვალდებულების ხარისხი, სათანადო სამუშაო გარემო და შესრულება.

ბაზრის მოდელები, კონკურენცია და არჩევნის თავისუფლება არ იყო პრიორიტეტული საკითხები სოციალ-დემოკრატიული მთავრობებისთვის, იმდენად, რომ ამ საკითხებს სერიოზულად არც განიხილვდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის არ იყო ადვილი განახლების პროცესისთვის თავის გართმევა, როცა განახლება ნიშნავდა კეთილდღეობის კლასიკური სახელმწიფოს (რომელთანაც პარტია თავს აიგივებდა) პრინციპებისგან გადახვევას. ახალი სამუშაო პროგრამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კოლექტიურ ორგანიზებას და დაფინანსებას. აქ იყო ფრთხილი მინიშნებები არჩევნის თავისუფლებაზე, მაგრამ საავადმყოფოში მკურნალობა, ხანდაზმულებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ზრუნვა სახელმწიფო სექტორის საქმედ უნდა დარჩენილიყო. ეს მოსაზრებები 2001 წელს პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტშიც იყო გამეორებული (Socialdemokratiet 2001).

## გაგრძელებული შვედური დებატები

[...] პერსონის (Persson) სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ხანდაზმულთა პოლიტიკის ახალი ეროვნული გეგმა წარმოადგინა (Proposition 1997/98: 113). ეს გეგმა სამ პრინციპს ეყრდნობოდა - პოლიტიკური ასამბლეის მმართველობა, (შეფასებით დადგენილი საჭიროებების თანახმად) კოლექტიური დაფინანსება და თანასწორი ხელმისაწვდომობა (მიუხედავად გადახდის უნარის). აღნიშნული იყო, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ბინაზე დახმარების სფეროში გახშირდა გარეშე პირების დაქირავება, მაგრამ მერე ეს მაჩვენებელი სტაბილური გახდა. აღინიშნა, რომ არაფერი მიანიშნებდა შემსყიდველ-მომწოდებლის სისტემის მიერ ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე (Socialstyrelsen 1996). როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნის თავისუფლებისგან და კონკურენციისგან გარიდებამ გარკვეული ძვრები გამოიწვია (Motion 1997/98: So43, 1997/98: So51), მაგრამ სოციალურმა კომიტეტმა გაფართოებული არჩევნის და ვაუჩერების გამოყენების იდეებზე უარი თქვა (Betankande 1997/98: SoU24). საპარლამენტო დებატების დროს (RP 1997/98: 120) სოციალ-დემოკრატებმა, სხვა მიზეზებთან ერთად, არსებული გეოგრაფიული უთანასწორების და შვედური მოდელის განადგურების საფრთხეც გაითვალისწინეს და არჩევნის თავისუფლების მოდელებს გაემიჯნენ. დებატები გრძელდებოდა სამი ბურჟუაზიული პარტიის აქტივობით (Motions 1997/98: So406: 1997/98: So43l : 1997/98: So433; 1997/98: So639; 1998/99: So230). მაგრამ, უწინ მიღებული ეროვნული გეგმის (რომელიც აშკარად არ შეიცავდა იდეებს არჩევნის თავისუფლების და კონკურენციის შესახებ) მომიზეზებით, მათ ყველა ინიციატივაზე უარი თქვეს. ბურჟუაზიული პარტიების

მხრიდან წნეხს აძლიერებდა ახალი აქტივობები; სხვა საქმეებთან ერთად, სოციალ-დემოკრატებს სტრატეგიის შეცვლისთვისაც აკრიტიკებდნენ. არ იქნა გათვალისწინებული არგუმენტი, რომ არ არსებობდა წინააღმდეგობა იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტებს გაეფორმებინათ გარეშე კონტრაქტები, უზრუნველეყოთ არჩევნის თავისუფლება და კონკურენცია (Betiinkande 2000/01: SoU9). გაგრძელებულ დებატებში ახალი მოსაზრებები არ გამოუთქვამთ, ამიტომ საკმარისია, რამდენიმე დაკვირვებაზე შევაჩეროთ ყურადღება. [...]

## გლობალიზაცია და სოციალური პოლიტიკა

დიაკონიძე, ა., ჯულუხაძე, თ.,

### რა არის გლობალიზაცია?

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ტერმინი „გლობალიზაცია“ აქტიურად გამოიყენება სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დისკურსში. სოციალური პრობლემები, როგორიცაა შიმშილი, სიღარიბე, უთანასწორობა, კლიმატური ცვლილებები, ხშირად სწორედ გლობალიზაციის შედეგად განიხილება, თუმცა ამავდროულად მეორე მხარე ამტკიცებს, რომ გლობალიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს მოსაზრებები ცხადყოფს, რომ გლობალიზაციას ნამდვილად მოაქვს სერიოზული, შესამჩნევი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც სოციალური პოლიტიკის შემუშავების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

გლობალიზაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც „სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების ერთობლიობა, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან მახასიათებლებს განსაზღვრავენ. ეს მახასიათებლებია: ძალიან მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება ეროვნულ საზღვრებს მიღმა და ამ კავშირების დამყარების სიჩქარის, სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა. მსგავსი სახის ურთიერთობები აკავშირებს გეოგრაფიულად ძალიან დაშორებულ ადგილებს და შესაძლებელს ხდის იმას, რომ მსოფლიოს ერთ წერტილში მომხდარმა ფაქტმა ზეგავლენა იქონიოს ათასობით კილომეტრით დაშორებულ ქვეყნებზე“ (Baldock 2007).

გლობალიზაციის კონცეფცია განსაკუთრებით პოპულარული გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის და ბერლინის კედლის რღვევის შემდეგ, რამაც კაპიტალიზმის განვითარებას შეუწყო ხელი. პოლიტიკურ და ეკონომიკურ დისკურსში გლობალიზაცია სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესუსტებასთან ასოცირდება: მრავალი ანალიტიკოსი მიუთითებს, რომ სახელმწიფო აღარ არის საკუთარ ფარგლებში გადაწყვეტილების ერთადერთი მიმღები. მაგალითად, ის სრულად ვეღარ აკონტროლებს თავის ეკონომიკას, რადგან ტრანსნაციონალური კომპანიები მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებენ, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის შექნის პროცესში უფრო და უფრო აქტიურ როლს საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები და ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირი) თამაშობენ. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები განსაკუთრებით აქტიურობენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ცდილობენ რა მიაღწიონ ამ ქვეყნების ეკონომიკის მაქსიმალურ დერეგულაციასა და ლიბერალიზაციას (Baldock, 2007).

გლობალიზაცია ასევე ნათლად აისახება ცხოვრების სხვა სფეროებში, განსაკუთრებით კულტურაში. როგორც რიტცერი წერს (Ritzer, 2009), აღნიშნულის კარგი გამოვლინებაა საზოგადოების ე.წ. „მაკდონალდიზაცია“, რაც კულტურული კონვერგენციის თეორიის შემადგენელი ნაწილია. ამ თეორიის ძირითადი იდეა მდგომარეობს მოსაზრებაში, რომ გლობალიზაციის შედეგად იზრდება „ერთგვარობა“ მსოფლიოს მასშტაბით, კულტურები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში უფრო და უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს. აღნიშნული თეორიის მიმდევრები ასევე იზიარებენ კულტურული იმპერიალიზმის იდეას, რაც ერთი ან რამდენიმე დომინანტი კულტურის მიერ ადგილობრივი კულტურების მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულ ექსპანსიას გულისხმობს. კულტურული ექსპანსია ჩრდილოეთიდან სამხრეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ტრადიციულის, ეროვნულისა და ადგილობრივის კონსიუმერიზმით, პოპმუსიკითა და ჰოლივუდური ფილმებით ჩანაცვლებას გულისხმობს (Ritzer, 2009).

ზემოთ აღწერილი იდეები, როგორც კულტურის, ისე ეკონომიკის სფეროში, ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს (ალტერნატიულად ადგილობრივი კულტურის) შესუსტებულ როლზე მიუთითებს. თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც არ ეთანხმება სახელმწიფოების შემცირებული სუვერენიტეტისა და უმწეოდ დარჩენილი ქვეყნების იდეას. მაგალითად, ვაისი (Weiss, 2004) მიუთითებს, რომ პირიქით, ზოგიერთი ქვეყანა ენთუზიაზმით

ერთვება გლობალიზაციის პროექტში და აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესის ფორმირებაში. იგივე ავტორი წერს, რომ არასწორია გლობალიზაციის ტრადიციული გაგება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოები იძულებული არიან შეამცირონ სოციალური დანახარჯები ინვესტორების მოზიდვის მიზნით. რეალურად, გლობალიზაცია არა შემზღუდველი, არამედ პირიქით, შესაძლებლობების მიმცემია სახელმწიფოსათვის. რაც უფრო იზრდება მოსახლეობაში გლობალიზაციისაგან გამოწვეული სოციალური დაუცველობის შიში, მით უფრო მეტად ცდილობს სახელმწიფოს ლეგიტიმური ძალაუფლება გაზარდოს სოციალური დაცვის პროგრამები (Weiss, 2004). არსებობს რიგი კვლევებისა, რომლებიც ადასტურებენ კავშირს ქვეყნის ეკონომიკურ ღიაობასა და სოციალურ დანახარჯებზე გაზრდილ მაჩვენებლებს შორის (Quinn, 1997).

აღნიშნულის მიუხედავად, დასაწყისში ჩვენი აღწერილი ვერსია, რომელიც გლობალიზაციის ჩომსკისეულ (Chomsky, 1999) ნეოლიბერალურ ვარიანტს წარმოადგენს, დღემდე საკმაოდ პოპულარულია. ნეოლიბერალური გლობალიზაცია, მოკლედ რომ ვთქვათ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას და შესაბამისად, ეროვნულ დონეზე სოციალური დაცვის სისტემის შესუსტებას გულისხმობს. ეს, ბუნებრივია, მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებას იწვევს.

სწორედ აღნიშნული ტენდენციების გამო ხშირია სოციალური პროტესტი მსოფლიოს მასშტაბით. პირველ რიგში შეგვიძლია დავასახელოთ გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად ევროპის ე.წ. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის (anti-austerity) წინააღმდეგ მიმართული პროტესტი, ასევე ზოგადად სოციალური, გარემოსდაცვითი თუ შრომითი მოძრაობები. განსაკუთრებით ძლიერდება ე.წ. ანტიგლობალისტური მოძრაობა, რომლის წარმომადგენლები სხვადასხვა ფორმით ცდილობენ შეანელონ გლობალიზაციით გამოწვეული უარყოფითი პროცესები. მაგალითად, ისინი ითხოვენ მოხდეს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის რეგულაცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, ახალი ტექნოლოგიების (მაგ., გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება) შემოღება და ა.შ. მეორე მხრივ, გლობალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე საფუძველს აძლევს ქსენოფობიურ, ანტიიმიგრაციულ პოლიტიკას, რომელიც ნაციონალიზმის საფუძველზე ვითარდება (Baldock, 2007).

**გავლენა სოციალურ პოლიტიკაზე**

სოციალური პოლიტიკის ტრადიციული ანალიზი გულისხმობს, რომ კეთილდღეობის სერვისები, პოლიტიკა და ინსტიტუტები ერთი ქვეყნის ფარგლებში იქმნება და მხოლოდ მისი მოქალაქეებისათვის მოქმედებს. თუმცა გლობალიზაცია სწორედ ამ საბაზისო პრინციპს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

თუ ისტორიას უკეთ ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ სოციალური პოლიტიკა თავიდანვე იყო მოქცეული გარკვეული საერთაშორისო ზეგავლენის ქვეშ: მაგალითად, ბრიტანულმა კოლონიალიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის ყოფილ კოლონიებში (ავსტრალია, ირლანდია, ინდოეთი) სოციალური დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია, რომ იდეების ექსპორტს არა მარტო კოლონიალიზმი უწყობდა ხელს. მაგალითად, იაპონიამ კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა დასავლეთისგან ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს გადაიღო (Goodman&Peng, 1996). მეორე მხრივ, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ, ეს ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული იდეების, განსაკუთრებით კი კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის, ფართო პროპაგანდას ეწევა. ამდენად, იმის მტკიცება, რომ სოციალური პოლიტიკის გლობალიზაცია სრულიად ახალი ფენომენია, ძალიან სუსტი არგუმენტი იქნება (Baldock, 2007).

მიუხედავად იმისა, თუ რა ჭრილში ვუყურებთ გლობალიზაციას, ფაქტია, რომ მას თან ახლავს მთელი რიგი ახალი გამოწვევებისა სოციალური პოლიტიკისათვის: ხალხის გაზრდილი მობილობა ხშირად განვითარებული ქვეყნებისათვის მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემად გარდაიქმნება. ამ უკანასკნელთა უმეტესობა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. ხშირ შემთხვევაში უმუშევრობისა და დასაქმების საკითხები წყდება არა ქვეყნის დონეზე, არამედ იმის მიხედვით, თუ სად აკეთებენ ინვესტირებას საერთაშორისო კომპანიები და ა.შ.

სწორედ აღნიშნული გამოწვევების არსებობამ წარმოშვა კვლევის ახალი სფერო, რომელიც გლობალიზაციის შედეგების გაანალიზებას და, შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის თეორიული და კონცეპტუალური საკითხების ხელახლა გააზრებას ცდილობს. ამ სფეროში სამეცნიერო ლიტერატურა არ არის მრავლისმომცველი და ბევრი ხარვეზიც აქვს: კვლევების უმეტესობა ძირითადად განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს ეხება, მათი უმრავლესობა მხოლოდ კონკრეტულ სერვისზე ან სექტორზე აკეთებს აქცენტს (მაგ., ჯანდაცვის სისტემების შედარებითი ანალიზი), ამ კვლევებიდან მიღებული შედეგების გენერალიზება

განსხვავებულ სოციალურ საკითხებზე, სფეროებზე და ა.შ. ხშირად არასწორად ხდება (Bsldock, 2007).

ზემოთქმულის მიუხედავად, შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი ძირითადი იდეა, რომლებიც აღნიშნულ ლიტერატურაში ძირითადი განსჯის საგანია:

1. ფსკერისაკენ სწრაფვა (რაცე ტო ტჰე ბოტტომ): ქვეყნები იმყოფებიან საერთაშორისო კონკურენციის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მისაზიდად. ამის გამო ისინი ამცირებენ სოციალურ დანახარჯებს და ცდილობენ მაქსიმალური დერეგულაციითა და ლიბერალური პირობებით მიიზიდონ ინვესტიციები. აღნიშნული ქმედებები მნიშვნელოვნად აუარესებს სოციალურ-ეკონომიკურ ფონს;

2. სოციალური სერვისების უნივერსალური, საჯარო მიწოდება ჩანაცვლებულია კერძო მიწოდებით, რასაც უზრუნველყოფენ მოხალისე, არაფორმალური თუ უმეტესწილად კომერციული აქტორები;

3. მწვავე დისკუსიის საგანია ის, თუ რამდენად ხდება (ან უნდა ხდებოდეს) აღნიშნული სერვისების მიწოდება და რეგულაცია საერთაშორისო დონეზე;

4. იზრდება რეგიონული და გლობალური ორგანიზაციების ზეგავლენა ეროვნულ დონეზე სოციალური პოლიტიკის ფორმირებასა და კეთილდღეობის სახელმწიფოს ტრანსფორმაციაზე; აღნიშნული თემების დეტალური განხილვის დროს ნათელი ხდება, რომ ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

ბეკის (Bეცკ, 2000) ანალიზით, გლობალიზაცია სოციალ-დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფოს დასასრულის მომასწავებელია. მისი აზრით, გლობალიზაცია ართმევს სახელმწიფოს ძალაუფლებას, თავისი ქვეყნის მასშტაბით მოახდინოს შემოსავლების გადანაწილება (რედისტრიბუცია) და განახორციელოს სრული დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა. საერთაშორისო კონკურენცია ამცირებს ხელფასებს, ხოლო სოციალური დაცვის სისტემა დიდი წნეხის ქვეშ ექცევა, რადგან მისი ხარჯი ძვირია და მაღალ გადასახადებს ითხოვს, რაც, თავის მხრივ, ინვესტიციების მოზიდვას უშლის ხელს. ეს უკანასკნელი კი კეთილდღეობის სახელმწიფოების არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება. მარტივად რომ ვთქვათ, კონკურენცია ინვესტიციების მოსაზიდად უბიძგებს ქვეყნებს, დაბლა დასწიონ სოციალური სტანდარტები (ფსკერისაკენ წავიდნენ). იმდენად, რამდენადაც საჯარო/სახელმწიფო პასუხისმგებლობა იზღუდება, უნივერსალური ტიპის კეთილდღეობის სახელმწიფოების ჩანაცვლება ხდება რეზიდუალური ტიპის კეთილდღეობის სისტემებით, სადაც კეთილდღეობის

მიწოდებაში სახელმწიფო ძალიან მცირე როლს ასრულებს და ეს ფუნქცია არასახელმწიფო (ძირითადად კომერციულ) მოთამაშეებზე გადადის. სახელმწიფოს როლი დაიყვანება მხოლოდ ისეთი ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის არის საჭირო. მარტივად რომ ვთქვათ, გლობალიზაცია ნეოლიბერალიზმს აქცევს დომინანტურ დოქტრინად. ეს მოსაზრება „პესიმისტური მარქსიზმის“ სახელითაც არის ცნობლი, თუმცა მას ბევრი არამარქსისტი ავტორიც იზიარებს. ისტორიული ინსტიტუციონალიზმის თეორეტიკოსები აღნიშნულს კეთილდღეობის სახელმწიფოების კონვერგენციის (welfare convergence) სახელით მოიხსენიებენ, რაც ნიშნავს, რომ გლობალიზაციის წნეხი ყველა ქვეყანას ერთი „ნეოლიბერალური ნაპირისაკენ“ მიაქანებს, შესაბამისად, ყველა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ფორმირების ტრაექტორია მსგავსია და სრული დერეგულაციისაკენ მიდის (Baldock, 2007). მიუხედავად იმისა, თუ რა ჭრილში ვუყურებთ გლობალიზაციას, ფაქტია, რომ მას თან ახლავს მთელი რიგი ახალი გამოწვევებისა სოციალური პოლიტიკისათვის: ხალხის გაზრდილი მობილობა ხშირად განვითარებული ქვეყნებისათვის მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემად გარდაიქმნება. ამ უკანასკნელთა უმეტესობა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. ხშირ შემთხვევაში უმუშევრობისა და დასაქმების საკითხები წყდება არა ქვეყნის დონეზე, არამედ იმის მიხედვით, თუ სად აკეთებენ ინვესტირებას საერთაშორისო კომპანიები და ა.შ. სწორედ აღნიშნული გამოწვევების არსებობამ წარმოშვა კვლევის ახალი სფერო, რომელიც გლობალიზაციის შედეგების გაანალიზებას და, შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის თეორიული და კონცეპტუალური საკითხების ხელახლა გააზრებას ცდილობს. ამ სფეროში სამეცნიერო ლიტერატურა არ არის მრავლისმომცველი და ბევრი ხარვეზიც აქვს: კვლევების უმეტესობა ძირითადად განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს ეხება, მათი უმრავლესობა მხოლოდ კონკრეტულ სერვისზე ან სექტორზე აკეთებს აქცენტს (მაგ., ჯანდაცვის სისტემების შედარებითი ანალიზი), ამ კვლევებიდან მიღებული შედეგების გენერალიზება განსხვავებულ სოციალურ საკითხებზე, სფეროებზე და ა.შ. ხშირად არასწორად ხდება (Baldock, 2007).

აღნიშნულის საპირისპიროდ, მეცნიერთა მეორე ჯგუფი მიიჩნევს, რომ „ერთი ნაპირისაკენ ცურვის თეორია“ არასწორია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღიარებენ გლობალიზაციის არსებობას, მათი აზრით, ქვეყნების შიდა ინსტიტუციური წყობა და მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც არბილებს ან, ზოგ შემთხვევაში, მიმართულებას უცვლის შედეგს, რაც გლობალიზაციას კეთილდღეობის სახელმწიფოზე აქვს. შესაბამისად, ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: იდეოლოგიების ბუნება

და სიძლიერე, კულტურული, რელიგიური ღირებულებები და ტრადიციები, სოციალური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი მოძრაობების ზეგავლენა, პოლიტიკურ ძალებს შორის ბალანსი და ა.შ. (Baldock, 2007). განვითარებადი ქვეყნების კვლევები ადასტურებს, რომ საერთაშორისო შეთანხმებების, სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამების (სტრუქტურული ცვლილებების) ეროვნულ დონეზე განხორციელება საკმაოდ განსხვავდება პოლიტიკის სფეროების მიხედვით და დამოკიდებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა ხელისუფლების იდეოლოგია, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების მემკვიდრეობა ამა თუ იმ ქვეყანაში, ინტერესთა ჯგუფების განლაგება და ა.შ. ამრიგად, თავიანთი ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური სტრუქტურების გათვალისწინებით, ქვეყნებს სოციალური პოლიტიკის შემუშავების განსხვავებული სტრატეგიები ჩამოუყალიბდათ, რომელთაც ისინი ინარჩუნებენ საგარეო ფაქტორების ზემოქმედების მიუხედავად. აღნიშნულ მოვლენას სოციალური პოლიტიკის განვითარების გზის შესწავლისას „განგრძობად განსხვავებულობას“ (continued divergence) უწოდებენ (Baldock, 2007).

ბოლოს, გლობალიზაციასა და სოციალურ პოლიტიკას შორის კავშირის ანალიზისას, უნდა ვისაუბროთ ლიტერატურის კიდევ ერთ მიმართულებაზე, რომელიც ცდილობს კეთილდღეობის სახელმწიფოში მომხდარი ცვლილებები დაუკავშიროს ქვეყნების შიგნით მიმდინარე მოვლენებს და არა გლობალიზაციას. აღნიშული მოსაზრების წარმომადგენელია პიერსონი (Pierson in Baldock, 2007), რომლის აზრითაც, გლობალიზაციას არსობრივად დიდი ეფექტი არ ჰქონია კეთილდღეობის სახელმწიფოს შინაარსისა და მიმართულებების ტრანსფორმაციაზე. მისი აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფო აქამდე არნახული ფინანსური წნეხის ქვეშაა, მაგრამ ამისი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, შიდა სოციალური ცვლილებებია (მაგ., სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა) და არა გლობალიზაცია. მართალია, პიერსონი აღიარებს, რომ გლობალიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია გარკვეული ცვლილებებისთვის, მაგრამ ეს ცვლილებები განპირობებულია შიდა ფაქტორებით, გლობალიზაციამ შეიძლება უფრო გაამწვავოს ეს პრობლემა, თუმცა არ წარმოადგენს მის გამომწვევ ფაქტორს. უფრო მეტიც, სკეპტიკოსების მომხრეთა მსგავსად, მისი აზრით, გადამეტებული ხაზგასმა საერთაშორისო ეკონომიკური აქტორების როლზე საფუძველს აძლევს ხელისუფლებას ამა თუ იმ სფეროში წარუმატებლობა მათ გადააბრალონ და თავი გაიმართლონ, რომ ამ გარდაუვალი ძალის წინაშე მათ არაფრის კეთება არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომ ჩვენ ვერ ვხედავთ (და ვერც ვერასდროს ვნახავთ) კეთილდღეობის სახელმწიფოს დასასრულს,

როგორც ამას მარქსისტი პესიმისტები წინასწარმეტყველებენ (Pierson ციტირებულია Baldock, 2007-ის მიხ.).


გამოყენებული ლიტერატურა:

Baldock J., Manning N., Vickerstaff S. (2007). Social Policy. Oxford University Press.

Beck U. (2000). What is Globalization, Wiley;

Chomsky N. (1999). Profit over People: Neoliberalism and Global Order, New York;

Goodman R. and Peng I., (1996). The East Asian Welfare States, Peripatetic Learning, Adaptive Change and Nation Building in G. Esping-Andersen (ed.). Welfare States in Transition: National Adaptation in Global Economies. London: Sage.

Ritzer G. (2009). Globalization - The Essentials, Pine Forge Press;

Weiss L. (2004). States in the Global Economy, Bringing domestic institutions back in, Cambridge University Press;

Quinn D.(1997), in Weiss L. (2004), States in the Global Economy, Bringing domestic institutions back in, Cambridge University Press.

# გლობალური ცვლილებების ზეგავლენა სიღარიბეზე

გლობალური ცვლილებები დიდ ზეგავლენას ახდენს სიღარიბეზე. ჩვენ განვიხილავთ კლიმატის ცვლილებისა და პოლიტიკის ზეგავლენას ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ჰალიგატე და კოლეგები (2014) კლიმატური ცვლილებების შედეგად სიღარიბიდან თავის დაღწევის შესაძლებლობების გააზრებას ოთხ ასპექტზე დაყრდნობით გვთავაზობენ: მოხმარება, აქტივები, პროდუქტიულობა და შესაძლებლობები.

**დავიწყოთ მოხმარებით:** კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვითი პოლიტიკა ზემოქმედებს როგორც პროდუქტის ფასებზე, ასევე ენერგო რესურსებისა და მიწის ფასებზე. საკვების ფასი შესაძლოა გაიზარდოს მოსავლის სიმწირის ან გარემოს დაცვითი პოლიტიკის შედეგად, რაც უკავშირდება მაგალითად მიწის გამოყენებას სასოფლო სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად. ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის ძალისხმევის პარალელურად, კლიმატის ცვლილებების ზემოქმედებით იცვლება ფასები საკვებზე სოფლის სამეურნეო პროდუქტებზე, დაავადებებსა და პესტიციდებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საკვებზე ფასების ზრდა განურჩევლად ყველაზე მოქმედებს, საკვებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი ღარიბი ოჯახების მოწყვლადობას დიდწილად განაპირობებს. ღარიბები საკვებზე თავიანთი შემოსავლიდან გაცილებით მეტს ხარჯავენ (საშუალოდ ბიუჯეტის 62%-ს) ვიდრე არაღარიბები (საშუალოდ ბიუჯეტის 44%-ს). თუმცა, რასაკვირველია ეს განპირობებულია იმით, თუ რამდენად დამოკიდებულები არიან ისინი მაგალითად, საკვების საერთაშორისო ბაზარზე, და მათ უნარზე მოარგონ დიეტა უფრო იაფ მოსავალს, ან იმპორტულ და არა ადგილობრივ პროდუქციას ან პირიქით.

**რაც შეეხება აქტივებს** - კლიმატის ცვლილება განსაზღვრავს სიკეთეებისაგან უკუგების მაჩვენებელს, შესაბამისად ზემოქმედებს ოჯახების მიერ კაპიტალის აკუმულირების უნარზე. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციურად სარისკო ადგილმდებარეობა მდიდრებს უფრო იზიდავს ვიდრე ღარიბებს, მტკიცებულება ცხადყოფს, რომ მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფებისას ღარიბები უფრო დაზარალდნენ ვიდრე მდიდრები, მაგალითად, ჰანდურასში ჰურიკანი *მიტჩის* შედეგად ღარიბთა 31%-მა დაკარგა სიკეთეები, და მდიდართა მხოლოდ 8%-მა.

კლიმატის ცვლილების ზეგავლენამ ჯანმრთელობაზე შესაძლოა უარყოფითი ეფექტი მოახდინოს სიღარიბის დინამიკაზეც. მტკიცებულებები ცხადყოფს კატასტროფების შემდგომ მოხმარების შემცირების უარყოფით ზეგავლენაზე ღარიბ

ოჯახებში ბავშვთა კვებაზე. დაბალხარისხიანმა და/ან ასარაკმარისმა კვებამ კი <2 წლის ბავშვთა განვითარებაზე განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა. ჰოდინოტი (2006) კი საუბრობს ქალთა სხეულის ინდექსის 3%-ით შემცირებაზეც. თუმცა ეს უკანასკნელი გამოსწორდა მომდევნო წლებში, მაშინ როდესაც ბავშვთა პრობლემები ასე მარტივად არ აილაგმა. ჯენსენი (2006) ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილებების უარყოფით ზეგავლენას განათლებაზე. ის საუბრობს, მაგალითად გვალვის შემდეგ, სკოლის გაცდენის მაჩვენებლის 20%-იან ზრდაზე და სწავლის დაწყების 3.7 თვიან შეყოვნებაზე, და აკადემიური ჩამორჩენის მაჩვენებლის 0.4%-ით ზრდაზე. გარდა ამისა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შოკები, ოჯახებს უბიძგებს მაღალპროცენტიანი სესხების აღებისაკენ, რაც კიდევ უფრო აღრმავებს მათ სიღარიბეს (კრიშნა, 2006). ამიტომ ფინანსური ინკლუზია და უნივერსალური ჯანდაცვა შესაძლოა აღმოჩნდეს მძლავრი ინსტრუმენტი კლიმატის ცვლილებებით წარმოქმნილი ჯანმრთელობის შოკის შედეგად გაღარიბების წინააღმდეგ.

სოციალური კაპიტალი, რომელიც არის სოციალური ქსელისა და კონტაქტების, ნორმებისა და პრეფერენციების ნაერთი, განსაზღვრავს სოციალურ ქცევას და შესაძლოა დაზარალდეს სტრესორებისაგან, მაგალითად როგორიცაა კონფლიქტები. თუმცა გარემოსა და კლიმატის ცვლილებების ზეგავლენა კონფლიქტებზე სამომავლო კვლევის საკითხია, რაზეც ყოველწლიურად სულ უფრო მეტი იწერება. მაგალითად, რენსონი (2014) საუბრობს ძლიერ კორელაციაზე ტემპერატურის ცვლილებასა და დანაშაულს/ძალადობას შორის. მისი მტკიცებით, ტემპერატურის ზრდა გავლენას ახდენს მკვლელობების, გაუპატიურებისა და სხვა სახის ძალადობის ზრდაზე. განვითარებულ სამყაროში, ეს ცვლილება ზეგავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, განვითარებადში კი ლაიერი და ტოპალოვა (2014) ასეთ ტრაექტორიას ხედავენ ინდოეთის მაგალითზე: ამინდის ზეგავლენას ახდენს შემოსავალზე, ეს უკანასკნელი კი დანაშაულზე. ბურკესა და კოლეგების (2014) მეტა-ანალიზი ამტკიცებს, რომ ტემპერატურის ერთი სტანდარტული დევიაცია 1.2%-ით ზრდის ინტერპერსონალურ კონფლიქტებს, ხოლო 4.5%-ით ჯგუფთა შორის კონფლიქტებს. ასევე აღსანიშნავია, წვიმის კუმულაციური ეფექტი ჯგუფებს შორის კონფლიქტზე, ის 3.5%-ით იზრდება ყოველ სტანდარტულ დევიაციაზე. თუმცა, მიუხედავად ცხარე დებატებისა, დაუდასტურებელია ძლიერი პოზიტიური კორელაცია დათბობასა და შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის (ადგერი და კოლეგები, 2014).

სოციალური კაპიტალი შესაძლოა უკავშირდებოდეს მზარდ კარგად-ყოფნას, რადგან კოლექტიური ქმედების გაღვივების პოტენცია აქვს, რაც საბაზრო თუ სამთავრობო მარცხის გადალახვის საშუალებას იძლევა (პატნემ, 1993, ბოულსი და ჯინტის, 2002). სხვა უსაფრთხოების ქსელის არარსებობისას, სოციალური კაპიტალი კლიმატის რისკებთან გამკლავების მნიშვნელოვანი საშუალებაა (ედგერი, 1999; ტომპკინსი და ედგერი, 2004, როდიმა-ტეილორი, 2011). ღარიბი ოჯახები უფრო მგრძნობიარენი არიან სოციალური კაპიტალის დაკარგვისადმი ვიდრე მდიდრები, რომლებიც უფრო ინტეგრირებულნი არიან

ბაზარზე და უფრო დაცულნი მთავრობის მიერ ფორმირებული უსაფრთხოების ქსელებით (ფეი, 2005). უსაფრთხოების ნაკლებობა სიღარიბის დაძლევისათვის და ღარიბთა კარგად ყოფნისათვის უმთავრესი საფრთხეა. სწორედ ამის დამადასტურებელია ღარიბთა მზარდი წილი კონფლიქტურ გარემოში.

კლიმატური ცვლილებები ზემოქმედებს ეკოლოგიური პროცესების სტრუქტურასა და ეკოსისტემის საქონლის მიწოდებაზე (ჩაპინი და კოლეგები, 2004, მუნი და კოლეგები, 2009). ზეგავლენა სიღარიბესა და ეკოსისტემას შორის ურთიერთკავშირზე განისაზღვრება იმით, თუ რამდენადაა შემოსავლები დამოკიდებული ეკოსისტემაზე. ეკოსისტემას ძალუძს დამატებითი რეგულარული შემოსავლის წარმოქმნა, რაც საგრძნობლად შეამცირებს სიღარიბეს - კოსტა რიკაში დაცული ტერიტორიების შექმნას უკავშირდება სიღარიბის დაახლოებით ორი მესამედით შემცირება შემოსავლების ტურიზმიდან შემოდინების შედეგად (ფერნანდო და ჰანაუერი, 2014). გარდა ამისა, ეკოსისტემიდან შემოდინებული შემოსავლები ხშირად სეზონებს შორის მოხმარების დაბალანსებას იწვევს, როდესაც სხვა შემოსავლები ეცემა - მათ შორის კლიმატის ცვლილების შედეგად (რასელი და კოლეგები, 2012).

მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ კლიმატური საფრთხეები ზემოქმედებს რისკის გაღების მაჩვენებელზეც (აბრეჰა, 2007; კასარ და კოლეგები, 2011, დანგი, 2012). ბუნებრივი კატასტროფების შედეგად წარმოქმნილი რისკის გაღებისადმი სიძულვილი სარისკო ქმედებებისაგან თავის შეკავებას განაპირობებს ისეთ სფეროებშიც, როგორიცაა ინოვაციები და ბიზნესი, რაც ამცირებს შემოსავლისა და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას.

**მოდით გავიაზროთ კლიმატის ცვლილებების ზეგავლენა** შრომის პროდუქტიულობაზე. სამუშაო გარემოში ჭარბი სიცხე ამცირებს შრომისუნარიანობას, რადგან ადამიანს ფსიქოლოგიურად უჭირს მაღალ ტემპერატურასთან ადაპტაცია (კელსტრომი და კოლეგები 2014). ახლახან ჩატარებული კვლევის მონაცემებით, 2030 წლისათვის 56%-ით გაიზრდება მთლიანი ეკონომიკური ფასი კლიმატური ცვლილებების შედეგად (DARA, 2012). ჰილი და პარკი (2013) ამტკიცებენ, რომ შრომის ნაყოფიერება დიდწილადაა დამოკიდებული კლიმატისა და ეკონომიკურ შედეგებს შორის კავშირზე მაკრო დონეზე: საშუალოზე უფრო ცხელ წლებში ხასიათდება უფრო დაბალი შემოსავლებით და პროდუქტიულობით ცხელ ქვეყნებში და უფრო მაღლით ცივ ქვეყნებში. მათი აზრით, პროდუქციულობის მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტი პერ კაპიტა 2-4%-ით ვარირებს ყოველ ცელსიუს ერთეულზე ორივე ტიპის ქვეყნებში. ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ სამუშაო ადგილზე ტემპერატურა განსაზღვრავს ეკონომიკურ პროდუქტიულობას. ამიტომ, ადეკვატური თერმორეგულაციური ინფრასტრუქტურის შექმნა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისათვის ცხელ ქვეყნებში.

**შესაძლებლობის გააზრებისას, გადავხედოთ ტემპერატურული ცვლილებების ზეგავლენას ზრდასა და განვითარებაზე.** მაღალმა ტემპერატურამ მე-20 საუკუნის განმავლობაში ზრდისა და განვითარების შეფერხება გამოავლინა ღარიბ ქვეყნებში, როგორც ინდუსტრიული, ასევე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით (დელი და კოლეგები, 2012). ერთი გრადუსით დათბობა ამცირებს შემოსავალს 1.2%-ით მოკლე ვადაში, და 0.5%-ით გრძელ ვადაში (დელი და კოლეგენი 2009). სხვა კვლევებმა კიდევ უფრო მაღალი კორელაცია დაადგინეს. მაგალითად, ჰოროვიჩმა (2009) დაასკვნა, რომ გრძელ ვადაში ყოველი ერთეულით ტემპერატურის ზრდა იწვევს 3.8%-იანი ვარდნას შემოსავალში. ზრდისა და განვითარების აგრეგირებული მაჩვენებლების შემცირებას დიდი ზეგავლენა ექნება სიღარიბეზე. თუმცა, თუ სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია ეკონომიკური ზრდით და არა მიზნობრივი პოლიტიკის გატარებით და რედისტრიბუციით, მაშინ ეკონომიკური განვითარება ემისიის ზრდით უნდა მიიღწეოდეს და არა კლიმატის ამბიციური პოლიტიკის შემუშავებით (IPCC, 2014). ეს ასეა დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის, რადგან მშპ-ის კარბონ ინტენსიურობა იზრდება მშპ-ს პერ კაპიტა ზრდასთან ერთად დაბალშემოსავლიანიდან ზედა საშუალოშემოსავლიანი კატეგორიისათვის (ედენჰოფერი და კოლეგები, 2014).

ახალი კვლევები ცხადყოფს მწვანე ტექნოლოგიებზე გადასვლით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, რადგან დაბალ-კარბონიანი ინოვაციები უფრო უწყობს ხელს ეკონომიკურ წინსვლას ვიდრე ჭუჭყიანი ტექნოლოგიები (დეჩეზიპრეტი და სატო, 2014). მსოფლიო ბანკის (2012) დასკვნით, კლიმატის პოლიტიკა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს დასაქმების შესაძლებლობებზე, თუ ის (პოლიტიკა) შეძლებს აირიდოს მშპ-ს ზრდის შეფერხება. დასაქმების ბაზარი იშვიათად თუ არის მოქნილი და სტრუქტურულ ცვლილებებსა და სავაჭრო ლიბერალიზაციას ხშირად უმუშევრობის ზრდა მოსდევს, რადგან დასაქმებულთა უნარებისა და ინსტიტუციური ფაქტორების/მახასიათებლების გამო ფერხდება მათი მონაცვლეობა მზის ჩასვლის სექტორიდან მზის ამოსვლის სექტორში.

კლიმატის პოლიტიკა შემოსავლის მიღების ახალ შესაძლებლობებსაც წარმოქნის ღარიბთათვის. ეკოსისტემასთან ადაპტაცია მოითხოვს ინტენსიურ სამუშაოებს, როგორიცაა გატყიანება, მიწის დამუშავება და დაცვა. ეს კი ავტომატურად ქმნის შემოსავლის ზრდის შესაძლებლობას ღარიბთათვის.

ამ ანალიზს სამ ძირითად დასკვნამდე მივყავართ:

1. **კლიმატური ცვლილებები წარმოადგენს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს სიღარიბის აღმოფხვრისათვის.** ის არა მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს ღარიბთა კეთილდღეობაზე, არამედ ადამიანთა გაღარიბებასა და მათ ამ მდგომარეობაში დარჩენას უწყობს ხელს. კლიმატური ცვლილებები და კლიმატის პოლიტიკა ზრდის საბაზისო საქონელსა და მომსახურებებზე ფასს, როგორიცაა საკვები, ენერგო რესურსები - რაც ღარიბთა დანახარჯის დიდი ნაწილს შეადგენს, ამცირებს

რა მათ რეალურ შემოსავალს, შესაბამისად მათ უნარს ინვესტირება გააკეთონ მომავალში.

კლიმატური ცვლილებები ზემოქმედებს სიღარიბეზე ყოველწლიურად ისეთი მოვლენების გამო როგორიცაა წყალდიდობები და გვალვები. კლიმატური ცვლილებები ზრდის რისკის განცდას, რაც აიძულებს ოჯახებს დაბალრისკიანი საქმიანობა განახორციელონ. ეს კი ამცირებს შესაძლებლობებისა და შემოსავლების ზრდის შანსს, ავტომატურად ზრდის სიღარიბის მაჩვენებლებს და ამცირებს იმ ადამიანთა რაოდენობას, რომლებსაც შანსი აქვთ დააღწიონ თავი სიღარიბეს. ეს ეფექტები ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს მშპ-ზე, რადგან ისეთ ადამიანებსა და რეგიონებზე ვრცელდება, რომლებიც ძალიან ღარიბები არიან იმისათვის, რომ რაიმე ზემოქმედება მოახდინონ ასეთ აგრეგირებულ მაჩვენებლებზე.

2. კლიმატის პოლიტიკა (იქნება ეს ადაპტაციის თუ ზიანის შემცირების) – დაკავშირებულია სიღარიბის პოლიტიკასთან, რადგან მას ახლავს სოციალური პოლიტიკის შემუშავება.

   **ნახშირბადის გადასახადები ან წიაღისეული საწვავის სუბსიდირების შეწყვეტა** ზრდის ენერგიის საფასურს, თუმცა ამავე დროს შემოსავალსაც, რომელიც შეიძლება მივმართოთ სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ პროგრამებზე. ტყის გაჩეხვის შეჩერებისათვის მხარდაჭერას ხშირად მიწის ფასის ზრდა მოსდევს, რაც მიწათმფლობელებისათვის სარგებლის მომტანია, განსაკუთრებით კი მდიდარი მიწათმფლობელებისთვის, რომლებსაც შესაძლებლობების გამოყენების უკეთესი უნარები აქვთ. ადაპტაციის პოლიტიკა, როგორიცაა წყალდიდობების ზონირება, ამცირებს იაფ მიწაზე ხელმისაწვდომობას ღარიბთათვის. ეს კი მათ მიგრაციას უწყობს ხელს უკეთესი შესაძლებლობების ძიებისათვის. კლიმატის ფრთხილ პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს ნაკლებად საზიანო შედეგები ღარიბთათვის და დასაქმების ახალი შესაძლებლობებიც შექმნას, განსაკუთრებით ტრადიციული თემისათვის.

3. **სიღარიბეზე კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების მართვა არ ითხოვს სხვაგვარ სიღარიბის ან სოციალური დაცვის პოლიტიკას; მაგრამ ითხოვს უფრო მეტსა და სწრაფ რეაგირებას.** სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები სოციალური დაცვის მხრივ არ იცვლება: კლიმატის ცვლილებით თუ ამის გარეშე, საჭიროა ინტერვენციები ღარიბთა მოწყვლადობის აღმოსაფხვრელად, და მათი შოკებთან გამკლავების უნარების გაზრდა. კლიმატური ცვლილებები ხშირ და დიდ შოკებთანაა დაკავშირებული, ამიტომაც ტრადიციული გამკლავების მექანიზმი და არაფორმალური უსაფრთხოების ქსელი მასთან გამკლავებისათვის უძლურია. შესაბამისად, აუცილებელია პრაქტიკულად ისეთი უსაფრთხოების ქსელის სისტემის შექმნა მანამდე, სანამ ზემოქმედება მატერიალიზდება.

ქვეყნის მწარმოებლურობა და ცხოვრების დონე, ნაწილობრივ, მისი მოსახლეობის ზრდით განისაზღვრება. მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის სამუშაო ძალის ძირითადი დეტერმინანტია.

სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა სხვადასხვა სისწრაფით იზრდება. განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, უკანასკნელ ათწლეულებში მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით 1 პროცენტით იზრდება, და მომავალში უფრო ნელი ზრდაა მოსალოდნელი. მრავალ აფრიკულ ქვეყანაში, მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენს. ამ ტემპით კი, მოსახლეობა ყოველ 23 წელიწადში ერთხელ ორმაგდება. ეს კი ქვეყნის შიმშილისა და სიღარიბის მორევიდან თავის დაღწევას კიდევ უფრო აფერხებს.

გაეროს კონსერვატული ნაწილის პროგნოზირებით, მომავალ 22 წელიწადში მსოფლიო მოსახლეობა 1.3 მილიარდით გაიზრდება. შედარებით ლიბერალური ნაწილის პროგნოზირებით 4.7 მილიარდით და 10.7 მილიარდს მიაღწევს. გაეროს პროგნოზირებით, განვითარებულ ქვეყნებს შორის მოსახლეობის შეუმჩნეველი გრძელვადიანი ზრდა მოსალოდნელია მხოლოდ ავსტრალიაში, კანადაში, ახალ ზელანდიასა და აშშ-ში.

მოდით, შევეცადოთ გავიაზროთ **მოსახლეობის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები**. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში საკმაოდ მაღალია შობადობის მაჩვენებელი და საპირისპირო მონაცემები გვაქვს განვითარებულ სამყაროში, სადაც საგრძნობლად გაიზარდა ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა და იკლო სიკვდილიანობის ინდექსმა. სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 1000 დაბადებულზე 178-დან 68-მდე შემცირდა. ასევე საგრძნობლად მოიმატა ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობამ როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 41-დან 62 წლამდე. მესამე მსოფლიოში მოსახლეობის მესამედს შეადგენენ ბავშვები 15 წლის ასაკს ქვევით. განვითარებულ ქვეყნებში კი 15 წელს ქვევით ასაკობრივი ჯგუფი მოსახლეობის მხოლოდ 19 პროცენტს, ხოლო 65 წელს ზევით მყოფთა რიცხვი 14 პროცენტს შეადგენს.

**მოდით განვიხილოთ რა განაპირობებს ურბანული მოსახლეობის ზრდას.** ურბანული მოსახლეობის ზრდა მეტად უკავშირდება ბუნებრივ ზრდას (მეტი შობადობა ვიდრე სიკვდილიანობა) ვიდრე მიგრაციას. განვითარებადი ქვეყნების ურბანული მოსახლეობა 4 პროცენტით გაიზარდა; გაცილებით სწრაფად ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ურბანიზაცია იწვევს განათლების დონის ზრდას, დაბალ შობადობას, შემოსავლის ზრდას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გვიან ქორწინებას.

საინტერესოა, გავიაზროთ შობადობის განმსაზღვრელი ფაქტორები. დემოგრაფმა ჯონ ბონგართმა შობადობის 4 განმსაზღვრელი ფაქტორი გამოჰყო:

1. სექსუალურ/მერიტარულ კავშირში მყოფ ქალთა პროპორცია;
2. ქალებში კონტრაცეპტივების მოხმარების პროპორცია;
3. შვილოსნობის უუნარო ქალთა რაოდენობა;
4. ქვეყანაში აბორტის დონე.

ახლა კი დროა გავიაზროთ **რა პროცესები ახლავს მოსახლეობის ზრდის ასეთ ტენდენციებს.** ის უდავოდ უკავშირდება ეკოლოგიურ პრობლემებს, სასურსათო დეფიციტს, ურბანული მოსახლეობის ზრდას და ზოგიერთთა აზრით, ეკონომიკურ პრობლემებსაც. მოსახლეობის 79 მილიონით ყოველწლიური ზრდა ნიშნავს, რომ დამატებით 1.5 მილიონ ადამიანს სჭირდება საკვები და საცხოვრებელი ყოველკვირეულად.

გარემოს მდგომარეობა განისაზღვრება გატყიანებით ან ჰაერისა და წყლის სისუფთავით. ამ თვალსაზრისით, გარემო განიხილება არა როგორც მწარმოებლურობის შემაფერხებელი ფაქტორი მოსახლეობის ზრდისას, არამედ როგორც დოვლათი, რომლის ხარისხიც მცირდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად. მოსახლეობის ზრდის კონტროლი გარემოს ხარისხის გაუმჯობესების საშუალებაა.

პესიმისტები შიშობენ, რომ მოსახლეობის ზრდა უარყოფით ზეგავლენას ახდენს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელ ბუნებრივ რესურსებზე. მეორენი კი ამ აზრს უარყოფენ. მათი აზრით, კაცობრიობას აქვს რესურსი შექმნას ტექნოლოგიები  გარემოს განვითარების უსაფრთხოებისათვის.

**მოდით, მოსახლეობის ზრდა სასურსათო დეფიციტთან მიმართებით განვიხილოთ.** განვითარებადი სამყაროს მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტენდენციები და მზარდი შემოსავლები საკვებსა და საწვავზე მოთხოვნის ზრდას იწვევს. საკვებზე მოთხოვნა 2030 წლისთვის სავარაუდოდ 50 პროცენტით გაიზრდება. კვებითი დიეტის შეცვლაც ამძიმებს პრობლემას. სიღარიბის დონის შემცირებასთან ერთად განვითარებადი სამყაროს მოსახლეობა მეტად ცილებით მდიდარ დიეტაზე გადადის ე.ი. მეტ ცხოველურ პროდუქტს მოიხმარს. ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება კი მეტ ეკოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე მცენარეული საკვებისა. ერთი კილოგრამი ხორცის წარმოება საჭიროებს რამდენიმე კილოგრამი ხორბლეულის წარმოებას საქონლის გამოსაკვებად. საწვავზე სწრაფად მზარდი ფასები კი საკვების წარმოების სისტემის ყოველ საფეხურზე ზემოქმედებს: კულტივირებაზე, მკაზე, ტრანსპორტირებაზე, გაყინვაზე, შეფუთვაზე და დისტრიბუციაზე.

**და ბოლოს, შევეცადოთ გავიაზროთ რამდენად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას მოსახლეობის ზრდა.** ეკონომიკაზე მოსახლეობის ზრდის ზეგავლენის გაზომვა ძალიან რთულია. ეკონომიკურმა განვითარებამ კი შესაძლოა შეცვალოს მოსახლეობის ზრდის ტენდენციები. როგორც თქვენ უკვე იცით, მეტად განვითარებულ ქვეყნებში ეს ტენდენციები შენელებულია. მრავალ  აზიურ  ქვეყანაში შობადობის კლებამ გაზარდა

შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი, რამაც შექმნა “დემოგრაფიული ბონუსი”. სამუშაო ასაკის მოსახლეობის წვლილი ეკონომიკურ განვითარებაში აღემატება მოხმარებას. დემოგრაფიული ბონუსი შესაძლოა რამდენიმე ათწლეული გაგრძელდეს. ის იწყებს კლებას სამუშაო ასაკის მოსახლეობის საპენსიო ასაკამდე მიღწევისას. ქვეყნებს ამ ბონუსით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის ღირებულება გაიზრდება განათლების საშუალებით.

დრო მოვიდა **გავიაზროთ როგორ რეაგირებენ სხვადასხვა სახელმწიფოები მოსახლეობის რაოდენობის მოსალოდნელ ცვლილებებზე.** ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირება, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ დაბალგანვითარებულ ქვეყნებს ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით. ზოგ ქვეყანაში ეს მიზანი მიიღწევა პირდაპირი გზით – კანონებით, რომლებიც არეგულირებენ ბავშვების რაოდენობას თითოეულ ოჯახში. ჩინეთში, მაგალითად, ოჯახში მხოლოდ ერთი ბავშვის ყოლის უფლება ჰქონდათ წლების წინ, რაც ნელ-ნელა იცვლება. წყვილები, რომლებიც ამ კანონს არღვევდნენ, მნიშვნელოვან ჯარიმებს იხდიდნენ. უფრო თავისუფალ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირება ხორციელდება არაპირდაპირი გზით – ჩასახვის საწინააღმდეგო აგიტაციით. მაგალითად 1997, 155 ქვეყანამ გაუწია სუბსიდირება ოჯახის დაგეგმარების პროგრამებს. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების სააგენტომ დააფინანსა ოჯახის დაგეგმარების პროგრამები საზღვარგარეთ, თუმცა ამჟამად აშშ არ უჭერს მხარს მსოფლიო სავალუტო ფონდის ან გაეროს სააგენტოების მიერ შობადობის მხარდამჭერი პროგრამების დაფინანსებას. 23-მა ქვეყანამ კი შობადობის ზრდის პოლიტიკის გატარება განიზრახა. გამოსავალია ასევე განვითარებული სამყაროს მიერ საკვების მოხმარებაზე ზეჭარბი მოთხოვნის კონტროლი, ხორცისა და რძის პროდუქტებზე ფასების ზრდა მათი ჭარბწარმოებით გარემოს დაზიანების კონპენსირების მიზნით ან გადასახადის ზრდა ხორცპროდუქტების წარმოებაზე.

როგორც ვხედავთ, გარემოს მდგომარეობა დიდ ზეგავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე, ისევე როგორც ცხოვრების წესი გარემოს მდგომარეობაზე. შესაბამისად, მიმდინარე გლობალური პროცესები გააზრებას საჭიროებს ეფექტიანი სოციალური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისათვის.

# თავი 6: თანამედროვე სოციალური პრობლემები: უსახლკარობა

*სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა*

გაერთიანებული ერები ორი სახის უსახლკარობას გამოყოფს: აბსოლუტურსა და შედარებითს. პირველი ნიშნავს თავშესაფრის არქონას საერთოდ, მეორე კი მოიაზრებს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ დროებით საცხოვრებელში ან მეგობრებთან და ნაცნობებთან. თუმცა, ამ ტიპის საცხოვრებელი მოკლე ვადიანია და არ იძლევა უსაფრთხოების შეგრძნებას და პირადი სივრცის განცდას.

თანამედროვე სოციალურ პრობლემათა შორის აქტუალურია უსახლკარობის პრობლემა. ალბათ ვთანხმდებით იმაზე, რომ საცხოვრისის ფლობა და/ან მასზე ხელმისაწვდომობა ადამიანის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია. უსახლკარობას სხვადასხვა უარყოფითი ზეგავლენა აქვს არა მხოლოდ ადამიანზე, არამედ მთელს საზოგადოებაზე. ის გარდა იმისა, რომ არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, ის ამავე დროს ამცირებს დოვლათის შემქმნელთა რაოდენობას და ხელს უწყობს სოციალურ გარიყულობას. თუკი სხვადასხვა სოციუმში დამოკიდებულება სხვადასხვა თანამედროვე სოციალური პრობლემების მიმართ განსხვავებულია (მაგალითად, წამალდამოკიდებულებისადმი, თამაშდამოკიდებულებისადმი, პროსტიტუციისადმი და ა.შ.), უსახლკარობისადმი მიდგომა თითქმის ერთგვაროვანია და ამ პრობლემის მოგვარების პასუხისმგებლობას საზოგადოება ანიჭებს როგორც ინდივიდს, ასევე სახელმწიფოს.

საცხოვრისი არის მრავალი ბიოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ლეგალური ფუნქციის მქონე. ის გვიცავს ცუდი ამინდის, კლიმატური პრობლემების, მტრული დამოკიდებულებებისაგან. ის გვეხმარება გარე სამყაროსაგან დასვენებისათვის სიმყუდროვის მოპოვებაში, სადაც ადამიანს კონტროლის მეტი მექანიზმი აქვს  საკუთარ ცხოვრებაზე. ეს არის ადგილი, სადაც მეგობრები გვსტუმრობენ, სადაც განთავსებულია ჩვენთვის საჭირო და ძვირფასი ნივთები. ის ემსახურება სოციალური იდენტობისა და სტატუსის ჩამოყალიბებას უმრავლესი ჩვენთაგანისათვის. ის უკავშირდება „სახლის“ კონცეფციას. თუმცა, რამდენად ახორციელებს საცხოვრისი ამ ფუნქციებს დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ და საოჯახო პოლიტიკაზე (ოლსენი, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ სამყაროში საბინაო პოლიტიკა განსხვავებულია, „საბინაო ბაზარი“ ყველგან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, შემოსავლის დონე, მათი მოთხოვნები საცხოვრისზე არის საბინაო ბაზრების „მოთხოვნის მხარის“ მნიშვნელოვანი შემადგენელი; საცხოვრისის ტიპი, რაოდენობა, ხარისხი, ლოკაცია და ფასი კი „მიწოდების მხარის“ მნიშვნელოვანი კომპონენტებია. საბინაო ბაზრების მდგომარეობა მიიჩნევა ქვეყნის ეკონომიკური სიჯანსაღის ვალიდურ ინდიკატორად (ოლსონი, 2013).

ქვეყნები, როგორიცაა ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მეტად ხასიათდებიან კერძო საბინაო მესაკუთრეობით, ვიდრე სხვა ქვეყნები. დომინანტური იდეოლოგიები და კულტურები ამ „საბინაო მესაკუთრეობის საზოგადოებებში“ ხასიათდებიან, როგორც „ინდივიდუალუსტური“, რომლებიც საბინაო პრობლემებისა და საკითხების პრივატულად გადაწყვეტის ადვოკატობას ეწეოდნენ ტრადიციულად. აშშ-ში თითქმის ფუნდამენტალისტური ერთგულება სახლის მეპატრონეობის იდეალისადმი დიდხანს იყო „ამერიკული ოცნების“ მთავარი მახასიათებელი და ბოლო პერიოდის საბინაო კრიზისის მთავარი კატალიზატორიც. უფრო მეტიც, საბინაო საკუთრებაზე მაღალმა ფასებმა, განსაკუთრებით დასაწყისში, როგორც ამბობენ, შეაფერხა კეთილდღეობის სისტემის განვითარება ანგლო საქსურ ქვეყნებში, რადგან ბინის მეპატრონეები ცდილობდნენ თავი აერიდებინათ საგადასახადო ვალდებულებებისათვის, რომ შესძლებოდათ საკუთრების მოვლა-პატრონობა. უამრავი სუბსიდიები და ფისკალური ზომები საცხოვრისის შესაძენად აფერხებდა კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებას. საცხოვრისის ქირაობა სულ უფრო სტიგმატიზირებული ხდებოდა, ნაკლებად უსაფრთხო, და საცხოვრისის ნაკლებად დამოუკიდებელ ფორმად ითვლებოდა. ამის საპირისპიროდ, მდიდარი კაპიტალისტურ ქვეყნები დომინანტური *კოლექტივისტური* იდეოლოგიითა და კულტურით, როგორიცაა დანია, გერმანია, ჰოლანდია, შვედეთი ხასიათდებიან, უფრო ნაკლები კერძო საცხოვრისით და უფრო განვითარებული კეთილდღეობის სახელმწიფოებით, უფრო დიდი რაოდენობის სოციალური საცხოვრისით და არავითარი სტიგმით ქირაობისადმი (კონლი და გიფორდი, 2006; კემელი, 1981, 1992; კურცი და ბლოსფელდი, 2004; ლოუი, 2004; რონალდი, 2008 ოლსონთან, 2013). პირველი კატეგორიის ქვეყნებში დეკომოდიფიკაციის უფრო დაბალი მაჩვენებელია ვიდრე მეორეში. დეკომოდიფიკაციის პროცესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მცირდება ადამიანების დამოკიდებულება ბაზარზე თავიანთი კარგად ყოფნის უზრუნველყოფისათვის. საცხოვრისთან მიმართებით ეს ეხება იმას თუ რამდენად შეუძლია ადამიანს საცხოვრისის შეძენა იმის მიუხედავად თუ რა პოზიცია აქვს ან რა სახით მონაწილეობს შრომის ბაზარზე.

ალფ ტორგერსონის (1987) აზრით, საბინაო პოლიტიკა არის კეთილდღეობის „მერყევი (wobly)” სვეტი და ხაზს უსვამს მის სპეციფიკურობას. მისი აზრით, პოლიტიკის სხვა სფეროებს, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტები აქვთ, რაც ნათელყოფს შესაბამისი ინსტიტუტების ჩარევის პროცედურებს, ჩაურევლობის შემთხვევაში კი განსაზღვრავს მათი პასუხიმგებლობის საკითხს. ეს სფეროები პროფესიონალთა გადამზადებული კადრებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ხშირად საქმიანობისა და სპეციალიზაციის მიხედვით იყოფიან და განგრძობითი მომსახურების მიწოდებით ხასიათდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტებს საბინაო პოლიტიკაც მოიცავს, ის მაინც უფრო მცირე დოზითაა წარმოდგენილი ვიდრე სხვა სოციალურ სფეროში.

რადგან ვთანხმდებით იმაზე, რომ საცხოვრისი ადამიანის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია, შევეცადოთ იმის გააზრებასაც თუ

რატომ ირიდებენ გადაწყვეტილების მიმღებნი ამ პრობლემის მოგვარებას. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლის გამოც სახელმწიფო თავს იკავებს საბინაო ბაზრების ფუნქციონირებაში ინტერვენციისაგან. პირველ რიგში ამის მიზეზია ის, რომ საბინაო სფეროში „სოციალიზაცია“ დიდ საფრთხეს წარმოადგენს კაპიტალისტებისა და კაპიტალიზმისათვის, ვიდრე სხვა სფეროში. საბინაო ბაზრებში შეჭრით, სახელმწიფო ბევრი კერძო მფლობელისათვის შემოსავლის მიღების საქმეში უფრო მეტად ხელშემშლელი აღმოჩნდება, ვიდრე სხვა სოციალურ სფეროში; ეს კი ძალაუფლების მქონეთა ინტერესების საწინააღმდეგოა. მეორე, კერძო საბინაო ბაზრები ფესვგადგმულია და მისგან რადიკალური დაშორება ტრადიციული ღირებულებებისაგან დაშორებად აღიქმება. და ბოლოს, რადგან საცხოვრისი არის კერძო საკუთრების ფორმა - სიკეთე, რომლის ფასად ფულის სესხებაა შესაძლებელი - მისი ფასი შესაძლოა იყოს დაბალი და გადანაწილებული გრძელ ვადაზე. ეს სიტუაცია ბევრს აძლევს საშუალებას შეიძინოს სახლი ნაცვლად ქირაობისა, ამით კი მხარს უჭერს „კომოდიფიკაციას“ (ჰარლო, 1995 ოლსონთან, 2013).

კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალური მხარდაჭერის სამი ერთიერთგადაჯაჭვული ქსელისაგან შედგება:

1. შემოსავლის მხარდამჭერი პროგრამები (უნივერსალური, არა-კონტრიბუტორული, სოციალური დაზღვევა, მინს-ტესტირებული შემწეობები, მათ შორის საცხოვრისის შემწეობა და სხვადასხვა ფორმის „ფისკალური კეთილდღეობა“)
2. სოციალური მომსახურებები (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური საცხოვრისი, და მსგავსი არაფულადი მომსახურებები)
3. სოციალური კანონმდებლობა (მარეგულირებელი, პრაქტიკული და დაცვითი სოციალური კანონმდებლობა, როგორიცაა ბავშვთა დაცვის კანონმდებლობა, კანონი მინიმალურ ხელფასზე, დასაქმებულთა უსაფრთხოების კანონები, რენტის კონტროლისა და გამოსახლების წინააღმდეგ დაცვა, ხშირად „ლეგალურ კეთილდღეობად“ წოდებული).

არსებობს რამდენიმე მიწოდებისა და მოთხოვნისეული საბინაო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც სახელმწიფი იყენებს, რომელიც ზემოქმედებს უთანასწორობაზე და დეკომოდიფიკაციაზე. მოდით განვიხილოთ თითოეული საბინაო ქსელის ერთი ინსტრუმენტი: საბინაო შემწეობა (შემოსავლის მხარდამჭერი პროგრამა), სოციალური საცხოვრისი (სოციალური მომსახურება) და რენტის კონტროლი (სოციალური კანონმდებლობა).

მოდით, *საბინაო შემწეობით* დავიწყოთ. ის არის მოთხოვნის მხარის სამომხმარებლო სუბსიდია, რომელიც ემსახურება დაბალ შემოსავლიანთა მიზნობრივად დახმარებას, რომ მათ შეძლონ ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნა და მათი შემოსავლიდან საცხოვრისზე ხარჯის შემცირება. ეს ფორმა ძირითადად 1930 წლიდან განვითარდა დასავლეთ ევროპაში ღარიბთა მხარდასაჭერად. ბოლო წლებში, ამ დახმარების სუბსიდირებული ფორმით გაცემა დომინირებს ნაცვლად სოციალური საცხოვრისის მომსახურების მიწოდებისა.

სოციალური საცხოვრისი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული გასაქირავებელი საცხოვრებლებია, რომლებიც არასდროსაა ყველასთვის, როგორც სხვა სოციალური მომსახურებები, მაგ., როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა. ეს მომსახურება ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა, როდესაც ინფრასტრუქტურულად განადგურებული ევროპა საბინაო პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კემენი (1995) ორი ტიპის რენტალურ სისტემაზე საუბრობს: *უნიტარულზე* და *დუალისტურზე*. ქვეყნებს, რომელებსაც დუალისტური სისტემით ორი რენტალური ბაზარი აქვთ - „ღია“ და „დაცული“. ეს უკანასკნელი მცირე ბაზარია და ორიენტირებულია მოწყვლადთა მხარდაჭერაზე. დუალისტური ბაზრები  დამახასიათებელია ანგლო-ლიბერალურ, ხმელთაშუა ზღვისპირა და ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული (ფინეთი, ნორვეგია) ქვეყნებისთვის. ხოლო ქვეყნებში *უნიტარული* საბინაო ბაზრებით, განვითარებულია ინტეგრირებული საბინაო სისტემა, რომელშიც სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული და არამომგებიანი საბინაო პროგრამები კერძო სექტორთან ერთად ფუნქციონირებენ. შვედეთი, გერმანია და ჰოლანდია არიან *უნიტარული* რენტალური სისტემის მაგალითები. ბოლო ათწლეულები ხასიათდება სოციალურ რენტალური საცხოვრისთა საგრძნობი შემცირებით. ყველაზე მაღალი ის ამ ეტაპზე ჰოლანდიაშია, სადაც საბინაო აქტივების 35 პროცენტს შეადგენს, შვედეთსა და გაერთიანებულ სამეფოში კი, სადაც 1990 წელს სოციალური რენტალური საცხოვრისის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, ის 18 პროცენტამდე შემცირდა, ისევე როგორც ფინეთში (17 პროცენტი), რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო ამ ტიპის მომსახურებით (დალი, 1999; ფიცპატრიკი და სტივენსი, 2007; ტატინენი, 2003 ოლსონთან, 2013).

სოციალურ საცხოვრისში შესახლებულები ზოგჯერ მხოლოდ კომუნალურ გადასახადებს იხდიან, განსაკუთრებით თავიდან, სანამ საკუთარი სოციალური რისკების გადალახვას დამოუკიდებლად შეძლებენ.

საბინაო პოლიტიკა ევროპაში ძირითადად 4 ფაზას მოიცავს:

- ახალი მშენებლობის ხელშეწყობის ფაზა;
- არსებული საბინაო სექტორის ხარისხის გაუმჯობესება;
- სახელმწიფო მხარდაჭერის დისტრიბუცია და თარგეთირება;
- დაბალშემოსავლიანთათვის საბინაო პრობლემების მოგვარება.

ამჟამად დასავლეთ და ჩრდილო ევროპულ ქვეყნებში სოციალური რენტალური საცხოვრისი ძალიან გავრცელებული, ხოლო სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ნაკლებად გავრცელებული საბინაო პოლიტიკის ფორმაა. ამავე დროს საცხოვრისში მაცხოვრებელთა 50 პროცენტზე მეტი იღებს საბინაო დახმარებასაც. სახელმწიფო სოციალური რენტალური საბინაო კორპორაციების ფუნქციონირებას ხელს უწყობს სესხებით, გრანტებით, გარანტიებითა და საგადასახადო შეღავათებით. ხშირად სახელმწიფო მშენებლობის სუბსიდირებასაც ეწევა. ეს აუცილებელია როდესაც მშენებლობა და რენოვაცია აქტიურ ფაზაშია, ხოლო შემდეგ პერიოდში თანდათან მცირდება ამგვარი ხელშეწყობა საბინაო დახმარებების მიმღებთა რაოდენობის ზრდითა და ზოგადად საბინაო ბაზრის შეცვლით.

შესაძლებელია საცხოვრისის მფლობელობაში გადასვლაც. სხვადასხვა ქვეყანას საცხოვრისის მფლობელობაში გადასვლის სხვადასხვა რეგულაცია აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი სქემები არც არსებობს. ხშირად მობინადრეები შეისყიდიან საცხოვრისს თუკი ეს საბინაო სქემით არ იკრძალება. ეს ხშირად გამოწვეულია თავშესაფრის საკუთარ მფლობელობაში არსებობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების განცდით ან ხელსაყრელი გარიგებით. საკუთარ მფლობელობაში არსებული საცხოვრისი, ბუნებრივია სოციალური უსაფრთხოების განცდას ამძაფრებს, თუმცა არც ეს და არც დაბალი გასაყიდი ფასი არ არის შემსყიდველთა გადაწყვეტილების უმთავრესი მიზეზი. შესყიდვა რენტის ლიბერალიზაციის შიშით უფროა გამოწვეული, რაც შემსყიდველთა გადამხდელუნარიანობის დაბალი გარანტიითაა განპირობებული.

2009 წელს საქართველოში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ინიციატივით სოციალური საცხოვრისი ხელშემწყობ გარემოში განხორციელდა  სოციალური საცხოვრისის პროექტი, რომლებმაც მიზნად დაისახა დააკმაყოფილოს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირების) საცხოვრებელთან დაკავშირებული საჭიროებები. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს მთავრობის ძალისხმევით  განვითარდა სოციალური საცხოვრისის კონცეფცია, რაც ყველაზე მოწყვლადი პირებისთვის ხელმისაწვდომი საცხოვრისის და სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფას  გულისხმობს. ეს იყო პირველი ინიციატივა სოციალური საცხოვრისის შესახებ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, რომლეცი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა.

საცხოვრისი მობინადრეთა შესარჩევად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ შეიმუშავა შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პიროვნული ხასიათის და ოჯახში არსებული ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისგან შეიქმნა შეფასებაზე მომუშავე სოციალურ მუშაკთა ჯგუფი, რომლებმაც განახორციელეს შეფასება. ამჟამად, ეს საცხოვრისი ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშ ფუნქციონირებს და მასში 28 ოჯახი შესახლდა. აქტუალურია სოციალური მუშაკის მომსახურება, რომლის ფუნქციაა საცხოვრისის ბინადართა ხელშეწყობა ინდივიდუაური რისკებთან  გამკლავებაში.

სოციალური მუშაკის როლი ზოგადად განუზომლად დიდია საბინაო პრობლემების მოგვარებაში. იგი აწარმოებს როგორც საბინაო პრობლემის მოსაგვარებლად არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ამ პრობლემის მქონე პირთათვის, ასევე ნებისმიერი საბინაო პრობლემის მოგვარებაში მათ მხარდაჭერას, იქნება ეს გასახლების პრობლემა, სხვა მობინადრეებთან ურთიერთობის პრობლემა თუ საცხოვრისის შიდა რეგულაციებში გარკვევა.

რაც შეეხება რენტის კონტროლს, როგორც, საბინაო ქსელის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, ის ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ არსებობს ძალაუფლების ასიმეტრია მეპატრონეებსა და დამქირავებლებს შორის. რენტის კონტროლი გარკვეული დაცვითი მექანიზმია მოულოდნელ და ბუნდოვან ფასთა ცვლილებებზე. მაგრამ რენტის კონტროლს ახლავს ხელმისაწვდომი საცხოვრისის ოდენობის შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრისის საბაზრო მექანიზმი რეგულირდება კაპიტალისტურ სამყაროში და მისდამი ხელმისაწვდომობა, ადგილმდებარეობა და ხარისხი დიდ წილადაა დამოკიდებული ადამიანის გადახდის უნარზე, სახელმწიფო მაინც ერევა ამ ბაზრის ფუნქციონირებაში. ამასთან, უამრავი ვარიაციებია ეროვნულ საბინაო ბაზრებში სახელმწიფოს ინტერვენციის მასშტაბებსა და მახასიათებლებში, მათი ფუნქციონირების ფორმებსა და შესაბამისად, მათ ზემოქმედებაში უთანასწორობაზე (ოლსონი, 2013).

საბინაო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მისი მიზანია მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი უფლების დაცვა - მათთვის ისეთი ზომისა და სტანდარტის საცხოვრებლის შეთავაზება, რაც მათი ღირსებისა და პატივის შემლახავი არ იქნება. საბინაო პრობლემის მოგვარებით მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების განცდა მატულობს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, უსაფრთხო და ფუნქციონირებადი საცხოვრისი ადამიანის კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორია.

საბინაო პოლიტიკა შემდეგ ამოცანებს ისახავს მიზნად:

- ხელმისაწვდომობა – როგორ გავხადოთ შესაძლებელი საცხოვრებელი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის არაპრივილეგირებული ფენებისათვის;
- შესაძლებლობა – რა ინსტრუმენტის გამოყენება უზრუნველყოფს მობინადრეთა შესაბამისი ზომისა და ხარისხის საცხოვრისით სარგებლობას და მისცემს მათ შესაძლებლობას საკუთარი შემოსავლიდან საცხოვრისში ცხოვრების ხარჯებს გაუმკლავდნენ;
- ხარისხის უზრუნველყოფა – შენობისა და გარემო პირობების უზრუნველყოფა ცვალებადი მოთხოვნის ფონზე;
- განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება – ეკონომიკური ფაქტორების გარდა, აუცილებელია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების ინტერესების დაკმაყოფილება, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულთა და უსახლკაროთა საჭიროებების გათვალისწინება;
- სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა – სოციალური სეგრეგაციის არიდება;
- მობინადრეთა უსაფრთხოება – მობინადრეთა დაცვა გასახლებისაგან;
- მობინადრეთა მონაწილეობა – ბენეფიციართა მონაწილეობის მიღება სამომავლო გეგმების დასახვისა და შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს მათი ინტერესების უფრო ეფექტიანად დაცვას.

სოციალური ინკლუზიისათვის სოციალური საცხოვრისის პოლიტიკა ინტეგრირებული უნდა იყოს პოლიტიკის სხვა კურსთანაც, მაგალითად, დასაქმების, ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტირების პოლიტიკასთან. გრძელვადიანი

სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ხანდაზმულთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. სეგრეგაციის ასაცილებლად აუცილებელია სოციალური საცხოვრისის არქიტექტუტურული ასპექტებიც იყოს გათვალისწინებული და ის მკვეთრად არ განსხვავდებოდეს იმ დასახლების სხვა შენობებისაგან, სადაც საცხოვრისია.

უსახლკარობის პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ საცხოვრისის სტანდარტების სოციალური პოლიტიკის დონეზე ასახვას, აღსანიშნავია *უსახლკარობასთან მომუშავე ეროვნული ორგანიზაციების ევროპული ფედერაცია (FEANTSA)* და *გაეროს ურბანული მომავლის გაუმჯობესების პროგრამა (UN-HABITAT). ეს ორგანიზაციები ცდილობენ უსახლკარობის აღმოფხვრისაკენ ქვეყნების ძალისხმევის მიმართვას და მათ შორის თანამშრომლობის მოდელების გამართვას ინსტიტუციურ დონეზე.*

*დამატებითი საკითხავი ლიტერატურა*


საბინაო პოლიტიკა
დიაკონიძე, ა., ჯულუხაძე, თ.


პოლიტიკის მიზნები ბევრი მკვლევრის აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფოს მიღწევები საბინაო უზრუნველყოფაში გაცილებით უფრო მოკრძალებულია, ვიდრე სოციალური პოლიტიკის ნებისმიერ სხვა სფეროში. ჰარლოეს (Harloe, 1995) მიხედვით, ამერიკასა და ევროპაში საბინაო სფეროში ძირითადად ბაზარი დომინირებს და ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც კეთილდღეობის სახელმწიფო კარგადაა განვითარებული, საცხოვრებლის მიწოდება ძირითადად საბაზრო მექანიზმით ხდება. აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა შეიძლება ნაჩქარევი იყოს: საბინაო პოლიტიკის ინსტრუმენტები და დანახარჯები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკმაოდ რთულ კონსტრუქციას წარმოადგენს და ხშირად ჭირს მათი პირდაპირი გაზომვა. დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს როლი არც ისე მცირეა, როგორც ამას მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს (Fahey et al. 2010).

ზოგადად საბინაო პოლიტიკის მთავარი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, საცხოვრებელზე ხელი ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს. უოლში (Walsh et al. 2005) მიუთითებს, რომ თუ სტატისტიკური კუთხით განვიხილავთ, განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში საცხოვრებლის პრობლემა არ არსებობს, რადგან იქ იმაზე მეტი საცხოვრებელი ბინა და სახლია, ვიდრე მოთხოვნა არსებობს.

მაგრამ პრობლემა სწორედ ისაა, რომ ყველას არა აქვს საცხოვრებლის შეძენის თუ დაქირავების შესაძლებლობა. საბინაო პრობლემის უკიდურეს ფორმას უსახლკარობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული ფენომენია, რომელსაც, სტრუქტურულის გარდა, სუბიექტური მიზეზებიც შეიძლება ჰქონდეს: მაგ., ბუნებრივი კატასტროფების ან მიგრაციის შედეგად საცხოვრებლის დაკარგვა.

უსახლკარობა რთულად განსასაზღვრი კონცეფციაა: ყველაზე ვიწრო გაგებით, ის გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ადამიანს თავზე ჭერი არა აქვს და ქუჩაში სძინავს. ცოტა უფრო ფართო გაგებით, უსახლკაროდ შეიძლება ჩავთვალოთ ადამიანი, რომელიც უნებართვოდ იკავებს რაიმე მიტოვებულ შენობას და იქ ცხოვრობს; ასევე ადამიანები, რომლებიც უსახლკაროთათვის მოწყობილ დროებით ან მუდმივ თავშესაფრებში ცხოვრობენ. კიდევ უფრო ფართო გაგებით, ადამიანები, რომელთაც თავიანთი რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო შეიძლება ნებისმიერ წამს მოუწიოთ ბინის დატოვება (იმიტომ, რომ ქირას ვეღარ გადაიხდიან), ასევე შეგვიძლია უსახლკარობის მაღალი რისკის მქონეთა ჯგუფს მივაკუთვნოთ (Walsh etal. 2005)

რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს ? ( პოლიტიკის ინსტრუმენტები )

ბინადრობის განსხვავებული ფორმები სანამ უშუალოდ პოლიტიკის ინსტრუმენტებზე ვისაუბრებთ, მნიშვნელოვანია გამოვყოთ ბინადრობის (tenure) სხვადასხვა სახე. უოლში (Walsh et al. 2005) იძლევა ბინადრობის სამ ტიპს:

საკუთრებაში ფლობა – სიტუაცია, როდესაც ინდივიდი/ოჯახი ერთიანი გადახდის ან კრედიტის მეშვეობით ყიდულობს სახლს ან ბინას. საცხოვრებლის საკუთრებაში

ფლობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აგრარულ საზოგადოებაშია. აქ საცხოვრებელი, როგორც წესი, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა.

ქირით ცხოვრება – სიტუაცია, როდესაც ინდივიდი/ოჯახი კერძო პირისგან ქირაობს ბინას. ქირაობის პრაქტიკა ურბანიზაციასთან ერთად იზრდება და ქალაქში ცხოვრების მიღებულ ფორმას წარმოადგენს (Walsh et al. 2005).

სოციალური საცხოვრისი/სახლი – ბინადრობის ფორმა, როდესაც ინდივიდი/ოჯახი ქირაობს ბინას ისეთ სახლში, რომლის მშენებლობა სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ და გაქირავება საბაზროზე დაბალ ფასად ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში მაცხოვრებლები საწყის ეტაპზე ქირას საერთოდ არ იხდიან (იხ. საქართველოს მაგალითი). სოციალური საცხოვრისის ძირითადი დანიშნულებაა საცხოვრებლით უზრუნველყოს ის ინდივიდები/ოჯახები, რომლებსაც თავიანთი შემოსავლით ნორმალური საცხოვრებელის ყიდვა/ქირაობა საბაზრო ფასად არ შეუძლიათ (Walsh et al. 2005).

იმის მიხედვით, თუ ბინადრობის რომელ ფორმას (კერძო ფლობას თუ ქირაობას) უწყობს ხელს სახელმწიფო, ხშირად ლაპარაკობენ მის (სახელმწიფოს) აქტიურ და პასიურ როლზე. მაგალითად, გაქირავების ბაზარზე ჩარევა, განსაკუთრებით სოციალური

საცხოვრისის სახით, სახელმწიფოს აქტიურ როლზე მიუთითებს, ხოლო კერძო მფლობელობის წახალისების შემთხვევაში (მაგ., საგადასახადო შეღავათების მეშვეობით) კეთილდღეობის სახელმწიფო უკანა პლანზე იწევს და წამყვანი როლი ბაზარს ენიჭება (Fahey et al. 2010).

საბინაო პოლიტიკის წარმოების დროს სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს სამი ძირითადი ინსტრუმენტი:1

რეგულაცია – კერძო სექტორის საქმიანობის რეგულაცია შეიძლება ეხებოდეს ადეკვატური სანიტარიული პირობების დაწესებას, რასაც გასაქირავებელი საცხოვრისი უნდა აკმაყოფილებდეს. განვითარებულ ქვეყნებში ასევე ხშირია სამშენებლო სტანდარტების, ქირის, იპოთეკური სესხების განაკვეთისა და პირობების რეგულაცია. ქალაქის ზოგადი დაგეგმარების, იერისა და ასევე ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით ჩარევა შეიძლება ხდებოდეს სამშენებლო კომპანიების საქმიანობაშიც (Baldock, 2007).

ქირის კონტროლი ბაზარზე ჩარევის ყველაზე უხეშ ფორმას წარმოადგენს. განასხვავებენ ე.წ. „პირველი თაობის“ მკაცრ კონტროლს, რომელიც ქირის მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავდა. ის ძირითადად პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი (Fahey et al. 2010). მაგალითად, 1915 წელს დიდი ბრიტანეთი გაფიცვების ტალღამ მოიცვა, რომელსაც გლაზგოს მაცხოვრებელი ქალები ხელმძღვანელობდნენ. ისინი თავიანთ დაუცველ მდგომარეობას აპროტესტებდნენ, რადგან ბინის მესაკუთრეებს მათი გამოსახლება ყოველგვარი ლეგალური დაბრკოლების გარეშე შეეძლოთ. ამასთანავე, საცხოვრებელი ბინები კარგი ხარისხით არ გამოირჩეოდა. ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა შემოეღო ქირის კონტროლი და დაეწესებინა ქირის ზედა ზღვარი (Walsh et al. 2005).

მოგვიანებით მსგავსი სახის რეგულაცია ჩანაცვლდა უფრო რბილი, ე.წ. „მეორე თაობის“ ქირის კონტროლით, რომელიც უშუალოდ ქირის მოცულობას არ ადგენს, მაგრამ არეგულირებს რამდენჯერ შეიძლება გადაიხედოს ქირის მოცულობა. კონტრაქტის ფარგლებში ან ქირის გაზრდის შემთხვევაში ადგენს, რომ იგი საშუალო საბაზრო ფასზე მაღალი არ უნდა იყოს. ასევე აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში მობინადრეებს გარკვეული დამცავი მექანიზმიც აქვთ და არ ხდება ერთი ხელის მოსმით მათი გამოსახლება, მაგალითად, მათ ეძლევათ რამდენიმე კვირა სხვა ბინის მოსაძებნად. ბუნებრივია, ქირის კონტროლს ბაზარზე სიტუაციის მნიშვნელოვნად შეცვლა შეუძლია (Fahey et al. 2010). მაგალითად, სტოკჰოლმში ქირის კონტროლმა მკვეთრად შეამცირა ბინების მოწოდება და მოლაპარაკებების უმეტესობამ არაფორმალური სახე მიიღო (Hufner & Lundsgaard, 2007).

სუბსიდირების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსებას აძლევს კერძო აქტორებს (მაგ., საცხოვრისის მფლობელებს, ფინანსურ ინსტიტუტებს, სამშენებლო კომპანიებს) საცხოვრებლების აშენების და/ან შეძენის მიზნით. სუბსიდიები კერძო აქტორების რესურსებს ზრდის და მან შეიძლება პირდაპირი ტრანსფერის ან გადასახადის შემცირების ფორმა მიიღოს, როგორიცაა მაგალითად, საცხოვრისის კრედიტით ყიდვის შემთხვევაში

გადამხდელისათვის საპროცენტო განაკვეთის საშემოსავლო გადასახადიდან გამოქვითვა (Walsh et al. 2005). მსგავსი სახის დანახარჯები, რომლებსაც არაპირდაპირ დანახარჯებსაც უწოდებენ და რომლებიც ხშირად არც კი აისახება ოფიციალურ დანახარჯებში, ხშირად უფრო მეტია, ვიდრე ოფიციალური დანახარჯი. მაგალითად აშშ-ში, რომელიც არ ხასიათდება კეთილდღეობის სახელმწიფოდ, საბინაო კრედიტზე საგადასახადო შეღავათმა 2007 წელს მშპ-ის 0.85% შეადგინა (Fahey et al. 2010).

გარდა ამისა, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის არსებობს პირდაპირი ტრანსფერები „საბინაო“ ბენეფიტების სახით (Housing Benefit), რომელიც მათ ქირის გადახდაში ეხმარება (Baldock, 2007). ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი კრედიტის ბაზარზე. იგი ხშირად თავად გვევლინება მსესხებლის როლში (მაგ., ნორვეგიაში State Banking House). თუმცა ბოლო პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდება კერძო ბაზარზე სახელმწიფო გარანტიით სესხების პრაქტიკა (Fahey et al. 2010). პირდაპირი მიწოდება – ეს არის სიტუაცია, როდესაც კერძო აქტორებისათვის სუბსიდიების გაცემის და/ან რეგულაციების გამკაცრების ნაცვლად სახელმწიფო პირდაპირ მიაწოდებს საცხოვრებელს მოსახლეობას. ამის მაგალითია თავად სახელმწიფოს მიერ სოციალური სახლების მშენებლობა.

ცხრილი 1: საბინაო პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა ქვეყანაში

| **ინსტრუმენტის ტიპი** | **ფინეთი** | **გერმანია** | **იტალია** | **დიდი ბრიტანეთი** |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი სუბსიდია | | | | |
| სახელმწიფო დანახარჯი საცხოვრებელზე, როგორც მშპ-ის %წილი | 0,3 | 0,4 | 0,0 | 1,4 |
| ოჯახები, რომლებიც იღებენ საბინაო ბენეფიტს (%) | 20 | 7 | 0.5 | 19 |
| სუბსიდიები სოციალური საცხოვრის მშენებლობისთვის | არსებობს | არსებობს | არსებობს | 2 |
| სუბსიდიები სოციალური საცხოვრისის მენეჯმენტისთვის | არ არსებობს | არ არსებობს | არ არსებობს | |
| არაპირდაპირი სუბსიდია | | | | |
| კერძო მესაკუთრეთათვის საგადასახადო შეღავათი კრედიტის საპროცენტო განაკვეთზე | არსებობს | არ არსებობს | არ არსებობს | |
| გადასახადები | | | | |
| კერძო მფლობელობაში არსებული ქონების გაყიდვის მოგებაზე გადასახადი | არსებობს | არ არსებობს | არსებობს | არ არსებობს |
| კერძო მესაკუთრეების პირობითი ქირა | არ არსებობს | არ არსებობს | არ არსებობს | არ არსებობს |
| რეგულაცია | | | | |
| სოციალურ საცხოვრისში ქირის კონტროლი | არსებობს | არსებობს | არსებობს | |
| სოციალური საცხოვრისი გამიზნულია დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვის | არსებობს | არსებობს | არსებობს | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სოციალური საცხოვრისში ქირით მცხოვრებთა უფრო მკაცრი ლეგალური დაცვა, ვიდრე კერძო მოქირავეების | | არ არსებობს | არსებობს | |
| სოციალურ საცხოვრისის ბინების პრივატიზება ნებადართულია | არსებობს | | არსებობს | არსებობს |
| კერძო ქირავნობის შემთხვევაში ქირის კონტროლი | არ არსებობს | არსებობს | არ არსებობს | არ არსებობს |

წყარო: Fahey et al. 2010

სახელმწიფო ჩარევის ლოგიკა

ისევე, როგორც სოციალური პოლიტიკის სხვა სფეროებში, საბინაო პოლიტიკაშიც დისკუსიის მთავარ თემას პროდუქტის (საცხოვრებლის) მიწოდების ფორმა (სახელმწიფო თუ კერძო) და სახელმწიფოს მხრიდან ბაზრის რეგულირება წარმოადგენს. იმისათვის, რომ ავხსნათ, თუ რატომაა საჭირო რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს ჩარევა, საჭიროა უფრო დეტალურად განვიხილოთ, როგორ ფუნქციონირებს პრაქტიკაში ბინადრობის სხვადასხვა ფორმა (Baldock, 2007)3.

საცხოვრებლის საკუთრებაში ფლობა: მოსახლეობის უმეტესობისათვის საცხოვრებლის შეძენა მხოლოდ გრძელვადიანი სესხის მეშვეობითაა შესაძლებელი, თუმცა სესხის შემთხვევაშიც ადამიანს ხშირად სჭირდება თანადაფინანსება, რაც საკუთარი დანაზოგით ან ოჯახის დახმარებით უნდა უზრუნველყოს. ბანკებისთვის, რომლებიც სესხს გასცემენ, ძირითადი ინტერესი ფინანსური სარგებელია, რისი უზრუნველყოფაც რისკის კონტროლს საჭიროებს. სესხის გაცემა რისკიანია, თუ იმის ალბათობა, რომ მსესხებელი 2 ცარიელი გრაფა მიუთითებს, რომ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. 3 აქ შეგნებულად არ განვიხილავთ კერძო ბაზარზე დაქირავების შემთხვევას, რადგან მაშინ სახელმწიფოს ჩარევა მინიმალურია.

ვერ მოახერხებს მის გადახდას, მაღალია. ეს ყველაფერი პრაქტიკულად აისახება სესხის გაცემის პირობებზე. ბანკი დეტალურად სწავლობს პოტენციური მსესხებლის ფინანსურ შესაძლებლობებს, რათა დარწმუნდეს, რომ მსესხებელი გადახდისუნარიანია. იმდენად, რამდენადაც სესხის თავდები თვით შესასყიდი საცხოვრისია, ასევე ფრთხილად ხდება იმის შერჩევა, თუ როგორი საცხოვრისის შესაძენად (ფასი, მდებარეობა, ფართი) უნდა გაიცეს სესხი. ამას სამი შედეგი მოჰყვება: - წითელი ზონების გაჩენა: ქალაქებში გარკვეული ტერიტორიები ან მთლიანი უბნები შეიძლება შეფასდეს, როგორც „რისკიანი“; ამ შემთხვევაში ასეთ ტერიტორიაზე საცხოვრებლის შესაძენად სესხი, როგორც წესი, აღარ გაიცემა; - რისკიანად შეიძლება შეფასდეს როგორც საცხოვრებელი უბანი, ისე ინდივიდუალური საცხოვრებელი, მაგალითად სახლები, რომლებიც დაბინძურებულ ტერიტორიაზე ან მეწყერსაშიშ თუ წყალდიდობის დიდი რისკის მქონე ადგილზეა აშენებული; - სესხის გამცემი ასევე ყურადღებას აქცევს პოტენციური მსესხებლის საქმიანობის სფეროს. შესაბამისად, გარკვეული „რისკიანი“ პროფესიის წარმომადგენლებზე შეიძლება სესხი არ გასცეს. პირველ რიგში აქ თვითდასაქმებულები და სეზონურად დასაქმებულები იგულისხმებიან. აღსანიშნავია, რომ თვითდასაქმებული

ზოგადი ტერმინია და შეიძლება წარმატებული მეწარმეც კი იყოს თვითდასაქმებული. ამ სახის თვითდასაქმებული პირი, რა თქმა უნდა, არ მიეკუთვნება „რისკიან“ კატეგორიას (Baldock, 2007).

ამრიგად, აღსანიშნავია, რომ სესხის გამცემნი  მხოლოდ საკუთარ მოგებაზე არიან ორიენტირებული და, შესაბამისად, სესხის მისაღებად მკაცრ კრიტერიუმებს აწესებენ.

განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მეორადი ბანკები, რომლებიც საბინაო სესხს იმ პირებზე გასცემენ, ვინც ძირითადი ბანკების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. იმდენად, რამდენადაც ეს პირები ნაკლები გადახდისუნარიანობით ხასიათდებიან და რისკი მაღალია, მეორადი ბანკები მათ უფრო მაღალ პროცენტს და ვალის გადასახდელად უფრო ხანმოკლე პერიოდს უწესებენ. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, შედეგად ყველაზე დაბალშემოსავლიანი კლიენტი იხდის მეტს ან შეიძლება საერთოდ ვერ მიიღოს სესხი მაშინ, როდესაც ის, ვისაც სესხის დაფარვის პრობლემა არ აქვს, იღებს ნაკლებპროცენტიან სესხს და იხდის ნაკლებს. ეს ფაქტი ბაზრის ფუნქციონირების ნორმალური შედეგია (Baldock, 2007).

სოციალური საცხოვრისის შემთხვევაში, განსახლების კრიტერიუმებს ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს. ეს კრიტერიუმები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, მაგრამ, როგორც წესი, სოციალური მოწყვლადობის სხვადასხვა მაჩვენებელს ეყრდნობა, როგორიცაა: მრავალშვილიანი ოჯახები, ცუდ საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები ოჯახები, დევნილები, ქრონიკული ან მძიმე ავადმყოფობის მქონე პირები. ასევე შეიძლება საცხოვრებლის განაწილება ჩვეულებრივი მომლოდინეთა რიგების მიხედვით განისაზღვრებოდეს (Baldock, 2007).

დიდი ბრიტანეთის გამოცდილებით, სადაც ე.წ. საბჭოს სახლების (council housing) მაცხოვრებლები ქირას იხდიან, ხდება ოჯახების დახარისხება „პრობლემურ/ცუდ გადამხდელებად“ და „კარგ გადამხდელებად“. იმისათვის, რომ შედარებით დაბალი ხარისხის საცხოვრისებიც გაქირავდეს, მათ პირველ რიგში „ცუდ გადამხდელებს“ სთავაზობენ. „ცუდი გადამხდელი“, როგორც წესი, ყველაზე მეტად გაჭირვებულიცაა და რადგანაც ის სასოწარკვეთილია (სხვა გამოსავალი არა აქვს), იღებს ნებისმიერ

შემოთავაზებას. ხოლო ის, ვისაც ნაკლებად უჭირს, სხვა, უფრო უკეთეს შემოთავაზებას ელოდება. ბინადრობის ამ ფორმის შემთხვევაშიც იგივე სცენარი მეორდება, რაც საცხოვრისის შეძენის დროს: ყველაზე გაჭირვებული ყველაზე მძიმე პირობებში ხვდება. უფრო შეძლებულ ოჯახებთან შედარებით მას უწევს ან უფრო მეტის გადახდა ან უფრო ცუდ საცხოვრებელ პირობებზე დათანხმება (Baldock, 2007).

ამრიგად, საბინაო ბაზრის ზემოაღწერილი ნაკლოვანებები (სესხების გაცემის სპეფიციკა და ა.შ.) აუცილებელს ხდის სახელმწიფო ჩარევას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს გარანტიები, რომ ყველაზე მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები ადეკვატურ საცხოვრებელს მიიღებენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება სოციალური სახლების პოტენციური დამქირავებლების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ“ გადამხდელებად.

## პოლიტიკის ეფექტ ურობის შეფასების კრიტერიუმები

ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საცხოვრებლის ქონა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ქვეყანაში უსახლკაროთა რაოდენობა თავისთავად საბინაო პოლიტიკის ეფექტურობის მკაფიო კრიტერიუმია. თუმცა საქმე მხოლოდ ოთხ კედელს და თავზე ჭერს არ ეხება. საბინაო პოლიტიკის შესაფასებლად ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) სამ ძირითად ინდიკატორს გამოყოფს: - დანახარჯი საცხოვრებელზე : შინამეურნეობის ბიუჯეტში საცხოვრებელზე დანახარჯის (ქირა, კომუნალური გადასახადები, რემონტი და ა.შ.) წილი. OECDის ქვეყნებში შინამეურნეობები თავიანთი შემოსავლის საშუალოდ 21%-ს საცხოვრებელზე ხარჯავენ. - ერთ ბინადარზე ო თახების რაოდენობა : ბინაში ოთახების რაოდენობის თანაფარდობა იქ მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობასთან მიუთითებს რამდენად გადატვირთულ პირობებში ცხოვრობენ ისინი. გადატვირთულ სახლებში ცხოვრებას უარყოფითი ეფექტი აქვს ადამიანთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. OECD-ის ქვეყნებში თითო ადამიანზე საშუალოდ 1,6 ოთახი მოდის. - ბაზისური კომუნალური პირობები: მაგალითად, საცხოვრებლების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აღჭურვილია სველი წერტილებით. OECD-ის მოსახლეობის 97,8%-ის საცხოვრისს სველი წერტილები აქვს (OECD, 2014).

## საბინაო პოლიტიკა საქართველოში

1992 წლიდან საქართველოში სწრაფი ტემპით განხორციელდა მანამდე სახელმწიფოს ნომინალურ მფლობელობაში არსებული საცხოვრებლების უმეტესობის (95%) პრივატიზება. 2008-2011 წლებში სამშენებლო ბუმის შედეგად საბინაო სექტორის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ეს თითქმის მთლიანად კომერციული მშენებლობის ხარჯზე მოხდა, სახელმწიფოს ჩართულობა მოსახლეობის მოწყვლადი ფენების საცხოვრებლით უზრუნველყოფაში კი კვლავაც ძალიან მცირეა (UNDP, 2011).

განსაკუთრებით პრობლემურია იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) საცხოვრებლის საკითხი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით,

საქართველოში სულ 253,574 დევნილია, რომელთა დიდი ნაწილი ე.წ. კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს. ამ ტერმინით აღინიშნება მიტოვებული შენობები (სკოლები, საავადმყოფოები და ა.შ.), რომლებიც დევნილებმა 1990-იანი და/ან 2008 წლის კონფლიქტების შემდეგ თვითნებურად დაიკავეს. შესაბამისად, ფართო გაგებით, საქართველოს 100 000-მდე უსახლკარო დევნილი ჰყავს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2010). აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისათვის მთავრობამ იმავე წლის

ოქტომბრიდან დეკემბრამდე  პერიოდში 3,963 ინდივიდუალური კოტეჯის ტიპის სახლი ააშენა. თითოეული კოტეჯი დაახლოებით 27 800 ლარი დაჯდა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2010).

დევნილებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილების საცხოვრისით უზრუნველყოფას, მაგრამ ეს ეტაპობრივად და საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამასთან ერთად არ არის გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაში მყოფი დევნილი ოჯახებისათვის პრიორეტეტის მინიჭება (SDC, 2011). დევნილთა გარდა, არსებობს სხვადასხვა კატეგორიის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულებებიდან გამოსული ადამიანები, მარტოხელა ხანდაზმულები) ადამიანები/ოჯახები, რომლებსაც ხშირად აქვთ უსახლკარობის პრობლემა ან ცხოვრობენ მიუღებელ საცხოვრებელ პირობებში (SDC, 2011).

შეზღუდული მასშტაბის პირდაპირი სახელმწიფო მიწოდების პარალელურად თანდათანობით იზრდება დონორი ორგანიზაციების როლი სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფაში. საქართველოში პირველი სოციალური საცხოვრისი 2008 წელს თბილისში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით აშენდა (SDC, 2011). ამას მოჰყვა ანალოგიური მშენებლობები გორში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში 2009 წელს, ხოლო ბოლნისსა და რუსთავში - 2011 წელს (UNDP, 2011).

აღნიშნულ სოციალურ საცხოვრისებში ბენეფიციართა შერჩევა ცალკეული მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა, თუმცა მათ სახელმძღვანელო პრინციპების სახით საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აწვდის კრიტერიუმების ჩამონათვალს, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახების შერჩევის დროს. ეს კრიტერიუმები შემდეგნაირია:

- ოჯახის საცხოვრებელი პირობები სავალალოა და აუცილებელია პირობების გაუმჯობესება;  - ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა;  - ოჯახის წევრების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია;  - ოჯახის წევრებს არ აღენიშნებათ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება ან გადამდები დაავადებები;  - ოჯახში არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან მცირეწლოვნები;  - ოჯახი მრავალშვილიანია;  - ოჯახის წევრები გამოთქვამენ მზადყოფნას დასაქმებისათვის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საბინაო პოლიტიკა პრაქტიკულად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისათვის (მაგ., დევნილებისათვის) მიღებულ სპეციალურ ზომებს. ამ სფეროშიც ცვლილებები ძირითადად დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით ხდება, რაც ძალიან მცირეა პრობლემის სრულად აღმოსაფხვრელად და საერთო სურათს ნაკლებად ცვლის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Baldock J. (2007), Social Policy, Social Welfare a nd the Welfare State ; Fahey T. & Norris M. (2010), Housing, The Oxford Handbook of the Welfare State; Harloe M. (1995), in Fahey T. Norris M. (2010), Housing, The Oxford Handbook of the Welfare State; Hufner & Lundsgaard (2007), in Fahey T. Norris M. (2010), Housing, The Oxford Handbook of the Welfare State; Swiss Agency for Development and Cooperation (SDC), (2011): Social Housing in Supportive Environement (SHSE) project i n Georgia; Achievements over the years: 2007 - 2001 ; United Nations Development Program, (UNDP) (2011): Support to Social Services & Policies in Georgia, Project Document; Walsh M. Stephens P. Moore S. (2005), Social Policy & Welfare , Nelson Thornes; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, (2010): დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2010), Cottage Settlements for Georgia's new IDPs: Accountability in Aid and Construction, Open Society Georgia Foundation.

# თანამედროვე სოციალური პრობლემები: ნარკოდამოკიდებულება

ნარკოდამოკიდებულება დიდი პრობლემაა უმეტესი ქვეყნებისათვის, და არც საქართველოა გამონაკლისი. დამეთანხმებით ალბათ, რომ ნარკოტიკების მოხმარებას აქვს, როგორც ინტერნალური საფასური ე.ი. ზიანი საკუთარი თავის მიმართ, ასევე ექსტერნალური საფასური, ე.ი. ზიანი სხვის მიმართ. ჩვენ დღეს ორივეს განხილვას შევეცდებით:

ნარკოტიკების მოხმარების ინტერნალური საფასური ის არის, რომ ნარკოტიკების მოხმარებას თან სდევს სიცოცხლის ნგრევის რისკი არა მარტო თავად ნარკოდამოკიდებულთათვის, არამედ მათი ოჯახის წევრებისათვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე თითქოს ყველა თანხმდება, ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მაგალითად, შერი და მარნეფი (2002) ნარკოტიკების მოხმარებას "გასართობ სასიამოვნო შეგრძნებების აღმძრავ აქტივობად" მიიჩნევენ, თუმცა ვერავითარ მეტ სარგებელს ვერ ასახელებენ. მათი აზრით, ნარკოტიკების მოხმარებით მეტი ადამიანი სარგებლობს ვიდრე ზარალდება. ეს ნარკოტიკების ზიანის მინიმიზაციისკენ მიმართული მოსაზრებაა და საკითხს ასე აყენებს: თუ მილიონი მომხმარებლიდან მხოლოდ ათასი ზარალდება ან ინტოქსიკაციით ან მისგან გამოწვეული დანაშაულით, ეს 1000 დაზარალებული მილიონის წინააღმდეგ საპირწონედ არ გამოდგება. უფრო უხეშად რომ ვთქვათ, ეს ასე ჟღერს: დავხუჭოთ თვალები იმაზე, რომ 1000 დავკარგოთ იმისათვის, რომ მილიონმა ისიამოვნოს? ოპონენტები კი, მათ ასეთი კითხვით უპირისპირდებიან: თუ უამრავი ცხოვრების გამანადგურებელი ჩვევის სასარგებლოდ მეტი ვერც ერთი არგუმენტი ვერ სახელდება, რატომ იზარალებს საზოგადოება მისი აკრძალვით?

შერისა და მარნეფის მომხრეების აზრით, ნარკოტიკები სხვა ტექნოლოგიების მსგავსად აფართოებენ თავისუფლებას. მათი აზრით, იზრდება არა უარყოფითი თავისუფლება, რომელიც გულისხმობს სხვების მხრიდან ძალდატანების გარეშე ყოფნას, არამედ დადებითი თავისუფლება: რაც საკუთარი არჩევანის მიხედვით ცხოვრებას გულისხმობს.Dმათი, და არა მარტო მათი აზრითვე, დადებითი თავისუფლება, უარყოფითისაგან განსხვავებით, კავშირშია შინაგან ბედნიერებასთან, რაც კეთილდღეობის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტადაა აღიარებული. მათი ოპონენტების აზრით კი, მიჯაჭვულობა, რომელიც ნებისყოფის დაკარგვას იწვევს არის დადებითი თავისუფლების დაკარგვა, რადგან მცირდება ჩვენი უნარი ვიყოთ საკუთარი თავის განმგებლები. ჰუნტის აზრით (2003), ნაკოტიკების მოხმარებისა და მიწოდების აკრძალვის შესახებ კანონები ამცირებენ უარყოფით თავისუფლებას დადებითი თავისუფლების გაძლიერების მიზნით, ეხმარებიან რა ადამიანს იყოს თავისუფალი.

ნარკოტიკების მოხმარების ექსტერნალური საფასური ნარკოტიკებსა და დანაშაულს შორის ურთიერთკავშირში გამოიხატება, გამომდინარე:

- ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ქცევითი პატერნიდან;
- ნარკოდამოკიდებულთათვის ფულის შოვნის მუდმივი საჭიროებიდან;
- ნარკოტიკების მიწოდებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული შავი ბაზრის გვერდითი მოვლენებიდან.

მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

რიუტერისა და მისი კოლეგების (2003) აზრით, ნარკოტიკებით გამოწვეული ინტოქსიკაცია და მიჯაჭვულობა, ზოგიერთ ვითარებაში, იწვევს დაუფიქრებელსა და ძალადობრივ საქციელს. თუმცა, ნარკოტიკების მოხმარებასა და დანაშაულს შორის კავშირის დადგენას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ნარკოტიკის სახეობა დიდად განსაზღვრავს ინტოქსიკაციისა და მიჯაჭვულობის ფარმაკოლოგიურ ეფექტს, ქცევის ფატერნს, და ყიდვისა და გაყიდვის ეკონომიკას. ინტოქსიკაციის და მიჯაჭვულობის რისკი კი არსებობს, როგორც ლეგალიზაციის, ასევე აკრძალვის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ მეტეესის (2002) ემპირიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ უმეტესი დანაშაული და განსაკუთრებით კი, ძალადობრივი დანაშაული უფრო ხშირად ჩადენილია ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ვიდრე ერთად აღებული ყველა ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ. გამოდის, რომ ნარკოტიკების მოხმარებისათვის ფულის შოვნის მიზეზით ჩადენილი დანაშაულსა და მოხარებას შორის ერთიერთკავშირი არც თუ ისე მკვეთრადაა გამოხატული. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მავნე ნივთიერებების ზეგავლენის შედეგი უფროა დანაშაული, ვიდრე ეკონომიკური მოტივაციით ან შავი ბაზრით განპირობებული საზიანო ქმედებებისა.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეები ფიქრობენ, რომ ნარკოტიკების აკრძალვა იწვევს: ა) შავი ბაზრის წარმოქმნას, რადგან არსებობს მოთხოვნაც და მიწოდების სურვილიც და ბ) დანაშაულის ჩადენის მოტივირებას აკრძალვასთან დაკავშირებული ბარიერის გადასალახავად, როგორც დილერების, ასევე მომხმარებელთა მიერ. მსგავსი კანონდარღვევები და შეხლა-შემოხლა ალკოჰოლით მოვაჭრეთა შორისაც ხდებოდა ალკოჰოლის აკრძალვისას, რაც ლეგალიზაციამ დაარეგულირა და დღეს ეს საფრთხე აღარ არსებობს. ხშირად ესეც დგება საკითხი, რომ ალკოჰოლი, რომელიც ჩვენი საზოგადოების მილიონობით წევრის სიკვდილისა და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზია, ლეგალურია და ნარკოტიკები კი არალეგალური.

ანალიტიკოსთა აზრით, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის განხილვისათვის საჭიროა განვიხილოთ მთლიანი თანხა, რომელსაც ნარკოდამოკიდებული პირები ნარკოტიკის შესაძენად იხდიან. ეს კი გულისხმობს არა

მარტო ნარკოტიკის შესაძენ თანხას, ე.ი. მის ღირებულებას ბაზარზე, არამედ მის შეძენასთან დაკავშირებულ რისკ ფაქტორებსაც, როგორიცაა, სანქციები ნარკოტიკების შემოტანაზე, ჯარიმები ნარკოტიკების გასაღებაზე, პატიმრობა, სამუშაო ბაზარზე მოსალოდნელი დისკრიმინაცია, საგანმანათლებლო სესხების ხელმისაწვდომობის დაკარგვა და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც შედარებით მცირეა იმ ნარკომანთა რაოდენობა, რომლებიც ნარკოტიკზე უარს მასზე ფასის ზრდის გამო იტყვიან, ამიტომ ნარკოტიკების აკრძალვას, შეუძლია გაზარდოს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის დონე.

ახლა, მოდით დავსვათ კითხვები, რომლებიც დაგვეხმარებიან ნარკოტიკების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების გაანალიზებაში, როგორც ლეგალიზაციის მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა არგუმენტებზე დაყრდნობით.

მოდით, შევეცადოთ გავიაზროთ ლეგალიზაციას ნარკოტიკების გაიაფება ახლავს თუ გაძვირება. ამისათვის, განვიხილოთ ლეგალიზაციის როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა მოსაზრება ამის თაობაზე. ლეგალიზაციის მომხრეთა აზრით, ლეგალიზაციის ზეგავლენას ფასზე განაპირობებს მოთხოვნის ელასტიურობა ფასის მიმართ და ნარკოტიკების წარმოებისა და დისტრიბუციისათვის ჯარიმების გაუქმება. გროსმენისა და კოლეგების კვლევა (2002) ლეგალიზაციის შემთხვევაში ფასების საგრძნობლად შემცირებაზე საუბრობს. მათი აზრით, ფასი ჰეროინზე 70-ჯერ, კოკაინზე 20-ჯერ და მარიხუანაზე 15-ჯერ შემცირდება. თუმცა მაირონი (2003) არ ეთანმება ამ მოსაზრებას, და მისი აზრით, ფასი კოკაინზე ლეგალიზაციის შემთხვევაში მხოლოდ 2.5-5-ჯერ შემცირდება, ჰეროინზე კი 8-19-ჯერ. ფასების ასეთ შემცირებას იგი უკავშირებს ნარკოტიკების შავ ბაზარზე მიწოდების რისკების გაუჩინარებას. ლეგალიზაციის შემთხვევაში ნარკოტიკის ღირებულებამ უნდა მოიცვას გადასახადები შრომაზე, კაპიტალზე, უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობაზე, დასაქმების ბაზრის რეგულირებაზე, რეკლამირებაზე. ლეგალიზაციის შემთხვევაში, შავ ბაზარზე მოღვაწე ნარკომიმწოდებლების მიერ ამ საფასურის არიდება უთანასწორდება ნარკოტიკების აკრძალვის შემთხვევაში მთავრობის მიერ მათზე დაკისრებული ჯარიმების საფასურს. მაირონი ლეგალიზაციას ნარკოტიკებზე ფასების კლებას და შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარების ზრდას უკავშირებს. ეს კი ნარკოტიკების აკრძალვის მომხრე ანალიტიკოსების მოსაზრების საწინაღმდეგო მოსაზრებაა.

ნარკოტიკების აკრძალვის მომხრეთა აზრით, ნარკოტიკებთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ნარკოტიკების მოხმარების შემცირებაა, თუმცა ეს ბრძოლა უშუალოდ მოქმედებს გამყიდველებზე და არა მყიდველებზე. როდესაც მთავრობა ხელს უშლის ნარკოტიკების გარკვეული რაოდენობის ქვეყანაში შეღწევას და აპატიმრებს კონტრაბანდისტებს, ამით იწვევს ნარკოტიკების გაყიდვის ხარჯების ზრდას და, აქედან გამომდინარე, ამცირებს ნებისმიერ მოცემულ ფასად მიწოდებული

ნარკოტიკის რაოდენობას. ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ რაც უფრო გამკაცრდება სანქციები ნარკოდილერებისადმი, მით უფრო გაიზრდება ნარკოტიკებზე ფასი, როგორც დაპატიმრების, ქონების, ნარკოტიკებისა და ფულის დაკარგვის რისკის კომპენსაცია. მოთხოვნა ნარკოტიკებზე - რაოდენობა, რომლის შეძენაც მომხმარებელს სურს ნებისმიერ მოცემულ ფასად – არ იცვლება. შესაბამისად, ფასი ნარკოტიკებზე იზრდება, რაოდენობა კი მცირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირდება ნარკოტიკების მოხმარებაც.

ზოგიერთი ანალიტიკოსი ნარკოტიკების პრობლემისადმი ალტერნატიულ მიდგომას გვთავაზობს. ნარკოტიკების მიწოდების შემცირების მცდელობის ნაცვლად, პოლიტიკოსებს შეუძლიათ სცადონ მოთხოვნის შემცირება საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. მოთხოვნის შემცირებასთან ერთად მცირდება რაოდენობაცა და ფასიც ე.ი. მთლიანი შემოსავალიც. ასე რომ, ნარკოტიკების აკრძალვისაგან განსხვავებით, ნარკოტიკების საწინააღმდეგო საგანმანათლებლო პროგრამებს შეუძლიათ, როგორც ნარკოტიკების მოხმარების, ასევე მასთან დაკავშირებული დანაშაულის დონის შემცირება. ამათანავე, კუკის აზრით (2003), Mნარკოტიკების მოხმარებისათვის გასამართლება დიდ ტვირთად აწევს სასამართლოს, გადასახადის გადამხდელებს და სასჯელაღსრულების სისტემას. ამ რესურსების გამოყენება კი უფრო ეფექტიანი იქნებოდა უფრო მძიმე დანაშაულებებთან ბრძოლასა და დამნაშავეთა დასასჯელად.

ახლა კი, დრო მოვიდა გავიაზროთ რამდენად მგრძნობიარეა ნარკოტიკზე მოთხოვნა ფასის მიმართ. ესეც გავიაზროთ არა ცალმხრივად, არამედ, ლეგალიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების განხილვის საფუძველზე. ლეგალიზაციის მხარდამჭერთა აზრით, ლეგალიზაციას ახლავს ნარკოტიკების ფასის შემცირება, მოხმარება კი მოიმატებს. მათი აზრით, ნარკოტიკების მოხმარება არ არის მგრძნობიარე ნარკოტიკზე ფასის ცვლის მიმართ, სამაგიეროდ მომატებული მოხმარება ასოცირდება შემცირებულ კრიმინალურ ვითარებასთან.

ნარკოტიკების აკრძალვის მომხრეთა აზრით კი, შედეგები ამ მხრივ განსხვავებულია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში. ნარკოტიკების მოთხოვნა არაელასტიურია ფასის მიმართ მოკლევადიან პერიოდში, რადგან ფასების ზრდა დიდ გავლენას ვერ ახდენს ნარკოდამოკიდებულის მიერ ნარკოტიკების მოხმარებაზე. დროის გრძელ მონაკვეთზე კი, შესაძლოა მოთხოვნა უფრო ელასტიური გახდეს, ვინაიდან ფასების ზრდა შეამცირებს ნარკოტიკების გამოყენების სურვილს ახალგაზრდებში, და დროთა განმავლობაში შემცირდება ნარკომანთა რაოდენობაც. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების აკრძალვა გაზრდის ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის დონეს მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ შეამცირებს გრძელვადიან პერიოდში.

მორგენტაუ (2003), კი პრობლემის მოთხოვნის მხარეზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ ლეგალიზაცია არ გადაჭრის პრობლემას, რადგან ღარიბებს, მაინც დასჭირდებათ ფულის, თუნდაც "მეტი ფულის", შოვნა გაძვირების შემთხვევაში, ნარკოტიკების მოსაპოვებლად და ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მაინც შეიქმნება შავი ბაზარი. მისი აზრით, სანამ არსებობენ გეტოები, სადაც ადამიანებს სევდა და სასოწარკვეთა ეუფლებათ, ყოველთვის იქნება მოთხოვნილება რეალობიდან გაქცევისა, მიუხედავად იმისა, ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მომხმარებელი ადგილობრივ ბაზარს მიმართავს თუ საერთაშორისოს. სანამ იარსებებენ ადამიანები მომავლის პერსპექტივის გარეშე იარსებებს მოთხოვნაც ნარკოტიკებზე. ქართველი ექსპერტის გელა ლეჟავას თქმით, ნარკოდამოკიდებულიის გავრცელების არაერთი მიზეზი არსებობს, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად საზოგადოების ორგანიზებას. მისი აზრით, ნარკოდამოკიდებულიის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ საზოგადოებაში, რომელიც ვერ ხედავს პერსპექტივას.

დრო მოვიდა გავიაზროთ რამდენად ეფექტიანია დაბეგვრის პოლიტიკა ნარკომანიასთან ბრძოლისათვის. ამასაც ორივე მხარის მოსაზრებების წარდგენით შევეცდებით. ლეგალიზაციის იდეის მხარდამჭერები ლეგალიზაციისა და დაბეგვრის განხილვისას ამტკიცებენ, რომ გარემო, სადაც ნარკოტიკების წარმოება და მოხმარება ლეგალურია, მაგრამ დემოტივირებულია სააქციზო ბეგარით, როგორც წარმოებაზე, ასევე მოხმარებაზე ჯერ არ არის შესწავლილი. გადასახადის მონეტიზირება ვერ გამოდგება ნარკოტიკებზე ომის საპირწონედ, რადგანაც მწარმოებლები ყოველთვის შეეცდებიან “დახლს ქვევით” მიაწოდონ, თუ გადასახადმა გადააჭარბა შავი ბაზრის საფასურს. ბეკერისა და მისი კოლეგების აზრით (2002), ლეგალიზაციის პოლიტიკის გატარებისას, მთავრობამ ნარკოტიკების წარმოებაზე უნდა დააწესოს გადასახადის ოდენობაზე გაცილებით მაღალი ჯარიმა. ამის განხორციელება კი, გაცილებით ადვილია და ნაკლებ დანახარჯიანი, ვიდრე ანტინარკოტიკული პოლიტიკის განხორციელება.

სააქსიზო გადასახადი ნარკოტიკის წარმოებასა და მოხმარებაზე იგივე ზეგავლენას ახდენს ნარკოტიკების მწარმოებლებსა და მომხმარებლებზე ლეგალიზაციისას, როგორსაც ჯარიმები მისი აკრძალვის შემთხვევაში - ორივე ზრდის წარმოების და მოხმარების საერთო ღირებულებას და ამცირებს რაოდენობას. განსხვავება ისაა, რომ სააქციზო გადასახადი უბრალოდ ტრანსფერია, ხოლო ჯარიმების დაკისრება და ამოღება მეტ ძალისხმევასა და ცოცხალი რესურსების გამოყენებას გულისხმობს. მოსაკრებელი შესაძლოა ისევ ნარკოტიკების მსხვერპლთა გასაჯანსაღებელ პროგრამებს ან ნარკოდამოკიდებულიის პრევენციას მოხმარდეს. გამოდის რომ, სოციალური კეთილდღეობა მეტია ნარკოტიკების ლეგალიზაციისა და დაბეგვრისას.

მიუხედად იმისა, რომ სოციალური კეთილდღეობა ლეგალიზაციის შემთხვევაში მეტია, მაინც ბევრი საკითხია ღრმად გასააზრებელი, მაგალითად, როგორ იქნება მათი წარმოება და გაყიდვა. შეეძლებათ თუ არა ნარკოტიკების შეძენა არასრულწლოვანებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში მომსახურე პირებს, მაგალითად პილოტებს, ან საზოგადოებრივი რისკების შემცველი პროფესიული საქმიანობის განმხორციელებლებს, მაგალითად ექიმებს.

მოდით განვიხილოთ რა ხდება ამ მხრივ საქართველოში. ამჟამად საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ექსპერტების მონაცემებით, ქვეყანაში 40 ათასი ნარკოტიკების პრობლემური მომხმარებელია. აშშ-ის სახელმწიფო დეაპარტამენტის სტატისტიკით კი, ჩვენთან 250 ათასიდან 350 ათასამდე ნარკოტიკების მომხმარებელია და მათ შორის - 80 ათასი პრობლემური მომხმარებელი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დანაშაულის მთლიან სტრუქტურაში ეგრეთ წოდებულ „ნარკოტიკულ დანაშაულს“ 15,7 პროცენტი უკავია.

წლების განმავლობაში, ნარკომომხმარებლობა მკაცრად სანქცირებული იყო საქართველოში, ის ნაკლებად განიხილებოდა, როგორც სოციალური პრობლემა, მისი აღმოფხვრისაკენ არ იყო მიმართული ძალისხმევა. არც დამხარე პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ და არიან ჩართულები პრობლემის მოგვარებაში და მის პრევენციაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით, ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა ან მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ითვალისწინებდა 500 ლარით დაჯარიმებას, განმეორებით ნარკოტიკის მოხმარებისას კი მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა დაჯარიმებას ან თავისუფლების აღკვეთას. მაღალი იყო ამ მუხლის გამოყენების სიხშირის მაჩვენებელიც: საშუალოდ 3 ათასი შემთხვევა წლის განმავლობაში. უდავოა, რომ  კანონმდებლობა, რომელიც ორიენტირებული იყო მკაცრ სანქციებზე გადახედვას საჭიროებდა. გარკვეული ცვლილებები განხორციელდა კიდეც, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების ფლობისა და მოხმარებისთვის ბოლო წლებში სასჯელი 6 თვიდან 6 წლამდე შემცირდა, ნაცვლად 6-დან 11 წლამდე, გაუქმდა რეგულაცია, რომელიც სასწრაფო დახმარების ექიმებს ავალდებულებდა ნარკოტიკული ზედოზირების შემთხვევაში  საპატრულო პოლიციაში დაერეკათ, გაიმიჯნა ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური საშუალებების ფლობის მიზანი, მაინც ბევრია გასაკეთებელი, როგორც პრევენციული, ასევე ზიანის შემცირების თუ რეაბილიტაციის მომსახურებების განვითარების მხრივ.

ჯერ კიდევ 2010 წელს გამართულ შიდსის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მიიღეს ვენის დეკლარაცია ითქვა: "დღეს არსებული უამრავი ფაქტით დასტურდება, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებთან მიმართებაში სამართლებრივი

იძულების ზომებმა ვერ უზრუნველყო დასახული მიზნების მიღწევა. ამის გათვალისწინებით, საყოველთაოდ უნდა ვაღიაროთ ასეთი იძულების პოლიტიკის უარყოფითი და ზიანის მომტანი შედეგები და ვიზრუნოთ მათ გამოსწორებაზე".

სასიხარულოა, რომ ამ ეტაპზე უკვე აქტიურადაა წამოწყებული საუბარი ნარკოპოლიტიკის დაბალანსებისათვის, იმისათვის, რომ ნარკოტიკების მოხმარება არ იყოს განხილული როგორც მხოლოდ დანაშაული და სამართლებრივი სანქციებით რეგულირებადი სფერო და დაინერგოს საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომები. ასეთი მიდგომა ემსახურება ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციას და შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთანაც.

# თანამედროვე სოციალური პრობლემები: საერთაშორისო იმიგრაცია და ლტოლვილები

გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, რომელიც მიღებულია 1951 წელს, ლტოლვილს განსაზღვრავს, როგორც ქვეყნის გარეთ მყოფ პირს, რომელსაც არ შესწევს უნარი დაბრუნდეს თავის ქვეყანაში პერსეკუციის რეალური საფრთხის შიშით, რომელიც გამოწვეულია რელიგიური, რასული, ეროვნული, პოლიტიკური შეხედულებებით ან კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში გაწევრიანებით. ხოლო ადამიანი, რომელიც გადაადგილებულია საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე იწოდება არა "ლტოლვილად", არამედ შიდა გადაადგილებულ პირად. ჩვენ საქართველოში ძირითადად შიდა გადაადგილებული პირები გვყავს.

ადამიანები, რომლებიც ლტოლვილთა კატეგორიაში მოხვდებიან სარგებლობენ კონკრეტული უფლებებით. ლტოლვილების დახმარება საერთაშორისო ქველმოქმედების და პოლიტიკური უპირატესობის საკითხი კი არ არის მხოლოდ, არამედ კონვენციის წევრი სახელმწიფოების ანგარიშვალდებულებისა გაეროს წინაშე. კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნები ვალდებულნი არიან პოლიტიკური თავშესაფარი მისცენ ლტოლვილებს ყოველგვარი იძულებითი დაბრუნების მოთხოვნის გარეშე, იქ, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ. ლტოლვილები ხშირად პოლიტიკური თამაშების მსხვერპლნიც ხდებიან.

არსებობს ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა:

- ნებაყოფლობითი დაბრუნება სამშობლოში
- მასპინძელ ქვეყანაში ადგილობრივი ინტეგრაცია
- ლტოლვილთა ხელახალი გადაადგილება პოლიტიკური თავშესაფრის ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში.

მოდით, განვიხილოთ რატომ და ვინ გადის საზღვრებს გარეთ. არსებობს მიგრანტთა ორი ტიპი: ეკონომიკური მიგრანტები და არა-ეკონომიკური მიგრანტები. არსებობს ასევე მიგრაციის ხელშემწყობი ინდიკატორები: მოთხოვნის ბიძგი, მიწოდების ბიძგი და ქსელი. მოთხოვნის ბიძგი ეკონომიკური მიგრანტებისათვის ძირითადად მასპინძელ ქვეყანაში დასაქმების მიმზიდველი ტენდენცია და უკეთესი ხელფასია. არა-ეკონომიკური მიგრანტებისათვის კი, მაგალითად ოჯახის გამთლიანება, თუ მასპინძელ ქვეყანაში მათი ოჯახის წევრები იმყოფებიან. მიწოდების ბიძგი კი, ეკონომიკური მიგრანტებისათვის არის უმუშევრობა სამშობლოში, დაბალი ხელფასი, ხოლო არა-ეკონომიკური მიგრანტებისათვის კი მათ ქვეყანაში მიმდინარე ომი და მათზე განხორციელებული დევნა. მიგრაციის ხელშემწყობი ინდიკატორია

მასპინძელ ქვეყანაში არსებული ქსელი, რომლის საშუალებითაც ეკონომიკური მიგრანტები დასაქმებისა და ხელფასების შესახებ იღებენ ინფორმაციას, ხოლო არა-ეკონომიკური მიგრანტები კომუნიკაციის, ტრანსპორტირების, დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციების შესახებ.

მოდით, შევთანხმდეთ ემიგრაცია პრობლემაა თუ პრობლემის გადაჭრა. ამისათვის, საკითხი განვიხილოთ პოლიტიკურ და სოციალურ ჭრილში. საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვისას ვნახავთ, რომ ევრო გაერთიანების ქვეყნების უმეტესობამ საგრძნობლად შეამცირა ლეგალური ემიგრანტების ლიმიტები. უმეტესი პოლიტიკური პარტიები ცდილობენ არალეგალური ემიგრაციის აკრძალვას და მესამე მსოფლიოს ქვეყნებს ეკონომიკური სანქციებისა და დახმარებების აკრძალვის მუქარით აიძულებენ კონტროლის გაძლიერებას არალეგალურ მიგრაციაზე, ან არალეგალური ემიგრანტების უკან დაბრუნებაზე. ფაქტია, რომ ემიგრანტთა ნაკადი საგრძნობლად შემცირდა ბოლო დეკადების მანძილზე.მაგალითად, თუ 1990 წლის განმავლობაში ემიგრაცია 500 000-დან 1 მილიონამდე გაიზარდა ევროპაში, პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით გასულთა რიცხვი თითქმის განახევრდა 1992 წელთან შედარებით და 3.8 შეადგინა 2001 წელს.

ბოლო წლებში მსოფლიოში არსებული კრიზისებისა და კონფლიქტების შედეგად კი, ევროპული პოლიტიკა მუდმივი კრიტიკისა და დებატების საგნად იქცა. უმრავლეს ქვეყნებს სიფრთხილის პოლიტიკის გამო აკრიტიკებენ როგორც პოლიტიკური, ასევე უფლებადამცველი ორგანიზაციები. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც შეაღწია ლტოლვილთა ახალმა ნაკადმა. მაგალითად, იტალიაში 106 000 ლტოლვილი ჩავიდა მიმდინარე წლის იანვრიდან აგვისტომდე, 2 700 მეტი კი დაიღუპა ევროპისაკენ ხმელთაშუა ზღვით მგზავრობისას, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით. მძაფრი კრიტიკა გამოიწვია ასევე, ევროპის ქვეყნებში შეღწევისათვის მობილიზებულმა ლტოლვილებმა, რომელთა მდგომარეობა ლტოლვილთა ბანაკებში კრიტიკას ვერ უძლებდა.

ლტოლვილთა საკითხის სოციალურ ჭრილში განხილვისას, ვნახავთ, რომ არსებობს მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორები, რომელთა გამოც მიგრაციას დადებითი მხარეც აქვს ზოგიერთი ქვეყნისათვის, და განსაკუთრებით განვითარებული მსოფლიოს ქყეყნების სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის. მიგრაციის შეწყვეტამ ამ ქვეყნებში შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის ზრდის შემცირება და ხანდაზმულობის ზრდა. მაგალითად, წინასწარი პროგნოზირებით, იტალიის მოსახლეობა იკლებს 1998 წელს დაფიქსირებული 57 მილიონიდან 41 მილიონამდე 2050 წლისათვის. თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა განიცდის მოსახლეობის რაოდენობის კლებას. ეს კი აიძულებს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს ხშირ-ხშირად გადააფასონ თავიანთი საემიგრაციო პოლიტიკა.

იმისათვის, რომ ქვეყანამ შეინარჩუნოს სამუშაო ასაკის მოსახლეობის საკმარისი რაოდენობა, საჭიროა უფრო მასშტაბური ემიგრაცია, ვიდრე წარსულში. მაგალითად, გერმანიაში, იაპონიასა და იტალიაში, ეს ნიშნავს მოსახლეობის 0.5 პროცენტით ზრდას მომდევნო 50 წლის განმავლობაში. წესით, დასავლეთ ევროპაში მიგრანტთა ექსპანსია მომდევნო დეკადებში მზარდი უნდა იყოს. თუმცა, მუშახელის იმპორტირების აღმავალი ტენდენცია უკვე შეიმჩნევა აზიის ქვეყნებშიც.

ემიგრაციის შედეგებს თუ გადავავლებთ თვალს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტებს დადებითი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკაში, (მაგალითად, ისინი ამრავალფეროვნებენ ხელობასა და კულტურას) სარგებელი ემიგრანტებისაგან არათანაბრადაა გადანაწილებული და ემიგრაცია ასოცირდება მზარდ უთანასწორობასთან და ნაკლებკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელის ხელფასების შემცირებასთან (მაგალითად, აშშ-ში 1/3-ით შემცირდა ნაკლებკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელის ხელფასები). რადგან ემიგრანტები არ არიან უბრალოდ იმპორტირებული მუშები და მათ აქვთ ფისკალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები, ეს იწვევს ადგილობრივებსა და ემიგრანტებს შორის დაძაბულობას.

თუმცა, ხდება ისეც, რომ ემიგრანტები თავად აღმოჩნდებიან ხოლმე დასაქმებითი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ქვეყანაში მომხდარი კონკრეტული ფაქტის გამო (მაგალითად, როგორც ეს მოხდა აშშ-ში პირველი 8 თვის განმავლობაში 9/11 შემდეგ). აშშ-ს თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის კომისიამ მიიღო 488 საჩივარი 9/11 დაკავშირებული დასაქმებითი დისკრიმინაციის თაობაზე, ამასთან 301 იყო იმ პირთა საჩივარი, რომლებიც დაითხოვეს სამსახურიდან. უფლებადაცვითი ჯგუფების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 20-60 პროცენტმა ამერიკელმა მუსულმანმა და არაბმა პირმა განიცადა პირადი დისკრიმინაცია 9/11 შემდეგ. 130,000 მეტი მამრობითი სქესის ვიზიტორმა, სტუდენტმა, ტურისტმა თუ ბიზნესმენმა, და დროებითი ვიზით მყოფმა (განსაკუთრებით მუსულმანმა) პირებმა გაიარეს სპეციალური ინტერვიუები 2002 წლის დეკემბრიდან 2003 წლის 25 აპრილამდე. ამ პირთა 10 პროცენტზე მეტი დეპორტირებულ იქნა ქვეყნიდან, დიდმა ნაწილმა კი კანადას შეაფარა თავი.

დრო მოვიდა განვიხილოთ, რამდენად ხელმისაწვდომია ემიგრანტებისათვის სოციალური პროგრამები. იმის გმო, რომ ლოკაციის არჩევანის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სოციალური დაცვის მომსახურებების მიღებაა, სახელმწიფოები ფრთხილობენ ემიგრანტთათვის მათზე ხელმისაწვდომობის ლეგალიზაციას, ხშირად ცვლიან მათ საემიგრაციო პოლიტიკას სახელმწიფოები სახელმწიფოებრივი ინტრესების შესაბამისად. სხვადასხვა ქვეყანა პოლიტიკის შემუშავების სხვადასხვა კურსს ირჩევს. მაგალითად, აშშ-ში 1996 წელს

ფედერალურმა კანონმდებლობამ განასხვავა უცხოეთში დაბადებული აშშ-ს მოქალაქეები და არა-მოქალაქეები, თუმცა ახალი კანონები მაინც იძლევიან დაბალკვალიფიციური ემიგრანტებისათვის არსებობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური კანონის მიხედვით, არალეგალურ ემიგრანტებს, რომლებიც აშშ-ში ჩამოვიდნენ 1996 წლის აგვისტოს შემდეგ შეეძლოთ ძირითადი სოციალური მომსახურებების მიღება, სარგებლობის ვადა შეზღუდული იყო ჩამოსვლიდან მხოლოდ ხუთი წლით. თუმცა, შტატები უფლებამოსილნი იყვნენ თავიანთი ემიგრანტებისათვის დამატებითი მომახურებები დააწესებინათ. ხშირია შემთხვევები, როდესაც საშტატო კანონმდებლობა აძლევს ახალჩამოსულ ემიგრანტებს სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საშუალებას უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე მეზობელ შტატშია.

არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც ქვეყანა ისეთ სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკას ატარებს, რომელიც არ მოიცავს ან მცირედ მოიცავს ემიგრანტებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ, ა) კეთილდღეობის სისტემა იზიდავს დაბალკვალიფიციურ ემიგრანტებს. მიიჩნევა, რომ "ზარმაც" ემიგრანტებს უყვართ უფასო ულუფა. აქედან გამოსავალი კი მათთვის კეთილდღეობის სისტემით გათვალისწინებული შეღავათების არ მიცემა არის ხოლმე; ბ) ემიგრანტები მეტად დამოკიდებულნი არიან კეთილდღეობის სისტემაზე, ვიდრე ადგილობრივები, ისინი ძნელად გადადიან დამოუკიდებელი ცხოვრების რეჟიმზე. აქედან გამოსავლად კი მიიჩნევა მათი იძულება, რაც შეიძლება მალე გადავიდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების რეჟიმზე. ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ემიგრანტთა დახმარებების გამო დაბეგვრისათვის. მაგალითად, აშშ-ში ტეხასისა და ფლორიდის შტატმა საქმე აღძრა ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ, იმის გამო რომ ისინი ემიგრანტთა სასკოლო და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის იბეგრებოდნენ.

კეთიდღეობის რეფორმა განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს ემიგრანტთა სხვადასხვა სოციალურ სეგმეტზე. ზოგ შემთხვევაში ბავშვები მეტად სარგებლობენ მომსახურებებით, მაშინ როცა ქალები ნაკლებად ან პირიქით. უფრო ხშირად ბავშვები ხდებიან მეტი ზრუნვის ობიექტები. ისინი კი ემიგრანტთა ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია, მაგალითად, აშშ-ში. როდესაც კეთილდღეობის რეფორმამ შეამცირა Medicaid მომსახურეობა უცხოელი დედის შვილებისათვის 54 პროცენტით, ამან საგრძნობლად შეასუსტა ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან გაზარდა სამედიცინო დაზღვევის გარეშე მყოფთა რიცხვი 57 პროცენტით. 2004 წლის მონაცემით, Medicaid-ით სარგებლობენ ემიგრანტი ბავშვების 35 პროცენტი, ხოლო აშშ-ში დაბადებულ ბავშვთა მხოლოდ 21 პროცენტი. 23 შტატში დაწესდა საშტატო დაფინანსება არასასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის კანონიერ ახლადემიგრირებულ ემიგრანტთა შვილებისათვის.

გარკვეული კვლევები ყურადღებას ამახვილებენ მიგრაციის ტვირთის განსხვავებულ სიმძიმეზე ქალებსა და მამაკაცებზე. ხშირად, მამაკაცი მიგრანტების როლზე აქცენტირებენ ექსპერტები[1], როგორც უფრო ძლიერი სოციალური წნეხის ქვეშ მყოფ სეგმენტზე, რომლებიც საზოგადოების მხრიდან ნაკლებ სიმპათიას იმსახურებენ ოჯახის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის გაუმკლავებლობის გამო. თუმცა, სხვათა აზრით, მიგრანტი ოჯახის ქალ წევრებს ორმაგი სირთულეები აქვთ, რადგან გარდა ახალ გარემოსთან შეგუებისა და მასთან გამკლავების ტვირთისა, მათ ოჯახზე ზრუნვა და მათზე დამოკიდებული ოჯახის წევრების (ბავშვები, ხანდაზმულები) პრობლემების მოგვარება უწევთ შინ თუ გარეთ.

დიდია მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენლების, მათ შორის სოციალური მუშაკის როლი, ემიგრანტებთან მუშაობაში. სოციალური მუშაკები მათ ხშირად ინფორმაციის პირველწყაროდ ევლინებიან. ახალჩასული ემიგრანტებისათვის, ისინი მხარდამჭერისა და მედიატორის როლს ასრულებენ სახელმწიფოსა და მათ შორის. ისეთ ქვეყნებში, სადაც საემიგრაციო კანონმდებლობა მგრძნობიარეა ქვეყანაში მიმდინარე სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების მიმართ, და შესაბამისად სოციალური კეთილდღეობის ხელმისაწვდომობა იზრდება ან მცირდება ემიგრანტებისათვის, ეს ინფორმაცია ემიგრანტებამდე სწორედ სოციალურ მუშაკს მიაქვს და რეკომენდაციას უწევს მათ მათთვის სასიკეთო სამომავლო ქმედებებისათვის.

[1] British Journal of Social Work (2014). ‘A World on the Move’: Migration, Mobilities and Social Work, Oxford University Press

# თანამედროვე სოციალური პრობლემები: პროსტუტუცია

თანამედროვე სოციალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია პროსტიტუცია. დამეთანხმებით ალბათ, რომ პროსტიტუცია ატარებს მრავალ რისკს, როგორც ჯანმრთელობისა და სოცოცხლის უსაფრთხოების, ასევე ფსიქოლოგიურსა და მორალურს, ამიტომ იგი გავლენას ახდენს არა მარტო მოთხოვნისა და მიწოდების პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ მონაწილეებზეც. სხვადასხვა სოციუმში დამოკიდებულება ამ პრობლემისა და მასში მონაწილე მხარეებისადმი განსხვავებულია. ჩვენი დღევანდელი ლექციის მიზანი არა ამ მოვლენის კულტურული გარემოს გაანალიზება ან მორალურ მხარეზე აქცენტირებაა, არამედ მისი ლეგალიზაციის ან აკრძალვის ზეგავლენის განხილვა სოციალური კეთილდღეობის კუთხით.

მოდით, განვიხილოთ მისი ლეგალიზაციის ან აკრძალვის შემთხვევაში რამდენად იზრდება ადამიანთა კეთილდღეობა. რადგან ზოგადად ძნელია მოიძებნოს ეფექტიანი გზები იმ ბაზრის დასახურად, სადაც დაჟინებული მომთხოვნები და მიმწოდებლები არიან, აქ ვერც პროსტიტუცია აღმოჩნდებოდა გამონაკლისი. მოგეხსენებათ, რომ ამ პრობლემის წინაშე თითქმის ყველა ქვეყანა დგას, მაგრამ ცოტამ თუ მოახერხა იმ დასკვნამდე მისვლა, რომ ადამიანების მორალის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას ჯობია პროსტიტუციით დაკავებულთა და მათ კლიენტთა ელემენტარული უსაფრთხოებითა და  სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა. შედეგად, ისეთმა ქვეყნებმა როგორიცაა: კანადა, ინგლისი, უელსი, საფრანგეთი, დანია, სამხრეთ ამერიკის უმეტესი ქვეყნები, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა პროსტიტუციის ლეგალიზება ან დეკრიმინალიზება მოახდინეს ამა თუ იმ სახით.

პროსტიტუციის ლეგალიზების მომხრეთა აზრით, ლეგალიზებას შემდეგი სარგებელი აქვს: მცირდება დანაშაული, იუსტიციის სისტემა თავისუფლდება დაუსრულებელი სასამართლო პროცესების ტვირთისაგან, ეხმარება პროსტიტუციაში საკუთარი განზრახვის გარეშე ჩართულ ქალებს ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში, ხელს უწყობს არასრულწლოვანთა სექს ბიზნესში ჩართვის პრევენციას. როდესაც ვადარებთ ქვეყნებს, სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია და ქვეყნებს სადაც აკრძალულია, ვხედავთ, რომ ლეგალიზაციის ქვეყნები ხასიათდებიან დაბალი მკვლელობების, თვითმკვლელობების, შიდსისა და განქორწინებების მაჩვენებლებით. სარგებელი შიდა ეროვნულ პროდუქტზეც აისახება, რადგან პროსტიტუცია ლეგალიზაციის უმრავლეს ქვეყნებში იბეგრება. მაგალითად, ინგლისში, გერმანიაში, შოტლანდიაში, დანიაში, იტალიაში, შვედეთში პროსტიტუცია იბეგრება, რადგან ამ ქვეყნებში იბეგრება ყველა შემოსავლიანი საქმიანობა, განურჩევლად სამართლებრივი სტატუსისა. ჰოლანდიაშიც დაბეგვრადია პროსტიტუცია, თუმცა ფისკალური ღონისძიებები განსხვავდება იმის მიხედვით, თვითდასაქმებულია ადამიანი თუ დაქირავებული.

რაც შეეხება სოციალური მომსახურებებით სარგებლობას, პროსტიტუციის ლეგალიზაციის ზოგიერთ ქვეყნებში თავად უნდა შეისყიდონ კერძო დაზღვევა, რადგან არ აქვთ თვით-დასაქმებულის სტატუსი. ზოგიერთი ქვეყნები, მაგ., ინგლისი, დანია, იტალია, შვედეთი მათ სთავაზობენ მინიმალურ დაზღვევას, ისევე როგორც ყველა მოქალაქეს, პროფესიული საქმიანობის მიუხედავად. ბელგიაში, სადაც ადამიანებს სოციალური უსაფრთხოების დამოუკიდებელი ანგარიშები აქვთ, პროსტიტუციით დასაქმებულთა სოციალური უსაფრთხოების საკმაოდ მსუყე მომსახურებით სარგებლობის არიდება შეუძლებელია.

პროსტიტუციის ლეგალიზების წინაპირობა განსხვავებულია ყველა ქვეყანაში. მაგალითად, ჰოლანდიაში, იგი მრავალჯერადი აქციების საპასუხოდ 1988 წლის კანონმდებლობით განხორციელდა. ლეგალიზაციის მთავარი მიზანი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან აცილება და სექს მუშაკთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. მოგეხსენებათ, ისინი ხშირად არიან ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ლეგალიზაციის შედეგად, სექს ბიზნესის ყველა წარმომადგენელი დარეგისტრირებულია. სექს ბიზნესში ჩართულთა თავისუფალი არჩევანის მიუხედავად იმუშაონ დამოუკიდებლად ან ბორდელში, მათ კანონით აკისრიათ ვალდებულება ყოველი სამუშაო წლის განმავლობაში 4-ჯერ გაიარონ სამედიცინო შემოწმება. ტრეფიკინგის შემთხვევაში სახელმწიფო კისრულობს მათი სოციალური რეაბილიტაციის ვალდებულებას. კანონი ასევე ბორდელებისათვის გარემო სტანდარტებს აწესებს, როგორიცაა მაგალითად, წყალგაყვანილობითა და სახანძრო უსაფრთხოებით უზრუნველყოფის ვალდებულება. პირებს, რომლებსაც აღარ სურთ სექს ბიზნესში მუშაობა, სოციალური მუშაკები ეხმარებიან სამუშაო ბაზარზე დასაქმებაში, ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში. შიდსით ან სხვა დაავადებით დასნეულების შემთხვევაში კანონი მათ მუშაობის შეწყვეტის საშუალებას აძლევს, ინვალიდის სტატუსის მინიჭებით და შესაბამისად პენსიითა და რეგულარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს. გლახაშვილის (2007) მონაცემებით, ლეგალიზაციის შედეგად, ჰოლანდიაში შემცირდა ძალადობის და მკვლელობების მაჩვენებელი, დანაშაულმა იკლო 20 პროცენტით. ჯანრთელობის დაცვის მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება დღითი დღე და საგრძნობლად გაიზარდა შეპ.

ლეგალიზაციის მოწინააღმდეგეთა აზრით, პროსტიტუციის ლეგალიზაცია და დეკრიმინალიზაცია სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს არა პროსტიტუციას, როგორც “დასაქმების სახეობას”, უზრუნველყოფს რა პროსტიტუციაში ჩართულ ქალთა უსაფრთხოებას და მხარდაჭერას, არამედ აძლიერებს სექს ინდუსტრიას. მათი აზრით, პროსტიტუციის ლეგიტიმაცია ნამდვილი საჩუქარია სუტინიორებისთვის და ტრეფიკინგში ჩართულთათვის და ის არა თუ ამცირებს, არამედ ხელს უწყობს მას – კიდევ უფრო აძლიერებს და ავითარებს. ის კიდევ უფრო ამრავლებს არალეგალურ იაფფასიან ქუჩის პროსტიტუტებს და ხელს უწყობს არასრულწლოვანთა პროსტიტუციას. ის კიდევ უფრო მეტად მოტივირებს მამაკაცთა უმრავლესობას "იყიდონ" სიამოვნება. ის კიდევ უფრო ზღუდავს სექს ბიზნესში ჩართულ ქალთა არჩევანის უფლებას.

მართალია პროსტიტუცია არ ითვლება დანაშაულად, ეს საქმიანობა ზოგადად მაინც შავი ბაზრის ეკონომიკის ნაწილია და ამ საქმიანობით დაკავებულები მუდამ კანონიერების ზღვარზე დგანან. ქვეყნებს კი პროსტიტუციის ამა თუ იმ პოლიტიკის გატარებით აქვთ შესაძლებლობა მეტად ან ნაკლებად დაარეგულირონ მასთან დაკავშირებული ინტერნალური თუ ექსტერნალური რისკები და გაზარდონ თავიანთი მოქალაქეების კეთილდღეობა.

რაც შეეხება მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენელთა როლს სექს მუშაკებთან, ის მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე პროსტიტუციაზე სოციალური რეაგირების საუკეთესო მექანიზმია. მაგალითად სოციალური მუშაკები, მათ აწოდებენ მომსახურებას არა მხოლოდ სოციალური მუშაობის უშუალო პრაქტიკის ფარგლებში, არამედ მეზო და მაკრო დონეზეც ემსახურებიან მათი ინტერესების დაცვას და მათი სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას. სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ, მხარდამჭერი რესურსის ფუნქციას ასრულებენ, თუ სექს მუშაკებს სურთ „წამოვიდნენ“ სექს ბიზნესიდან. ისინი მათ სთავაზობენ მხარდაჭერას „ძველ“ პრობლემებთან გამკლავისთვის, რადგან „წამოსვლა“ მათთვის ნიშნავს შემოსავლის ნაკლებობას ან არ არსებობას, ან ვალების დაგროვებას სექს ბიზნესში საქმიანობისას. ორგანიზაციები თარჯიმნებსაც კი სთავაზობენ იმ უცხოელ ქალებს, რომლებიც მათ ქვეყანაში იძულებით, შემთხვევით ან გამიზნულად აღმოჩნდნენ და ენა არ იციან. სამწუხაროდ, საქართველოში სექს მუშაკებთან მუშაობაში არ არიან ჩართულები სოციალური მუშაკები, მაშინაც კი, როდესაც ეს არასრულწლოვნებს ეხება.

# დაავადების გავრცელება: გლობალური პანდემიების ადგილობრივი ზეგავლენა და რეაგირებები

## შესავალი

კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა ინფექციური დაავადებები. გვაქვს დოკუმენტური მასალები ეპიდემიების შესახებ მას აქეთ, რაც ამგვარი მონაცემების ჩაწერა დაიწყეს. ხოლო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაარსების დღიდან თვალს ადევნებს უამრავ დაავადებას. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, ტუბერკულოზი, გრიპი, შავი ჭირი), ინფექციური დაავადებები ძირითადად ადგილობრივი ფენომენია. ბოლო ოცი წლის განმავლობაში უჩვეულოდ ბევრი აქამდე უცნობი ინფექციური აგენტი/ნივთიერება გამოვლინდა. მათი რაოდენობა დაახლოებით 30 აღწევს და ასეთებია მაგალითად, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, როტა ვირუსი და ებოლა. ხელახლა გამოჩნდა ბევრი ისეთი დაავადება, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას უკვე დამარცხებული ეგონა; მაგალითად, შავი ჭირი, ქოლერა, ყვითელი ცხელება და დიფტერია. ზოგიერთი ვირუსი უფრო სახიფათოა და ზოგი კი რეზისტენტული ხდება წამლების მიმართ (ლეგი და სეიველი, 2003:19).

ყოველწლიურად მსოფლიოში 14 მილიონზე მეტი ადამიანი კვდება ინფექციების და პარაზიტების მიერ გამოწვეული დაავადებებით (ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ეს არის ყოველი მესამე გარდაცვალების მიზეზი). უმეტესწილად ამ მიზეზით კვდებიან იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ერთი მესამედის დღიური შემოსავალი 1 აშშ დოლარზე ნაკლებია; ასეთი სულ 1200 მილიონი ადამიანია მსოფლიოში. ყველაზე მოწყვლადები არიან ღარიბები, ქალები, ბავშვები და მოხუცები. ინფექციური დაავადება კვლავაც ყველაზე მეტი ახალგაზრდის და ბავშვის სიკვდილის მიზეზია მსოფლიოში. ჰეიმანი (ჰეიმანი, კინდჰაუზერი, 2004) სამ კატეგორიად ყოფს დაავადებებს. პირველი კატეგორია მთავარი ინფექციური დაავადებებისა მოიცავს *შიდს*, ტუბერკულიოზს და მალარიას; ეს სამი დაავადება ინფექციური დაავადებით გარდაცვლილთა დაახლოებით 39 პროცენტს კლავს (გვ. 6). ინფექციური დაავადებების მეორე კატეგორიას ე.წ. „უგულებელყოფილი დაავადებები“ ქმნიან, რომლებიც იწვევენ სერიოზულ და სამუდამო ინვალიდობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამ უგულებელყოფილი დაავადებით ბევრი არ

კვდება, შეზღუდული შესაძლებლობები თუ ეკონომიკური და სოციალური შედეგები მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეიძლება მძიმე იყოს. ამის მაგალითად გამოდგებიან მინინგიტ გადატანილები გონებრივი შეზღუდულობის მქონე პირები, ონქოცერკოზით დაბრმავებული ადამიანები და ბავშვები შისტოსომოზთან დაკავშირებული კოგნიტური განვითარების შეფერხებით. ინფექციური დაავადებების მესამე კატეგორია არის გადარჩენის უნარის მქონე აგენტით გამოწვეული ეპიდემიური სნეულებები (მაგალითად, გრიპი, ქოლერა, ებოლას ვირუსი, ჰემორაგიული ცხელება). ეს დაავადებები უფრო ადგილობრივი ფენომენია. თუმცა, 11 სექტემბრის მერე, ბიოლოგიური ტერორიზმის საფრთხის ფონზე, შეიძლება ისინიც სახიფათო აღმოჩნდეს მსოფლიოში ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის; რადგან ეს დაავადებები ხშირად და მოულოდნელად უქმნიან სირთულეებს ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს. ამ დაავადებებზე გადადის საერთაშორისო ყურადღება და ფერხდება რუტინული კონტროლის პროგრამები.

ინფექციური დაავადებები იწვევენ სიკვდილს, ინვალიდობას და სირთულეებს მთელ მსოფლიოში. მათი გავრცელების არეალის გაზრდა და სავალალო შედეგები შეიძლება დავუკავშიროთ გლობალიზაციის ბევრ პროცესს, მათ შორის – ქვეყნის საზღვრების მიღმა ადამიანების მიგრაციასაც.

> „აფეთქებები და ეპიდემიები არ ცნობენ ეროვნულ ფარგლებს და თუ არ გავაკონტროლებთ, სწრაფად გავრცელდებიან საერთაშორისო მასშტაბით. შეუმოწმებელი და არაზუსტი ინფორმაცია დაავადების აფეთქების შესახებ ხშირად იწვევს გადამეტებულ რეაგირებას მედიისა და პოლიტიკოსების მხრიდან. ამას კი პანიკამდე და გადამეტებულ ქმედებებამდე მივყავართ. ამ ყველაფრის შედეგად კი შეიძლება შეფერხდეს ვაჭრობა, მოგზაურობა და ყოველდღიური საქმიანობა, რაც ქვეყნებს (სადაც დაავადებაა გავრცელებული) დამატებით ეკონომიკურ სირთულეებს შეუქმნის“ (WHO, 2003:10).

*ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია* აცხადებს, რომ „ეს დაავადებები ნაკლებად იპყრობენ მედიკოსების და დონორების ყურადღებას, მაგრამ საჭიროა მათი პრობლემის მოგვარება“ (WHO, 2003:12). მეტი წილი ინფორმაციისა ახალგამოჩენილი დაავადებების შესახებ შეიძლება მოვიძიოთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სამედიცინო ლიტერატურაში (ის მეტწილად ფოკუსირებულია აივ/შიდს–ზე). ზოგი ამტკიცებს, რომ ქრონიკული დავადებების შედეგები (მაგ., გულის დაავადების, კიბოსი, დიაბეტის), ისევე იმსახურებენ საერთაშორისო ყურადღებას, როგორც მწვავე

დაავადებები. სოციალურ მუშაობას, როგორც საერთაშორისო პროფესიას სათანადო ყურადღება არ მიუქცევია ამ მიმართულებებისთვის. ამ ნაშრომის ზოგადი მიზანია სოციალური მუშაობის პროფესიის საერთაშორისო თვალსაწიერის გაფართოება. ეს თავი მოგვითხრობს დაავადების გლობალურად გავრცელებაზე და მის კავშირზე გლობალიზაციასთან; ყურადღების ცენტრში კი არის ისეთი მწვავე დაავადება, როგორიც გახლავთ *აივ/შიდსი*. აქ აღწერილია დაავადების გავრცელების მრავალგანზომილებიანი სოციალური ზემოქმედების ნიმუში; მოთხრობილია ადგილობრივი და გლობალური რეაგირებების შესახებ; განხილულია შედეგები სოციალური მუშაობას სწავლებისთვის, პრევენციისთვის, პირდაპირი ზრუნვის პრაქტიკისთვის, პოლიტიკისთვის და კვლევისთვის.

**ძველი და ახალი დაავადებების გავრცელება მსოფლიოში**

ძნელი არ არის იმის დასაბუთება, რომ მსოფლიო დაავადებები მრავლდება და ვრცელდება აღრეულ მოსახლეობაში. დაავადებებს აქვთ უპრეცედენტო საშუალება გავრცელდნენ მოსახლეობაში და გადაკვეთონ საერთაშორისო საზღვრები. ყოველდღე ორი მილიონი ადამიანი კვეთს საერთაშორისო საზღვარს, ორმოცდაათი წლის წინ ამ ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 69 000 იყო. (ლეგი და სეიველი, 2003:19). [...] გაეროს სასურსათო პროგრამის მონაცემებით, რომ ომი მილიონობით აფრიკელს *აივის* რისკის წინაშე აყენებს, რადგან ისინი საცხოვრებელ ადგილს იცვლიან. არსებობს დაავადების გავრცელების სხვადასხვა გზა: ჰაერით (მაგ., ტუბერკულოზი), საკვებით (მაგ. ფრინველის გრიპი) ან სხეულის სითხეებით – სისხლით, სპერმით, ვაგინალური სითხით ან რძით (მაგ., *აივი* და რიფთის ცხელება). ჰეიმანი აჯამებს 2001 წელს ინფექციური დაავადებებით სიკვდილიანობის მთავარ მიზეზებს, ესენი გახლავთ – *შიდსი* (2,9 მილიონი), დიარეა (1.9 მილიონი), ტუბერკულოზი (1,6 მილიონი) და მალარია (1,1 მილიონი) (ჰეიმანი, კინდჰაუზერი, 2004:7).

საერთაშორისო გავლენის მქონე ახალგაჩენილ დაავადებებში შედის ფრინველის გრიპი, ძროხის ცოფი, რიფთის ცხელება, ნიპაჰვირუსი, შავი ჭირი და პოლიომიელიტი. ფრინველის გრიპი ვრცელდება შინაურ ფრინველებში და შეიძლება გადაედოს ადამიანს, რომელიც ახლო კონტაქტშია დაავადებულ ცხოველთან (და იშვიათად ადამიანისგან ადამიანსაც). ბაზარში გამოტანილი ფრინველისგან დაავადების შიშმა იმოქმედა ბევრი აზიური ქვეყნის ეკონომიკაზე. მეორე მხრივ, ძროხის ცოფი საკვების საშუალებით ვრცელდება და იმოქმედა მიმოსვლაზე ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებს შორის. ამის გამო ამერიკის და კანადის ის მოქალაქეები,

რომლებიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდნენ 1980 წელს ძროხის ცოფის აფეთქების დროს, ამის შემდეგ სისხლის დონორებად აღარ გამოდგებიან (დაავადებათა კონტროლის ცენტრები, 2004).

რიფთის ცხელება თავიდან 1930 წელს, მხოლოდ კენიაში, რიფთის ხეობაში ცხვარში იყო გავრცელებული. ახლა ის აღმოჩენილია ჩრდილოეთ აფრიკაში და საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებშიც. 2000 წელს მოხდა პირველი აფეთქება აფრიკის გარეთ, საუდის არაბეთსა და იემენში. ამ დაავადებას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული სნეულება ცხოველებსა და ადამიანებში; აგრეთვე სერიოზული ეკონომიკური დანაკარგები. ნიპაჰვირუსი პირველად 1999 წელს აღმოაჩინეს, როცა მან გამოიწვია ნევროლოგიური და რესპირატორული დაავადების აფეთქება მალააზიის ნახევარკუნძულის მეღორეობის ფერმებში, რასაც მოჰყვა 105 ადამიანის სიკვდილი და 1 მილიონი ღორის გაწყვეტა. ბანგლადეშის ფარიდრაპის ოლქში 2004 წელს მომხდარი აფეთქება 30 ადამიანს შეეხო და 18 სიკვდილი გამოიწვია. შეიძლება, აქ დაავადება ადამიანიდან ადამიანს გადაედო, რაც მანამდე არ ყოფილა შემჩნეული. და ბოლოს, შავი ჭირი გადადის დაავადებული მღრღნელის კბენით ან ინფიცირებული ცხოველის ქსოვილთან უშუალოდ შეხებით. მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, სადაც ცუდი სანიტარული პირობებია, ინფიცირებული მღრღნელები ხელს უწყობენ დაავადების გავრცელებას. თუმცა, ვაქცინაციამ და მეთვალყურეობამ ბოლო წლებში მკვეთრად შეამცირა შავი ჭირის შემთხვევები. 1999 წელს 14-მა ქვეყანამ განაცხადა შავი ჭირის შემთხვევის შესახებ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2002). თუ არ ვუმკურნალებთ ეს დაავადება ბევრ სიკვდილს იწვევს; თუმცა, თითქმის ყველა შეიძლება განიკურნოს, თუ დროულად დავსვამთ დიაგნოზს და ვუმკურნალებთ ანტიბიოტიკებით.

ზოგიერთი დაავადება სრულად ან ნაწილობრივ აღმოფხვრილად ითვლებოდა, მაგალითად, პოლიომიელიტი და ყვავილი (სეიპელი, 2005). პოლიომიელიტი არის შედარებით ნათელი წერტილი გლობალურ დაავადებებზე საუბრისას. გაეროს იმედი ჰქონდა, რომ პოლიომიელიტს 2005 წლისთვის აღმოფხვრიდა. ინდოეთში ამას თითქმის მიაღწიეს, როცა 2004 წელს მხოლოდ 29 შემთხვევა ჰქონდთ (მას შემდეგ, რაც 2003 წელს იყო 260 შემთხვევა და 2002 წელს – 1556 ). თუმცა, პოლიტიკის შემმუშავებლები და ჯანდაცვის მუშაკები სირთულეებს აწყდებიან მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში. ზოგიერთები ბიჰარში, გაიას ქოხმახებში უარს ამბობენ პოლიომელიტის საწინააღმდეგო წვეთების მიღებაზე. ამ ადამიანებს სჯერათ, რომ მოსახლეობის ზრდის გაკონტროლების მიზნით, მათ უნაყოფობის ან იმპოტენციის გამომწვევ წამალს აძლევენ. აგრეთვე 2003 წელს კანოში, ნიგერიაში ზოგიერთი

რელიგიური ლიდერი აცხადებდა, რომ პოლიომიელიტის ვაქცინის საშუალებით უცხოური ძალები შიდსსა და უნაყოფობას ავრცელებენ მუსლიმებში. აშშ–ში ხუთი წლის განმავლობაში პირველად მინესოტას ამიშთა თემში პოლიომიელიტის ოთხი შემთხვევა აღნუსხეს და პირველი ინფიცირებული გარდაიცვალა (ახლახანს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცახადა, რომ პოლიომიელიტი ისევ ჩვეულებრივი მოვლენაა ნიგერიაში, ინდოეთში, პაკისტანში, ავღანეთსა და ეგვიპტეში, ასე რომ, 2005 წლისთვის მისი აღმოფხვრა არ მოხერხდა).

ამ ნაშრომის შექმნის მომენტში სამი მსოფლიო გავლენის მქონე დაავადება არის: ატიპიური პნევმონია, ფრინველის გრიპი და *აივ/შიდსი*. კაცობრიობის ურთიერთგადაჯაჭვულობის გამო, ატიპიურ პნევმონიას აქვს სწრაფად გავრცელების პოტენციალი. მაგალითად, ჰონგკონგში მაღალსართულიანმა შენობებმა ხელი შეუწყო სასიკვდილო ვირუსის გავრცელებას; თვითმფრინავის მგზავრებმა ატიპიური პნევმონია ისე სწრაფად გაავრცელეს, რომ ისტორიას არ ახსოვს რომელიმე სხვა ახალ ვირუსს ეს მოეხერხებინოს (ლეგი და სეიველი, 2003:20). *ველური ბუნების ფონდის* პრეზიდენტის მერი ფირლის თქმით,

> „ჩინეთში ატიპიური პნევმონიის ხელახლა გამოჩენა და ნიპა ვირუსის აღმოჩენა ბანგლადეშში არის სერიოზული გაფრთხილება. ძალიან სამწუხაროა იმის გაცნობიერება, რომ ლეტალური დაავადებების აგენტები ვრცელდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე და მერე გადადიან ადამიანებზე ხალხმრავალ ადგილებში. ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ დაავადების გაჩენა არის კიდევ ერთი პოტენციური შედეგი ეკოსისტემის რღვევისა“.

რადგან ატიპიური პნევმონია განსაკუთრებით აზიის რეგიონს უკავშირდება, *აზია–წყნარი ოკეანეთის სოციალური მუშაობას ჟურნალმა (Asia Pacific Journal of Social Work)* 2004 წელს გამოსცა საგანგებო ნომერი იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებს სოციალური მუშაობა ამ დაავადებაზე (ტომი 14, No. 1).

რადგან ფრინველის გრიპი აზიის დასავლეთით, ფრინველების მიგრაციის მარშრუტის გასწვრივ ვრცელდება, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია გვირჩევს, ყურადღებით ვიყოთ, როცა შინაურ ფრინველებთან გვაქვს საქმე (სააგენტო პანდემიის განგაშს მესამე საფეხურზე ინარჩუნებს). ეს ნიშნავს, რომ ეს ვირუსი, რომელიც ადამიანში იწვევს ინფექციას, ახალი არ არის, მაგრამ ადამიანიდან ადამიანზე ადვილად არ გადადის. მსოფლიოს ქვეყნები ეძებენ გზებს, რომ წინ აღუდგნენ ამ გრიპის გავრცელებას და ამზადებენ რეაგირების სისტემებს, იმ შემთხვევისთვის, თუ მან პანდემიის სახე მიიღო.

სავარაუდოდ, მსოფლიოში 34–36 მილიონი ადამიანია დაავადებული *აივ/შიდსით*; 20 მილიონი უკვე გარდაიცვალა. *აივ*ის ინფექცია ყველაზე სწრაფად გავრცელდა 1990–იანი წლების შუაში აფრიკაში. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში მსოფლიოს მოსახლეობის 10 პროცენტი ცხოვრობს, მაგრამ მათი ორი მესამედი *აივ*ით არის ინფიცირებული (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2004 a). თორმეტიდან ერთი ზრდასრული აფრიკელი *აივ/შიდსით* არის ინფიცირებული. გარდა ამისა, *აივ/შიდსით* ინფიცირებულთა ერთი მეხუთედი აზიაში ცხოვრობს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2004 a:1) და აზია ერთია, მსოფლიოს იმ ორ რეგიონთაგან, სადაც *შიდს*ის ეპიდემია ყველაზე სწრაფად იზრდება (მეორე ასეთი რეგიონი აღმოსავლეთ ევროპაა). მსოფლიოში *აივ*ით ახლად ინფიცირებულთა თითქმის ნახევარი ახალგაზრდები (15–24 წლის) არიან (UNAIDS, 2004b) და ინფიცირებულთა თითქმის 50 პროცენტს ქალები შეადგენენ. 2003 წელს თითქმის 5 მილიონ ადამიანს შეეყარა *აივ*, ეს ყველაზე მაღალი წლიური მაჩვენებელია მას მერე, რაც ეპიდემია დაიწყო (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2004a).

*აივ*ის გავრცელების მიზეზები კომპლექსურია. *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია* (2000a) ვარაუდობს, რომ ურთიერთობების (სოციალური, ეკონომიკური, ძალაუფლებრივი) გენდერული უთანასწორობა ასაზრდოებს ეპიდემიას. გარდა ამისა, ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისარი ამბობს, რომ ადგილობრივი ტრადიციები და გენდერული უთანასწორობა ამძიმებს *აივ/შიდს*ის პრობლემებს ლტოლვილთა ბანაკებში. ომგადატანილ ქვეყნებში, მაგალითად რუანდაში, გაუპატიურების გამო, რომელიც ომის ნაწილი იყო, ბევრი ქალი აღმოჩნდა *აივ*ით ინფიცირებული, თანაც იმ ქვეყანაში რომელსაც მათი მკურნალობისთვის მწირი რესურსი აქვს. ბევრ დაჯგუფებაში *აივ*ი შეიძლება შეუმჩნევლად გავრცელდეს ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის გამო; მაგალითად, მათ შორის, ვინც საინექციო ნარკოტიკებს მოიხმარს, სექსის მუშაკებში და მამაკაცებში, რომლებსაც მამაკაცებთან აქვთ სექსი. თუმცა, მამაკაცები, რომლებსაც მამაკაცებთან აქვთ სექსი დღეს მსოფლიოში ინფიცირებულთა მხოლოდ 5–10 პროცენტს შეადგენენ (UNAIDS, 2004a). ეს ჯგუფს ძალიან სტიგმატიზირებულია; 2002 წელს 84 ქვეყანაში კანონით აკრძალული იყო მამაკაცებს შორის სექსი და ეს ართულებს პრევენციულ ღონისძიებებს. ზოგიერთი მიზეზი *აივ*ის გავრცელებისა სადავოა, მაგალითად, წინადაცვეთა ბოცვანაში (კებააბეთსვი და კოლეგები, 2003; ჰილი და დენისტონი, 2003) და ტრადიციული სექსუალური პრაქტიკა ტანზანიაში (კარლსენი, 2005b).

***გლობალიზაცია და დაავადება***

თუ გლობალიზაციას ვიწრო გაგებით განვმარტავთ, როგორც მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებას, მაშინ მასში დაავადების გავრცელების პირდაპირი მიზეზების და ამ საქმეში მისი გავლენის ძიება გართულდება. თუმცა, თუ გლობალიზაციას უფრო ზოგადად განვმარტავთ როგორც, ბაზრებისა და ინფორმაციის ინტერნაციონალიზაციას, გლობალურ ტექნოლოგიებს, ადამიანების და საქონლის გადაადგილებას საზღვრებს მიღმა, მაშინ კავშირი გლობალიზაციასა და დაავადების გავრცელებას შორის აშკარაა. ბევრი ქვეყნის სწრაფვა პრივატიზაციისკენ და უარის თქმა ცენტრალიზებულ ეკონომიკაზე პირდაპირი მაჩვენებელია გლობალიზაციისა. ძნელია დაავადების გავრცელების გაზომვა და გაკონტროლება, როცა მთავრობის რესურსები შემცირებულია ან როცა ქვეყანაში მოსახლეობის კეთილდღეობის დონე ძალიან სხვადასხვანაირია ან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები განსხვავებული კეთილდღეობით სარგებლობენ. რადგან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ინფრასტრუქტურის ბიუჯეტი შემცირდა და სხვა ქვეყნებში მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გამართვის პროგრამები მოითხოვს ასეთი ფონდების შემცირებას, სიღარიბე სერიოზულ პრობლემად რჩება.

მაგალითად, მაკდონალდი (2005) კრიტიკულად წერს იმაზე, თუ როგორ ხდება ახლანდელი სისტემების საშუალებით ფინანსების გლობალიზაციის საკითხების მოგვარება. მისი აზრით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) განვითარებადი ქვეყნებისთვის შეუძლებელს ხდიან ჯანდაცვის (და განათლების) პროგრამების ეფექტურად განხორციელებას; ამით ისინი უფრო ართულებენ, ვიდრე ხელს უწყობენ, სიღარიბის აღმოფხვრას. ტუბერკულოზის და *აივ/შიდს*ის გავრცელება იმის შედეგია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები „ერთმანეთს კვებავენ; ყველა მათგანი სიღარიბით არსებობს“ რადგან „ხრავენ მსოფლიოს მეტროპოლიების ღარიბი უბნების ინფრასტრუქტურას“. *ქრისტიანული დახმარება*, რომელიც მხარს უჭერს *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის* ინიციატივას '3x5' (2005 წლისთვის 3 მილიონი ადამიანი გადაიყვანოს *რეტრო ვირუსის საწინააღმდეგო* მედიკამნეტებზე), წუხს რომ პრევენცია სულ უფრო მეტად იქნება უგულებელყოფილი. როგორც დოქტორი რეიჩელ ბაგალი ამბობს, „სიღარიბე არის ამ ეპიდემიის ერთ–ერთი მთავარი მამოძრავებელი. თუ არ მოვაგვარეთ ვაჭრობის, ვალის და გაწვრთნილი ჯანდაცვის მუშაკების საკითხი, ვერ დავადგებით ამ ბრძოლაში გამარჯვების გზას“.

ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება. ზიმბაბვეში „1990–იან წლებში, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო

ფონდის მიერ ეკონომიკის სტრუქტურის გამართვის პროგრამების განხორციელებისას, ქალაქებში ხელფასები შემცირდა და დასაქმება გართულდა. ბევრმა ქალმა შემოსავლის ძებნაში სექსით ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, ამით კი, უფრო დიდი რისკისთვის, *აივ*ით ან სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებისთვის გასწირა თავი (კოუი, 2001:477). ჩეხეთის რესპუბლიკაში გეოპოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად, სექსუალური გზით გადამდები დაავადებების სერიოზული პრობლემა წარმოიშვა. რესლისა და მისი კოლეგების (2003) კვლევამ აჩვენა, რომ პროსტიტუციამ (გერმანიის და ავსტრიის მოსაზღვრე რეგიონებში) თავისი წვლილი შეიტანა სექსუალური გზით გადამდები დაავადებების გავრცელებაში. პროსტიტუციაში ძირითადად უცხოელები, უკრაინელები და რუსები იყვნენ ჩართული. მსიმანგი (2003) გვაწვდის „სამხრეთ აფრიკაში *შიდს*ის ეპიდემიის რეცეპტს“, რომელიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის გამოდგებოდა. ის დაავადებების გავრცელებაში გლობალიზაციას ადანაშაულებს; უფრო კონკრეტულად კი სწრაფვას ზენაციონალური ვაჭრობით დომინირებული ეკონომიკური სისტემისკენ და საბანკო ინსტიტუტებისკენ, რომლებიც არ არიან ანგარიშვალდებული დემოკრატიული პროცესების ან ქვეყნის მთავრობის წინაშე. ამ პროცესებს კი უკიდურესი კაპიტალიზმის პირობებში ახასიათებს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური გაცვლა-გამოცვლის გააქტიურება (გვ. 109).

გაეროს 2004 წლის ანგარიში *შიდს*ის შესახებ (UNAIDS, 2004b:9) აცხადებს, რომ *აივ*ის ეპიდემიამ საჭირო გახადა ძლიერი, მოქნილი ჯანდაცვის სისტემა, მაშინ, როცა *აივ*ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ბევრი ქვეყანა ამცირებს საჯარო სამსახურებს, რადგან ვალი აქვს გადასახდელი და ემორჩილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს. კვლევებმა აჩვენა, რომ აფრიკის ქვეყნებში სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ჯანდაცვის პროფესიონალების გარდაცვალების მიზეზი ხშირად არის *შიდს*ი (სხვადასხვა ქვეყანაში 19–დან 53 პროცენტამდე). ჯანდაცვის მუშაკთა რაოდენობის მატებამ ვერ აუწყო ფეხი ეპიდემიას (იმაზე მეტი კვდება, ვიდრე ახალი თანამშრომელი მზადდება) (UNAIDS, 2004a:9). სამთავრობო სამსახურები შემცირდა, მაშინ, როცა დაავადების რისკის წინაშე მდგარი მოსახლეობის რაოდენობა იზრდება. (შეიძლება, ამ სფეროში სოციალური და ჯანდაცვის მუშაკების ნაკლებობა ნაწილობრივ იმითაც არის გამოწვეული, რომ ზოგიერთებმა გადაწყვიტეს უფრო დალხინებულ ქვეყანაში გადასულიყვნენ; [...]. ზოგ ქვეყანაში მოწყვლადი მოსახლეობის (ღარიბების, მოხუცების, ბავშვების და ქალების) რაოდენობის ზრდას თავისი წვლილი შეაქვს დაავადების მასშტაბსა და გავრცელებაში. *მსოფლიოს ჯანმრთელობის ანგარიშში* წერია, რომ „ზოგ ქვეყანაში (სამოქალაქო უკმაყოფილებით,

სიღარიბის გამწვავებით ან სხვა სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული) მოწყვლადი მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა ხელს უწყობს ეპიდემიის გამწვავებას და ვირუსის უფრო ფართოდ გავრცელებას".(WHO, 2000b:2) მაგალითად, უგანდის საზოგადოებაში ქალებს უფრო ნაკლები ძალაუფლება აქვთ და უფრო მეტად ღარიბები არიან ვიდრე კაცები. ზოგიერთი იწყებს სექსით ვაჭრობას (ერთმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ სექსის მუშაკთა 86–მა პროცენტმა ფინანსური პრობლემების გამო მოკიდა ამ საქმეს ხელი) და ამით უფრო დიდი რისკის (*აიკ*ის ან სხვა დაავადების) წინაშე დადგა. აქ სტრატეგიის შორეული მიზანი უნდა იყოს ქალების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მამაკაცის მდგომარეობის შესაბამისად (გისელს და კოლეგები, 2002). ასევე კენიაშიც, ქალები სექსით ვაჭრობენ, რომ შეავსონ თავიანთი მწირი შემოსავალი (ჰოკენი და კოლეგები, 2002).

როგორც აღვნიშნეთ, დაავადების გავრცელება შეიძლება იყოს მოსახლეობის გადაადგილების შედეგი, ქვეყნის შიგნით ან ერთი ქვეყნიდან მეორეში. მაგალითად, კამბოჯის სოფლებში ინფექციური დაავადებების გავრცელება მოხდა იმის გამო, რომ სექსით მოვაჭრე უფროსი თაობის ქალები (რომელთაგან ბევრს აქვს *აიკ*ი და სიფილისი) გადავიდნენ სოფლებში, სადაც ნაკლები კონკურენციაა და ბაზარიც ნაკლებად განვითარებულია. მათმა გადასახლებამ თავისი წვლილი შეიტანა *აიკ*ის ეპიდემიის გავრცელებაში სოფლებში, სადაც მოსახლეობა მანამდე ნაკლები რისკის წინაშე იდგა (Sოფიბი და კოლეგები, 2003). ორი მაგალითი დასავლეთის ქვეყანაში დაავადების გავრცელებისა უკავშირდება მოსახლეობის გადასვლას ერთი ქვეყნიდან მეორეში. მინესოტაში 2004 წელს *აიკ*ით დიაგნოსტირებულთა 20 პროცენტი აფრიკიდან ახლახანს იმიგრირებული მოსახლეობიდან იყო; მათი უმრავლესობა ომებს გამოექცა სუდანიდან, სომალიდან და ლიბერიიდან (Minnesota AIDS Project, 2004). 2005 წელს ტაილანდიდან მინესოტაში უნდა ჩაესახლებინათ ჰმონგის ტომის წარმომადგენელი ლტოლვილები, მაგრამ პროგრამა შეჩერდა, რადგან ამ მოსახლეობაში ტუბერკულოზი გავრცელდა.

სიღარიბით გამოწვეულმა არასრულფასოვანმა კვებამ ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, სიცოცხლისთვის სახიფათო და დამაინვალიდებელი ინფექციების რისკის წინაშე შეიძლება დააყენოს (მაგალითად, დიფტერიის, ყვითელი ცხელების და ქოლერის) (სეიპელი, 1999:35). ხშირად მოწყვლადი ადამიანები ცდილობენ იმოგზაურონ საზღვარგარეთ სამსახურის და ზრუნვის ძიებაში. მაგალითად, ზემომოყვანილი შემთხვევების გარდა *აიკ*ის და სექსუალური გზით გადამდები სხვა დაავადებების მოძრაობა საზღვრების მიღმა აღწერილია ზოგიერთ სხვა გამოკვლევაშიც. *აიკ*ი ახლა კარგად არის დამკვიდრებული კარიბის ზღვის

რეგიონში და სექსუალური გზით გადამდებ სხვა ბაქტერიებთან ერთად (რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული ამ რეგიონის შავკანიან მოსახლეობაში), ჩართულია ბრიტანეთში მიგრირების პროცესში. ამიტომ, არსებობს საკმაო ალბათობა ბრიტანეთში *აიკ*ის გავრცელებისა (ჰიკსონი და კოლეგები, 2004). გარდა ამისა, ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკურად წარუმატებელი ქვეყნებიდან ხდება ხალხის მნიშვნელოვანი რაოდენობის იმიგრაცია სამხრეთი ევროპის ბევრ ქვეყანაში. ესპანეთი, ემიგრაციული ქვეყანა, სწრაფად გადაიქცა იმიგრაციულად. ბევრ აქ ჩამოსულს, განსაკუთრებით უსაბუთო მუშებს, ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვის სამსახურებზე და განსაკუთრებით, *აიკ*ის ტესტზე (კასტილა და კოლეგები, 2002). ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგი ხელს უწყობს *აიკ*ის გავრცელებას ორივეგან, ევროპასა და აზიაში. მაგალითად, ბეირერი აღნუსხავს, რომ მიანმარის სამოქალაქო კონფლიქტის მსხვერპლი ქალები ჩაერთნენ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სექსის ინდუსტრიაში (2001:543).

როცა ხალხი გადადის საზღვარგარეთ სამუდამოდ თუ დროებით, იზრდება დაავადების გავრცელების რისკი (იხ. თავი 6). ხალხი მოგზაურობს მეტი შესაძლებლობების ან უსაფრთხოების ძიებაში და თან მოაქვთ ოცნებები, სულისკვეთებები და ზოგჯერ *აიკ*ი ან სხვა დაავადება. განვითარებად ქვეყნებში რეტროვირუსის საწინააღმდეგო მედიკამენტებზე მხოლოდ 7 პროცენტს მიუწვდება ხელი იმათგან, ვისაც ეს მედიკამენტები სჭირდება (UNAIDS, 2004b). ამიტომ ზოგჯერ ადამიანი გადადგილდება დაავადებიდან განკურნების ძიებაში; სხვა შემთხვევაში ის ახალ ადგილზე დაავადებას გადაეყრება. მაგალითად, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ტუნისში *აიკ*ით დაავადებულთა ნახევარი ლიბიიდანაა ჩამოსული. ისინი იქ ჩავიდნენ, რათა ჩაიტარონ ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობა და/ან გაიარონ მედიკამენტური რეაბილიტაცია; რადგან ტუნისში, ამ საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ყველასთვის უფასოა ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობა. არსებობს ზემოთქმულის საწინააღმდეგო ამბავი იმის შესახებ, რომ ბრიტანეთში თავშესაფრის მაძიებელი ზოგიერთი ქალი *აიკ*ით დაავადდა მას შემდეგ, რაც სქესობრივი კავშირი ჰქონდა თავისი სათვისტომოს მამაკაცთან (კერძო საუბრებიდან).

საკვების და სხვა საქონლის გლობალური ბაზრების გახსნამაც შეიძლება, ხელი შეუწყოს დაავადების გავრცელებას. მსოფლიო ბანკმა აღიარა აფრიკაზე *აიკ*ის გავრცელების ზეგავლენა და ზრუნავს დატვირთულ სავაჭრო დერეფანზე, რომელიც სპილოს ძვლის სანაპიროდან ნიგერიამდე ხუთ ქვეყანაზე გადის. 16,6 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა, რათა შეეფერხებინათ დაავადების გავრცელება ტრანსპორტის მუშაკებში, მიგრანტებში, სექსით მოვაჭრეებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში.

როგორც აღვნიშნეთ, 2004 წელს ფრინველის გრიპი აზიაში გავრცელდა რადგან ათი სახელმწიფოს ბაზრებში ინფიცირებული ფრინველი იყიდებოდა. სხვა ქვეყნები ყურადღებით აკვირდებოდნენ ადგილობრივი მთავრობების და *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის* ძალისხმევას მიეკვლიათ დაავადების წყაროსთვის და შეეზღუდათ მისი გავრცელება. დასავლეთის ქვეყნებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა ტაილანდიდან დაბრუნებულ გერმანელ ტურისტს არ აღმოაჩნდა ფრინველის გრიპი. თუმცა, მისი გავრცელების და მართლაც პანდემიის შიში ისევ გაჩნდა, როცა 2005 წლის მიწურულს ხელახლა იფეთქა ამ დაავადებამ.

ხალხმა სულ უფრო მეტი იცის დაავადების გლობალურად გავრცელების საფრთხის შესახებ. ერთმა კვლევამ აჩვენა (ჯოფი და ჰარჰოფი, 2002), როგორ დაიწყო ფიქრი დიდ ბრიტანეთში ხალხმა ებოლაზე მას შემდეგ, რაც ახალ ამბებში ამ დაავადებაზე  გამოჩნდა ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე „არაკომპეტენტური მოაზროვნეები არ უკავშირებენ საკუთარ თავს ებოლას და მას უფრო სამეცნიერო ფანტასტიკას ამსგავსებენ. ფიქრობენ, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი, როცა იშორებს იმ აზრს, რომ შეიძლება ეს დაავადება გლობალურად გავრცელდეს, სიმბოლურად ებოლას უმკლავდება“. მასობრივი კომუნიკაციების და ინფორმაციის უმალვე გავრცელების პირობებში, ზოგიერთი უფრო დახურული ქვეყნისთვის, ალბათ, უფრო რთულია ეპიდემიის არაღიარება; განსაკუთრებით, *აიკ*ის გავრცელების უარყოფა ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთი აფრიკის ზოგიერთ ნაწილში. როცა ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომია, რეგიონის ზოგიერთმა ქვეყანამ დაიწყო მეტი პრევენციული პროგრამის შემუშავება (მაგ. ალჟირმა, ირანმა, ლიბანმა, მაროკომ); ირანსა და ლიბიაში საინექციო ნარკოტიკების მომხმარებლებსაც კი აქცევენ ყურადღებას.

ამ მსჯელობიდან ცხადია, რომ ზოგიერთი დაავადების გავრცელება გლობალიზაციის პროცესს უკავშირდება. ამ დაავადებების ცვალებადი რეალობის და მათი სოციალური ზეგავლენის შესახებ  მთელი მსოფლიოს სოციალურმა მუშაკებმა უნდა იცოდნენ.

## დაავადებების ზეგავლენა ქვეყნებზე, თემებზე და განსაკუთრებულ მოსახლეობაზე

ბევრი კვლევა აღწერს დაავადების გლობალურად გავრცელების დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გარემოზე ზეგავლენასაც კი. მაგალითად, მსოფლიოში *აიკ*ით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 20–დან 40 წლამდე ადამიანებში.  1960–იან და 1970–იან წლებში

საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში მოხერხდა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, მაგრამ პანდემიამ შეაბრუნა ეს ტენდენცია (WHO, 2004a:2). 2004 წელს *შიდს*მა 14 მილიონი ბავშვი (ერთი ან ორივე მშობლით) დააობლა, მათი უმრავლესობა აფრიკელია. ვარაუდობენ, რომ 2010 წლისთვის ამ ობლების რაოდენობა 25 მილიონი იქნება. *აივ*ის და სხვა დაავადებების უზარმაზარ სოციალურ ზეგავლენას უფრო ნაკლები ყურადღება მიექცა, ვიდრე მათ ეკონომიკურ შედეგებს. დანაკარგი, მწუხარება, უუნარობა და კულტურული მოდელის შეცვლა ყველა ამ დაავადების გავრცელების გამოვლინებაა. წიგნის ეს მონაკვეთი მიმოიხილავს დაავადების სოციალურ ზეგავლენას ქვეყნების და თემების გარკვეულ სექტორზე. განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას ამ სექტორების მოწყვლად მოსახლეობაზე – გოგონებზე, ქალებზე, ღარიბებზე და მამაკაცებზე, რომლებსაც მამაკაცებთან აქვთ სექსი.

*აივ*ით დაავადებული ადამიანები, რომელთაც დამატებით ტუბერკულოზი ან რაიმე სხვა დაავადება აქვთ, კიდევ უფრო ართულებენ ისედაც გადატვირთული ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობას. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში საავადმყოფოს საწოლების ნახევარზე მეტი ხშირად *შიდს*იან ავადმყოფებს უკავიათ (WHO, 2004b:11). ამერიკის შეერთებულ შტატებშიც დაფიქსირდა *აივ/შიდს*ის მქონე ადამიანების სამოქალაქო უფლებების დარღვევები, მათ შორის: მკურნალობაზე უარის თქმა, პირად ცხოვრებაში ჩარევა, მშობლის უფლებების ჩამორთმევა, დისკრიმინაცია სამსახურში, სამზრუნველო დაწესებულებაზე და სპეციალურ საცხოვრებელში განწესებაზე უარის თქმა. ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის რეგიონში ჯანდაცვაში *აივ/შიდს*იანი ადამიანების დისკრიმინაციის მთავარი ფაქტორი ჰომოფობიაა[1]. როგორც აღვნიშნეთ, აფრიკის ბევრ ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობაა აუცილებელი საჯარო მომსახურების მოწოდების მხრივ, რაც მეტად მნიშვნელოვანია *შიდს*ზე რეაგირების საქმეში. მიზეზები სხვადასხვაა – მნიშვნელოვანი მუშაკების სახელმწიფოდან კერძო სექტორში გადასვლით ან საზღვარგარეთ მიგრირებით დაწყებული, თავად ამ ვირუსის მომაკვდინებელი შედეგებით დამთავრებული (UNAIDS, 2004b).

ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში განათლების სისტემა სერიოზული რისკის წინაშე დგას, რადგან უფრო მეტი მასწავლებელი კვდება, ვიდრე იწვრთნება. ღარიბ ქვეყნებში, როცა მშობელი ავად არის ან გარდაცვლილია ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ ბავშვი (მით უმეტეს, გოგონა) სკოლაში წავიდეს; რადგან მას ევალება ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა ან არ აქვს სწავლის ფული. ეს რეალობა და

[1] ჰომოსექსუალისტების სიძულვილი და შიში.

მასწავლებლების სიმცირე უკან სწევს ათასწლეულის განვითარების ერთ–ერთ მიზანს – 2015 წლისთვის ყველა ბავშვი სკოლაში შევიდეს (WHO, 2004b:10).

სოფლის მეურნეობის სექტორიც რისკის წინაშე დგას; უფრო და უფრო ინტენსიური ხდება საკვების უკმარისობა იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი ისედაც საჭიროზე ნაკლებ საკვებს ღებულობს. ვარაუდობენ, რომ სამხრეთი აფრიკის ქვეყნებში 2020 წლისთვის სოფლის მეურნეობის მუშაკების ერთ მეხუთედს *შიდსი* შეიწირავს (WHO, 2004b:50). *აიკს* ოჯახის შენახვის საფასურის გაზრდაც მოჰყვება შედეგად და გლეხური მეურნეობის ტექნიკის და კვების რაციონის შეცვლაც. დაავადებების ეპიდემიები აშკარად ახდენენ ზეგავლენას იმ ადგილობრივ ორგანიზაციებსა და რესურსებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ თემების მდგრადობას. ფართოდ გავრცელებული დაავადების შედეგებს მთელი თემი განიცდის. მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე მეტი *აიკ*ით იმფიცირებული სამხრეთი აფრიკის მოსახლეობაშია; სავარაუდოდ, 5,3 მილონი ადამიანი, რაც მოსახლეობის 12 პროცენტზე მეტი. აქ ჩვეულებრივი ამბავია ერთ ზრდასრულ მომუშავეზე დამოკიდებული ბავშვებისა და მოხუცების რაოდენობის მატება. ზოგიერთ თემში ადამიანური კაპიტალის დაგროვების და თაობიდან თაობაზე (ცოდნის, უნარების, გამოცდილების და ფასეულობების გაზიარებით) გადაცემის პროცესი შეფერხებულია ან შეწყვეტილია. მაგალითად, დიდ ოჯახებში, როცა აღარ ხერხდება ყველა ობოლზე ზრუნვა, ზოგი მათგანი ქუჩაში (WHO, 2004b:3) ან ბავშვთა სახლში აღმოჩნდება ხოლმე (ტაკერი, 2005). [...] ამგვარი დანაკარგი, რომელიც მთელ თემზე მოქმედებს შეიძლება გამანადგურებელი აღმოჩნდეს.

*აიკ/შიდს*ის ეპიდემიამ ძირეული დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვია, მათ შორის გახლავთ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში ობოლი ბავშვების საგანგაშო რაოდენობა. ერთი კვლევის თანახმად, დასავლეთ კენიის ერთ სოფელში თვრამეტ წელზე უმცროს ბავშვებში ყოველ მესამეს არ ჰყავს ერთ–ერთი ბიოლოგიური მშობელი და ყოველ მეცხრეს ორივე მშობელი.

> ამ ბავშვების მთავარი პრობლემა იყო სწავლის ფულის, საჭმლის და სამედიცინო მომსახურების არქონა. ობლების დიდი რაოდენობის გამო, დაიკარგა ობოლზე ზრუნვის ტრადიციული მექანიზმი, როცა ობოლ ბავშვზე მამის ნათესავები ზრუნავდნენ. ამჯერად ობლების 28 პროცენტზე კულტურის თვალსაზრისით „უმართებულო“ კატეგორია ზრუნავდა (დედის ნათესავები ან უცხოები). აგრეთვე ბევრი მზრუნველი, ავადმყოფობის ან დიდი ასაკის გამო, თავად იყო უუნარო. სიღარიბე, უარყოფითი დამოკიდებულება და

> დაკრძალვის ტრადიციული ადათები კიდევ უფრო ამძიმებს ობლების მდგომარეობას. (ნიამბედა და კოლეგები, 2003:301)

ბავშვები შეიძლება განიცდიდნენ დისკრიმინაციულ სტიგმას და სოციალურ ექსკლუზიას. გასაოგნებელია კერალაში (ინდოეთი) მცხოვრები ორი ბავშვის ამბავი, რომლებიც *შიდს*მა დააობლა და რომლებიც *აივ*ის სტატუსის გამო გამოაძევეს თავიანთი სკოლიდან. მას მერე, რაც ბავშვებმა და მათმა ბაბუამ შიმშილობა გამოაცხადეს, მინისტრმა სახელმწიფო სკოლას ბავშვების მიღება უბრძანა. ამ სკოლის მოსწავლეებმა ბოიკოტი გამოაცხადეს, მთავრობა დაემორჩილა ზეწოლას და გამოსცა ბრძანება ბავშვებისთვის სახლში ესწავლებინათ. ინდოეთის პრეზიდენტმა, ჯანდაცვის მინისტრმა, *შიდს*ის ადგილობრივმა მესვეურებმა და აქტივისტებმა, ბავშვების სახელით, სცადეს, დაერწმუნებინათ თემი, შებრძოლებოდნენ *აივ*თან დაკავშირებულ შიშსა და ცრუ წარმოდგენებს. თუმცა, 2003 წლის ბოლოს ბავშვები ჯერ ისევ არ დადიოდნენ სკოლაში.

ეს დაავადება არაპროპორციულად (კაცებთან მიმართებით) მოქმედებს ქალებზე. აფრიკის რეგიონში ქალები შეადგენენ *აივ/შიდს*ით ინფიცირებულთა 58 პროცენტს. კაცებთან შედარებით 6–8 წლით ადრე ინფიცირებული ქალები უფრო სწრაფად კვდებიან. ინფექციის გავრცელების არათანაბარი მოდელი სამომავლო პრობლემაა, რადგან ბევრი კაცი მუდამ ახალგაზრდა სექსუალურ პარტნიორს ეძებს (WHO, 2004b:3). *აივ*ის ეპიდემია არის მეტისმეტად ჰეტეროსექსუალური ფენომენი, განსაკუთრებით, აფრიკაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. არაერთი მიზეზის გამო (ბიოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები) ქალები უფრო მოწყვლადები არიან ამ ინფექციისადმი.

ქალის მატერიალური დამოკიდებულება კაცზე შეიძლება ნიშნავდეს, რომ ქალი ვერ აკონტროლებს როდის, ვისთან და რა გარემოებებში ექნება სექსი. ბევრს უწევს სექსს ბიზნესში საქმიანობა ყოველდღიური სარჩოსთვის. ისინი ბიოლოგიურად უფრო მოწყვლადები არიან სპერმაში არსებული ვირუსისადმი და არასასურველი სექსის ან გაუპატიურების დროს მიღებული მიკრო ჭრილობებისადმი (იხ. თავი 5). აგრეთვე,

> თუ ქალს ქმარი *აივ*მა მოუკლა, მან შეიძლება სხვაც ყველაფერი დაკარგოს – უძრავი ქონება ან მიწა, სამეურნეო ტექნიკა ან საქონელი. ამგვარად, ისინი კარგავენ საშუალებას ჰქონდეთ შემოსავალი და მოიწიონ საკვები, რათა ირჩინონ თავი და არჩინონ ობლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მათზე არიან დამოკიდებული.

გარდა ამისა, ხანდაზმული ქალები ხშირად ზრუნავენ ავადმყოფ ზრდასრულ შვილებზე და მოგვიანებით შვილიშვილებზე, ცხოვრების იმ ეტაპზე, როცა ოჯახს უნდა ეზრუნა მათზე (WHO, 2000a). ბევრ საზოგადოებაში (სოციალური და კულტურული ასპექტების გამო) ქალისგან არ მოელიან სექსუალურ საკითხებზე მსჯელობას ან გადაწყვეტილების მიღებას. მას არ შეუძლია მოითხოვოს, მით უფრო დაიჟინოს, პრეზერვატივის ან დაცვის რაიმე ფორმის გამოყენება. თუ ქალი უარს იტყვის სექსზე ან ითხოვს პრეზერვატივს, მას შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენონ ან გაჩნდეს ეჭვი მის ერთგულებასთან დაკავშირებით. ბევრ კონტექსტში ქალი აღიქმება დაავადების გადამტანად (მსიმანგი, 2003). მაშინ, როცა მამაკაცისთვის კულტურულად მისაღებია რამდენიმე პარტნიორის და მუდამ ახალგაზრდა პარტნიორების ყოლა (WHO, 2000a).

გოგონები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან, რადგან *აივ*ით ან სხვა დაავადებით გამოწვეული პრობლემები მათზე ახდენს ზეგავლენას. ბევრ ქვეყანაში გოგონები ტოვებენ სკოლას, რათა მოუარონ ავადმყოფ მშობლებს ან უმცროს და–ძმას (WHO, 2000a). ტანზანიაში ოჯახში ბავშვები, განსაკუთრებით გოგონები, დგანან გაუპატიურების, სოდომის ან სხვა სახის სექსუალური ძალადობის რისკის წინაშე. არსებობს მითი (რომელსაც ტრადიციული მკურნალები ან ჯადოქარი ექიმები აცოცხლებენ) (Nyaywa, 2003:2), რომ სექსი ქალიშვილთან ან ბავშვთან კურნავს *აივ/შიდს*ს და ეხმარება ადამიანს გამდიდრებაში ან გაახალგაზრდავებაში და აძლიერებს ხანდაზმულ კაცს.

ოჯახები შეიძლება გაღარიბდნენ *აივ*ის ან სხვა დაავადების გამო. ქონება და უნარები არ გადადის შთამომავლობაზე, რადგან მშობლები ახალგაზრდობაში იხოცებიან. შემოსავლის დაკარგვამ და ჯანდაცვისთვის ფულის ძებნამ შეიძლება გამოიწვიოს მიგრაცია, ბავშვების შრომა, ქონების გაყიდვა და დანაზოგის დახარჯვა (WHO, 2004a). მოკლევადიანი ზრუნვის და დაკრძალვის ხარჯებს და ხანგრძლივად შემცირებულ ნაყოფიერებას შეუძლია გაანადგუროს ოჯახის და მთელი თემის ფინანსური რესურსები. საშუალოდ *შიდს*თან დაკავშირებულ ზრუნვაზე შეიძლება დაიხარჯოს ოჯახის თვიური შემოსავლის ერთი მესამედი (UNAIDS, 2004a:9). ოჯახი ყოველთვის ვერ იღებს დახმარებას დიდი ოჯახისგან ან თემისგან, *შიდს*თან დაკავშირებული სტიგმის ან იმის გამო, რომ მათ ოჯახში და მეგობრებში ბევრია ინფიცირებული.

კაცები და ქალები, რომელთაც აქვთ ტუბერკულოზი და/ან *აივ/შიდს*ი ხშირად სოციალურ სტიგმას ატარებენ, კარგავენ შემოსავალს, რადგან ბევრი დრო ეკარგებათ მკურნალობაზე. სამსახურის და კონფიდენციალურობის არქონა შეიძლება სავალალო

აღმოჩნდეს (ფორნბადი, 2001:648). პირი, რომელიც გარკვეული ჯგუფის წევრია შესაძლოა, განსაკუთრებული დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდეს გარკვეული დაავადების გამო. ჰომოფობია და დისკრიმინაცია ოჯახების, თემების და მედიცინის მუშაკების მიერ ჰომოსექსუალი მამაკაცების მიმართ ვლინდდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ზოგიერთმა დაავადებამ შეიძლება შეაფერხოს გლოვის რიტუალი თემში (იხ. თავი 4). ატიპიური პნევმონია, (რადგან ის ზღუდავს მსხვერპლის ადამიანებთან კონტაქტს) სირთულეებს წარმოქმნის ტრადიციულად მოაზროვნე ჩინური ოჯახისთვის. რადგან გლოვისას ვერ ატარებენ მთავარ რიტუალს. ეს რიტუალი ჩვეულებრივ გარკვეულ შვებას გვრის დამწუხრებულებს (ფოულერი, 2003).

### *ზოგიერთი საერთაშორისო და ინსტიტუციური რეაგირება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე*

ზოგიერთი თემი შემოქმედებითად მიუდგა დაავადების ეპიდემიას. ზამბიაში ტომის ბელადებმა *აივ*ის ტესტი გაიარეს. კარგი მაგალითია *ფოლცვაგენის* ქარხანა ბრაზილიაში, რომელიც *აივ*ის მკურნალობის და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ინიციატორია. *შიდსის ინიციატივა* მუშაობს თემებთან, რომ ქუჩის ბავშვები თავთავიანთ თემებში დააბრუნოს. ადრე ჰონგკონგის საავადმყოფოებში ატიპიური პნევმონიის მქონე ავადმყოფებს არ ჰქონდათ ტელეფონის გამოყენების უფლება. მოგვიანებით მათ არამარტო ტელეფონის გამოყენების ნება დართეს, არამედ ტელეკონფერენციებიც შემოიღეს პაციენტების და ოჯახების ერთმანეთთან დასაკავშირებლად (ფოულერი, 2003:49). ზოგიერთ ესპანურ ქალაქში გვთავაზობენ უფასო და კონფიდენციალურ *აივ*ტესტს და კონსულტაციას. ამ პროცედურის გავლა მიგრანტებსაც შეუძლიათ და არ არის საჭირო პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ტესტამდე და ტესტის შემდეგ *აივ*ის სპეციალისტები პაციენტს სთავაზობენ კონსულტაციას ესპანურ ენაზე (კასტილა და კოლეგები, 2002). ეთიოპია, მოზამბიკი და მალავი სხვა მრავალი ღარიბი ქვეყნის მსგავსად, წვრთნიან პარაპროფესიონალებს ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი სამუშაოების შესასრულებლად. თუმცა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ბევრ ქვეყანაში. სოციალური დარგის პროფესიონალებმა წვლილი უნდა შეიტანონ დაავადებების და მათი სოციალური შედეგების პრევენციისა და გამოსწორების საქმეში.

### სოციალური მუშაკების მონაწილეობა

როცა დაავადებები უზარმაზარ სოციალურ გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე, ჩნდება ცდუნება, რომ ამ არანორმალურ ძალას მივცეთ საშუალება გადაფაროს გლობალური პრობლემების მოგვარებისთვის ძალისხმევა. თუმცა, ასეთი დაავადებების შედეგების პრევენციისა და გაუმჯობესებისთვის სოციალურ მუშაკებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევის სახით. *სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაციის* გლობალიზაციის პოლიტიკა ავალდებულებს სოციალურ მუშაკებს იმუშაონ სამივე დონეზე. სოციალური საქმის პროფესიონალებს შეუძლიათ, ცვლილება შეიტანონ პრევენციაში, განათლებაში და (პიროვნებებთან, ოჯახებთან ჯგუფებთან და თემებთან) კულტურულად კომპეტენტურ პირდაპირ პრაქტიკაში. აგრეთვე მათ შეუძლიათ მონაწილეობა კვლევებში, პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში. *სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაციის აივ/შიდს*ის პოლიტიკა (1990:6) გვაწოდებს მკაცრ გზამკვლევს გლობალური პრაქტიკისთვის. გზამკვლევი გვარწმუნებს, რომ „უნდა დავუპირისპირდეთ და გავუმკლავდეთ *შიდს*ისადმი შიშს, სუბიექტურ მიდგომებსა და არაკეთილგანწყობას სოციალურ მუშაკებში და ზოგადად საზოგადოებაში“. *სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაციის აივ/შიდს*ის პოლიტიკა მოგვიწოდებს, რომ „გადავსინჯოთ სუბიექტური დამოკიდებულება სექსუალური ორიენტაციისადმი“ და ღიანი ვიყოთ „მრავალგვარი სექსუალური პრაქტიკისა და ქმედებისადმი, რომელშიც ადამიანი შეიძლება ჩაერთოს“. ამასთანავე საჭიროა, ვითანამშრომლოთ სხვა მუშაკებთან, რომლებსაც აქვთ ამგვარი სამუშაოს გამოცდილება. ინფექციების კონტროლის გზამკვლევების მიღება შეიძლება *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის* სააგენტოებში (რომელიც კონკრეტულ ქვეყანაზე მუშაობს) ან *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში.* ასეთი გზამკვლევები შეიძლება გამოვიყენოთ სხვა დაავადებებისთვისაც; სხვადასხვა ქვეყანაში დაავადებაზე სოციალური კუთხით რეაგირების მაგალითები (ძირითადად, მაგრამ არა ექსკლუზიურად *აივ/შიდს*თან დაკავშირებით) შეიძლება გვიჩვენებდეს სოციალური მუშაკების არსებულ და პოტენციურ როლს ამ საქმეში.

*განათლებას ინფორმირებისა და პრევენციისათვის* შეუძლია სიტუაციის შეცვლა. *სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაციის აივ/შიდს*ის პოლიტიკა (1990:6) მოუწოდებს სოციალურ მუშაკებს „განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც თემის ყველა სექტორს აწვდიან ინფორმაციას *აივ/შიდს*ის შესახებ და სხვებს კი ეხმარებიან მოიძიონ ინფორმაცია მნიშვნელოვან ინტერნეტ გვერდებზე. მაგალითად, ვებგვერდი www.aidsmap.com შეიცავს სრულ ინფორმაციას *აივ*ის შესახებ პაციენტებისა და პროფესიონალებისთვის. გადადების შეზღუდვისვის და ზრუნვისთვის გაწეული ყველა ძალისხმევა კულტურაზე უნდა იყოს მორგებული

და უნდა ეხებოდეს ფაქტორებს, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა, სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე (WHO, 2004a:13), გარდა ამისა ის მორგებული უნდა იყოს განსაკუთრებული ჯგუფების საჭიროებებზე (მაგ., საინექციო ნარკოტიკების მომხმარებლებისაზე). მაგალითად, კლინიკებში, სადაც იმიგრანტებს ემსახურებიან, ჩარევის კულტურულად ადაპტირებული მეთოდებით შეიძლება სპეციფიკური საკითხების მოგვარება (კასტილა და კოლეგები, 2002).

არსებობს იმის ნიმუშები, თუ როგორ გამოიყენეს სოციალურმა მუშაკებმა, ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემოქმედებითი საშუალებები *აიკ*თან ან სხვა დაავადებასთან მიმართებით განათლებისა და პრევენციისათვის. რუსეთში *აიკ*ის მიერ მიყენებული ზიანის შემცირების სტრატეგიებზე მუშაობაში, სხვა პროფესიონალებთან ერთად, პოლიციელებიც არიან ჩართული (ჯექსონი, 2004). ინდოეთში კონსულტანტები მუშაობენ პოლიომიელიტის ვაქცინასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და სოციალურმა მუშაკებმა შეიმუშავეს ახლებური პროგრამები ძნელად მისაწვდომი მოსახლეობისთვის (როგორებიც არიან სექსის მუშაკები); ამ მოსახლეობას მათივე სტატუსის მქონე, გაწვრთნილი ადამიანები აწვდიან ინფორმაციას (რავი რაჯ უილიამთან, კერძო საუბრებიდან). ჩეხეთის რესპუბლიკაში, დასავლეთი ბოჰემიის რეგიონში სოციალური მუშაკები ქუჩაში მუშაობენ სექსით მოვაჭრე ქალებთან, რომლებიც სამი ოლქის ღამის კლუბებში, ქუჩებში და გზებზე არიან (რესლი და კოლეგები, 2003). სამხრეთ აფრიკაში სოციალური მუშაკები ეხმარებიან მასწავლებლებს მოსწავლეების გაძლიერებაში, მაგ., იმაში, რომ მათ თავდაჯერებულობა მოიპოვონ და მორჩილად არ დასთანხმდნენ მათთან სექსის მსურველებს (ბეკი, 2004).

სოციალური სფეროს პროფესიონალებმა უნდა გაითვალისწინონ *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის* პრიორიტეტი, რაც გულისხმობს მოსახლეობისათვის პრეზერვატივების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მათდამი ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათ სუბსიდირებას, ან შეტანას სოციალურ ბაზარზე (WHO, 2000a). გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია, რომ მოზარდების სექსუალური ჯანმრთელობა კვლავაც იყოს მთავარი პრიორიტეტი მსოფლიოს მასშტაბით. თუ გვინდა, რომ ზეგავლენა ვიქონიოთ არასასურველ ორსულობებზე და სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივად ქცეულ *აიკ*ზე და სექსუალური გზით გადამდებ დაავადებებზე (კასტილა და კოლეგები, 2002). სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ, პირადი ზრუნვისა და ინფექციის კონტროლის შესახებ ინფორმაციის მოწოდებით დაეხმარონ სიცოცხლის ბოლო ეტაპზე მყოფ ადამიანებს; მათსავე კომპეტენციაში შედის *აიკ/შიდს*იან პაციენტებზე პალიატიური ზრუნვა დაავადების ბოლო საფეხურზე (IFSW, 1990, p. 7).

*პროგრამის შემუშავება*

სოციალური მუშაკებს აქვთ უნარი შეაფასონ მომსახურების საჭიროებები და შემდეგ მათ მისაწოდებლად იმუშაონ ორგანიზაციეში და ორგანიზაციების გარემოცვაში. *სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაციის* (1990) პოლიტიკა თავაზობს სოციალურ მუშაკებს „მობილიზაცია გაუკეთონ არსებულ ორგანიზაციებს“ (გვ. 8) და „გაწვრთნან და გააძლიერონ სხვები, რათა შეძლონ სათანადო მომსახურების მიწოდება“ (გვ. 6). შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა აშშ–დან. მინეაპოლისში (მინესოტა, აშშ) *მინესოტას შიდსის პროექტის* ადვოკატი თანამშრომლობს სოციალური მომსახურების დეპარტამენტთან, ჯანმრთელობის დეპარტამენტთან, *შიდსზე მომუშავე აფრიკულ ამერიკულ ჯგუფთან* და *მინესოტას საერთაშორისო ინსტიტუტთან.* ისინი მასპინძლობენ *აივ*ით ინფიცირებული აფრიკელი იმიგრანტი ქალების შეკრებებს, რომლებიც მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენაა მიმართული, რათა მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ ამ ქალებს ჯანდაცვის და სოციალურ სისტემებში გზის გაკვლევაში. „დები სიცოცხლისთვის“ (დაფუძნებული ვაშინგტონში) ორგანიზებას უწევს მოხალისეებს, რომლებიც ხანგრძლივად რჩებიან აფრიკულ თემებში, მხარს უჭერენ ქალებს, ეხმარებიან ობლებზე ზრუნვაში და მუშაობენ პროექტებზე (*შიდს*ის გლობალური ინიციატივა, ვებგვერდისთვის იხ. დანართი). აფრიკული და აფროამერიკული ტრადიციული ორგანიზაციები თანამშრომლობენ, რათა *შიდს*ის *გლობალური ინიციატივის* მეშვეობით მოსახლეობას მიაწოდონ თემზე დამყარებული მომსახურებები. პალიატიური ზრუნვის პროგრამები ქირაობენ ან მოხალისეებად ასაქმებენ ლტოლვილებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოში გაწვრთნილი პროფესიონალები არიან. *აშშ–ს მთავრობის შიდს*ის *დახმარების გადაუდებელმა გეგმამ* 35 მილონი (სამხრეთ აფრიკული) რანდი გამოჰყო სამხრეთი აფრიკის ჰოსპისებისთვის და არასამთავრობო, სათემო და რელიგიური ორგანიზაციების მეშვეობით პალიატიური ზრუნვის განვითარებისთვის. სხვაგან – ბოცვანაში, ეთიოპიაში, ტანზანიაში, უგანდაში და ზიმბაბვეში თემზე დამყარებული პალიატიური ზრუნვის საინიციატივო პროექტი ეხმარება ყველას ვინც იტანჯება *აივ*ით, კიბოთი და სხვა ტერმინალური დაავადებით (სეპულვედა და კოლეგები, 2003).

*კულტურულად* კომპეტენტური *პირდაპირი პრაქტიკა/სოციალური ზრუნვა*, გლობალური სოციალური მუშაობას მთავარი მახასიათებელია. სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ იმუშაონ ოჯახების და თემების გაძლიერებისთვის, იმისთვის, რომ უფრო ხელმისაწვდომი გახადონ მათთვის რესურსები და განავითარონ ადამიანის შესაძლებლობები. მათ (სოციალურ მუშაკებს) შეუძლიათ იმოქმედონ როგორც

„უემოციო აქტივისტებმა“, როცა მათ ინტერესებს იცავენ, ვინც ექსპლუატირებულია ან დაზარალდა სოციალურ–პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემებისგან (ნოიუუ, 2004:463). ჰავაიში სოციალური მუშაკები და ზრუნვის სხვა მიმწოდებლები ჰავაის ტრადიციულ მიდგომებს სწავლობენ. ეს ხაზს უსვამს განსხვავებებს ჯანმრთელობაზე ჰავაისთვის ტრადიციულ ჰოლისტურ შეხედულებასა და იმ ბიოლოგიურ–სამედიცინო პარადიგმას შორის, რომელიც ასახულია ჯანდაცვის დასავლურ ტრადიციულ სისტემაში. ადგილობრივმა მკვლევარებმა და მომწოდებლებმა ასეთი საკითხები წამოჭრეს: კულტურული ფასეულობები, ადამიანის ქცევის პრაქტიკა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ეკოლოგიურ საკითხებში ჩარევის აუცილებლობა და კულტურის გაძლიერება. ამ საკითხების აქტუალურობას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვხვდებით პრაქტიკაში (კა’ოპუა და მიუილერი, 2004). ბოცვანაში სოციალური მუშაკები ზრუნავენ კონფიდენციალურობის კრიზისზე, რომელიც ახლავს *აივ/შიდს*ის პანდემიას. აქ სოციალური მუშაკები ნერგავენ ეთიკის კოდექსს, რათა ადამიანებს, რომლებიც *აივ*ის სამკურნალოდ მიდიან სამედიცინო დაწესებულებაში, ჰქონდეთ გარანტია, რომ ავტომატურად დისკრიმინაციის რისკის წინაშე არ დადგებიან (ფორნბადი, 2001).

*სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაციის აივ/შიდს*ის პოლიტიკა (1990) თხოვს სოციალურ მუშაკებს, „*აივ/შიდს*ით დაავადებულებს, მათ ოჯახებს, პარტნიორებს და სხვა მნიშვნელოვან პირებს, რომლებიც შეინარჩუნებენ კონფიდენციალურობას, გაუწიონ კონსულტაცია და აღმოუჩინონ პერსონალური მხარდაჭერა“. აქ იგულისხმება – პირის შეფასება და მისთვის ინფორმაციის მიწოდება ტესტის ჩატარებამდე; აგრეთვე საჭიროა კონსულტაცია ტესტირების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, პასუხი ნეგატიურია თუ პოზიტიური. მხარდაჭერა უნდა გულისხმობდეს ინფორმაციის მიწოდებას უსაფრთხო სექსუალური ქცევისა თუ პრაქტიკის და არსებული რესურსების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ტესტი პოზიტიურია, პიროვნებას უნდა ვუთხრათ, როგორ გაუმკლავდეს სხვადასხვა რეაქციას (გაგების პრობლემას ან სრულ გაუგებრობას, კულტურულ ინტერპრეტაციას, შოკს, უარყოფას, მწუხარებას, შიშს და სასოწარკვეთილებას). გარდა ამისა, სოციალურმა მუშაკებმა შეიძლება კონსულტაცია გაუწიონ ოჯახებს, პარტნიორებს, მეგობრებს და დამსაქმებლებს.

ჩვენ არ უნდა უგულებელვყოთ *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების* შესაძლებლობები სოციალური მუშაკების მიერ დაავადებასთან და პანდემიებთან დაკავშირებული პირდაპირი მომსახურების საქმეში. ეს მეთოდები განსაკუთრებით გამოსადეგი შეიძლება იყოს ისეთ სიტუაციაში, როცა საჭიროა

გარკვეული რეაგირება და არსებობს რეალური საფრთხე ინფიცირებისა; სწორედ ასეთი შემთხვევა იყო ატიპიური პნევმონიის აფეთქება 2003 წელს. მაგალითად, ჰონგკონგში საინტერესო ინიციატივა დანერგეს და 20 ცხელი ხაზი მუშაობდა მთელი კვირის განმავლობაში დღეში 12 საათი. ასე უწევდნენ სატელეფონო კონსულტაციას ყველას, ვისაც ატიპიური პნევმონია პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეხო. ამ სამუშაოს ცვლების პრინციპით ადგილობრივ საავადმყოფოსთან ერთად ასრულებდნენ კუნძულის ერთ–ერთი უნივერსიტეტის სოციალური მუშაობას განყოფილების და საექთნო კურსების სტუდენტები და თანამშრომლები (ჰუი და ცუი, 2004). როულანდსიც აღწერს მსგავს სიტუაციას, როცა სინგაპურში ატიპიური პნევმონიის აფეთქებისას საავადმყოფოს სოციალურმა მუშაკებმა (ფართომასშტაბიანი რეაგირების სახით) გახსნეს ტელეფონის ცხელი ხაზი პაციენტებისთვის და საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის (როულანდსი, 2004). ეს გულისხმობდა მეგობრული კავშირის დამყარებას პაციენტებთან, პირდაპირ კონსულტირებას გარდაცვლილი პაციენტების ოჯახებისთვის და აგრეთვე ჯანდაცვის მუშაკების ინფორმირებას. ამ საქმეს (საგანგებო წვრთნის შემდეგ) აკეთებდნენ მოხალისეები, რომლებიც ძირითადად საავადმყოფოს თანამშრომლები იყვნენ. ერთი სოციალური მუშაკი, რომელიც იმ პაციენტებთან მუშაობდა პირისპირ, ვინც მიიჩნიეს ჰონგკონგიდან სინგაპურში დაავადების ჩამომტანებად, გადარჩა. თუმცა, მას ოჯახის რამდენიმე წევრი გარდაეცვალა და მისი შემთხვევაც განსაჯაროვდა. როულანდსის ნაშრომში აგრეთვე ნაჩვენებია ატიპიური პნევმონიის მქონე პაციენტებთან ნორმალური ურთიერთობის შეზღუდვა (რადგან სოციალური მუშაკები თვლიდნენ, რომ მნახველებს უნდა ჰქონოდათ პირადი დაცვის სრული აღჭურვილობა: დამცავი სათვალეები, ნიღაბი, ხალათი და ხელთათმანები). საავადმყოფოს სოციალური მუშაკები განიცდიდნენ ზეწოლას ოჯახის წევრების მხრიდან, რომლებსაც ეშინოდათ ვერაგი დაავადების.

*აივ/შიდსზე* რეაგირებას რომ დავუბრუნდეთ, უფრო კონკრეტულად, სოციალური სფეროს წარმომადგენლებს შეუძლიათ იმუშაონ ოჯახის *გამკლავების უნარის გაზრდაზე.* ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ პირდაპირი ფინანსური დახმარება, ვიზიტები სახლში, საკვებით დახმარება, სასკოლო გადასახადის გაუქმება (WHO, 2004a:10). კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ნიუ–იორკში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აშშ–ში სტაბილურ საცხოვრებელს შეუძლია შეამციროს სახიფათო ქცევა, რომელიც უკავშირდება *აივ*ის გავრცელებას და ნემსების მოხმარებას თუ სექსით ვაჭრობას. 2004 წელს სვაზილენდში დანერგეს *ბავშვთა სოფლები სრულყოფილი ცხოვრებისთვის,* რათა შეექმნათ სოფლები, სადაც ობლებს მიაწვდიან ზრუნვის სრულ პაკეტს – განათლებას და განვითარებას. მომავალში აქ იქნება მშობლების გასაჩერებელი სახლები, რათა სიკვდილის წინ ისინი ჩამოვიდნენ და

ნახონ, სად მოუვლიან მათ შვილებს მათი გარდაცვალების შემდეგ. სოციალური მუშაკები კავაკუკიში (მოში, ტანზანია) მუშაობენ, რომ გააძლიერონ ქალები თემებში, რათა მათ იზრუნონ ობლებზე საკუთარ სახლებში. ამგვარად ბავშვებს არ მოუწევთ საკუთარი თემის დატოვება და ბავშვთა სახლში გადასვლა (www.enda.sn/africaso.org/womenkili.html). და ბოლოს, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ წაახალისონ ზრუნვის მომწოდებლები, რათა ისინი შეუერთდნენ მხარდაჭერის ქსელებს. მაგალითად, ნიგერიაში არსებული *დასავლეთ აფრიკის ჯანდაცვის პროფესიული ქსელი* (West African Health Care Professional Network - WAHCPN) არის ვირტუალური თემი (პაციენტებისთვის, ექთნებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, კონსულტანტებისთვის/ექსპერტებისთვის და მოხალისეებისთვის), სადაც ერთმანეთს ინტერნეტით უზიარებენ ინფორმაციას პალიატიური ზრუნვის შესახებ.

სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ *პოლიტიკის ცვლილების ადვოკატობა* (დაავადებით დაზარალებული ადამიანების სახელით) ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. არსებობს ბევრი მაგალითი პოლიტიკაზე მუშაობისას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების შესახებ. მაგალითად, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ შეებრძოლონ იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებსაც უნარები წაერთვათ დაავადების გამო (სეიპელი, 1994, 2005). აქ განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ კანონმდებლობის მეშვეობით *აივ*ით ინფიცირებულების დაცვა (საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნების დაახლოებით 50 პროცენტს აქვს ასეთი კანონმდებლობა [WHO, 2004b:18]). *სოციალური მუშაობას საერთაშორისო ფედერაცია* (1990:7) გვთავაზობს, რომ სოციალურმა მუშაკებმა „ლობირება გაუწიონ *აივ/შიდს*ით დაავადებულთა უფლებებს და უზრუნველყონ, რომ დაკმაყოფილდეს თემის უმცირესობების და სტიგმის მატარებელი ჯგუფების საჭიროებები“. სოციალურმა მუშაკებმა შეიძლება ხელი შეუწყონ მთავრობებს იმის აღიარებაში, რომ იზოგება ფული *რეტრო ვირუსის საწინააღმდეგო* წამლებზე მსოფლიო მასშტაბით (არგენტინაში, ბარბადოსში, ჩილეში, კოსტა–რიკაში, მექსიკასა და ურუგვაიში, (WHO, 2004b:13). აგრეთვე მათ უნდა გამართონ კამპანიები პრევენციაზე სამუშაოდ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დაავადების კონტროლს. შესაძლებელია, რომ საჯარო პირები და კარგად ცნობილი ადამიანები საჯაროდ ვალაპარაკოთ პრობლემაზე. 2004 წლის მარტში ლესოტოში პრემიერ–მინისტრმა პაკალითა მოსისილიმ და 80–ზე მეტმა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ საჯაროდ ჩაიტარა *აივ*ის ტესტი, რათა დაეძლიათ სტიგმა, რომელიც ტესტირებას აფერხებს (WHO, 2004b:17). სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ იმუშაონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიტიკის შემუშავებისას თანასწორობა კვლავაც ყველაზე მთავარი იყოს; და, რომ სხვებთან ერთად, გვახსოვდეს ქალების, ბავშვების, ნარკოტიკების მომხმარებლების

და სექსის მუშაკების საჭიროებებიც (IFSW, 1990:7). ამისთვის საჭიროა ადვოკატობა და ქვეყნების მთავრობებზე ზეწოლა, რათა ხელმისაწვდომი გახდეს პალიატიური ზრუნვა (მაგალითად, ბელარუსში, სადაც ტკივილგამაყუჩებლები შეზღუდული რაოდენობით აქვთ, ზრდასრულები და ბავშვები იტანჯებიან). აგრეთვე შეიძლება დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს მოვთხოვთ დააფინანსონ პალიატიური ზრუნვა აფრიკის ქვეყნებში (როგორც აშშ–ში ბუშისეული *შიდს*ის დახმარების სასწრაფო გეგმის ფარგლებში მოხდა [Emergency plan for AIDS Relief]). აფრიკაში გაეროს საგანგებო წარმომადგენელი *შიდს*ის საკითხებთან მიმართებით, სტეფან ლევისი გვაფრთხილებს, რომ აფრიკისთვის არ იქნება საკმარისი რვა დიდი ქვეყნის ლიდერების დაპირებული გაორმაგებული დახმარება და, რომ ადვოკატობის ფარგლებში უნდა მოხდეს ცალკეულ მთავრობებზე ზეწოლაც.

გარდა ამისა, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ იდეის პოპულარიზება; შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს იმ მთავრობების ჯერ შექება და შემდეგ მონიტორინგი, რომლებიც სასარგებლო წვლილს შეიტანენ ამ საქმეში; როგორიცაა მაგალითად, ევროკომისიის 2004 წლის ივლისის გადაწყვეტილება გადაიხადოს დამატებით 42 მილიონი ევრო *შიდს*თან, *ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის მსოფლიო ფონდში*; ფილიპინების *აივ/შიდს*ის კონტროლისა და პრევენციის აქტი ან ვენესუელას სამოქმედო გზამკვლევი. ბევრ ქვეყანას აქვს *შიდს*ის ეროვნული გეგმა, რომელიც მოიცავს *რეტრო ვირუსის საწინააღმდეგო* მკურნალობის ანაზღაურებასაც. ზოგმა მკურნალობის დასაფინანსებელი თანხა ეროვნული ვალებიდან და ვალის დახმარებიდან გამოჰყო (WHO, 2004b:13).

იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენენ *აივ*ი და სხვა დაავადებები ქალებზე, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ იმუშაონ მიკრო კრედიტების და შემოსავლის მიღების სისტემების გაძლიერებაზე, სკოლების დახმარების და საკვების მიწოდების პროგრამებზე (WHO, 2004:10). მსიმანგი (2003:112) თვლის, რომ მნიშვნელოვანია, რომ დავაკავშიროთ ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნების ფემინისტები და მოვიაზროთ *აივ/შიდს*ი, როგორც ფემინისტური საკითხი, რომელსაც აქვს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გავლენა (გარდა რასობრივი, კლასობრივი და გენდერული განზომილებისა). *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია* მკაფიოდ აცხადებს, რომ ადვოკატებმა უნდა:

> „დაგმონ ყველა სახის ნაძალადევი სექსი; გაუპატიურებიდან კულტურულ/ეკონომიკურ ვალდებულებამდე, გქონდეს სექსი მაშინ, როცა სინამდვილეში არ გინდა... უნდა დაგმონ ზიანის მომტანი კულტურული პრაქტიკა – სასქესო ორგანოების დასახიჩრება, „მშრალი“ სექსი, სექსი

> ახალგაზრდა გოგონებთან ინფიცირების თავიდან აცილების ან „განკურნების“ მიზნით. . . პატივი უნდა სცენ კონფიდენციალურობას და ყურადღება მიაქციონ უთანასწორობას პარტნიორის გაფრთხილების და სტატუსის გამჟღავნების საქმეში, იმის გათვალისწინებით, რომ ქალებს ხშირად აქვთ დაავადების გადამტანის სტიგმა, მაშინ, როცა ისინი მხოლოდ ქმრისგან ან პარტნიორისგან დაავადდნენ. მათ მხარი უნდა დაუჭირონ უფლებას – ორსულობის პერიოდში პაციენტთან შეთანხმებით ჩატარდეს *აივ*ის ტესტი, მოხდეს ჩარევა ვირუსის საწინააღმდეგო საშუალებებით, რათა ინფექცია ნაყოფზე არ გავრცელდეს, სურვილის შემთხვევაში შეწყდეს ორსულობა. . . აგრეთვე ყველას უნდა ჰქონდეს ოჯახის დაგეგმვის, კონფიდენციალურობის დაცვის და რეტროვირუსულ მედიკამენტებზე ინფორმაციის მიღების უფლება (WHO, 2000b).

*შიდს*იანი ადამიანების და მსოფლიო ლიდერების ძალისხმევამ ხელი შეუწყო მსოფლიო ბაზარზე რეტრო ვირუსის საწინააღმდეგო მედიკამენტების წლიური ფასის დაკლებას 10 000–12 000–დან 300 აშშ დოლარამდე (WHO, 2004a:14). იმის შედეგად, რომ ბოლო წლებში განვითარებად ქვეყნებში, ჩინეთსა და ინდოეთში, დიდად განვითარდა „ჯენერიკი“ მედიკამენტების მრეწველობა, საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ძალიან გაიაფდა ბევრი წამალი. ამ საქმეში აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აუცილებელი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის კამპანიებმა. ამ ღონისძიებებს *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია* და ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ, როგორიც არის *ექიმები საზღვრების გარეშე* განვითარებად ქვეყნებში სექსუალური გზით გადამდები დაავადებების სწრაფი და ეფექტური მკურნალობის საქმეში არსებული ფინანსური წინააღმდეგობები მეტწილად მოგვარდა, რადგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის და მოგებაზე ორიენტირებული „ჯენერიკი“ წამლების მრეწველობის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა; იმავდროულად ბაზრის განვითარება არ დაუბროკლებია პროტექციონისტულ[2] რეგულაციებს. იმედი გვაქვს, რომ *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის* ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებები (*ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის* მიერ დადგენილ) პრიორიტეტულ სფეროებში ხელმისაწვდომი საშუალებების მიწოდების გაუმჯობესებას არ აღუდგება წინ. (შემდგომი მსჯელობისთვის იხ. მანიონი, 2005). რა თქმა უნდა, წამლების ხელმისწვდომობის და ჯანდაცვის პროგრამებმა ერთმანეთთან კოორდინირებულად უნდა იმუშაონ (პეპინი და მაბი, 2003).

---

[2] პრინციპი ან მექანიზმი, რომელიც, უცხოური საქონლის დაბეგვრის მეშვეობით, იცავს საკუთარი ქვეყნის მრეწველობას.

და ბოლოს, სოციალური სფეროს პროფესიონალებს შეუძლიათ უფრო იაქტიურონ დაავადების სოციალურ შედეგებთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში. არსებობს მცირემასშტაბიანი მაგალითები – პალიატიური ზრუნვის პროგრამის შემუშავება, *ღია საზოგადოების ინსტიტუტის* მეშვეობით ჩატარებული კვლევა *ამერიკაში სიკვდილის შესახებ.* საინტერესოა, რომ სოციალური მუშაობას კურსდამთავრებულებს, რომლებიც იკვლევენ ჰავაის ადგილობრივ მოსახლეობას ერთობლივი ძალისხმევით აფინანსებენ: *ჰავაის სიცოცხლის ფონდი, მაუის შიდსის ფონდი, ჰავაის ტრადიციული ჯანდაცვის სისტემა* და *დედოფალ ლილიუოკალანის ბავშვთა ცენტრი* (კა'ოპუა და მიუილერი, 2004).

მუპეძისუა (2001) მიიჩნევს, რომ სოციალურმა მუშაკებმა კვლევისას ყურადღება უნდა გაამახვილონ გარიყული მოსახლეობის პრობლემებზე; განსაკუთრებით, *შიდს*იანების სახლში ზრუნვაზე, სტრუქტურული გაუმჯობესების პროგრამებზე და სოფლის ღარიბი მოსახლეობის სოციალურ უსაფრთხოებაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია *აივ*ის სოციალურ–ეკონომიკური შედეგის შესწავლა, რადგან „იმ ქვეყნების 40 პროცენტზე მეტს, სადაც *აივ*ის ეპიდემია ვრცელდება, ეს შედეგები კვლავაც დასათვლელი აქვს“ (WHO, 2004b:10); ხოლო სოციალური დარგის სპეციალისტებს შეუძლიათ კულტურულად მართებული საკვლევი საკითხების ჩამოყალიბება. მეტად მნიშვნელოვანია, რომ დასავლელმა/ჩრდილოელმა სოციალურმა მუშაკებმა მხარი დაუჭირონ აფრიკელი მკვლევარებისთვის ფონდების გამოყოფას, ისევე, როგორც აფრიკის კონტინენტის მიღმა კვლევების დაფინანსებას (იხ.www.aidsinafrica.com).

სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მთავრობის ძალისხმევას ითანამშრომლოს სხვა მთავრობასთან; ამის მაგალითია 2004 წელს დაფუძნებული *დაავადების პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრი.* მისი მიზანია, დააკვირდეს ჯანმრთელობის საკითხებში ევროპის ცნობიერების დონეს, რათა უკეთესად მოემზადოს მომავალი ეპიდემიებისთვის და მოახდინოს მათზე რეაგირება (იხ.www.europa.eu.int). გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჯარო და კერძო სექტორებს და მკვლევარების ქსელებს, სათანადო მექანიზმების მეშვეობით, შეუძლიათ ერთობლივად იმუშაონ დაავადების კონტროლის მეთოდების შექმნასა და გაუმჯობესებაზე (WHO, 2003:14).

# თეორიები და კონცეფციები საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გააზრებისათვის

*ლინ ჰილის მიერ*

## განვითარება და ადამიანის უფლებები

*"განვითარების ამოცანაა, ადამიანებს შეუქმნას ხანგრძლივი, ჯანსაღი და შემოქმედებითი ცხოვრების შესაძლებლობა".*

*(ul Haq, 1990, გვ. 9)*

საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი არის განვითარების ხელშეწყობა, ადამიანების უფლებების დაცვა და დახვეწა. ბევრი საერთაშორისო, ეროვნული თუ ადგილობრივი ორგანიზაციისთვის განვითარება არის მთავარი საშუალება სიღარიბის და ბევრი მისი თანმხლები სოციალური პრობლემის გამკლავების საქმეში. ადამიანის უფლებები არის საქმიანობის მიმართულება და ფილოსოფიური საფუძველი, რომელიც გულისხმობს ყველა ადამიანის პატივისცემას. ეს თავი ეხება განვითარების და ადამიანის უფლებების თეორიებს და მნიშვნელოვან პრინციპებს.

## განვითარება

განვითარება, პროცესი იქნება ეს თუ საბოლოო შედეგი, განიხილება, როგორც სიღარიბის და მისი თანმხლები პრობლემების აღმოფხვრის გზა. მართალია, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც ლიტერატურაში სოციალური სამუშაოს შესახებ განვითარებას აანალიზებენ (პაივა,1977; ომერი, 1979; სანდერსი, 1982), მაგრამ დასავლელი (ანუ ჩრდილოეთის ქვეყნების) სოციალურ მუშაკებისთვის ჯერჯერობით ეს მაინც არ არის საყოველთაოდ გასაგები კონცეფცია. განვითარების მომხრე/მიმდევარი რომ იყო, უნდა იცოდე: განვითარების და ჩამორჩენილობის თეორიები, განვითარებისთვის გაწეული ძალისხმევის ისტორია, განვითარების ინიციატივის უკან მდგარი მოდელები და კონცეფციები. განვითარების საჭიროება ისევ აქტუალურია. როგორც, *გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის* თავმჯდომარემ, ბრუნტლენდმა (ბრუნდტლენდი, 1987წ., გვ. 13) აღნიშნა, „ერთი საუკუნის განმავლობაში უპრეცედენტო ზრდის შედეგად, რომელსაც თან ახლდა მანამდე წარმოუდგენელი მეცნიერული და ტექნოლოგიური ტრიუმფი, მივიღეთ ადრე რომ არ ყოფილა მსოფლიოში იმდენი ღარიბი, წერა–კითხვის უცოდინარი და უმუშევარი ადამიანი; თანაც მათი რაოდენობა კიდევ იზრდება" (გვ. 13). *გაეროს* განვითარების პროგრამის უფრო გვიანდელ ანგარიშში (გაეროს განვითარების სააგენტო; 2003 წ. გვ. 5) ვკითხულობთ, „დედამიწაზე 1,2 მილიარდზე მეტ ადამიანს (ყოველი მეხუთე) დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები აქვს სარჩოდ".

მსოფლიომ, ცალკეულმა ერებმა და თემებმა რატომ ვერ შეძლეს მეტის მიღწევა სიღარიბის შემცირების საქმეში? არ არსებობს მარტივი პასუხი ამ კითხვაზე. თუმცა,

გამოსავალის ძიებაში ბევრი განვითარებისეული თეორია, სტრატეგია და ღონისძიება შეიმუშავეს.

*განმარტება*

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც უფრო ცხადი გახდა *განვითარების* კომპლექსურობა, გაჩნდა მისი განმარტებებიც. განვითარების ადრეული განმარტებები და სტრატეგიები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკურ ზრდას; განვითარებას აღიქვამდნენ, როგორც შედარებით განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას, ისე რომ მათ უკეთესად დაეკმაყოფილებინათ ხალხის საჭიროებები. მალე განვითარების კონცეფციას სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებიც დაემატა. აღიარეს ინსტიტუტების შექმნის დიდი მნიშვნელოვნება და ეს აისახა 1970 წელს *გაერო*ს მიერ გამართული *სოციალური პოლიტიკისა და დაგეგმვის* სიმპოზიუმის მიერ შემუშავებულ *განვითარების* განმარტებაში. ამ განმარტებაში წერია: განვითარება არის „ეროვნული ინსტიტუტების ან ფასეულობათა სისტემის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროცესი, რათა მოხდეს მზარდი და განსხვავებული მოთხოვნების დაკმაყოფილება; სოციალური იქნება ეს მოთხოვნები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური“ (ომერი, 1979, გვ. 12). არასამთავრობო ორგანიზაციამ, *განვითარების საერთაშორისო საზოგადოებამ,* რომლის წევრებიც არიან პროფესიონალები და *განვითარებით* დაინტერესებული სხვა პირები, 1984 წელს ასეთი განმარტება შემოგვთავაზა: ეს არის მდგრადი პროცესი მორგებული ადამიანთა უმრავლესობის საჭიროებებზე და არა მხოლოდ მატერიალურ ზრდაზე ან უმცირესობის სარგებელზე“ (მატისი, 1984). აქ ცხადად არის გამოხატული დაინტერესება თანაბარი განაწილებით და ხაზგასმულია, რომ განვითარება უფრო მეტია, ვიდრე მატერიალური პროგრესი ან მონაგარი.

ოცი წლის წინ სოციალური სამუშაოს მკვლევარი ზიმბაბვედან წერდა, რომ განვითარება არის „პიროვნების, როგორც სოციალური არსების განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს მის გათავისუფლებას და მის რეალიზებას. განვითარება უნდა იყოს მორგებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, დაწყებული: სიღარიბის, უგულებელყოფის და ავადმყოფობის აღმოფხვრით“ (აგერი, 1986, გვ. 95). აგერი გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა გათავისუფლებასა და ადამიანის პოტენციალს. ეს ასახულია უფრო გვიანდელ განმარტებებშიც, მაგალითად, ბრაიანტი და კაფაზი განვითარებას მოიაზრებენ, როგორც „ადამიანის უფლებას განავითაროს თავისი შესაძლებლობები ისე, რომ ზეგავლენა მოახდინოს საკუთარ მომავალზე“ (ბრაიანტი & კაფაზი, 2005, გვ. 32). ეკონომისტი ამარტა სენი თავის წიგნში – „განვითარება, როგორც თავისუფლება“ იგივე იდეას ავითარებს (1999).

გარდა ზემოხსენებული გათავისუფლების და გაძლიერების კონცეფციებისა, სოციალური სამუშაო განსაკუთრებით არის დაინტერესებული განვითარების სოციალური ასპექტით. ქვემოთ ამ თავში ჩვენ განვიხილავთ *სოციალურ განვითარებას.*

*განვითარების თეორიები*

განმარტებათა უმრავლესობა *განვითარებას* პროცესად მოიაზრებს. თუმცა, ადრეული ხანის თეორეტიკოსები ზოგჯერ განვითარებას მიიჩნევდნენ საბოლოო შედეგად. 1961 წელს, როცა *გაერო*მ განვითარების პირველი ათწლეული დაიწყო, პროცესი მიჰყვებოდა კაპიტალიზმის განვითარების კლასიკურ თეორიას ან მოდერნიზაციის თეორიას. უოლტ როსტოუ, განვითარების პროცესის ანალოგად, იშველიებდა აეროპლანის გადაადგილებას სადგომიდან საფრენ ბილიკამდე (სადაც სიჩქარე უნდა აკრიფოს) და აფრენას. განვითარებაში ის ხუთ საფეხურს გამოჰყოფდა: ტრადიციას, წინაპირობებს, „აფრენას“, სიმწიფეს და მასობრივ მოხმარებას (ისბისტერი, 2003). ტრადიციული საზოგადოებები წარმოდგენილია, როგორც სტატიკური რამ, რომელიც ცხოვრებას მხოლოდ თავის გატანის დონეზე ინარჩუნებდა. „აფრენის“ კრიტიკული ფაზა „არის ინტერვალი, როცა გაწონასწორებული ზრდის გზაზე დაბრკოლებები და წინააღმდეგობები ბოლოს და ბოლოს დაძლეულია “ (როსტოუ ციტირებულია ისბისტერთან, 2003, გვ. 37). ეს მაშინ ხდება, „როცა პოლიტიკური ძალაუფლება ისეთი ჯგუფის ხელში აღმოჩნდება, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი მთავარი საქმე ეკონომიკური ზრდაა; როცა ქვეყნის დანაზოგები ეროვნული შემოსავლის პროპორციულად ორმაგდება და როცა თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენება სოფლის მეურნეობის და მრეწველობის რამდენიმე წამყვან დარგში“ (ისბისტერი 2003, გვ. 37-38). მოდერნიზაციის ამ კლასიკური თეორიების მიხედვით, განვითარება ერთნაირი გზით უნდა წასულიყო ყველა საზოგადოებაში. ის მოდელი რომელმაც წარმატებით გამოიყვანა ევროპის ქვეყნები ფეოდალიზმიდან, ასევე წარმატებული უნდა ყოფილიყო აზიასა და აფრიკაში. ბევრნი ახალჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამორჩენილობისგან და სიღარიბისგან დახსნის გზად ეკონომიკურ ზრდას ხედავდნენ. ასეთი ზრდისთვის „ტრადიციული საზოგადოებების გარდაქმნის“ პროცესი უნდა დავიწყოთ (ისბისტერი, 2003, გვ. 39). მოგვიანებით გაჩნდა აზრი, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტით განსაზღვრული ეკონომიკური ზრდა იქნება ყველას მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობა, რადგან ზრდისგან მიღებული სარგებელი მდიდრებისგან ღარიბებსაც გაუნაწილდებათ (ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მეშვეობით). მოდერნისტების აზრით, განვითარებისთვის საჭიროა: „უკეთესი პოლიტიკა, მეტი ტექნოლოგიები, მეტი დახმარება, უფრო თავისუფალი ბაზრები, საიმედო დაგეგმვა“; ხოლო პოლიტიკური ან ეკონომიკური ურთიერთობის რევოლუციური ცვლილებები სულაც არ არის საჭირო (ისბისტერი, 2003, გვ. 41).

მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაციის თეორიის სათანადოდ განმარტება ძნელი აღმოჩნდა, ის მაინც ცოცხლობს. როგორც ლათინური ამერიკის შესახებ ამ ბოლოს გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ, „ნეოლიბერალური ორიენტაციის ეკონომისტები, რომლებიც მსოფლიოს მოდერნისტულ–თეორიული და ტრანსნაციონალური ერთგვაროვნების თვალით უყურებენ, ვარაუდობენ, რომ მსოფლიო სულ უფრო მეტად მიჰყვება დასავლეთის განვითარებისეულ კურსს და ნორმატივებიც ასეთ გზას ანიჭებენ უპირატესობას“(ეკშტეინი & უიკამ–კროული, 2003,

გვ. 5). [...] ეს ეკონომისტები რეფორმებს უჭერენ მხარს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბაზარს ანიჭებენ, „უბიძგებენ“ ქვეყნებს, შეამცირონ სამთავრობო პროგრამები და გააუქმონ სავაჭრო შეზღუდვები.

*დამოკიდებულების* თეორია მოდერნიზაციის თეორიის ძირეულ იდეებს უპირისპირდება და განვითარებაში წარუმატებლობას ნაკლებად აბრალებს ტრადიციულ გზებს. დამოკიდებულების თეორია ვარაუდობს, რომ განვითარება ჩვეულებრივ არის ბრძოლა მსოფლიოს „მქონეთა“ და „არმქონეთა“ ქვეყნებს შორის. მდიდარი ქვეყნები დიდ როლს ასრულებენ ღარიბი ქვეყნების „ჩამორჩენის“ საქმეში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მათ გახანგრძლივებულ სიღარიბეში. ამგვარად „მესამე სამყაროს ქვეყნების სიღარიბე არ არის ტრადიციული და შემთხვევითი. ეს არის აუცილებელი თანმხლები განვითარებული ქვეყნების სიმდიდრისა“ (ისბისტერი, 2003, გვ. 43). ჩამორჩენილობის წინაპირობებს საფუძველი კოლონიზაციის ეპოქაში ჩაეყარა, როცა ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა და საწარმოო საშუალებები მხოლოდ კოლონიზატორი ქვეყნის საჭიროებებზე იყო მორგებული. მაგალითად, როცა ეკვატორული გვინეა დამოუკიდებელი გახდა, იქ მხოლოდ ორი გზა იყო ქვეყნის შუაგულიდან სანაპიროსკენ მიმავალი და არ არსებობდა სხვა მათი დამაკავშირებელი გზები. გზები მხოლოდ ტყეებიდან საექსპორტო ხეტყის სანაპირომდე მისატანად იყო შექმნილი და არ ქმნიდა ქვეყნის გაერთიანებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. დღეს ნეოკოლონიალიზმი კვლავაც ასაზრდოებს ჩამორჩენილობას. განვითარების მთავარ ბარიერებად მოიაზრება ღარიბი ქვეყნების დამოკიდებულება ინდუსტრიულ ქვეყნებზე (ბაზართან, ტექნოლოგიებთან და ინფორმაციასთან მიმართებით). ეს ყველაფერი გლობალური ეკონომიკის ფარგლებში ხდება, სადაც ღარიბ ქვეყნებს ნაკლები ძალაუფლება აქვთ. ისინი ზარალდებიან ინფრასტრუქტურის სიმწირის, ფასებზე კონტროლის ნაკლებობის, სავაჭრო პირობების და ვალუტის დევალვაციის გამო. დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, განვითარება დამოკიდებულია მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ურთიერთობის რადიკალურად გარდაქმნაზე – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო კაპიტალიზმის მიმართება ამ საკითხისადმი. 1970 წლიდან მოყოლებული, როცა პირველად გაისმა მოწოდება ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგისკენ, სულ ახლახანს გამართულ სავაჭრო მოლაპარაკებების ჩათვლით, ღარიბი ქვეყნები მოითხოვენ ამგვარ გარდაქმნებს. ბევრს, ვინც დამოკიდებულების თეორიას იზიარებს, სჯერა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი ვერასოდეს მოგვაწვდის დაპირებულ უნივერსალურ განვითარებას.

განვითარების მარქსისტული თეორიები შეიცავენ მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიების ზოგიერთ ელემენტს; თუმცა, ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ ინტერესთა და კლასობრივ დაპირისპირებებს განვითარებად საზოგადოებაში თუ ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის. კლასობრივი საკითხები სულ უფრო მეტად „უკავშირდება წარმოებას ან მსოფლიო ბაზრის ძალას“, იმ „არათანაბარი სარგებლის“ ჩათვლით, „რომელიც თავს იყრის სხვადასხვა სოციალური კლასის ხელში მსოფლიოს ნეოლიბერალური გარდაქმნის ფონზე“ (ეკშტეინი & უიკამ–კროული, 2003, გვ. 5).

*განვითარების ძალისხმევის მოკლე ისტორია*

1957 წელს განა განთავისუფლდა. ამის შემდეგ კი სწრაფად მოხდა სხვა კოლონიზებული ქვეყნების განთავისუფლება აფრიკაში, კარიბის ზღვის რეგიონში თუ აზიაში. შედეგად გაჩნდა ბევრი ახალი ქვეყანა. სამხრეთ აფრიკის ბევრმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მეცხრამეტე საუკუნეში მოიპოვა, ხოლო ინდოეთი 1947 წელს გახდა დამოუკიდებელი. სწორედ ბევრი ახალგანთავისუფლებული ქვეყნის გაჩენამ და *გაერო*ზე მათმა მზარდმა ზეგავლენამ 1960–იან წლებში გამოიწვია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების კონცენტრირება „ჩამორჩენილობის“ სირთულეებზე. 1961 წელს *გაერო*მ განვითარების პირველი ათწლეული წამოიწყო. იმ დროს განვითარება ცხადად ეკონომიკურ ზრდას ნიშნავდა და *გაერო*ს პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის მხარდაჭერას, ინფრასტრუქტურას თანამედროვე ეკონომიკისთვის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. მოდერნისტული რეცეპტის მიხედვით, სჯეროდათ, რომ ამგვარი მიდგომისგან მიღებული სარგებელი გადანაწილდებოდა საზოგადოებაში და გააუმჯობესებდა ყველა მოქალაქის ცხოვრების დონეს.

1960–იანი წლების ბოლოს უკვე აშკარა გახდა, რომ ხშირად ზრდის სარგებელი არ ნაწილდებოდა ყველაზე (მდიდრისგან ღარიბზე). იმ ქვეყნებში, სადაც სწრაფად ხდებოდა ზრდა, ადამიანების კეთილდღეობა ყოველთვის არ უმჯობესდებოდა. სინამდვილეში, ხშირად მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა ნაკლებად უკავშირდებოდა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, 1965 წლიდან 1986 წლამდე ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 4,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კოსტა–რიკაში მხოლოდ 1,6 პროცენტით. ზუსტად ამავე პერიოდში კოსტა რიკამ წერა–კითხვის უცოდინართა რაოდენობა წელიწადში 5 პროცენტით შეამცირა, ბრაზილიამ კი – მხოლოდ 2,9 პროცენტით. ამ პერიოდში 5 წელზე მცირე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა კოსტა–რიკაში წელიადში 6,8 პროცენტით მცირდებოდა, ხოლო ბრაზილიაში მხოლოდ – 2,3 პროცენტით (*გაერო*ს ბავშვთა ფონდი, 1990). ეს ერთი მაგალითია ბევრთაგან, რომლებიც ადასტურებენ, რომ ზრდასა და განვითარებას შორის კავშირის იდეა მცდარი იყო. ამის მიხედვით, აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდა საიმედოდ ვერ იქნება გადაბმული სოციალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

ამ აღმოჩენის შემდეგ აღიარეს, რომ განვითარება კომპლექსურია და ეკონომიკურ სტრატეგიაზე უფრო მეტს მოითხოვს. 1970–იანი წლების ბოლოდან დღემდე ბევრი დამატებითი კონცეფცია ეცილებოდა განვითარების თეორიასა და ინიციატივებში ეკონომიკას პირველობას. ეს დამატებითი კონცეფციები გახლავთ: ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომა, სოციალური ანუ ინტეგრირებული განვითარება, მდგრადი განვითარება, გენდერული განვითარება/ქალები განვითარებაში, საზომებსა და ამოცანებზე ყურადღების გამახვილება.

*ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომა.* იმ ამბავმა, რომ არ გამოვიდა სიღარიბის აღმოსაფხვრელად მდიდრების სარგებელის ყველაზე გადანაწილება, გამოიწვია ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომისაკენ მოწოდება. საჭიროა მთავრობის გააზრებული ძალისხმევა, რომ  განვითარების ნებისმიერი სტრატეგიის პირობებში მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები დაკმაყოფილდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აუცილებელ საკვებს, სანიტარულ პირობებს, თავშესაფარს, დაწყებით განათლებას და პირველად ჯანდაცვას (სტრიტენი & ბურკი, 1978). არსებობს მაგალითები, როცა ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომით  წარმატებას მიაღწიეს. ხშირად მოჰყავთ ნიმუშად კოსტა–რიკა და ინდოეთის კერალას შტატი, სადაც ამ  მიდგომით წარმატებით გააუმჯობესეს კეთილდღეობის მაჩვენებლები. სხვები აღიარებენ ძირითადი საჭიროებებისეულ მიდგომას, მაგრამ არ მისდევენ მას, რადგან დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად უფრო მიმზიდველია დონორებისთვის და მთავრობებისთვის (ქალაქში დიდი საავადმყოფოების აშენება ურჩევნიათ სოფლებში იმუნიზაციის პროგრამის განხორციელებას).  ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომა გულისხმობს სამთავრობო სუბსიდიების გამოყენებას საკვებისა და აუცილებელი მომსახურებისთვის, რაც ზრდის მთლიან შიდა პროდუქტში სამთავრობო დანახარჯების პროცენტულ წილს. [...]  1980–იან და 1990–იან წლებში სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის განხორციელებულმა პროგრამებმა შეამცირა ძირითადი საჭიროებების წარმატებული ღონისძიებები. ახლახანს ძირითადი საჭიროებებისეული სტრატეგია წარმატებული გამოდგა: კენიაში, მალავიში, უგანდასა და ტანზანიაში. ამ ქვეყნებში სკოლები უფასო გახდა და შედეგად, მეტი მოსწავლე შედის დაწყებით სკოლაში; ზამბიასა და ბურუნდიში სოფლებში სამედიცინო მომსახურება და/ან ჯანდაცვა ქალებისა და ბავშვებისთვის უფასო გახდა (ანანი, 2006).

*სოციალური განვითარება.* განვითარების  კონცეფციათა შორის, სოციალური სამუშაოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *სოციალური განვითარება. სოციალური განვითარება* აცნობიერებს, სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას, იმისათვის, რომ განვითარებამ უზრუნველყოს ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება.  *სოციალური განვითარება* აგრეთვე ამტკიცებს, რომ განვითარება ჰოლისტური პროცესი უნდა იყოს.  მისი ამოცანაა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გაერთიანება. მიდგლი გვიხსნის, რომ  სოციალური განვითარება „არის სოციალური ცვლილების  დაგეგმილი პროცესი, რომელიც ხორციელდება, რათა ეკონომიკური განვითარების დინამიკურ პროცესთან ერთად, ხელი შეუწყოს მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას“ (მიდგლი, 1995, გვ. 25).  სოციალური განვითარება აგრეთვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ღარიბთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას და მონაწილეობის პროცესს. საყურადღებოა სოციალური განვითარების პაივასეული (1977) ადრეული განმარტება:

*სოციალური განვითარების მიზანი და არსი არის ხალხის კეთილდღეობა, ისეთი, როგორც თვითონ ხალხმა განსაზღვრა; ამის  შედეგად უნდა შეიქმნას ან გადაკეთდეს ინსტიტუტები, ისე, რომ მოხდეს*

*ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილება ყველა დონეზე (განსაკუთრებით ყველაზე დაბალ დონეზე); ამასთანავე, ეს ინსტიტუტები უნდა აუმჯობესებდეს ადამიანების ურთიერთობას და ურთიერთობას ხალხსა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის (პაივა, 1977, გვ. 329).*

ეს მოიცავს სოციალური განვითარების მთავარ შემადგენელ კონცეფციებს: მონაწილეობას, ინსტიტუტების შექმნას და სამართლიან განაწილებას. სოციალური სამუშაოს კიდევ ერთი სპეციალისტი სალიმა ომერი წერდა: „სოციალური განვითარება შეიძლება განვმარტოთ, როგორც მიზანი და პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ერთობლივ, დაბალანსებულ და გაერთიანებულ (სოციალურ და ეკონომიკურ) განვითარებას“ (ომერი, 1979, გვ. 15). შემდეგ ის აღნიშნავს, რომ სოციალური განვითარება ეხება ადამიანის და გარემოს ურთიერთობის საკითხებს; ისევე, როგორც „სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომელმაც უნდა შეცვალოს შემოსავლის, სიმდიდრის და მომსახურების განაწილების მეთოდი (გვ. 16).

სოციალური სამუშაოს ამ ადრეული სპეციალისტების განმარტებების ელემენტები მეორდება *გაერო*ს ახლანდელ განმარტებებში. *გაერო*ს სამდივნოს ინიციატივით გამართული სოციალური განვითარების საერთაშორისო ფორუმი ახასიათებს სოციალურ განვითარებას, როგორც ამოცანების ნაკრებს, პროცესს და პოტენციალს.

*წარმატებები სოციალურ განვითარებაში ნიშნავს წარმატებებს პიროვნების კეთილდღეობაში და საზოგადოების ჰარმონიულ ფუნქციონირებაში. ეს მოიცავს პიროვნების და ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს კი უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დაკმაყოფილებით, ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნით, სიღარიბის შემცირებით, ხელმისაწვდომი სოციალური უსაფრთხოებით, სოციალური დაცვით და სოციალური მომსახურებით. ეს აგრეთვე მოიცავს სოციალური კავშირების, სტრუქტურების და ინსტიტუტების შექმნას ან შენარჩუნებას; რომელთა მეშვეობით პიროვნებები და ჯგუფები ქმნიან სიცოცხლისუნარიან საზოგადოებას. (UN, 2002, გვ. 3)*

ფორუმისეული განმარტება გრძელდება და იქ აღნიშნულია, რომ „სოციალური განვითარების პროცესში მიმართავენ შესაძლებლობების, შემოსავლის, ქონების და ძალაუფლების განაწილების ბევრნაირ ფორმას“; ხოლო როგორც პერსპექტივა, სოციალური განვითარება მოიცავს ფასეულობაზე დამყარებულ მიდგომას ანუ „განვითარების ზნეობრივ მოაზრებას“ (გაერო, 2002, p. 3). მთავარი იდეები გახლავთ სოციალური განვითარება, როგორც ფასეულობებით წარმართული გამამთლიანებელი ძალისხმევა; რომლის ყურადღება ორ რამეზეა მიპყრობილი – პიროვნების კეთილდღეობაზე და სოციალური ინსტიტუტების გაძლიერებაზე.

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში სოციალური სამუშაო გარდაიქმნა, რათა პროფესია ეროვნულ ამოცანებზე ყოფილიყო მორგებული. ეს განსაკუთრებით ცხადად აფრიკასა და აზიის ზოგიერთ ნაწილში მოხდა. მიდგლი (1999) მიიჩნევს, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარება, სოციალური კაპიტალის განვითარება

და ნაყოფიერი დასაქმების პროექტები, როგორც სოციალური განვითარებისეული ჩარევის მეთოდები, უკავშირდება სოციალურ სამუშაოს.

რადგან სოციალური განვითარების თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები არ უარყოფენ ეკონომიკურ ფაქტორს, მეთოდს ზოგჯერ ინტეგრირებულ განვითარებას ან განვითარებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას უწოდებენ.

*მდგრადი განვითარება.* მდგრადი[1] განვითარების კონცეფცია წუხს ფიზიკურ გარემოზე ზეწოლის გამო და აღიარებს, რომ ეკონომიკური განვითარება უარყოფითად მოქმედებს რესურსებსზე. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა წინასწარმეტყველებები, რომ დედამიწა ჩამოიქცეოდა ჭარბი მოსახლეობის გამო, რომ მიწის გამოფიტვა მასობრივ შიმშილობას გამოიწვევდა და მინერალური რესურსები ამოიწურებოდა. 1972 წელს გამოქვეყნდა „ზრდის საზღვრები“ და მან საკმაო ყურადღება მიიპყრო (მიდოუსი, რენდერსი & მიდოუსი, ზრდის ლიმიტები, 1972). ამ წიგნმა განვითარება არამდგრადად გამოაცხადა. ამ წიგნისეული წინასწარმეტყველება პროგრესირებადი და გამომფიტველი ზრდისა არ გამართლდა. მიუხედავად ამისა, მთავარი არგუმენტი, რომ რესურსების გამჩანაგებელი ზრდა არ შეიძლება მდგრადი იყოს, მისაღებად მიიჩნიეს (სტოეცი, გაზეტა & ლასკი, 1999). ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებსა და ჩინეთში სწრაფად განვითარდა მრეწველობა ისე, რომ გარემოს ან მშრომელების დაცვაზე არ უფიქრიათ. ეს გამოცდილება აგრესიული ზრდის საფრთხესა და შედეგებზე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. მეტისმეტად დაბინძურებული გარემო და სახიფათო პირობებში მუშაობით დანგრეული მშრომელების ჯანმრთელობა არის უკონტროლო განვითარების დანატოვარის ერთი ნაწილი. ამ ბოლო დროს იმატა საზრუნავმა კლიმატის ცვლილების და გლობალური დათბობის პროცესის გამო, რომელიც ადამიანის საქმიანობას უკავშირდება.

გამოჩნდა ალტერნატიული გზა – მდგრადი განვითარება – „კაცობრიობის პროგრესის გზა, რომელიც მორგებულია თანამედროვე თაობის საჭიროებებსა და სულისკვეთებებზე ისე, რომ არ ზღუდავს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ საკუთარი საჭიროებები“ (გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია, 1987, გვ. 43). განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სათანადო ტექნოლოგიებს, განახლებად ენერგიას და განვითარების ინიციატივების შემუშავებისას გარემოზე ზრუნვას. 1970–იანი და 1980–იანი წლების განმავლობაში მდგრადი განვითარების მხარდამჭერი მოძრაობა გაძლიერდა. ეს იყო აღიარება იმისა, რომ მატულობს [...] გლობალიზაციის ზეგავლენა გარემოზე. 1987 წელს *გაერ*ოს გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში – *ჩვენი საერთო მომავალი.* ეს ანგარიში გახდა ათვლის წერტილი მდგრადი განვითარებისეული მიდგომის ჩამოყალიბებისა. აღიარებულია, რომ

[1] ბუნებრივი რესურსების და ენერგიის გამოყენება ისე, რომ გარემო.არ დაზიანდეს.

გლობალიზაციის ზეგავლენა, განსაკუთრებით მსოფლიო მრეწველობა და ვაჭრობა, ზრდის მდგრადობის დარღვევის საფრთხეს ( იუნესკო/UNESCO, 2005).

*გაერო* გამოყოფს მდგრადი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროს – საზოგადოებას, გარემოს და ეკონომიკას. ურთიერთგადაჯაჭვული საკითხებია კულტურა (იმის აღიარება, რომ „პრაქტიკა, ვინაობა და ფასეულობები“ თამაშობენ დიდ როლს მდგრადი განვითარების წარმატებაში) და სიღარიბის აღმოფხვრაზე ზრუნვა (იუნესკო/UNESCO, 2005). მდგრადობა ეხება არა მხოლოდ რესურსებს, ფიზიკურ გარემოს და ეკონომიკის ძალისხმევას ზრდისთვის, არამედ, აგრეთვე სოციალურ ინსტიტუტებს და ადამიანის განვითარებას. თუ გვინდა, რომ ამ საქმეში წინ წავიდეთ, აუცილებელია, ჰოლისტური მიდგომა.

მდგრადობის გაუმჯობესება კომპლექსური ამოცანაა და საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. მდგრადობის მოძრაობას ასაზრდოებდა იმის აღიარება, რომ თუ ღარიბი ქვეყნებიც ისე მოიხმარენ რესურსებს, როგორც მდიდარი ქვეყნები, დედამიწის რესურსები გაჩანაგდება. სიღარიბეც და სიმდიდრეც ტვირთად აწვება დედამიწის რესურსებს. გარემოებათა გამო, ღარიბები შეშას და წყალს ისე მოიხმარენ, რომ ზიანდება გარემო და მისი თვითგანახლების უნარი. მდიდრები, ღარიბებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტ ენერგიას და სხვა რესურსებს მოიხმარენ. გარემოს დაცვის პოლიტიკა ხშირად აღიქმება, როგორც უარი უფრო მდიდარი სექტორის მიერ ღარიბი ქვეყნებისთვის განვითარების თანაბარ შესაძლებლობებზე. თუმცა, „ეკოსისტემის სამსახურების დეგრადაცია განვითარებად სამყაროში ამძიმებს სიღარიბის და საკვების უსაფრთხოების პრობლემებს, განსაკუთრებით ყველაზე ღარიბ ქვეყნებში“ *(საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, გაერო*ს *ადამიანთა დასახლებების ცენტრი, მსოფლიოს სურსათის პროგრამა,* 2006). საჭიროა, „ორმხრივი ძალისხმევა; ორივეგან, ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებში, პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მოხმარებისა თუ წარმოების მეთოდების შემუშავებას. აგრეთვე პროაქტიულად უნდა განვკარგავდეთ ყველა სახის რესურსს“ (იუნესკო/UNESCO, 2005, გვ. 10).

მდგრადობის კონცეფცია განვითარების ყველა დონეზე მნიშვნელოვანია; სათემო ინიციატივებით დაწყებული მსოფლიო მნიშვნელობის მიზნების ჩათვლით. *დედამიწის ქარტია* არის მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების წვლილი მდგრადი განვითარების გააზრებაში და გვთავაზობს ფართო მასშტაბიან ღონისძიებებს ეკოლოგიური და ადამიანური ჰარმონიის უზრუნველსაყოფად.

*ქალები განვითარებაში: გენდერული თვალსაზრისის მნიშვნელობა.* განვითარების და ჩარევის ადრეულ მოდელებში ქალები არ იყვნენ გათვალისწინებული. როგორც ერთი ავტორი წერს, „მიზანი განვითარების ათწლეულის მთელი ამ ღონისძიებებისა, რომელიც კაცებმა დაგეგმეს და განახორციელეს, იყო მშრომელი მამაკაცის ნაყოფიერების გაზრდა“ (ბაულდინგი & დაი, 2002, გვ. 182). დანიელი ეკონომისტი ქალის, ესტერ ბოსერაფის კვლევამ გამოავლინა განვითარებისეული მიდგომების

წარუმატებლობის მნიშვნელოვანი მიზეზი – ქალების, მოსახლეობის იმ ნაწილის უგულებელყოფა, რომელიც აფრიკაში და სხვაგანაც, აწარმოებს სურსათის უმეტესობას. „სურსათის მწარმოებელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ და არა მამაკაცები, მაგრამ მთელი სასოფლო სამეურნეო დახმარება, სესხების და იარაღების ჩათვლით, მამაკაცებს მისცეს. ამ დახმარებამ ქალებამდე ვერ მიაღწია და მამაკაცებს მისცა საშუალება მოეყვანათ გასაყიდი მოსავალი (რომელსაც მორწყვა სჭირდებოდა) ექსპორტისთვის.“ (ბაულდინგი & დაი, 2002, გვ. 183). მაშინ მესამე სამყაროში „სქესზე დაფუძნებული ორმაგი  სტანდარტები გადაბმული იყო ორმაგ ეკონომიკურ სტანდარტებთან და ამიტომ, ქალები მხოლოდ თავის გატანისათვის საკმარისი სარჩოს ამარა დარჩნენ“ (გვ. 187).

ბოსერაფის და სხვა ბევრის ნაშრომების წყალობით, აღიარეს, რომ მნიშვნელოვანია, განვითარებაში ქალების გათვალისწინება. ქალების უგულებელყოფამ არა მხოლოდ ქალებისთვის შეაფერხა პროგრესი, არამედ დიდი უარყოფითი გავლენა ჰქონდა ოჯახებზე, ბავშვებზე და ზოგადად განვითარების პროგრესზე. ქალების წიგნიერება და მონაწილეობა შემოსავლის მიღებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვის გადარჩენასთან და ოჯახის კეთილდღეობასთან. ამიტომ განვითარების ნაკრებს დაემატა მიდგომები, რომლებიც სპეციალურად ქალებზე არის გამიზნული. დღეს ბევრი ორგანიზაცია მხარს უჭერს გენდერულ „სკრინინგს“, რომ ქალებმა ნამდვილად მიიღონ სათანადო ყურადღება. ამარტა სენი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალების როლს, როგორც „ცვლილების აქტიურ აგენტებს“ (ამარტა სენი, 1999, გვ. 189). მისი თქმით,

*დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განვითარების პროცესში ერთ–ერთი მთავარი საკითხი არის ქალების გაძლიერება. ამ საქმეში მონაწილე ფაქტორებია: ქალების განათლება, მათი მესაკუთრეობის საკითხი, მათი დასაქმების შესაძლებლობები და დასაქმების ბაზრის მუშაობის პრინციპები. აგრეთვე, ბევრია დამოკიდებული დასაქმების წესების თავისებურებაზე, ოჯახის  და ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქალის ეკონომიკური საქმიანობისადმი, იმ ეკონომიკურ თუ სოციალურ გარემოებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ან აბრკოლებენ ამ დამოკიდებულების შეცვლას (გვ. 202).*

ის დაასკვნის, რომ „დღეს განვითარების პოლიტიკურ ეკონომიკაში არაფერი არ არის ისე მნიშვნელოვანი,  როგორც ქალების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მონაწილეობის  და მათი ლიდერობის  სათანადოდ აღიარება“ (გვ. 203).

2007 წლის განვითარებისეული მიდგომა მოიცავს ყველა აქ წარმოდგენილი იდეის ელემენტს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მდგრადობის გათვალისწინების, ქალებისადმი და უკიდურესი საჭიროების მქონეთადმი ყურადღების ჩათვლით.

*საზომები და ამოცანები.* ბევრნაირი საზომი გამოიყენეს, რათა შეეფასებინათ სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დონე. მთავარი გახლავთ *ადამიანის განვითარების ინდექსი* (HDI), რომელსაც *გაერო*ს *განვითარების პროგრამა* (UNDP) იყენებს ქვეყნის პროგრესის შესაფასებლად სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით და იმისთვის, რომ ქვეყნებს მიუჩინოს დამსახურებული ადგილი საზომის მიხედვით. *ადამიანის განვითარების ინდექსი* მოიცავს ზრდასრული ადამიანის წიგნიერების მაჩვენებლებს (დაწყებით, საშუალო და მაღალ კლასებში სწავლას); სიცოცხლის ხანგრძლივობას; მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარის მსყიდველობითი უნარის პარიტეტით) (UNDP, 2006). *გაერ*ოს განვითარების პროგრამის მესვეურებს სჯერათ, რომ *ადამიანის განვითარების ინდექსი* არის დამაკმაყოფილებელი შემაჯამებელი საზომი ადამიანის განვითარებისა. ეს იმაში გამოიხატა, რომ 2006 წელს ინდექსის ყველაზე დაბალი ქულა (311) ნიგერს ჰქონდა, ყველაზე მაღალი – კი ნორვეგიას (965). რადგან *ადამიანის განვითარების ინდექსი* 1990 წლიდან გამოიყენება, არსებობს განვითარების მონაცემები. ინდექსი ფართოდ გამოიყენება და ხშირად მიმართავენ მას ქვეყნების რანგების მიხედვით დალაგებისას; ამ ტექსტში თქვენ ნახავთ იმ ქვეყნების *ადამიანის განვითარების ინდექსებს*, რომლებიც მაგალითად არის მოყვანილი. 2005 წელს *გაერ*ოს განვითარების პროგრამამ სიახლე შემოიტანა და დაიანგარიშა შერჩეული ქვეყნების მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 20 პროცენტის *ადამიანის განვითარების ინდექსი.* ჩვეულებრივ *ადამიანის განვითარების ინდექსი* ასახავს განვითარების საერთო მიღწევებს, ეს მიღწევები ხშირად ყველაზე ღარიბებს არ უნაწილდებათ.

ბევრად უფრო ყოვლისმომცველი საზომი შეიმუშავა სოციალური სამუშაოს მკვლევარმა რიჩარდ ესტესმა. მისი *სოციალური განვითარების ინდექსი* (ISP) აერთიანებს 45 მაჩვენებელს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის სტატუსს 10 სფეროში, ესენია: განათლება, ჯანმრთელობა, ქალები, თავდაცვისუნარიანობა, ეკონომიკა, დემოგრაფია, გეოგრაფია (სერიოზული ბუნებრივი კატასტროფები), კულტურული მრავალფეროვნება, პოლიტიკური ქაოსი და კეთილდღეობის ძალისხმევა (ესტერი, 2005). ის, რომ *სოციალური განვითარების ინდექსი* მოიცავს მაჩვენებლების ამდენ ნაირსახეობას, ხაზს უსვამს სოციალურ განვითარებასა და ადამიანის კეთილდღეობაზე გავლენის მქონე ფაქტორების კომპლექსურობას. აქ ერთადაა არეული შედეგები და ძალისხმევა; მაგალითად, ქვეყნის მიერ სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პოზიტიური ნაბიჯი) და სამხედრო დანახარჯები (ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებებიდან გადინება). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იდეა, რომელზეც *სოციალური განვითარების ინდექსი* ამახვილებს ყურადღებას გახლავთ ის, რომ განვითარება არის დაუსრულებელი პროცესი და ყველა ქვეყანა, ბევრი თვალსაზრისით, „განვითარებადია“ ან მოითხოვს განვითარებას.

*ათასწლეულის განვითარების მიზნები* (MDGs) (განვითარების მიზნები და ამოცანები ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის) არის ძალისხმევა, განვითარების ისეთი ამოცანები დავსახოთ, რომლის შედეგებისთვისაც საზომი არსებობს [...] 2000 წელს *გაერ*მ ჩაატარა ათასწლეულის სამიტი და რვა *მიზანი* დასახა. ეს გახლავთ ის

ამოცანები, რომლებიც იმ დროისთვის საზრიანად მიიჩნიეს და რომელთა მიღწევაც შესაძლებელია 2015 წლისთვის, რათა გვქონდეს პროგრესი განვითარებაში. ათასწლეულის სამიტს წინ უსწრებდა 1995 წლის *სოციალური განვითარების სამიტი*, რომელმაც გამოსცა 10 ვალდებულება განვითარებისთვის. ეს 10 ვალდებულება ზოგადი სახით იყო განცხადებული (მაგალითად, მე–2 ვალდებულება – მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრა), *ათასწლეულის განვითარების მიზნები* კი ამ ვალდებულებებს კონკრეტული და გაზომვადი სახით გვაწვდის. *ათასწლეულის განვითარების 8 მიზანი* შემოკლებული სახით ასეთი გახლავთ:

მიზანი 1: უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა. ამოცანა: 1990–დან 2015 წლამდე განახევრდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვთ.

მიზანი 2: 2015 წლისთვის მსოფლიოში დაწყებითი განათლება საყოველთაო გახდეს.

მიზანი 3: წავახალისოთ გენდერული თანასწორობა და გავაძლიეროთ ქალები.

ამოცანა: (უმჯობესია) 2005 წლისთვის აღმოვფხრათ გენდერული სხვაობა დაწყებით და საშუალო განათლებაში; ხოლო არაუგვიანეს 2015 წლისა – განათლების ყველა საფეხურზე.

მიზანი 4: შევამციროთ ბავშვთა სიკვდილიანობა.

ამოცანა: 1990–დან 2015 წლამდე ორი მესამედით შევამციროთ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა.

მიზანი 5: გავაუმჯობესოთ დედების ჯანმრთელობა.

ამოცანა: 1990–დან 2015 წლამდე სამი მეოთხედით შევამციროთ დედების სიკვდილიანობის წილი.

მიზანი 6: შევებრძოლოთ *აივ/შიდს*ს, მალარიას და სხვა დაავადებებს.

ამოცანა: Ha[2] and 2015 წელს დავიწყოთ *აივ/შიდს*ის გავრცელების მასშტაბის შემცირება.

მიზანი 7: უზრუნველვყოთ გარემოს მდგრადობა.

ამოცანა: ქვეყნების პოლიტიკაში და პროგრამებში დავნერგოთ მდგრადი განვითარების პრინციპები და გეზი შევუცვალოთ ბუნებრივი რესურსების დაკარგვის პროცესს. გავანახევროთ იმ ადამიანების წილი, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი უსაფრთხო სუფთა სასმელ წყალზე და სანიტარიაზე.

მიზანი 8: განვავითაროთ მსოფლიო პარტნიორობა განვითარების საქმეში.

ამოცანა: *(1)* მივხედოთ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების საგანგებო საჭიროებებს; *(2)* განვავითაროთ ღია, კანონზე დამყარებული, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული სავაჭრო და ფინანსური სისტემები; *(3)* მთლიანად მოვაგვაროთ განვითარებადი ქვეყნების ვალების საკითხი: *(4)* განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობით, შევიმუშაოთ და დავნერგოთ ახალგაზრდებისთვის ღირსეული და ნაყოფიერი შრომის სტრატეგიები: *(5)* განვითარებად ქვეყნებში ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობით ხელმისაწვდომი გავხადოთ

აუცილებელი წამლები: *(6)* კერძო სექტორთან თანამშრომლობით ხელმისაწვდომი გავხადოთ ახალი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში (*გაერო*ს საჯარო ინფორმაციის განყოფილება, 2005; *გაერო*ს განვითარების პროგრამა, 2003).

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში განვითარების შესახებ *გაერო*ს ინიცირებულ დისკუსიაში *ათასწლეულის განვითარების მიზნები* დომინირებს; იგი აგრეთვე გავლენას ახდენს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დიდ ნაწილზე. მიზნებისკენ სვლას აკვირდება ქვეყანა, რეგიონი და პერიოდულად *გაერო* ანგარიშებს გამოსცემს საყოველთაო მიღწევების შესახებ. დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა ისე წინ წასული რომ სრულად დააკმაყოფილოს მიზნები. მაგალითად, მიზანი 3–ის ერთ–ერთი ამოცანა იყო 2005 წლისთვის დაწყებით და საშუალო განათლებაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა; ბევრი ქვეყანა ვერ ახერხებს ამ შუალედური ამოცანის შესრულებას.

## *შეჯამება*

განვითარების პროექტებისთვის ახალ სტრატეგიებზე მუშაობის პროცესში განვითარების კონცეფცია კვლავაც იხვეწება. ბრაიანი და კაპაზი ამტკიცებენ, რომ ადგილობრივად და გლობალურად განვითარება ხელახლა უნდა მოვიაზროთ, როგორც სიღარიბის აღმოფხვრის გზა (2005). ისინი „ნაკლებად ასხვავებენ ‘განვითარებად’ და ‘განვითარებულ’ ქვეყნებს და უბრალოდ სიღარიბის შემცირებაზე ამახვილებენ ყურადღებას“(გვ. 59). ეს ემთხვევა ესტეს მიდგომას, რომელიც *სოციალური განვითარების ინდექსით* ზომავს ქვეყნის პროგრესს განვითარების საქმეში. განვითარება სიღარიბის შემცირებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული და ამ ძალისხმევის ცენტრი ხალხი უნდა იყოს; ამგვარი მიდგომა შეესაბამება სოციალური სამუშაოს მისიას (ანანი, 2006). ეს მოსაზრება (რომ განვითარების ამოსავალი წერტილი ხალხი უნდა იყოს) ჯერ კოპენჰაგენის დეკლარაციაში გამოჩნდა და შემდეგ განმეორდა *გაერო*ს გენერალური მდივნის 2006 წლის ანგარიშში. როგორც მომდევნო თავებშია ნაჩვენები, კიდევ ბევრი საქმე რჩება გასაკეთებელი, რომ განვითარების წინსვლა რეალობად იქცეს დედამიწის ბევრი მაცხოვრებლისთვის.

**ადამიანის უფლებები**

მეორე მთავარი საკითხი მსოფლიოში არის მოძრაობა ადამიანის უფლებებისთვის. საერთაშორისო სოციალურ სამუშაოსთვის ადამიანის უფლებების მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება. ადამიანის უფლებები ერთდროულად მარტივიც არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლებები, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია. ადამიანის უფლებები არის საერთაშორისო სამართლისა და პროცედურების ფართო და კომპლექსური სისტემა. წიგნის ამ ნაწილში განვიხილავთ ადამიანის უფლებების იდეასა და იმ ძირითად ხელშეკრულებებს, რომლებიც ქმნიან ადამიანის

უფლებების საერთაშორისო სამართალს. ასევე მოკლედ მიმოვიხილავთ *გაერო*ს ადამიანის უფლებების სტრუქტურასა და ადამიანის უფლებების მოუგვარებელ საკითხებზე მიმდინარე დისკუსიებს. თავის ბოლოში შემოგთავაზებთ კომენტარებს ადამიანის უფლებებში სოციალური სამუშაოს როლზე. [...]

*ადამიანის უფლებების ფილოსოფია*

*ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში* მკაფიოდ არის გაცხადებული ის ფილოსოფია, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს. "ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით" (*გაერო*, 1948, მუხლი 1). როგორც ადამიანის უფლებების მკვლევარი ჯეკ დონელი აღნიშნავს:

*საკუთრივ ტერმინი ადამიანის უფლებები მიანიშნებს ორივეს, მის ბუნებასა და წარმომავლობას: ეს უფლებები ადამიანს აქვს უკვე იმიტომ, რომ ის ადამიანია. ეს უფლებები ნებისმიერ ადამიანს აქვს, განურჩევლად მისი უფლებებისა და მოვალეობებისა, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს (ან არ გააჩნდეს) როგორც მოქალაქეს, ოჯახის წევრს, მოსამსახურეს, ან რომელიმე საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრს (ჯეკ დონელი, 1993, გვ. 19).*

ადამიანის უფლებებს არ სჭირდება მოპოვება. ისევე როგორც არ შეიძლება, მისი ჩამორთმევა ცალკეული ჯგუფებისთვის. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* მე–2 მუხლის თანახმად, „თითოეულ ადამიანს მინიჭებული აქვს ამ დეკლარაციაში გაცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა რწმენისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა".

1948 წელს *გაერო*ს მიერ ახალშექმნილი *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* მიღებამ, ერთგვარი დასაბამი მისცა თანამედროვე ადამიანის უფლებებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ის „არაფრისგან" არ აღმოცენებულა. ადამიანის უფლებების ფილოსოფიური იდეები მსოფლიოს თითქმის ყველა ძირითად რელიგიაში დევს. პოლიტიკურ სფეროში ამ საკითხის წანამძღვრები გახლავთ (სულ ცოტა) „Magna Carta" (1215), *ადამიანისა და მოქალაქის უფლებების ფრანგული დეკლარაცია* და *აშშ-ს კონსტიტუციის კანონი უფლებების შესახებ.* საფრანგეთის რევოლუციის დროს აქტივისტებმა ქალთა უფლებების დეკლარაცია შეადგინეს.

***ადამიანის უფლებათა ლექსიკონი***

**მიერთება**: „ქმედება, როცა ხელშეკრულების არახელმომწერი ქვეყანა გამოთქვამს მზადყოფნას, *გაერო*ს გენერალური მდივნისთვის 'მიერთების ინსტრუმენტის' გადაცემის მემშვეობით, გახდეს ხელშეკრულების მონაწილე. მიერთებას ისეთივე იურიდიული

შედეგი აქვს, რაც რატიფიცირებას“. *(გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი* [UNOHCHR], 2005b ).

**კონვენცია**: იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება.

**ქარტია**: იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმება.

**დეკლარაცია**: განცხადება საერთაშორისო მიზნების ან „შეთანხმებული პრინციპებისა და სტანდარტების შესახებ“. თუმცა, არა არის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი *(გაეროს განვითარების პროგრამა* [UNDP], 2000, გვ. 17).

**დათქმა**: განცხადება, რომლითაც მონაწილე მხარე უფლებას იტოვებს მხარი არ დაუჭიროს ხელშეკრულების გარკვეულ დებულებებს. ამით ქვეყანა მიანიშნებს, რომ „ის მზად არის შეასრულოს ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, გარდა იმ რამდენიმე დებულებისა. ამასთან, დათქმა ხელშეკრულების საგანსა და მიზანს“ (UNOHCHR, 2004).

**რატიფიცირება**: ქვეყნის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება ქმნის ხელშეკრულების მხარდაჭერის იურიდიულ ვალდებულებას და მარატიფიცირებელი ქვეყანა ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარე. მხოლოდ ხელმომწერ ქვეყანას შეუძლია ხელშეკრულების რატიფიცირება. სხვაგვარად, ქვეყნებს შეუძლიათ მიუერთდნენ ხელშეკრულებას (იხ. ზემოთ „მიერთება“).

**ხელმოწერა**: პირველი ნაბიჯი, რომელიც მიანიშნებს, რომ ქვეყანას სურს გაიზიაროს ხელშეკრულების დებულებები. თუმცა, ხელშეკრულება მისთვის ჯერ არ არის იურიდიულად სავალდებულო.

**მონაწილე მხარეები**: ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს ხელშეკრულების რატიფიცირება.

**ხელშეკრულების ორგანოები**: კომიტეტები, რომლებიც შეიქმნენ ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებების ფარგლებში, რათა ზედამხედველობა გაუწიონ მონაწილე მხარეების მიერ ხელშეკრულებების შესრულებას“ (UNDP, 2000, გვ. 17).

მეოცე საუკუნეში *ერთა ლიგის ქარტია, ერთა ლიგისა* და *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის* ბევრი ინიციატივა ადამიანის უფლებების ზოგიერთ მინიმალურ იდეალს მაინც გამოხატავდა. თუმცა, არ არსებობდა ამ უფლებების სრული განმარტება. [...] 1920-იანი წლების დასაწყისში *ერთა ლიგამ* შეიმუშავა და მიიღო *ბავშვთა უფლებების დეკლარაცია. ლიგას* ჰქონდა ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე კომიტეტები, როგორიცაა მაგალითად, ტრეფიკინგთან ბრძოლის კომიტეტი (რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალური სამუშაოს პიონერი – გრეის აბოტი). ლიგა აგრეთვე სპონსორობდა ბავშვთა შრომისა და სასჯელის სისტემის რეფორმის ბევრ ინიციატივას. აგრეთვე *ლიგის* ქარტია კოლონიზებულ

ქვეყნებში ზოგიერთი სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების საგანგებოდ დაცვისაკენ მოუწოდებდა.

საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების სისტემის გაჩენას მნიშვნელოვანწილად მეორე მსოფლიო ომის საშინელებებმა, განსაკუთრებით ჰოლოკოსტმა და ნაცისტების სისასტიკემ მისცა ბიძგი. როგორც ჩანს, ერთგვარი დანაშაულის გრძნობაც არსებობდა დასავლეთის წამყვან ქვეყნებში; მიუხედავად იმისა, რომ 1930-იან წლებში ისინი არაერთხელ შეიკრიბნენ და იმსჯელეს გერმანიაში აგრესიასა და ადამიანის უფლების დარღვევებზე, საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ეროვნული სუვერენიტეტი არ იძლეოდა მოქმედების საშუალებას (ვრონკა, 2003). შესაბამისად, პრეამბულაში ვკითხულობთ: „ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფასა და აბუჩად აგდებას შედეგად მოყვა ბარბაროსული აქტები, რომელმაც აღაშფოთა კაცობრიობის სინდისი“ (*გაერო*, 1948).

1947 წელს ახალჩამოყალიბებულმა *გაერო*მ, ზოგიერთი დელეგატისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მოწოდების საფუძველზე, შექმნა *ადამიანის უფლებათა კომისია*, რომელსაც სათავეში ელეონორა რუზველტი ჩაუდგა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩვენს, რომ ამ თანამდებობაზე ქალი განზრახ დანიშნეს, რათა ერთგვარად დაეკნინებინათ კომისიის მნიშვნელობა ვრონკა, 2003). ასეა თუ ისე, 1948 წლის ზაფხულისთვის კომისიამ მოამზადა ადამიანის უფლებათა დოკუმენტის პროექტი და გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო მისი განხილვა (მოსინკი ციტირებული რეიჩერტთან, 2003) (შედარებისთვის, *ბავშვთა უფლებების კონვენციის* პროექტზე მუშაობა მთელი ათი წელი მიმდინარეობდა). დოკუმენტის წინააღმდეგ არავინ წასულა. თუმცა, საბჭოთა ბლოკმა, საუდის არაბეთმა და სამხრეთ აფრიკამ თავი შეიკავეს. ამ ხელშეკრულებას ერთგვარი ჩრდილი მიაყენა იმან, რომ 1948 წელს სამხრეთ აფრიკაში სრულად და ოფიციალურად აამოქმედეს აპარტეიდის კანონი. ეს თითქოს გამომაფხიზლებელი უნდა ყოფილიყო ყველასთვის, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებას ამ მოვლენისთვის დიდად არ მიუქცევია ყურადღება.

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* მიღების პერიოდში *გაერო*ში 56 ქვეყანა იყო გაწევრიანებული. მათგან სულ რამდენიმე იყო აფრიკის კონტინენტიდან. ამას ხშირად მიიჩნევენ დოკუმენტზე დასავლეთის ქვეყნების ძლიერი ზეგავლენის მიზეზად. თუმცა, ადამიანის უფლებათა კომისიის წევრებად აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან ერთად იყვნენ ეგვიპტე, ინდოეთი, ირანი, ლიბანი, პანამა, საბჭოთა კავშირი, ურუგვაი, ფილიპინების რესპუბლიკა და ჩინეთი (რეიჩერტი, 2003).

*ადამიანის უფლებები როგორც საერთაშორისო სამართლის სისტემა*

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან* მოყოლებული ადამიანის უფლებათა საკითხებზე *გაერო*მ 200-ზე მეტი დოკუმენტი დაამტკიცა (სნარი, 2002). ბევრი სხვა კი რეგიონულმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ადამიანის უფლებების შესახებ ფართომასშტაბიანი და კომპლექსური მსჯელობის ფარგლებში. 1948 წლიდან ადამიანის უფლებათა სფერო მკაფიოდ განისაზღვრა (*გაერო*ს მიერ 1948 წლის 10

დეკემბერს მიღებული) *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* დებულებებით. ეს არის გარდამტეხი და საოცრად ყოვლისმომცველი დოკუმენტი. აქ უფლებების სამი „თაობა“ გამოიკვეთა (ვრონკა, 1995). პირველი რიგი უფლებებისა არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მე-3–დან 21-ე მუხლის ჩათვლით ეს უფლებები განსაზღვრულია, როგორც სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება; თავისუფლება წამებისგან და არაადამიანური სასჯელისგან; თავისუფლება გაუმართლებელი დაკავებისა და დაპატიმრებისგან; თავყრილობის თავისუფლება; აზრის გამოთქმის თავისუფლება და ა.შ. დოკუმენტი ასევე გვპირდება დემოკრატიული მმართველობის უფლებას. როგორც 21 მუხლშია აღნიშნული, “ყოველ ადამიანს აქვს უფლება, უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში“. შემდეგ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა. ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური ფორმით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“ (*გაერო*, 1948). პირველი თაობის ამ უფლებებს ხშირად „ნეგატიურ უფლებებად“ მოიხსენებენ, ვინაიდან, ისინი ხელისუფლებისგან ითხოვენ ნეგატიური ქმედებებისგან, ან ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების შეზღუდვისგან თავის შეკავებას.

22–ედან 27–ე მუხლის ჩათვლით მოცემულია (მეორე თაობის) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ეს მოიცავს: სოციალური უსაფრთხოების, საკადრისი დასაქმების, დასვენების და გართობის, საკვების, ჩასაცმელის, საცხოვრებლის, ჯანდაცვის, განათლების და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებს. 25 მუხლის 1 პარაგრაფი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ სამუშაოზე. აქ ვკითხულობთ:

*ყოველ ადამიანს – აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, (საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო ზრუნვისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით) რომელიც აუცილებელია პირადად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად; უფლება იყოს უზრუნველყოფილი უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან არსებობის საშუალების დაკარგვის (მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო) სხვა შემთხვევაში.*

ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს „პოზიტიური უფლებები“ შეარქვეს, რადგან ქვეყანამ საგანგებო ნაბიჯები უნდა გადადგას მოქალაქეების ამ უფლებების დასაკმაყოფილებლად.

28–ე მუხლი ზოგადად აღწერს მესამე თაობის უფლებებს. ეს ის უფლებებია, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო საქმიანობით და თანამშრომლობით შეიძლება იყოს გარანტირებული. აქ ვკითხულობთ: „ყოველ ადამიანს აქვს ისეთ სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება, რომლის პირობებშიც, შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა სრულად

განხორციელება“. ეს განცხადება შეჯერებულია 22–ე მუხლთან, რომელიც აღნიშნავს, რომ: „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უსაფრთხოების უფლება და უნდა შეეძლოს, ეროვნული ძალისხმევისა და *საერთაშორისო თანამშრომლობის* მეშვეობით (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში), განახორციელოს თავისი ღირსების შესაფერისი უფლებები. ამ მუხლის მიხედვით, ადამიანს ენიჭება მშვიდობის, პატიოსანი ვაჭრობის და, უბრალოდ, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის უფლება. იფის მიხედვით (იფი, 2001), მესამე თაობის უფლებები მოიცავს ეკონომიკური განვითარების უფლებას; უფლებას განეკუთვნებოდეს სტაბილურ, ერთსულოვან საზოგადოებას; გარემოს დაცვით უფლებას, კერძოდ, უფლებას გქონდეს სუფთა და დაუბინძურებელი ჰაერი, წყალი და საკვები; უფლებას იცხოვროს ისეთ ფიზიკურ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს მიაღწიოს სრულ ადამიანურ პოტენციალს“ (გვ.39).

*საერთაშორისო ხელშეკრულებები. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია* არის მრავლისდამტევი დეკლარაციაა. საერთაშორისო სამართალში ეს ნიშნავს, რომ ეს არის განაცხადი კეთილი განზრახვების შესახებ, რომელსაც კანონის ძალა არ აქვს. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას* მოყვება ორი ხელშეკრულება, რომლებშიც განსაზღვრულია ხელმომწერი ქვეყნების ვალდებულებები: *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი* (ICCPR) და *ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების საერთაშორისო პაქტი* (ICESCR). ორივე მათგანი 1966 წელს მიიღო გენერალურმა ასამბლეამ. ეს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი დეტალურად განავრცობს *ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის* მნიშვნელოვან დებულებებს. *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი* ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს, მას შემდეგ, რაც 35–მა ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება (ძალაში შესვლისთვის საჭირო პროცედურა) (UNOHCHR, 2005a). ამჟამად უკვე 155 ქვეყანამ გააკეთა ამ დოკუმენტის რატიფიცირება და გახდა პაქტის მონაწილე მხარე (UNOHCHR, 2006). *ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების საერთაშორისო პაქტი* ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს და მას 152 ქვეყანა მიუერთდა. აშშ–ს არ მოუხდენია მისი რატიფიცირება და მეტწილად არ უჭერს მხარს სოციალური და განსაკუთრებით, ეკონომიკური უფლებების კონცეფციას (UNOHCHR, 2006).

*მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფების დამცველი ხელშეკრულებები.* მიუხედავად იმისა, რომ *ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია* და პაქტები უზრუნველყოფენ ყველა (კატეგორიის) ხალხის დაცვას, მაინც გრძელდება ადამიანების ზოგიერთი ჯგუფების ჩაგვრა და მათი უფლებების შეზღუდვა. ამიტომ, აუცილებელი გახადა დამატებით ახალი დეკლარაციებისა და კონვენციების მიღება. ამ დოკუმენტთაგან სოციალური სამუშაოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – *საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ* (IClFRD), *კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ* (CEDAW); და *კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ* (CRC). ორი *პაქტი,*

ზემოხსენებული სამი კონვენცია და ორი ხელშეკრულება ([1]*კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ* [1984] და [2] *ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია* [1990]) ქმნიან „შვიდ მთავარ საერთაშორისო ხელშეკრულებას ადამიანის უფლებების შესახებ“ (UNOHCHR, 2005b). თითოეულ მათგანს ადამიანის უფლებათა შესაბამისი კომიტეტი ხელმძღვანელობს, რომელიც იღებს ანგარიშებს და ზედამხედველობს წევრი ქვეყნების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას. ამ შვიდი ხელშეკრულებიდან, აშშ–მ მხოლოდ (1)*რასობრივი დისკრიმინაციის კონვენციას,* (2) *სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების პაქტს* და (3) *წამების წინააღმდეგ კონვენციას* გაუკეთა რატიფიცირება. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებათაგან, *ბავშვთა უფლებების კონვენციის* რატიფიცირება გააკეთა ყველაზე მეტმა ქვეყანამ. ეს კონვენცია უზრუნველყოფს ბავშვთა გადარჩენის, დაცვის და განვითარების უფლებას. მხოლოდ აშშ–ს და სომალის არ გაუკეთებია ამ დოკუმენტის რატიფიკაცირება. კანადას რატიფიცირებული აქვს ყველა ხელშეკრულება, გარდა *მიგრანტი მუშის კონვენციისა.* ეს ხელშეკრულება 2003 წელს შევიდა ძალაში და ჯერ მხოლოდ 34 ქვეყანაა მასთან მიერთებული (UNOHCHR, 2006). ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება რომ ამუშავდეს (ან ადამიანის უფლებათა ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ძალაში რომ შევიდეს), მისი რატიფიცირება უნდა მოახდინოს ქვეყნების დადგენილმა რაოდენობამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება ან მასთან მიერთება ნიშნავს, რომ ქვეყანა ეთანხმება მის დებულებებს და მზად არის მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების განხორციელებაში. ქვეყანას შეუძლია მხოლოდ ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს, რომ მის პრინციპებს ზოგადად უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება არ არის მისთვის იურიდიულად სავალდებულო.

*გაეროს* ფორმატში შემუშავებული დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების გარდა, არსებობს ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულებები. ერთი ასეთი მაგალითია *ევროპის სოციალური ქარტია.* ეს ქარტია 1961 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მოგვიანებით დაიხვეწა და გაფართოვდა.

იფი ვერაფერს ხედავს ცუდს იმაში, რომ მომავალში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით გაჩნდეს ახალი და განსხვავებული მოსაზრებები:

*მართალია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ალბათ, წარმოადგენს მეოცე საუკუნეში კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე ღირშესანიშნავ მიღწევას, ის არ უნდა განვიხილოთ, როგორც უნივერსალური და ხელუხლებელი ჭეშმარიტება. ეს შთამბეჭდავი და შთამაგონებელი ნაშრომია, საყურადღებო რადიკალური დასკვნებით... მაგრამ ეს დეკლარაცია არავითარ შემთხვევაში არ არის წმინდა წერილი. დროთა განმავლობაში ის შეიძლება შეიცვალოს, როცა გაჩნდება ახალი იდეები და ახალ საკითხებს მიენიჭება უპირატესობა (იფი, 2001, გვ. 6).*

იფი დასძენს, რომ ეს არ არის უნივერსალობის საწინააღმდეგო არგუმენტი, არამედ, უფრო ადამიანის უფლებათა კონცეფციის დახვეწისთვის მზადყოფნაა.

*განუყოფლობის პრინციპი.* ადამიანის უფლებათა კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტია უფლებათა განუყოფლობის პრინციპი. ეს არის ადამიანის უფლებების გლობალური ხედვა. იმისთვის, რომ პიროვნების ღირსება არ შეილახოს, ყველა სახის უფლება უნდა იყოს დაცული, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, კულტურული და პოლიტიკური უფლებები და რამდენადაც შესაძლებელია, გლობალური მასშტაბით. პოლიტიკური თავისუფლება ბევრს არაფერს მისცემს მშიერ ხალხს; კარგად დაპურებულ ხალხს სამოქალაქო თავისუფლების გარეშე, აკლია ადამიანური ღირსების მთავარი კომპონენტი; და ბოლოს, მშვიდობისა და სამართლიანობის მსოფლიო წესრიგის გარეშე, არც ერთი ეს უფლება არ იქნება გარანტირებული.

**ევროპის სოციალური ქარტია**

1961 წელს ევროპის საბჭომ ევროპის სოციალური ქარტია შეიმუშავა. მისი მიზანია, წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფა და შემდგომი გამოყენება. ის გვთავაზობს, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე; „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა“ (ევროპის საბჭო, 1961). 1996 წელს ქარტია დახვეწეს, რათა შეენარჩუნებინათ მიღწევები და „მიეცათ მისთვის ახალი იმპულსი“ (ევროპის საბჭო, 1996, გვ.1). 1996 წლის ვერსია ცდილობს უპასუხოს იმ სოციალურ ცვლილებს, რომელებიც მას შემდეგ მოხდა, რაც ქარტიის თავდაპირველი ვარიანტი მიიღეს. თავდაპირველი ქარტია მიზნად ისახავდა ძირითადი უფლებისა და პრინციპების მიღწევას, როგორიცა მუშების, ქალების, ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები. 1996 წლის ვერსია აფართოებს ამ პრინციპებს, განსაკუთრებით, მუშათა უფლებების დარგში. განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას სოციალური კეთილდღეობის მომსახურების და სამედიცინო დახმარების მიღების უფლებაზე, სიღარიბის და სოციალური ექსკლუზიისგან დაცვის უფლებაზე, საცხოვრებლის და ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უფლებაზე.

განუყოფლობა ბრწყინვალე პრინციპია, მაგრამ ადამიანის უფლებების ისტორიის მანძილზე ის არაერთხელ უარყვეს. ცივი ომის პერიოდში, საერთაშორისო არენაზე დაპირისპირებას ხშირად იწვევდა ის, რომ საბჭოთა ბლოკი უარს ამბობდა, ეცნო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ხოლო აშშ (და ზოგჯერ მისი

მოკავშირეებიც) უარყოფდნენ ან ცვლიდნენ ეკონომიკური და სოციალური უფლებების იდეებს. სოციალური სამუშაოს პროფესიას აქვს პრეტენზია, რომ ესმის უფლებების განუყოფლობის იდეა თავისი ერთდროული აქცენტით ინდივიდუალურ თვითგამორკვევაზე, განვითარებაზე, სოციალურ და ეკონომიკურ სამართლიანობაზე.

*უნივერსალიზმი.* ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ძირითადად ისეა შედგენილი, რომ უნივერსალურობაზე უნდა იყოს მორგებული. ამასთან, პროცესი იძლევა იმის უფლებას, რომ ქვეყნებმა თავი შეიკავონ ხელშეკრულებების ზოგიერთ დებულებასთან მიმართებით და შემოგვთავაზონ უნივერსალიზმის იდეის ოდნავ შეცვლა. ამ თავშეკავებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ხელშეკრულების ძირითად არსს. ბრალდებები, რომ ეს დოკუმენტი დასავლურ ყაიდაზეა შექმნილი, ადამიანის უფლებათა სისტემას „რეჟიმად“ წარმოაჩენს და ზოგიერთი შიშობს, რომ მას გამოიყენებენ, სუსტი და განსაკუთრებით, ღარიბი განვითარებადი ქვეყნების სუვერენიტეტის გამოწვევად. მართლაც, 1948 წელს, აშშ-ს ანთროპოლოგიურმა ასოციაციამ გააკეთა განცხადება, სადაც „უარს ამბობდა ადამიანის უფლებების ნორმების უნივერსალურობაზე“. განცხადებაში ნათქვამია, რომ *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციში* „ჩამოთვლილია ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც კულტურულად, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად არაუნივერსალურია“ (ფოქსი, 1998). მას შემდეგ საკმაოდ გამძაფრდა დებატები თემაზე უნივერალიზმი თუ ფარდობითობა. რაც შეეხება სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სფეროს, განსაკუთრებით გართულდა და გამწვავდა კამათი ბავშვების, ქალების, სხვა ჩაგრული ჯგუფებისა და ოჯახის უფლებების შესახებ.

1981 წელს *აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციამ* მიიღო *ადამიანისა და ხალხების უფლებების აფრიკული ქარტია.* რეგიონულ ხელშეკრულებებს შორის ეს დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ცდილობს ადამიანის უფლებების კულტუროლოგიურ კონტექსტში გააზრებას. ქარტიაში დევს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების იდეა (მუთუა, 2000). როგორც მუთუა განმარტავს, „ქარტიის აზრით, ინდივიდუალური უფლებები აზრს კარგავენ სოციალურ და პოლიტიკურ ვაკუუმში, თუ შერწყმული არ არიან პიროვნების მოვალეობებთან ... ამრიგად, პიროვნებებზე მოვალეობების დაკისრებით, ის ცდილობს პიროვნების უფლებები მოარგოს თემისა და პოლიტიკური საზოგადოების უფლებებს (გვ.8). ასე მაგალითად, 21–ე მუხლის მიხედვით, პიროვნებას აქვს მოვალეობა „გაუფრთხილდეს ოჯახის ჰარმონიულ განვითარებას და იშრომოს ოჯახის ერთსულოვნებისა და პატივისცემისთვის; ყოველთვის პატივი სცეს მშობლებს და, საჭიროების შემთხვევაში, არჩინოს ისინი“(მუთუა, 2000, გვ. 8). [...]

*ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები*

*გაერო*ს მიერ დადგენილ და მართულ ადამიანის უფლებებს, ახორციელებს კომპლექსური ბიუროკრატიული აპარატი. აქ გაერთიანებულია: *ადამიანის*

*უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი* (გაეროს სამდივნოს დეპარტამენტი); სხვადასხვა ხელშეკრულების კომიტეტები; *ადამიანის უფლებათა საბჭო;* საგანგებო ექსპერტები და კიდევ ბევრი სხვა. 1946 წელს *ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ* (ECOSOC) ჩამოაყალიბა *ადამიანის უფლებათა კომისია.* ის 56 წევრი ქვეყნისგან შედგებოდა და ყოველ წელს იკრიბებოდა, რათა განეხილა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. რადგან კომისიით ბევრი იყო უკმაყოფილო და იმის გათვალისწინებით, რომ მისი ზოგიერთი წევრი სახელმწიფო თავადაც მნიშვნელოვნად არღვევდა ადამიანის უფლებებს, ამ ცოტა ხნის წინ კომისია გააუქმეს. მის ნაცვლად ახალი ორგანო, *ადამიანის უფლებათა საბჭო,* შეიქმნა. ეს 2006 წელს მოხდა და ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, რამდენად გაამართლებს ეს ახალი სტრუქტურა.

უმაღლესი კომისრის უმნიშვნელოვანესი საქმეა მსოფლიოს ყურადღება მიაპყროს ადამიანის უფლებების ზნეობრივი მხარისკენ. ირლანდიელი მერი რობინსონი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1997-2002 წლებში მუშაობდა, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სიღარიბეზე და ამას ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზულ დარღვევად მიიჩნევდა. მის მემკვიდრეს, ბრაზილიელ სერხიო ვიეირა დე მელოს, არ დასცალდა სრულყოფილად ემუშავა. ის ტრაგიკულად დაიღუპა ერაყში, როცა გენერალური მდივნის საგანგებო დავალებას ასრულებდა. კანადელი ლუის არბორი უმაღლეს კომისრად 2004 წელს დაინიშნა.

სოციალური სამსახურისათვის საინტერესო ხელშეკრულებების განხორციელებაზე მუშაობს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კომიტეტი: *ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი; რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი* და *ბავშვთა უფლებების კომიტეტი.* ეს კომიტეტები განიხილავენ და აფასებენ ანგარიშებს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ მონაწილე ქვეყნები შესაბამისი ხელშეკრულების დებულებებს. მონაწილე მხარეები ზრუნავენ ადამიანის უფლებათა კომიტეტებისა და მათი პერსონალის შენახვაზე. ისინი ვალდებული არიან, კომიტეტს პერიოდულად ჩააბარონ ანგარიში ჩატარებული სამუშაოს თაობაზე. მონაწილე ქვეყნის ანგარიში მისივე ჩატარებული კვლევის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტია, იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ქვეყანა კონკრეტულ ხელშეკრულებას თუ კონვენციას. კომიტეტის თითოეულ სხდომაზე იგეგმება რამდენიმე ქვეყნის ანგარიშის მოსმენა და მათი მთავრობის წარმომადგენლებთან დიალოგი. მკითხველს შეუძლია მოიძიოს მონაწილე ქვეყნების ანგარიშები, ადამიანის უფლებათა შესაბამისი კომიტეტის კომენტარები და სხდომაზე წარმოდგენილი მთავრობის პასუხი *ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის* ვებგვერდზე: www.ohchr.org

*გაეროსა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ვალდებულებების შესრულების საქმეში*

ადამიანის უფლებათა გლობალური მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ ყველას მიერ ყველა ვალდებულების შესრულებას. ზოგი იმასაც ფიქრობს, აზრი აქვს თუ არა ისეთ საერთაშორისო კანონებს, რომლებიც ვერ მუშაობენ. ბოლოს და ბოლოს, რუანდის, დარფურის, კამბოჯის და ბოსნიის ამბები ხომ *გაერო*ს *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა* და ხელშეკრულებების მიღების შემდეგ მოხდა. *ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია* (CEDAW) უკვე მიღებული იყო, როცა თალიბანმა ქალების დაჩაგვრა მოახერხა. მსგავსი მაგალითები ბევრია.

კარგი, რასაც *გაერო*ს ადამიანის უფლებათა სისტემა აკეთებს, არის ის, რომ წარმოადგენს გლობალური სტანდარტების საცავს და აქვს უწყებები, რომლებსაც შეუძლიათ მოწადინებული ქვეყნების წახალისება და დახმარება მუშაობაში. *გაერო*ს ცოტა რამის გაკეთება შეუძლია, როცა ქვეყანას არ უნდა პატივი სცეს თავისი მოქალაქეების ადამიანის უფლებებს. ამდენად, ხელშეკრულებების მონაწილე ბევრი სახელმწიფო უხეშად არღვევს ადამიანის იმ უფლებებს, რომლის მხარდაჭერაც მისმა მთავრობამ იკისრა. რობერტ დრინანი თავის წიგნში, (დრინანი, *შერცხვენის მობილიზაცია,* 2001) გვთავაზობს ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ „შერცხვენის“ ტაქტიკა. [...] თუმცა, სამწუხაროდ, არიან ისეთი ქვეყნებიც, რომელთა შერცხვენა შეუძლებელია.

როგორ უნდა ჩაერიოს მსოფლიო თანამეგობრობა, როცა აშკარაა მოქალაქეთა ადამიანის უფლებების დარღვევა? გენოციდის შემთხვევებშიც კი, *გაერო* ნელა და უხალისოდ მოქმედებდა. საერთაშორისო ურთიერთობის უმთავრესი პრინციპი სახელმწიფო სუვერენიტეტია; ეს კი გამორიცხავს სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევას და სხვა ქვეყანაში სამხედრო ინტერვენციას. ადამიანის უფლებათა გლობალური სტანდარტების დადგენა და მისი შესრულების მექანიზმის შექმნა, ერთგვარად ზღუდავს სუვერენიტეტს. ერთ-ერთი ანალიზის მიხედვით, „ცივი ომის შემდეგ სულ უფრო მატულობს ისეთი მიდგომა, რომ თუ ქვეყანა სერიოზულად და სისტემატურად არღვევს ადამიანის უფლებებს, მას დაეკარგება ან დროებით შეუჩერდება თანასწორის სტატუსი სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ (სენდჰოლთზი, 2002, გვ. 208). იყო შემთხვევები, როცა საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა სამხედრო ჩარევას. მაგალითად, 1990-იან წლებში ბოსნიასა და სომალიში ასეთი ჩარევა, უმთავრესად, ადამიანის უფლებების დასაცავად და ჰუმანიტარული მოსაზრებით განხორციელდა. იყო შემთხვევა, როცა ეკონომიკური სანქციები სცადეს. თუმცა, დონელის (2002) აზრით, ასეთმა ქმედებამ ბევრი ვერაფერი დააკლო დამნაშავე ლიდერებს, სამაგიეროდ, კიდევ უფრო დაამძიმა ხალხის, ანუ მსხვერპლის, ტანჯვა. სუვერენიტეტის შელახვა, როგორც წესი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება.

1998 წელს მსოფლიო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს* (ICC) შექმნას, რომელიც 2002 წელს ამოქმედდა. როგორც სასამართლოს ვებგვერდზეა აღნიშნული (2007), ის არის „დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც ასამართლებს იმ პირებს, რომლებსაც ბრალი ედებათ საერთაშორისო თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში,

ისეთებში როგორიც არის გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაულები“ (n.p.). *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო* გამიზნულია, როგორც უკანასკნელი ინსტანცია და განიხილავს მხოლოდ განსაკუთებულად მძიმე შემთხვევებს, მხოლოდ მაშინ, თუ ეროვნულმა სასამართლომ ვერაფერი მოიმოქმედა. *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ* ოთხი საქმის გამოძიება დაიწყო; ესენი გახლავთ: უგანდის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და დარფურის რეგიონის (სუდანი) საქმეები. ვინაიდან სუდანი *სასამართლოს* წევრი არ არის (ICC, 2007), მისი საქმე სასამართლოში *გაერო*ს უშიშროების საბჭომ წარადგინა. დღეისათვის 104 სახელმწიფოა *სასამართლოს* წევრი. აშშ ჯერ კიდევ 2002 წელს, სანამ სასამართლო ოფიციალურად შეუდგებოდა მუშაობას, გამოვიდა წინასწარი შეთანხმებიდან. მიზეზად ის დაასახელეს, რომ ამერიკის მოქალაქეები პოლიტიკური მოსაზრებით შეიძლებოდა მიზანში ამოეღოთ. თუმცა, ხელშეკრულებასა და სასამართლოს პროცედურებში, ასეთი მოქმედებისგან დამცავი ბევრი მექანიზმია გათვალისწინებული ("International Criminal Court: Let the Child Live," 2007). *სასამართლო* უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებების ამაზრზენი დარღვევების დაუსჯელობის აღკვეთის საქმეში. თუმცა, ადამიანის უფლებების სტანდარტების ეფექტურად დამკვიდრების საშუალებები (განსაკუთრებით, არასამხედრო მეთოდები) ჯერ ისევ ჩამორჩება სასურველ დონეს.

*ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები.* არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა სფეროში. მათი საქმიანობა ძირითადად *გაერო*ს ხელშეკულების მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებს ეფუძნება. ისინი მოქმედებენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად და გაცილებით აქტიურად რეაგირებენ კონკრეტულ დარღვევებზე. ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე ერთ–ერთი ყველაზე სახელგანთქმული არასამთავრობო ორგანიზაცია გახლავთ „*საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International – AI).* ის 1961 წელს დაარსდა, როგორც „აზრის გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების დამცველი მუდვიმოქმედი საერთაშორისო მოძრაობა“. ეს ორგანიზაცია ამხილებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს და ამით ზეწოლას ახორციელებს დამრღვევ მთავრობებზე. *საერთაშორისო ამინისტია* თავის თავს „საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დამცველთა მსოფლიო მოძრაობას“ უწოდებს (Amnesty International [AI], 2006). *საერთაშორისო ამნისტიამ* უდავოდ არაერთი პატიმარი გადაარჩინა სიკვდილს და კარგად დაანახა საზოგადოებას შეურაცხყოფის ადამიანური სახე. *საერთაშორისო ამნისტია* ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე ამახვილებს ყურადღებას. მართალია, მისი აზრით, ადამიანის უფლებები განუყოფელია, მაგრამ ორგანიზაცია „ძირითადად ფიზიკური ხელშეუხებლობის, თავისუფალი აზროვნებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლებების უხეშად დარღვევის აღმოფხვრაზე“ ამახვილებს ყურადღებას (AI, 2006).

1996 წელს *საერთაშორისო ამნისტიამ* გამოსცა დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდა ჯანდაცვის სპეციალისტებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იკისრონ

ადამიანის უფლებების დარღვევების გამოაშკარავების საქმეში. *„საერთაშორისო ამნისტიას* მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის, განსაკუთრებით წამების ფაქტების გამოძიებაში, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ჯანდაცვის სპეციალისტების დახმარება“ (AI, 1996). მართალია, ეს ექიმებსა და ექთნებს ეხება, მაგრამ სოციალური მუშაკებიც ჯანდაცვის პროფესიონალები არიან და ამიტომ, მათაც უნდა იცოდნენ ამ პასუხისმგებლობის შესახებ. იმავდროულად, დეკლარაცია, „მოუწოდებს საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებს, *გაეროს*ა და მის შესაბამის ორგანოებს ყურადღება გაამახვილონ ჯანდაცვის პროფესიონალების ეთიკურ პასუხისმგებლობაზე, რათა მათ ხმა აიმაღლონ თავიანთი პაციენტებზე განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ. „ამით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ *სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციასა* (IFSW) და *სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციას* (IASSW)“ (AI, 1996).

*ჰუმან რაითს ვოჩი* (Human Rights Watch/HRW) არის აშშ–ში დაფუძნებული ყველაზე დიდი ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც მთელ მსოფლიოს მოიცავს. მისმა წინამორბედმა ჯგუფებმა 1978 წლიდან დაიწყეს საქმიანობა და 1988 წელს გაერთიანდნენ, როგორც *ჰუმან რაითს ვოჩი.* ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში მისი მთავარი იარაღია კვლევები და საჯაროობა. აგრეთვე ზოგჯერ ის პირდაპირ იბრძვის ცვლილებისთვის. *ჰუმან რაითს ვოჩის* ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ მისი ერთ–ერთი ამოცანაა „უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს“ ადამიანის უფლებების დამრღვევი მთავრობები (HRW, 2006a). *ჰუმან რაითს ვოჩის* ინტერესების სფერო მოიცავს ადამიანის უფლებების ფართო სპექტრს, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებს, ქუჩის ბავშვებისადმი მოპყრობას, დამნაშავე ლიდერების გასამართლებას, პატიმართა უფლებს, საიმიგრაციო კანონმდებლობას, სექსუალურ უმცირესობათა საკითხებსა და ბევრ სხვას.

*ადამიანის საერთაშორისო უფლებების დაცვის სამომავლო და მოუგვარებელი სფეროები*

არსებობს ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი, რომელსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი თითქმის არ იცავს; თუ მხედველობაში არ მივიღებთ *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში*, კონვენციებსა და სხვა სპეციალიზებულ ხელშეკრულებებში ასახულ ზოგიერთ საკითხს. ახალი ხელშეკრულება, რომელიც ამ სტატიის წერის დროს ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, დაიცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა უფლებებს. არ არსებობს სპეციალური ხელშეკრულება სექსუალური უმცირესობების დასაცავად; ისევე, როგორც არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობას სამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩადენილი დანაშაულისგან.

*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.* 2006 წლის დეკემბერში *გაეროს* გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დაცვის კონვენციას.* 2007 წლის 30 მარტს *კონვენცია* და მისი

არასავალდებულო ოქმი გაიხსნა ხელმოწერისა და რატიფიკაციისთვის. 2007 წლის მაისისთვის 81 სახელმწიფოს და *ევროპულ გაერთიანებებს* ჰქონდა კონვენციისთვის ხელი მოწერილი, ხოლო მათგან 44–მა არასავალდებულო ოქმსაც მოაწერა ხელი. იამაიკამ მარტში პირველმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, ხოლო კიდევ ექვსმა ქვეყანამ 2007 წლის ბოლოდმე დაასრულა რატიფიკაცირების პროცესი (UNOHCHR, 2007). როგორც კი მეოცე ქვეყანა გაუკეთებს ხელშეკრულებას რატიფიკაციას, ის ძალაში შევა და მიიღებს საერთაშორისო სამართლის სტატუსს და მსოფლიოს უფრო მეტ მოქალაქეზე გავრცელდება ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებები.

ხელშეკრულება დიდი ხანი მზადდებოდა. ჯერ კიდევ 1975 წელს *გაეროს* გენერალურმა ასამბლეამ მიიღო *დეკლარაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების თაობაზე.* როგორც ყველა დეკლარციას, მასაც არ ჰქონდა იურიდული ძალა; მან მხოლოდ მორალური პრინციპები ჩამოაყალიბა. 2001 წელს გენერალურმა ასამბლეამ შექმნა კომიტეტი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საერთაშორისო კონვენცია. მანამდე კი, *გაეროს* ინიციატივით ჩატარდა და 2002 წელს გამოქვეყნდა კვლევა – *ადამიანის უფლებები* და შეზღუდული შესაძლებლობები*: გაეროს ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების ამჟამინდელი გამოყენება და სამომავლო პოტენციალი შეზღუდულობის კონტექსტში.* ამ ნაშრომმა ყურადღება გაამახვილა იმხანად არსებული ინსტრუმენტების გამოყენებაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ხელშეწყობის საქმეში. ხელშეკრულებაზე მუშაობა და მასზე შეთანხმება შედარებით სწრაფად მოხდა. 2003 წლის ივნისში *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებისა და ღირსების დამცველი ფართო და ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონვენციის* დროებითმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი კონვენციის პროექტის შესაქმნელად. ამ ნაბიჯს ხელი შეუწყო გენერალურმა ასამბლეამ. ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ, *გაეროს* გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აღნიშნა, რომ „ეს იყო საერთაშორისო სამართალის ისტორიაში ყველაზე სწრაფად შეთანხმებული ადამიანის უფლებათა დამცველი ხელშეკრულება; თანაც – პირველი, რომელიც ძირითადადი ინტერნეტის საშუალებით ლობირების შედეგად შემუშავდა“ (UN News Centre, December 13, 2006).

ეს კონვენცია მოუწოდებს მონაწილე ქვეყნებს გააუქმონ ისეთი დისკრიმინაციული კანონები თუ წეს–ჩვეულებები, რომლებიც ბღალავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს და მიიღონ ახალი კანონები მათი უფლებების დასაცავად. როგორც კონვენციაშია აღნიშნული, „მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს სრულად და თანასწორად გამოიყენოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები. აგრეთვე უზრუნველყოს ამ ხალხის კუთვნილი ღირსება“ (UNOHCHR, 2007, მუხლი 1). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებად მოიაზრებიან ისინი, „ვისაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან სენსორული ჩამორჩენა, რამაც, თუ გავითვალისწინებთ სხვა წინააღმდეგობებს, შეიძლება არ მისცეს მათ საშუალება სხვა ადამიანებთან თანასწორად, სრული და აქტიური მონაწილეობა

მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (მუხლი 1). კონვენციის ერთ–ერთი მთავარი იდეაა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა „კუთვნილი უფლება, იცხოვრონ საზოგადოებაში სხვებთან თანასწორ საწყისებზე“. აქ აგრეთვე გაცხადებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ უფლება იცხოვრონ დამოუკიდებლად და თვითონ აირჩიონ, თუ როგორ განკარგონ საკუთარი ცხოვრება.

*სექსუალური ორიენტაცია.* გაცილებით ნაკლებია გაკეთებული სექსუალური ორიენტაციის თვალსაზრისით ანუ სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვისთვის. მართლაც, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახურის ვებგვერდზე სექსუალური ორიენტაცია არ არის მოხსენიებული სამსახურის სამუშაო საკითხებში. 80–ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს კანონები, რომლებიც კრიმინალურ ქმედებად მიიჩნევენ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ნებაყოფლობით სექსს. შვიდ ქვეყანაში ასეთი საქციელი შეიძლება სიკვდილითაც დაისაჯოს (ფლეშმანი, 2007). მსოფლიო ბევრ ქვეყანაში გეი მამაკაცები და ლესბოსელი ქალები შეურცხყოფისა და ფიზიკური ანგარიშსწორების დიდი რისკის წინაშე დგანან (კარი, 2003; ფლეშმანი, 2007).

მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებების კომიტეტებმა ქვეყნების ანგარიშების მიმოხილვისას ყურადღება გაამახვილეს ჰომოსექსუალების დისკრიმინაციასა და მათზე ძალადობაზე. ბრაზილიამ სპონსორობა გასწია, რათა ადამიანის უფლებათა კომისიის 59–ე სესიაზე *ადამიანის უფლებების და სექსუალური ორიენტაციის რეზოლუციის* პროექტი განეხილათ. ამას იმდენი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და ისეთი ძლიერი წინაღობა შეხვდა, რომ შედეგად არაფერი მოჰყოლია (*გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო,* 2003). არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო აქტიურად ლობირებენ სექსუალური უმცირესობების საკითხს. სულ ახლახანს *ჰუმან რაითზ ვოჩი* გამოვიდა ინიციატივით, რომ საიმიგრაციო კანონში აღიარონ ერთი და იმავე სქესის პარტნიორები (HRW, 2006b). აშშ–ს ბევრი მოქალაქე იძულებულია, გადაიხვეწოს ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ ურთიერთობას აღიარებენ. მსოფლიოში სულ ცოტა 19 სახელმწიფოა, რომელიც თავისი მოქალაქეებისა და მუდმივი რეზიდენტების იმავე სქესის პარტნიორებს გარკვეულ საიმიგრაციო შეღავათებს სთავაზობს. ასეთი ქვეყნებია კანადა და ევროკავშირის 13 სახელმწიფო (ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ისლანდია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი და შვეიცარია). სხვა კონტინენტებიდან ამ სიაში შედიან ბრაზილია, ისრაელი, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. თუმცა, აშშ კვლავაც ამის წინააღმდეგია (HRW, 2006b).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაცით, კვლავაც სერიოზულად ირღვევა ადამიანის უფლებები, გარკვეული პროგრესი მაინც გვაქვს. სამხრეთი აფრიკის კონსტიტუციაში არის მუხლი, რომელიც მოქალაქეებს სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციისგან იცავს. აგრეთვე ეკვადორის, პორტუგალიისა და ფიჯის კონსტიტუციები, კრძალავენ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის მოტივით ("Gay Rights: Until Death Do Us

Part," 2006). ბრაზილიამაც შეიმუშავა მსგავს დისკრიმინაციაზე საჩივრების მიღების პროცედურა და ამასთან დაკავშირებით გარკვეული სწავლება ჩაუტარა პოლიციელებს. დანიამ 1989 წლიდან აღიარა ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა სამოქალაქო ორგანიზაციები. ნიდერლანდებმა და ბელგიამ საქორწინო კანონმდებლობიდან ამოიღეს ყველა მითითება სქესზე (სტერლინგი, 2004). ამ წიგნის მომზადების პერიოდში ერთი და იმავე სქესის წყვილთა ქორწინება კანონიერი იყო ხუთ ქვეყანაში (ბელგია, ესპანეთი, კანადა, ნიდერლანდები და სამხრეთი აფრიკა) და აშშ–ს ერთ შტატში (მასაჩუსეთში). პარტნიორობა და სამოქალაქო კავშირები აღიარებულია ევროპის ათ ქვეყანაში, ახალ ზელანდიაში, ჰონგკონგსა და არგენტინის ერთ–ერთ შტატში ("Gay Rights," 2006).

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, მსოფლიოს ბევრ ნაწილში ჰომოსექსუალობა დანაშაულად ითვლება და გეი დისკრიმინაციისა და ფიზიკური ანგარიშსწორების სამიზნეა. იმის გათვალისწინებით, რომ ჰომოსექსუალობას კრძალავს რამდენიმე ძირითადი რელიგია და ბევრი ქვეყნის მთავრობა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში მოხერხდეს ასეთი ადამიანების საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაცვა *გაეროს* დონეზე. გაეროს უმაღლესი კომისარი ლუიზ არბორი ცდილობს ადამიანის უფლებები სექსუალურ უმცირესობებზეც განავრცოს. მან გააკრიტიკა ის კანონები, რომლებიც ჰომოსექსუალობას დანაშაულთან აიგივებენ, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების აშკარა დარღვევა. 2006 წელს თავის გამოსვლაში მან თქვა: „არც ეროვნული კანონმდებლობა, არც წეს–ჩვეულებები ამართლებს გეების, ლესბოსელების, ბისექსუალების და ტრანსგენდერების შევიწროებას, ცემას, წამებას და, მითუმეტეს, მკვლელობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ასეთები არიან ან ზოგიერთებს ასეთებად მიაჩნიათ“ (ფლეშმანი, 2007, გვ. 12).

*ადამიანის უფლებების დარღვევა არასამთავრობო სტრუქტურების მიერ.* ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო სამსახურები ყურადღებას ამახვილებდნენ საჯარო, სამთავრობო სფეროებზე. ადამიანის უფლებათა დამცველები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კერძო მილიციებსა და მეამბოხე ჯგუფებს. სოციალურ მუშაკებს კარგად მოეხსენებათ, რომ ადამიანის უფლებები შეიძლება დაარღვიონ (და არღვევენ კიდეც) მრავალეროვნულმა და ნაციონალურმა კორპორაციებმა, კერძო ორგანიზაციებმა, ოჯახებმა და მეზობლებმა. ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი სფერო და მათი პოტენციური დაცვა კვლავაც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და გლობალურ დონეზე ნაკლებად არის რეგულირებული.

*ადამიანის უფლებები და სოციალური სამუშაო*

ადამიანის უფლებათა მოძრაობა ეფუძნება თითოეული ადამიანის პატივისცემის და ღირსების სათანადო დაფასებას. ადამიანის პატივისცემა და პიროვნების ღირსება არის სოციალური სამუშაოს საყრდენი. ამდენად, სრული ჰარმონიაა სოციალურ სამუშაოსა და ადამიანის უფლებებს შორის. ამაზე

დაყრდნობით, *სოციალური მუშაკების საერთაშორისო ფედერაციამ* (1988) თავის *პოლიტიკის დოკუმენტის* წარდგინება ასეთი განცხადებით დაიწყო: „სოციალური სამუშაო იმთავითვე ადამიანის უფლებათა პროფესიაა. მისი ძირითადი პრინციპია თითოეული ადამიანის კუთვნილი ღირსება, ხოლო ერთ–ერთი მთავარი ამოცანა – მიუკერძოებელი სოციალური სტრუქტურების განვითარება, რომლებსაც შეეძლებათ უზრუნველყონ ადამიანის უსაფრთხოება და დაიცვან მისი ღირსება“. [...] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო სოციალური სამუშაოს პოლიტიკის სამ მთავარ დოკუმენტში (*სოციალური სამუშაოს გლობალური დეფინიცია,* განცხადება ეთიკურ პრინციპებზე და *სოციალური სამუშაოს განათლებისა და წვრთნის გლობალური სტანდარტები*) ლაპარაკია ადამიანის უფლებებზე (IASSW, 2004).

**დასკვნა: განვითარებისა და ადამიანის უფლებების ურთიერთკავშირი**

განვითარება და ადამიანის უფლებები დიდწილად განუყოფელია; განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სოციალური სამუშაოს პრაქტიკას საერთაშორისო არენაზე. სოციალური განვითარების ზემოთ მოყვანილი განმარტება, გულისხმობს ადამიანის უფლებების გამოყენებას განვითარების კომპონენტად. *გაერო*ს მრავალ დეკლარაციასა და კონვენციას შორის არის *დეკლარაცია განვითარების უფლებაზე* (*გაერო*, 1986). ეს დეკლარაცია აცხადებს, რომ

*განვითარება ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ის მოუწოდებს ყველას მონაწილეობა მიიღოს, წვლილი შეიტანოს და ისარგებლოს სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებით, რომელშიც ყველა ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები სრულად იქნება რეალიზებული. დეკლარაციაში გაცხადებულია, რომ ადამიანი განვითარების ცენტრალური ფიგურაა და ის უნდა იყოს განვითარების უფლების აქტიური მონაწილე და სასიკეთო შედეგების მომხმარებელი (UN Centre for Human Rights, 1994, გვ. 23, [აქცენტირება დამატებულია])*

როგორც პიტერ უვინი (2004) წერს, „უმაღლეს დონეზე განვითარება და ადამიანის უფლებები ერთი და იმავე პროცესის განუყოფელი ნაწილები ხდებიან, ისე როგორც ქსოვილის ორი ძაფი. ზღვარი ადამიანის უფლებებსა და განვითარებას შორის იშლება და ორივე კონცეპტუალურად და პრაქტიკულად ხდება სოციალური ცვლილების ერთი პროცესის განუყოფელი ნაწილი“ (გვ. 175). ამგვარად, ადამიანის უფლებები მოიცავს განვითარების უფლებას და განვითარება უნდა გულისხმობდეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას, სათაურშიც და განვითარების პროცესშიც. ადამიანის უფლებების ჩართვა განვითარების პროცესებსა და პროექტებში ნიშნავს „მონაწილეობისა და საჯაროობის აბსოლუტურ აუცილებლობას“ (გვ. 182); ეს ორივე საერთაშორისო სოციალური სამუშაოს მნიშვნელოვანი პრინციპია და მორგებულია პროფესიულ ეთიკაზე.

თუ განვითარება ადამიანზეა ორიენტირებული და სიღარიბე ითვლება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად, მაშინ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს შესაბამისი მანდატი უნდა იყოს, განვითარებისა და ადამიანის უფლებების ერთდროული ხელშეწყობა.